

თინა შიოშვილი • ტაოური ფოლკლორი





BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITIES  
CENTRE FOR KARTVELIAN STUDIES

TINA SHIOSHVILI

HISTORICAL  
SOUTH GEORGIAN  
FOLKLORE

III

T A O I A N  
FOLKLORE

Jnt.-Stc. Co. „PUBLISHING HOUSE AJARA“  
BATUMI — 2022



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველოლოგიის ცენტრი

თინა შიოშვილი

ისტორიული  
სამხრეთ საქართველოს  
გეპირსიტყვიერება

III

ტ ა ო უ რ ი  
ფოლკლორი

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“  
ბათუმი – 2022

მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს ძირძველი ისტორიული რეგიონის – ტაოს ზეპირსიტყვიერების შესწავლას.

მართალია, ისტორიულმა ქართველებმა ტაო მოსწყვიტა დედამშობლოს, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე თურქთა გარემოცვაში ცხოვრებამ აქაურ ქართველებში ბოლომდე ვერ ამოძირკვა ქართული სიტყვა. ამის დასტურია წინამდებარე მონოგრაფია, რომელიც ტაოური ფოლკლორის შესწავლისა და აკადემიური გამოცემის პირველი ცდაა.

მონოგრაფია სათანადო დახმარებას გაუწევს ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს და ქართული კულტურით დაინტერესებულ მეცნიერებსა თუ ფართო მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი პროფესორი **მამია ფალავა**

რეცენზენტები: პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**,  
პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**

UDC (უაკ) 821.353.1-91(560)  
შ-678

ISBN 978-9941-500-02-2

© თინა შიოშვილი, 2022

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 2022



## წინათქმა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ 1995 წელს საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ რეგიონში – ტაოში, რომელიც, ჟამთა სიავის გამო, დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის შედეგებს რომ განიხილავდა, ექსპედიციის ხელმძღვანელი – პროფესორი მამია ფაღავა წერდა: „...ერთ დროს ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი დიალექტის „ნამსხვრევები-ლა შემოგვრჩაო“ (ფაღავა, 2005: 146). სამწუხაროდ, თითქმის იგივე ითქმოდა ტაოურ ბეპინსიტყვიერებაზეც, თუმცა მომდევნო წლებში ტაოს ქართულენოვან სოფლებში მომცვრელი ფოლკლორული ნიმუშები ობოლი მარგალიტივით გამობრწყინდა და დიდწილად გაამდიდრა ქართული ფოლკლორისტიკის თითქმის ყველა უბანი.

ტაო – მრავალჭირნახული მეციხოვნე დედა საქართველოსი – მას შემდეგ, რაც ისტორიულმა ბედუკულმართობამ უღვთოდ ჩამოაცილა ერთიან ქართულ სივრცეს, დიდი ტკივილია ქართული გენისა, მოუშუშებული ჭრილობაა სამშობლოს გულზე... დიდხანს, ძალიან დიდხანს გვენატრებოდა ერთმანეთი იქითაც და აქეთაც და, როცა დადგა ნანატრი შეხვედრები, სულის სიღრმემდე შეგვძრა სიხარულმა, რომ ჯერ კიდევ არ დაკარგულა

ყველაფერი!.. თურმე, ძალიან კარგად ახსოვთ, „ვისი გორისა-  
ნი“ არიან, ვისი სისხლი უდუღოთ ძარღვებში... „- ჩვენი დაბადუ-  
ლი ენა ქართველია, მასუკან დევსწავლე თურქია. ჩემმა ებემა  
თურქია არ იცოდა“, - გვითხრა ელიასხეველმა ნუჯათ აჯარმა;  
„- გებნევი, თქვენი სისხლიდან ვარა!“ - მოგვეთბო ბალხელი  
აჰმედ სარიყაია... დიახ, არ უღალატეს ტაოელებმა წინაპართა  
ნაანდერძევს, შთამომავლობას გადასცემენ თავიანთი „გურჯო-  
ბის“ ამბავს და ამაცობენ კიდევ ამით... აქვთ კიდევაც საამაყო,  
რადგანაც არ იყო ადვილი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნე-  
ბა: „- ბალხ ერთი ხოჯა იყო, ბალხები ქართულად ილაპარაკიან,  
ის იხუბებდა. ხოჯა თურქი იყო, ეშინოდეს. აქ გურჯები იყვნენ,  
თურქმა არ იცოდა, არ უნდოდენ ჩვენი თავი, ახლა უნდათ“, -  
გაგვანდო დაბა სარიგოლემა ქალბატონმა ელიფა ობიურთმა.


ტაოელები არ მალავენ წუხილს იმის გამო, რომ ისეთივე  
მტკიცე გურჯები ვეღარ არიან, როგორებიც მათი „ძველები“ იყ-  
ვნენ: „- ჩვენ გავცვეთილვართ გურჯობაზე, აქ მექეთეფი არ არი,  
თურქიეში გაცვეთილები ვართ“, - დაიჩივლა ბასლეკარელმა  
იაშარ ქეჩეჯმა...

სიხარულით და სიყვარულით ხვდებიან ტაოს ქართულე-  
ნოვან სოფლებში „დიდი მემლექეთიდან“ მისულ სტუმრებს.  
„- რაფერ მიყვარან ჩვენი გურჯები! - მაკანკალებს...“, - ამ სი-  
ტყვებით გამოხატა ჩვენთან შეხვედრის სიხარული ხევეკელმა  
ჰევა ბათმაზმა...

დრო-ჟამის მდინარებამ ტაოელ ქართველებს ბევრი რამ  
წაჰგვარა, რაც საფრთხეს უქმნის მათ „გურჯობას“... უმთავრესი  
კი ქართული ანბანის უქონლობა, ქართული წერა-კითხვის უცო-  
დინრობაა; ქართული მეტყველებისადმი მათი დამოკიდებუ-  
ლება ელიასხეველი იბრაიმ ოზდემირის სიტყვებით შეიძლება  
გადმოიცეს: „- ჩვენ გურჯიჯა ალფაზე არ დევნახეთ, ალფაზე არ

არი აქ! ანადამ, დედემდამ – ყურიდან ყური ვიწავლეთ გურჯიჯა, მიხდი? გურჯიჯა არ იცი, გურჯი არ ხარ! იპარიკავს – გურჯია, არ იპარიკავს – გურჯი არაა!“ აი, რა მარტივად და რა ბრძნულად დაახასიათა ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი ტაოელმა ბრძენკაცმა... დიას, ახსოვთ აქაურებს, რომ ქართველები არიან, თავიანთებურად ერთგულობენ კიდევ მშობლიურ ენას... დამშვიდობებისას გზა დაგვილოცეს, თურქულგარეული „გზადუების“ გამოგვაყოლეს: „- ყეზა-ბელა არ დაგანახლოს!“, „- ღმერთმა სახლე მიგიყვანოს!“

წინამდებარე წიგნში დაუნჯებული ტაოური ბეპინსიტყვიერი მარგალიტებიც, ძვირფასო მკითხველო, იმის დასტურია, რომ ტაოში დღემდე ფეთქავს ქართული ძარღვი...



პარხალი



ოთხთა

ნაწილი ჰიბრული  
**ბეჭდვები**



## შრომის ლექს-სიმღერები

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი და სახასიათო უბანია შრომის ლექს-სიმღერები, რომლებიც შრომის ამა თუ იმ სახეობასთან არის დაკავშირებული და საუკეთესოდ გამოხატავს მშრომელი ადამიანის ფსიქოლოგიას, მის დამოკიდებულებას ამ საკმაოდ მძიმე ფიზიკურ აქტთან, შრომის იარაღებთან თუ მუშა საქონელთან და, რაც მთავარია, თვით შრომის სიკეთესთან, რომელიც არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია, არამედ – უდიდეს როლს თამაშობს მშრომელთა სულიერი და ზნეობრივი სრულქმნის საქმეში, კრავს, ავსებს და ამეგობრებს, ანათესავებს სოციალურ და თავად შრომასაც სახალისოდ და სასურველად აქცევს.

შრომის ლექს-სიმღერებით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე; ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს მეურნეობის დარგთა ნაირგვარობას, რაც, ბუნებრივია, შრომის პოეზიის მრავალფეროვნების საფუძველია. შრომის ლექს-სიმღერებში „გადმოცემულია ჩვენი ხალხის სოციალური ყოფა, სულიერი განწყობილება, განცდები; ეროვნული ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანი არა მარტო შრომის პროცესს გვიხატავს, არამედ მათში, როგორც უტყუარ სარკეში, ირეკლება საზოგადოების შეხედულებანი



და მისწრაფებანი; ამდენად, შრომის ლექსი მშრომელი ადამიანის ერთგული თანამგზავრი, მეგობარი და, ამავე დროს, მისი გულწრფელი მატეანეც არის“ (შიოშვილი, 2016: 11). ეს უტყუარი მატეანე კი დახუნძლულია იდეურ-ესთეტიკური და ზნეობრივი ტრადიციებით, რაც თავის მხრივ უდიდესი უკუგებით განამტკიცებდა შრომისმოყვარეობას, როგორც ერთ-ერთ უმაღლეს ადამიანურ სათნოებას კაცობრიობის ისტორიაში.

ბიბლიური წიგნების უძველესი ქართული თარგმანებიდან თუ ქართული სასულიერო მწერლობის დიდებული ძეგლებიდან მოყოლებული დღევანდელიობამდე შრომისადმი, საკუთარი ოფლით არსობის პურის მოპოვებისადმი ქართველი კაცის „დამოკიდებულება დროსა და სივრცეში განფენილ მარდიულ მოვალეობად და ერთ-ერთ უმთავრეს სოციალურ საკითხად არის მიჩნეული“ (შიოშვილი, 2002: 291); ქართველთათვის, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანთათვის, შრომა და შრომის ნაყოფი „სულიერ შენაწირად“ („უსისხლო მსხვერპლად“) მოიაზრებოდა, რაზედაც მეტყველებენ უძველესი ტაძრების წარწერები, აგიოგრაფიული ძეგლები და საისტორიო თხზულებანი თუ სიგელ-გუჯრები“ (სირაძე, 2000: 26).

მშრომელი ადამიანის კეთილშობილებაზე, სათნოებაზე, საკუთარი ნაშრომით ტკბობის სიკეთეზე საუბრობს არჩილ მეფე „საქართველოს ზნეობანში“:

მუშაობაც კარგი ზნეა, ზედმდგომობა და სარჯრობა,  
ბარვა, წინდვა, ზვნა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა.  
კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა...

(არჩილი, 1976: 11)

საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი ისტორიული რეგიონი ტაო, რომელიც მე-16 საუკუნიდან დღემდე, სამწუ-



ხაროდ, თურქული სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული, თავის დროზე, მისი რელიეფურობიდან გამომდინარე, ალბათ, მდიდარი იქნებოდა შრომის ლექს-სიმღერებით, თუმცა ბოლო დრომდე ტაოელ გურჯებს შრომის პოეზიის მხოლოდ რამდენიმე სახე შემორჩათ; ამის მიზეზი, ბუნებრივია, ერთის მხრივ თავის დროზე ქრისტეს სახელით შექმნილი „შრომის ტრადიციის“ (გოგუაძე, 1977: 32) გაუფერულებაა, (ნადები, თესვასა და მოსავლის აღებასთან დაკავშირებული შრომითი დღესასწაულები), მეორეს მხრივ კი – ურბანიზაციის პროცესი და მშობლიური ენის მიღვევადი რეჟიმი.

1917 წლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პარხლის ქვემოთ მდებარე ქართულ სოფლებში დააფიქსირა წარმართობისდროინდელი შრომის დღესასწაული, კერძოდ – რთვლის დადგომასთან დაკავშირებული მაგიური სახალხო კარნავალი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა სრულიად მართებულად მიიჩნია „აგუნას“ რიტუალის გამოვლინებად: „ძველი, წარმართული კულტის გადმონაშთს წარმოადგენს რთვლის დღესასწაული: ტანგახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ მდებარე სოფლებშილა შემორჩენილა, თვით პარხალში კი მოლები უკრძალავენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაყები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ“ (თაყაიშვილი, 2016: 394).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ მოწყობილი ექსპედიციების დროსაც დადასტურდა, რომ ტაოელ ქართველთა შორის ბოლო დრომდე შემორჩა ყურძნის კრეფის დღესასწაული („ტაო“, 2020: 1062; ფალავა, 2021: 295).

ტაოს სოფელ წითლეკარში (და სხვა ქართულენოვან სოფლებშიც) ყურძნის კრეფა ტრადიციული სახალხო დღესასწაულია: წურავენ მნიფე ყურძენს, ადულებენ, „ბექემზად“ აქცევენ და ინახავენ ზამთრისათვის; კლაენ პირუტყვს, ამზადებენ სხვადასხვა კერძებს მონვეული მეზობლებისა თუ ნათესავებისათვის; ცეკვავენ ფერხულს; მხიარულობენ და მღერიან. ეს ყოველივე, ბუნებრივია, თურქულ გარემოცვაში მცხოვრები ქართველების ისტორიულ მესხიერებაში შემორჩენილი ძველი ქართული შრომითი ტრადიცია – რთველობის („სთველობის“), იგივე ყურძნის (და ზოგადად ჭირნახულის ალების) დღესასწაულის – გამოვლინებაა.

ქართულ სავენახო ფოლკლორში, რომელიც ძირითადად კოლექტიური შესრულებისაა, უდიდესი სიყვარულით არის ასახული „შვილივით ნაზარდი“ ვაზის კულტი, მისი მოვლის ყველა ეტაპი, თუმცა გამორჩეულია რთვლის (ყურძნის კრეფის) თემატიკის ლექს-სიმღერები, რომლებიც სრულდებოდა ყურძნის მოსავლის ალებისა და დაბინავების დროს, რაც გრანდიოზული სახალხო ზეიმი იყო ძველ საქართველოში. ცნობები ამ არქაულ ტრადიციულ დღესასწაულსა და მასთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებაზე დაცულია უძველეს წერილობით ძეგლებში, „ძველი აღთქმისა“ და „ახალი აღთქმის“ ნიგნების ქართულ თარგმანებში და სხვა.

დავით აღმაშენებლის ძის - დემეტრე მეფის საგალობელში „ქება ღვთისმშობლისაი“ („შენ ხარ ვენახი“) „განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სიმბოლურ-ალეგორიული კავშირი საქართველოს მფარველ მარიამ ღვთისმშობელსა და ვაზს შორის...“ (ალიბეგაშვილი, 1992: 218).

ქართული ტრადიციული შრომითი დღესასწაული „რთველის ჩამოლოცვა“ უდიდესი სიხარული იყო მშრომელებისათ-

ვის. ამ დროს ისინი ხარობდნენ შრომის ნაყოფით, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ გამრჯე ადამიანებს, ლოცავდნენ და მადლობას სწირავდნენ ნაყოფიერების ღვთაებებს. ამგვარი სანესო-რიტუალური დღესასწაულები, რომლებშიც საუკეთესოდ წარმოჩნდა ქართული ხასიათი, შრომისადმი დამოკიდებულება და მისი შედეგით კანონიერი სიამაყე, გარკვეული შრომითი აღზრდის სკოლებიც იყო; ამავე დროს, ვაზი, ვენახი გლეხის იმედიც იყო, მისი ჭირისა და ლხინის აუცილებელი ატრიბუტი; ამიტომაც უმღერის ვაზს უდიდესი სინაზითა და სიყვარულით ქართველი გლეხი:

ვაზო, შეილივით ნაზარდო,  
მოვკვდები მე შენ ძირშია,  
შენით ვარ მხნე და გულადი,  
იმედით გასაჭირშია.

(ქ. ს. პ., 1983: 137)

რთვლობას ქორწილები, ახალი ოჯახების შექმნა, ნათლობა და სხვა ტრადიციული წვეულებები მოჰყვებოდა და, ბუნებრივია, მშრომელი ადამიანისთვის ზოგადად მოსავლის აღება და მით უფრო ყურძნის კრეფა უდიდესი დღესასწაული იყო საქართველოს ყველა რეგიონში.

რთვლისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ: რეცხავდნენ ქვევრებს, წნავდნენ გოდრებს, ეპატიჟებოდნენ ნათესავ-მოყვრებს, ინვევდნენ ნადს. ეს სამზადისიც და უშუალოდ ვენახის კრეფაც საზეიმო ელფერს ატარებდა; მხიარულობდნენ, მღეროდნენ; პირველ აჭრილ აკიდოს თუ ჩხას აუცილებლად ეკლესიაში წაიღებდნენ (არქაიკაში, ალბათ, ნაყოფიერების ღვთაებას შესწირავდნენ); იცოდნენ მსუქანი ბავშვის

ვენახში გადაგორება, რასაც პროფილაქტიკურ-მაგიური და-  
ნიშნულება ჰქონდა. მოსავლის აღების დასასრულს კი იშლე-  
ბოდა სუფრა უშუალოდ ვენახში; დალოცავდნენ ამ წლის მო-  
სავალსა და მომავალ წელს უკეთესს ისურვებდნენ. სიდამონ  
ერისთავის მიერ კახეთში, სოფელ ველისციხეში, ჩანერილი  
ლექს-სიმღერა, რომელიც კახეთში ბოლო დრომდე მრავალ  
ვარიანტად არის გავრცელებული, სართვლო ლხინში ნაშრო-  
მით გახარებული გულსავსე გლეხის ამონამღერია:

დამდეგ ენკენისთვისას  
ვენახში გორავს კალათა;  
დაუთრობელი არ წავალ,  
თუგინდ გამაგდო ძალათა!

(ქ. ხ. პ., 1983: 139)

ერთ კახურ ლექსში „...რთველი გაჩაღდა სოფელში...“  
მშვენივრად არის გადმოცემული სართვლო სამზადისი, უშუ-  
ალოდ მოსავლის აღების სიხარული, ნადის მოწვევის ტრადი-  
ცია და ლხინი:

რთველი გაჩაღდა სოფელში,  
ყველამ გარეცხა ქვევრიო,  
ყურძენი ღვივის საამოდ,  
ყურძენი ქარვისფერიო...  
დღე და ღამ ლხინი არ წყდება,  
ყველა ზეიმობს, ლხინობსო.  
მომეხმარენით, ბიჭებო,  
თორემ დაკრეფა გვიჭირსო!  
რთველში ბევრ ხალხს ვარ ჩვეული,  
ცოტასთან ყოფნა მიჭირსო...

დღე და ღამ ღვინო არ წყდება,  
ყველა ზეიმობს, ღვინობსო.  
მომეხმარენით, ბიჭებო,  
გასმევთ მაჭარს და ღვინოსო!

(ქ. ხ. პ., 1983: 143-144)

რთველში აუცილებლად იკვლებოდა შესანიშნავი – ძირითადად მამალი თხა (მოგვიანებით, ზოგჯერ კლავდნენ ცხვარსაც), რომელიც ნაყოფიერების ღვთაების ზოომორფული სახეა; მას ვენახში დაკლავდა მამაკაცი (აბაკელია, 1987: 51, 54).

რთველში თხის, როგორც საკრალური ცხოველის, დაკვლა დიონისურ დღესასწაულებთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც მკვლევარი ნინო აბაკელია მიუთითებს, ვენახი იგივე საკრალური ბაღია, რომელიც დიონისეს უკავშირდება, ხოლო ყურძნის დანურვა, დაჭყლეტა-დანანევრება დიონისურ „ვნებად“, ანუ საკრალური ღვინოების სახეობად, არის მიჩნეული (აბაკელია, 1997: 54).

აღსანიშნავია ისიც, რომ დიონისე სხვადასხვა ცხოველის სახეს იღებს და მათგან ერთ-ერთია თხა (ვაცი); ლეგენდის თანახმად, დიონისოს პირველად თხა შესწირა ათენელმა იკაროსმა, რადგანაც დიონისომ გაანდო იკაროსს მევენახეობა-მეღვინეობის საიდუმლოება; შეწირული თხა თვით დიონისეს განასახიერებდა; ყოველივე ამან კი საფუძველი დაუდო დიონისურ დღესასწაულებს, რომელთა დროსაც მთავარი ადგილი უკავია სიმღერებსა და ცეკვებს (ფერხულებს). თხა (ციკანი), რომელიც ახალგაზრდა ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოა, ყურძნის მოსავლის აღებისას (რთველში) ყოველწლიურად იკვლებოდა, „მსხვერპლი იწირებოდა ბუნების სიკვდილ-აღორძინების საკულტო სიმბოლიზაციის საჩვე-

ნებლად, რომელსაც რთველში ჰქონდა ადგილი“ (აბაკელია, 1997: 55).

საყურადღებოა, რომ რთველში დაკლულ თხის ტყავსა და ძვლებს უფრთხილდებოდნენ, არ გადაყრიდნენ; ეს ჩვეულება წარმართული ეპოქის კოლხური დარგობრივი ღვთაებების – მესეფების კულტს უკავშირდება: მესეფები, რომლებსაც ამინდის მართვა-გამგეობისა და ჭირნახულის სიუხვის ფუნქცია მიენერებათ, ხალხის რწმენით, კარგი მონადირეებიც არიან; ისინი მათ მიერ მოკლული და შეჭმული ნადირისა თუ შინაური პირუტყვის ძვლებს აგროვებენ და ისევ აცოცხლებენ, რათა შემდგომში კვლავ განაახლონ მათზე ნადირობა (თანდლიავა, 1996: 128; შიოშვილი, 1987: 122).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, სრულიად მართებულად მიგვაჩნია მკვლევარ ნინო აბაკელიას დასკვნა რთვის დროს ვენახში თხის დაკვლის არქაულქართული ტრადიციის თაობაზე: „...შესაძლოა, ვენახში ადგილი ჰქონდა იმგვარ ქმედებას, რომლის დროსაც მოსთუელნი ეზიარებოდნენ ტოტალურ ეპიფანიას მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგენადი ღვთაებებისას, რომლის ზოომორფულ ემბლემას თხა, ხოლო მცენარეულს ვაზი წარმოადგენდა“ (აბაკელია, 1997: 55).

დღეს ტაოელები რთველობის დღესასწაულს „ქოლოცას“// „ქალოცას“ უწოდებენ, რაც სომხურად ოქტომბრის თვის სახელია („ტაო“, 2020: 1062). როგორც ექვთიმე თაყაიშვილისეული ცნობით, ასევე ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის პროფესორის – მამია ფალავას მიერ სოფელ ნითლევეკარში ზულფიქარ თურგუთისაგან 2017 წელს ჩანერილი ნარატივის თანახმად, „ქოლოცას“ დღესასწაულს აუცილებლად ახლავს ფერხული, რაც თავისთავად არქაულ საფერხულო სიმღერათა შესრულებასაც გულისხმობს.

ქართული ტრადიციის თანახმად, ფერხულის ცეკვა და საფერხულო სიმღერების შესრულება პროფილაქტიკურ-პროდუქტიული მაგიის გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რადგანაც, ხალხის რწმენით, მისი შესრულება გავლენას ახდენდა მოსავლიანობის სიუხვეზე. ამ ჩვეულებაზე მიანიშნებს არქაული საფერხულო მითოპოეზიის არაერთი ნიმუში (ქ. ხ. პ., 1972: 358-360). ფერხულებში შესასრულებელი რიტუალური ტექსტების ერთ-ერთი გუდამაყრული ვარიანტი, რომელიც პროფესორმა ელენე ვირსალაძემ ჩაინერა 1950 წელს, ბოლო დრომდე ორპირული შესრულებისაა, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს:

წმინდა გიორგის კარზედა  
ხე ალვან ამოსულიყო,  
თავში დაესხა ყურძენი,  
საჭმელად ჩამოსულიყო,  
იმის უჭმელი ქალ-რძალი  
უდროოდ ჩამოშლილიყო.

(ქ. ხ. პ., 1972: 359)

როგორც ჩამწერი მიუთითებს, ეს რიტუალური საფერხულო სიმღერა შემდეგნაირად სრულდება: „ფერჯისაში შეკრული მომღერალთა წრე პირობითად ორი გუნდისაგან, ორი ნახევარწრისაგან, შედგება. თითოეულ ნახევარწრეს თავისი დამწყები ჰყავს, რომელსაც გუნდი მიჰყვება...“ (ქ. ხ. პ., 1972: 359). მსგავსი ვარიანტები გასულ საუკუნეში დაფიქსირებულია ფშავეშიც და თუშეთიც, რომელთა თანახმადაც, ყურძნის უჭმელი ქალ-ვაჟი „უდროოდ დაშაულიყო“, რაც აშკარად მიუთითებს არქაულ რწმენა-წარმოდგენაზე, რომელთა

თანახმადაც ყურძნის „ხმევას“, მასთან ზიარებას არქაიკაში სასიცოცხლო ფუნქცია ენიჭებოდა. სწორედ ეს ფუნქცია შემდგომმა რელიგიურმა კონფესიამ – ქრისტიანობამ ზიარების რიტუალში გამოიყენა, ვითარცა მაცხოვრის სისხლთან ზიარება.

უფრო არქაული ელფერის მქონე ვარიანტებში წმინდა გიორგის ნაცვლად მოიხსენიება „ბატონი“ („ჩვენი ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო“), რაც იმის დასტურია, რომ წარმართული ეპოქის ღვთაებები ქრისტიანულმა წმინდანებმა ჩაანაცვლეს.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, ტაოში, პარხლის ქვემოთ მდებარე სოფლებში, შემორჩენილი რთვლის დღესასწაულის დროს ვაჟები შიშვლდებოდნენ, ყურძნის მტევნებს აისხამდნენ და ისე ცეკვავდნენ ფერხულს. ეს, ბუნებრივია, შემთხვევითი მოვლენა არ იყო; მოსავლის აღებისას (მკაში და რთველში) აგრარულ მაგიასთან დაკავშირებული ეროტიული ხასიათის ლექს-სიმღერების შესრულების ტრადიციას ჩვენამდე მოღწეული ფოლკლორული ტექსტებიც ადასტურებს; ამასთან, სანესჩვეულებო და, ამ შემთხვევაში შრომის, ანუ მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ, პოეზიის ორგინალ-მაგიურ სანყისებს ყველა უძველესი კულტურის მქონე ხალხში ჰქონდა ადგილი და, ბუნებრივია, არც საქართველო იქნებოდა გამონაკლისი. ამ თვალსაზრისით რთვლის, დამნიფებული ყურძნის მოსავლის აღების, სადღესასწაულო რიტუალის კავშირი დიონისურ დღესასწაულთან თუ დამოუკიდებელი, ქართულ-კავკასიურ აგრარულ-მაგიურ რწმენაზე აღმოცენებული „სთვლის“ დღესასწაულის ეროტიული ხასიათი, მიძღვნილი ნაყოფიერების, სიუხვის, მოსავლიანობის არქაული დარგობრივი ღვთაებებისადმი, სრულიად



კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო ძველ საქართველოში. სართვლო ფერხულში შიშველი ჭაბუკების ცეკვის ტაოური ტრადიციაც, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა დააფიქსირა 1917 წელს, სწორედ ამ რწმენა-წარმოდგენების გამოდახილია. ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის მეცნიერებმა ეს არქაული მაგიური დეტალი და მასთან დაკავშირებული რაიმე ნარატივი, სამწუხაროდ, ვეღარ დავამონმეთ, რადგანაც, როგორც სხვა შრომითი დღესასწაულები, რთვლობის („ქოლოცას“) ტრადიციაც ბოლო ხანებში დესაკრალიზებულია. ამდენად, ე. თაყაიშვილის ამ ცნობას განსაკუთრებული ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭება. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ბოლო დრომდე სანაახელოში შიშველი ფეხებით ჩამდგარი, ერთმანეთის მხრებზე ხელებგადაჭდობილი ჭაბუკების მიერ ყურძნის დაწურვისა და სიმღერის ჩვეულება, რაც ფერხულის ერთგვარი იმიტაციაა, შესაძლებელია, სწორედაც არქაული რიტუალური ფერხულის გამოდახილიც იყოს.

ტაოურ „ქოლოცას“ დღესასწაულზე, როგორც წითლევკარელები მოგვითხრობენ, შესანიშნავ პირუტყვსაც კლავენ („პირტყვები (აქ. წვრილფეხა საქონელი – ავტ.) ვჰკლავთა“), თუმცა ეს შესანიშნავი რომ მაინცდამაინც მამალი თხა უნდა იყოს, არ ადასტურებენ; ქართული ტრადიციების თანახმად, თხა მრავალი რიტუალის მონაწილეა და მათ შორის – მოსავლის, ჭირნახულის აღების შრომითი დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტი, როგორც მოსავლიანობის დარგობრივი ღვთაების ერთ-ერთი ზოომორფული სიმბოლო. საყურადღებოა, რომ რთვლის ტრადიციული ქართული შრომითი დღესასწაული ბოლო ხანებში თვით საქართველოშიც დესაკრალიზმებულია და რა გასაკვირია, რომ საუკუნეთა განმავლობაში თურქულ გარემოცვაში მცხოვრებმა და მუსლიმური ტრადი-

ციების მსახურების ერთგულმა ტაოელებმა წარმართული მაგიური რიტუალების მრავალი კომპონენტი მიივიწყეს; სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, თვით დღესასწაულსაც სომხური სახელით („ქოლოცა“) მოიხსენიებენ, თუმცა ტერმინი რთველი („თველი“) მათ მეტყველებაში დღემდეა შემონახული, ოღონდაც არა კონკრეტულად მხოლოდ ყურძნის მოსავლის აღების სახელწოდებად, არამედ – ზოგადად მოსავლის, ყოველგვარი ჭირნახულის აღების დროდ. 2018 წელს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიშნარხევში 63 წლის ქალბატონის – ნაჯიე გიულისაგან ჩანერილ ერთ სატრფიალო ლექს-სიმღერაში ნათქვამია:

რა მალე თველი მოვდა,  
ვერ მევტანე ნეკერი...

(„ტაო“, 2020: 909)

როგორც ჩანს, ახალ კულტურულ გარემოში ტაოელ ქართველთა შორის შემორჩენილმა „ქოლოცას“ დღესასწაულმა შინაარსი იცვალა, კიდევ უფრო გაღარიბდა, ვიდრე ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობისას (1917 წ.); ისიც საყურადღებოა, რომ რელიგიური აღმსარებლობის ცვლილებამ ღვინისა და მარნის ძველქართულ დღესასწაულს დააკარგვინა არქაული, საკრალური გაგება, რაც ტრადიციულად დიონისურ დღესასწაულებს, მომაკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ წარმართულ ღვთაებებს უკავშირდებოდა; სახელი კი („ქოლოცა“), რომელიც ოქტომბრის თვის აღმნიშვნელია, ტაოში ძველთაგან მობინადრე სომხებისაგან („ჰემშილებისაგან“) უნდა იყოს შეთვისებული.

ტაოს სოფლებში შევძელით, დაგვეფიქსირებინა ძირითადად წველის ლექს-სიმღერები, რომელთა შენახვაც განაპირობა პარხლის წყლის ხეობის ქართულენოვან სოფლებში

თავის დროზე, ალბათ, დიდად განვითარებულმა მესაქონლეობის ტრადიციამ; ჩავინერეთ, აგრეთვე, ყანის თესვის ლექს-სიმღერაც.

ტაოს ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი წველის ლექს-სიმღერები ზოგადქართულ ფოლკლორში არსებული ტექსტების მსგავსია და განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენენ შავშურ, კლარჯულ, მესხურ და აჭარულ ვარიანტებთან.

წველის ლექს-სიმღერებს მესხეთში „ფურის დაყვავებისას“ ეძახიან (ქ. ხ. პ., 1983: 593), აჭარაში – „მიკუტკუტებას“, ტაოში – „დაყვავებას“. ამგვარ ლექს-სიმღერებს, „ხალხის რწმენით, მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა... ფურისათვის ღიღინით ნათქვამი ლექსი... გარკვეულ ფუნქციას ასრულებს და რეალისტურ საფუძველზეა აღმოცენებული“ (ქ. ხ. პ., 1983: 593), რაც გულისხმობს წველადობის გაზრდას. გამოცდილმა მწველავებმა იციან ფურის „ხრიკი“ – მას შეუძლია, რძე „გადაძალოს“ ხბოსათვის, ამიტომაც ღიღინებენ წველის დროს და მოსაფერებელი სიტყვებით მიმართავენ, რათა მოადუნონ მათი ყურადღება..

სოფელ მუსხში (ახალციხის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებმა ფოფალა ოქროსელიძემ 1964 წელს შრომის ლექს-სიმღერების ცნობილ შემკრებსა და მკვლევარს – თამარ ოქროსიძეს ამგვარად აუხსნა წველის ლექს-სიმღერათა ფუნქცია: „– ფურს რო არ უმღერო, ისე არ მოინველის! თუ მოეფერები, ინველება, თუ გაუჯავრდები, არ მოინველება“. ამგვარი რწმენა აქვთ ტაოელ მწველავებსაც – ისინიც უმღერიან, უყვავებენ, მორიდებულად ექცევიან მარჩენალ ფურებს.

მეწველი ძროხისადმი პატივისცემა იმდენად ძლიერია, რომ აჭარაში არ იტყვიან, ძროხას ბალახი დაუწყარეო, ამბობენ, „ძროხას ბალახი მივართვიო“.

2017 წლის 28 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ქონობანში 73 წლის ფატყიმე (ფატმა) ყანთაროღლუსაგან ჩანერილი წველის ლექს-სიმღერის თანახმად, საერთოქართული ტრადიციისამებრ, ფურს მოკრძალებით ექცევიან, სთხოვენ, ნიხლი არ მიარტყას და რძე მისცეს:

ჯეედო, მოგწველო,  
რაფერ ეეყუდე!  
ჯეედო, მოგწველო,  
ტრიკი ააა მამატანო,  
ნანველ გამაზავებიე!  
ჯეედო, არ ამამცხო!

(შიოშვილი, 2020: 907)

მთქმელმა აღნიშნა, რომ ყოველთვის სიმღერით მიმართავდა ძროხას:

„– ვწველიდი, ვიმღერებდი, ვიჭიხვინებდი“. ასევე ეფერებოდნენ და ეხვეწებოდნენ მენველ ძროხას კლარჯი ქალებიც:

ჰა, ნენი, ჰა, ნენი,  
ჭილიკი არ დამარტყა!  
მოგწველო, ნენი!

(შიოშვილი, 2017: 337)

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ტაოში ჩანერილ წველის ლექს-სიმღერებში მენველ ძროხას მიმართავენ დედის ტოლფასი ტერმინებით: „დედოვ“, „ნენოვ“, „ნენი“, „ნენევ“, რაც ძალზე ხშირია შავშურ, კლარჯულ, აჭარულ, მესხურ და საქართველოს სხვა კუთხეთა ვარიანტებში.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხში (ბალჯილი) 60 წლის ჰევა ქორუქისაგან 2017 წლის 29

ივლისს ჩანერილი წველის ლექს-სიმღერით მენველ ძროხას სთხოვენ, წყნარად იყოს, რძე არ დამალოს; სამაგიეროდ პირდებიან, რომ თივას დაუყრიან, კარგად მოუვლიან:

არ დიმიძლო ძე,  
მე მოგწველო!  
რაჰათა იყავ,  
თივა დიგიყარო!  
(შიოშვილი, 2020: 907)

2018 წლის 28 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ სადგიყანაში 59 წლის ჰევა ყურთისაგან ნატალია ჩხარტიშვილის მიერ ჩანერილ წველის ლექს-სიმღერაშიც ფურს ეხვეწებიან, რომ ტლინკი არ დაარტყას მწველავს და რძე არ დაუღვაროს:

ქუსლი არ ჩიმიფაო,  
არ დამარტყა,  
არ დამაფანტვინო ნანველი,  
არ გამდეზო!  
(შიოშვილი, 2020: 907)

წველის ლექს-სიმღერების საერთო სულისკვეთებაა წარმოჩენილი 2017 წლის 28 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას (ხება) ერთ-ერთ უბანში – ბასლეკარში 80 წლის ემინე ქეჩეჯისაგან ჩანერილ ვარიანტში:

ნაზარმა არ დეფქოს,  
ფურმა არ გაგდეზოს,  
მეწველოს,  
არ დიგვიძლოს!  
(შიოშვილი, 2020: 907)

როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა წველის ლექს-სიმღერები, ფურის დასაყვავებელი ტაოური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც იმპროვიზაციული ხასიათისაა; ისინი, ტრადიციულად, თეთრი ლექსებია და მათი ფუნქციაა წველადობის ხვავრიელობა.

ხევას ერთ-ერთი უბნის – დოლენჯიანთკარის მკვიდრმა, სასტუმრო „მასისი“ მეპატრონემ – 47 წლის მევლედ დოლენჯიშვილმა (ბათმაზი) 2017 წლის 26 ივლისს ჩაგვანერინა ყანის თესვის თემატიკის ლექს-სიმღერა:

ხევში წონოლი ყანა  
დავთესე და მივთესე;  
რა გუნაპი რა მიყავ,  
რამდენი ვიმუშავე!

(შოშვილი, 2020: 907)

სამწუხაროდ, ტაოს ქართულენოვან სოფლებში ტრადიციული ნადური ლექს-სიმღერები ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ 2018 წლის 23 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლის მკვიდრმა – 56 წლის ელიფა ოზიურთმა, რომელიც სოფელ იეთში სტუმრობდა გათხოვილ ქალიშვილს, გაიხსენა, რომ ძველად შრომაში კოლექტიური დახმარება – ნადი იცოდნენ: „ნადი მოშველება. „მე დღეს მეშველი ვარო“, – იტყოდეს“ (შოშვილი, 2020: 907).

პროფესორმა მამია ფალავამ 2017 წელს სოფელ ქვაბაგში ორჰან ასლანისაგან ჩაინერა კალოობის რიტუალი და კევრის აღწერილობა, რაც ტაოში კარგა ხნის მივიწყებულია და ამის თაობაზე მხოლოდ წარსულ დროში საუბრობენ:

„– კალოობა ვიჯებოდით, ქერს ვლენივით, ცხენს ვამუშავებდით კალოზე... ძირაჲ დატეხილი ქვები იყო დასობილი და

ცხენი არუნიებდა, დავჟდებოდით ზედ, გავლენდით კალოს“  
(ცინცაძე..., 2017: 196).

ტაოში ძველად გავრცელებული ყოფილა ტვირთის, სიმძ-  
იმის გადაზიდვისას სამღერო „ჰელესა“, რაც სამხრეთ-დას-  
ავლეთ საქართველოში სხვადასხვა სახის ნადურებშიც  
სრულდებოდა და სამუშაოს რიტმთან იყო შეპირობებული.  
პროფესორმა მამია ფალავამ ტაოში მეველედ ბათმაზისაგან  
ჩაინერა ამ ტრადიციული შრომის სიმღერის იუმორისტული  
ელფერის შემცველი ვარიანტი:

დესა, დელესა, მამალი ქოსა,  
ვინცხა არ გასწევს ამასა,  
ეს ხე შეხვდეს იმასა!..

(ფალავა, 2021: 212)

მართალია მთქმელმა მიუთითა, ამ სიმღერას „ხის მთრე-  
ველები“ მღერიან: „დესა, დელესა“, – ასე იძახდნენ ხის მთრე-  
ველები, ყველამ ერთად ქნასო, ასე იძახდნენ“ (ფალავა, 2021,  
2021: 212).


როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ „ჰედამო“ და მისი სახეს-  
ხვაობანი, რომლებიც ლაზურში ფართოდ გავრცელებული  
ნადური სიმღერების მუსიკალური ფრაზაა, სამხრეთ-დასა-  
ვლეთ საქართველოში სხვადასხვა სახეობის ნადურებში გა-  
მოიყენებოდა; კლარჯეთში, სოფელ ქლასკურში, ნკირმონე-  
თის უბანში ყანის თოხნისას ნადურში სამღერო ორპირული  
ლექს-სიმღერა ასე იწყება:

– ჰედამო, ჰედამო!..  
– დაცხე თოხი,  
გედ, გამოდ!..  
– ჰედამო, ჰედამო!

– ბიჭებო, კაჲ ისაქმეთ,  
ერთი დღით არ მოკვდებით,  
– ჰეჲამო, ჰეჲამო!..

(შოთაშვილი, 2017: 335)

ამრიგად, ძირძველი ქართული რეგიონის – ტაოს ზეპირ-სიტყვიერებამ ბოლო დრომდე ველარ შემოინახა ქართული ხალხური ტრადიციული შრომის ლექს-სიმღერათა ნაირსახეობა, თუმცა ის ნაწილი, რაც ტაოს ქართულენოვანი სოფლების მცხოვრებთა ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა, ზოგად-ქართულის ვარიანტებია.



სოფელი წითლეკარი, 2017 წ.



## სატრფიალო პოეზია

სატრფიალო პოეზია ქართული ხალხური ლირიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მასში, როგორც ლირიკულ ლექსებს სჩვევია, უშუალო ადამიანური გრძნობები და მისწრაფებები გადმოცემული. იგი გენეტიკურად უკავშირდება ფოლკლორის სხვა არქაულ ჟანრებსაც და, ამდენად, მისი წარმოშობისა და განვითარების ხანიერი გზა მრავალფეროვანია შინაარსობრივადაც და ფორმითაც.

ფოლკლორმა უზენაესი ადამიანური გრძნობის – ქალისა და ვაჟის ტრფიალის – ვერბალიზაცია, როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, „მრავალფეროვნად და მრავალი კუთხით მოახდინა... დაწყებული მისი სპონტანური გამოხატვით, როცა მზერა გარეგნობის აღქმით კმაყოფილდება, დამთავრებული ექსპრესიის ფაქიზი და რთული ნიუანსებით, თვით სიყვარულის, როგორც სნეულების, განცდით“ (კიკნაძე, 2008: 288).

სატრფიალო თემატიკას ვხვდებით შრომის ლექს-სიმღერებში, საგაზაფხულო დღეობათა ციკლებთან დაკავშირებულ ფერხულებში, ნაყოფიერების დღესასწაულებთან დაკავშირებულ ეროტიულ-მაგიურ თუ სხვადასხვა საწესჩვეულებო რიტუალებში (ვირსალაძე, 1968: 265-268); თუმცა, სატრფიალო ლირიკის უმთავრესი მიზანია ქალ-ვაჟის ტრფიალების,

მიჯნური ქალის სილამაზისა და კდემამოსილების ქება-დიდება და გამიჯნურებული ვაჟისა თუ ქალის გრძნობათა გამოხატვა, რომელშიც უტყუარად მოჩანს ჩვენი ხალხის სულიერი მისწრაფებანი, ხალასი და უხინჯო გრძნობები, ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები და დროთა სულიერ ქურაში გამობრძმედილი მაღალმოქალაქეობრივი კრედო. სნორედ ამგვარ ზნეობრივ ღირებულებებს ეფუძნება მრწამსი ქართული ხალხური სატრფიალო ღირიკისა, რომელიც, პროფესორ ელენე ვირსალაძის მართებული შენიშვნით, „ტიპურის“, მრავალთა მიერ განცდილის გამოხატულებაა, მრავალთა გულისნადების გამჟღავნება“ (ვირსალაძე, 1978: 7).

შესრულების თვალსაზრისით ქართული ხალხური სატრფიალო ღირიკა ინდივიდუალურიც არის და კოლექტიურიც; მისი ძირითადი სახეობანია: ელეგია, ნატვრა, გაბაასება, ბალადა, შაირი, მინიატურა.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია სატრფიალო ლექს-სიმღერებით და, ბუნებრივია, ტაოს ქართულენოვან სოფლებში მცხოვრები ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაშიც ბოლო დრომდე გვხვდება სატრფიალო შაირები, მინიატურები, ნატვრისა და ქების ლექს-სიმღერები, რომლებშიც, ტრადიციისამებრ, ჩაქსოვილია ტაოელ ქალ-ვაჟთა ტრფიალების გამომხატველი განცდები; ისინი უმღერიან და აქებენ სატრფოს გარეგნობას, შინაგან ბუნებას, დაუფარავად ამხელენ საკუთარ გრძნობებს, გამოხატავენ როგორც პირად, ისე ზოგად დამოკიდებულებას მიჯნურობაზე.

ტაოური სატრფიალო პოეზიის უმთავრესი ადრესატი, ზოგადქართული სატრფიალო ღირიკის მსგავსად, ქალია; დღევანდელი ტაოელი მიჯნური ველარ უმღერის სატრფოს სილამაზეს ისეთივე აღმატებული ვერბალური სამკაულებით,

როგორითაც, ალბათ, მისი წინაპარი შეამკობდა; ეს კი უმთავრესად ენობრივი ფაქტორით, ანუ მათი დღევანდელი სამეცნიერო ქართულის სიღარიბით, არის გამოწვეული. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში ექვთიმე თაყაიშვილი პარხლის ხეობის ქართული მოსახლეობის შესახებ (რომელთა ნაწილმაც დღემდე მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა ქართული ენა და რომელთა შთამომავლებიც ჩვენი მთქმელ-ინფორმატორები არიან) წერდა: „რაც შეეხება ენას... ქართული ენა თანდათან დავიწყებას მიეცა და დაუთმო ადგილი თათრულ ენას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრ ადგილას ჯერაც შემორჩენილია ქართული ენა, ნამეტნავად მთის მივარდნილს და ძნელად მისავალ სოფლებში“ (თაყაიშვილი, 1991: 222).

1917 წელს სამხრეთ საქართველოში მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოძიებული და, ალ. მატიასევიჩის ცნობების თანახმად, ქართულად მოლაპარაკე ტაოს სოფლებია: ხევეკი, ბალხი, კობაკი, არმენხევი, გუდახევი, ვანისხევი, ბინათი, ოთხთა ეკლესია, ხუმხალი, ხოდ-სუფლია, უტავი, კირვანსი (თაყაიშვილი, 1991: 223). სწორედაც ამ სოფელთა უმრავლესობის (რომლებმაც მწირად, მაგრამ მაინც ბოლო დრომდე შემოინახეს ქართული ენა) სატრფიალო ლირიკას (და ზოგადად ფოლკლორულ შემოქმედებას) ეფუძნება ჩვენი გამოკვლევა და, ბუნებრივია, მათში ვერ დავძებნით კლასიკური ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის მხატვრულ სამშენისებს; თუმცა, ის ნიმუშები ტაოური სატრფიალო ლექს-სიმღერებისა, რომელთა ფიქსაციაც მოხერხდა, ტაოელ ჩვენებურთა სულიერი მისწრაფებების, მიჯნურობის ობიექტისადმი ზნეფაქიზი დამოკიდებულების ნათელ სურათს გვიხატავს. ტაოს

სატრფიალო შაირები დიდ სიახლოვეს ავლენს ძირითადად შავშურ, კლარჯულ და აჭარულ ნიმუშებთან, რაც მოსალოდნელიც იყო.

სატრფოს არათუ ხილვა, არამედ მასზე ფიქრი, მისი მოგონება ტაოელი მიჯნურისათვის ერთობ ამაფორიაქებელია; ამგვარი გრძნობაა გამოხატული 2017 წლის 26 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – გოდლეკარში 47 წლის მევლედ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) ჩანერილ სატრფიალო შაირში, რომელიც პარალელიზმის ხერხზეა აგებული:

გაღმა თეთრი ქათამი  
გომოღმა მიკუკუნებს;  
მამაგონდა გოგოჲ,  
მე გულში მიჩხაკუნებს.

(შიოშვილი, 2017: 73; შიოშვილი, 2020: 907)

ამ სატრფიალო ლექსის ვარიანტი ჩავიწერე 2018 წლის 1 აგვისტოს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიშნარხევში მცხოვრები 63 წლის ქალბატონის – ნაჯიე გიულისაგან; (შიოშვილი, 2018: 125; შიოშვილი, 2020: 928). ეს ლექსი მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული შავშურ (შიოშვილი, 2016: 241, 340-343), კლარჯულსა (შიოშვილი, 2017: 340, 445-449) და აჭარულ ფოლკლორში, რაც იმის დასტურია, რომ ისინი ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის შემადგენელი ნაწილებია. ამ ლექს-სიმღერის – ერთი შავშური ვარიანტი ამგვარია:

გაღმა სერში ქათამი  
მივა და მიკაკანებს;

მე რომ შენ დიგინახავ,  
გულში გამაკანკალებს.  
(შიოშვილი, 2016: 241)

ლექს-სიმღერის ერთ-ერთი კლარჯული ვარიანტია:

გაღმა თეთრი ქათამი  
გამოღმა მოკაკანავს;  
დარო ქი მომგონდება,  
გულში გამაკანკალავს.  
(შიოშვილი, 2017: 340)

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე გავრცელებული ვარიანტია:

გაღმა ქათამი გავდენე,  
გამოღმა გამოკაკანებს;  
ბიჭოვ, შენი სიყვარულით  
მაციეფს და მაკანკალებს.  
(ბსუნბიფა, №14: 147)

ანდა:

გაღმა ქათამი გავდენე,  
გამოღმა გამოკაკანებს;  
ლამაზ გოგოს რომ დევნახავ,  
ზღვასავით გამაკანკალებს.  
(შიოშვილი, 2016: 37)

ტაოელი მიჯნურისათვის სატრფოსაგან შორს ყოფნა უდიდესი გულისნუხილია. ართვინის პროვინციის იუსუფელის

რაიონის სოფელ ხევას უბანში – დოლენჯიანთკარში 2017 წლის 26 ივლისს მეგლუდ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) ჩანერილი ლექს-სიმღერა ამის დასტურია:

თაზე შენი დეკეული,  
მაგან რა'ნდა მეფნველოს?  
შენ – გალმი, მე – გომოლმი,  
გულმა რა'ნდა მეფსვენოს?

(შოშვილი, 2018: 126; შოშვილი, 2020: 908)

ლექსის თითქმის იდენტური ვარიანტი ჩავინერე 2018 წლის 1 აგვისტოს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიშნარხევში მცხოვრები 63 წლის ნაჯიე გიულისაგან (შოშვილი, 2018: 137); ამავე მთქმელისაგან ჩანერილი კიდევ ერთი ვარიანტის თანახმად, ერთმანეთისაგან შორს (გალმა-გამოლმა) მყოფ მიჯნურთა სევდას ახლავს უღონობისა და უიმედობის გრძნობაც:

ფოტოროში გევევარე,  
წითელი გოგო დევენახე;  
შენ – გალმი, მე – გომოლმი,  
რა'ნა იქნაჲ ჩვენი ჰალი?

(შოშვილი, 2018: 126; შოშვილი, 2020: 908)

ეს სატრფიალო შაირი ბოლო დრომდე ფართო ფოლკლორულ ბრუნვაშია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტიყვიერებაში; მისი ერთ-ერთი შავშური, ასევე რიტორიკული კითხვის შემცველი, ვარიანტის თამახმად (მთქმელი თანერ იშექი (მჭედლიძე), პარალელიზმად გამოყენებულია

საინტერესო ტოპონიმი – ინანმინდა, რაც უცილობლად ქრისტეანობის დროიდან მომდინარეა:

ინანმინდას ცხვარი ძოვს,  
იმან რაა'ნა მეფნველოს?  
შენ – გაღმით, მე – გამოღმით,  
გულმა რავაჲ მესვენოს?!  
(შოოშვილი, 2016: 60)

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში კარგად შემონახულ სიტყვა „ინანმინდას“ ამ სატრფიალო შაირის კლარჯული ვარიანტის პარალელიზმის სტრიქონთა ნაწილში გაუგებარი „ინდა წვინდა“ ჩაენაცვლა, რაც, ბუნერივია, ამ სიტყვის სემანტიკის მივინყების დასტურია, მიჯნურთა გულისტკივილი კი – იდენტური: სიშორე აუტანელია შეყვარებული წყვილისათვის:

ინდა წვინდა ცხვარი ძოვს,  
იმან რა'ნდა მეფნველოს?!  
შენ – გაღმით, მე – გამოღმით,  
გულმა რა'ნდა მესვენოს?!  
(შოოშვილი, 2017: 59)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტს იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ არქივში დაცული ერთ-ერთი ვარიანტით (ჩაინერა სტუდენტმა გ. ზოიძემ 2006 წელს), შავშურ-კლარჯულ ვარიანტთაგან განსხვავებით, მიჯნურთა დაშორების მიზეზია სოციალური პრობლემა – ურბანიზაცია, რის შედეგადაც მიჯნურთაგან ერთი მთას შერჩა, მეორე – ქალაქს:

მთაში ძროხა გავდენე,  
იმან რა'ნდა მოინველოს?  
მე – მთაში, შენ – ქალაქში,  
რა გულმა'და მოისვენოს?

(შიოშვილი, 2020: 611)

სხვა აჭარულ ვარიანტში მიჯნურთა სიშორე განზოგადოებულია, გეოგრაფიულ სახელთა დასახელება აღარ გვაქვს, თუმცა პარალელიზმად გამოყენებულ სტრიქონთა შინაარსი არ იცვლება – გარემო ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი არქაული უბნის – პასტორალის გამოძახილია: მთაზე თუ რომელიმე საძოვარზე ცხოველი ძოვს, იქვეა მიჯნურიც, რომელსაც გულისსწორი გვერდით არ ყავს და სევდიანი ფიქრები ეძალება:

გაღმაშია ფური ძოვს,  
იმან რა'ნდა მეფნველოს?  
ის – იქა და მე – აქა,  
გულმა რა'ნდა მეფსვენოს?

(აჭ. ხ. პ., 1969: 116)

ფიშნარხვეელი მელექსე ქალბატონის – ნაჯიე გიულისაგან 2018 წლის 1 აგვისტოს ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, მიჯნური თავის რჩეულს შაქარს პირდება, რაც მომავალი ტკბილი ურთიერთობის სიმბოლოა:

რა მალე თველი მოვდა,  
ვერ მევტანე ნეკერი;  
გამეფარე, მოგცე  
შენ ხელში შექერი!

(შიოშვილი, 2018: 127; შიოშვილი, 2020: 909)



სოფელ ხევას უბანში – ობლევარში მცხოვრები 72 წლის ქაასიმ ილდირიმისაგან 2018 წლის 28 ივლისს ჩაწერილი სატრფიალო შაირის თანახმად კი დამნიჭებულ ბალზე ეპატიუებიან მიჯნურს, ოლონდ აფრთხილებენ, ბალი მიირთვას, მაგრამ ტოტი არ მოტეხოს:

თაზე კარზე გომოდი,  
ჰაჩან შექნილა ბალი!  
ჩადი, მეფნიე ტალი,  
არ მოტეხო კონკალი!

(შიოშვილი, 2018: 142; შიოშვილი, 2020: 909)

ეს სატრფიალო შაირი ძალზე გავრცელებულია ტაოს ზეპირსიტყვიერებაში; მისი ვარიანტები დაფიქსირდა სოფელ სადგიყანაში (მთქმელი ზულჰა ჩელიქი), დოლენჯიანთკარში (მთქმელი მევლუდ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეგში (მთქმელი აიფერ ქეჩეჯი), სოფელ ბასლეკარში (მთქმელი იაშარ ქეჩეჯი).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ძალზე პოპულარული გროტესკული სატრფიალო ლექს-სიმღერა „...ლე-ლე-ლე ავიარე...“ ტაოს ფოლკლორმაც შემოინახა. ამ ტრადიციული, შაირის ფორმის სატრფიალო ლექს-სიმღერის თანახმად, ლე-ლე-ლე მოსიარულე ვაჟი ხვდება „ლოყატალახიან“, „ხელ-ფეხტალახიან“, „კოჭტალახიან“, „პირტალახიან“, და ა. შ. გოგოს; ტაოურ ვარიანტში, რომელიც 2018 წლის 1 აგვისტოს ჩავენერე სოფელ ფიშნარხევი მცხოვრები 63 წლის სახალხო მელექსის – ნაჯიე გიულისაგან, გოგო „ბუკიტალახიანია“:

ლე-ლე-ლე ჩევეარე,  
ლე-ლე ფალადიანი იყო;

ერთი გოგო დევნახე,  
ბუკი ტალახიანი იყო.

(შიოშვილი, 2018: 128; შიოშვილი, 2020: 909)

ნურსელ დოლენჯიშვილისეულ (ბათმაზი) ვარიანტში კი გოგონა პირტალახიანია (შიოშვილი, 2018: 143; შიოშვილი, 2020: 937).

ამ გროტესკის შავშური ვარიანტი ამგვარია:

ღელე-ღელე მივდოდი,  
ღელე – ბალახიანი;  
ერთი გოგო დევნახე –  
ზუზუტალახიანი.

(შიოშვილი, 2016: 241)

საყურადღებოა, რომ კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში ქალის გროტესკულ სახეს ზოგჯერ ვაჟი ანაცვლებს, თუმცა ამ ვარიანტებში არც ღელეა ტალახიანი და ვაჟიც მშრომელ, ვენახზე მზრუნველ ადამიანად გამოიყურება:

ღელე-ღელე გევჟარე,  
ღელე ვენახიანი;  
ერთი ბიჭი დევნახე –  
კოჭიტალახიანი.

(შიოშვილი, 2017: 340)

ანდა:

ლობიდან ჩიტი გაძრა  
უკუდო, პუმპლიანი;

ერთი ბიჭი დევნახე –  
კოჭიტალახიანი.

(შიოშვილი, 2017: 340)

აღსანიშნავია, რომ ტაოელ მთქმელებს „უზრუნიათ“ და სატრფოს პორტრეტისეული არასასურველი, გროტესკული სტერეოტიპი, რაც ტალახიანობასთან არის დაკავშირებული, დაურღვევიათ; ამგვარია ელიასხეველ ადემ ფოლადისაგან ჩანერილი ვარიანტი:

ღელე-ღელე შევვარე,  
ღელე ტალახიანი იყო;  
ერთი გოგო დევნახე,  
ზოვლაჲ კაჲ იყო.

(ფალავა..., 2005: 148)

ტაოური სატრფიალო ლირიკის გროტესკული ნიმუშია, აგრეთვე, სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეგში 43 წლის შაჰინ ქეჩეჯისაგან 2018 წლის 1 აგვისტოს ჩანერილი ლექს-სიმღერა:

თაზე შენი ჭრელი ფური  
თოფალია, თოფალი;  
გოგო, შენი თვალეზი  
ჭაკალია, ჭაკალი!

(შიოშვილი, 2018: 129; შიოშვილი: 910)

ასეთივეა დოღეჯიანთკარელი სახალხო მეღექსის – მეგლუდ დოღენჯიშვილისაგან (ბათმაზი) ჩანერილი ლექს-სიმღერაც:

თაროზე ყველი მაქვა,  
შემპალია, შემპალიო;  
გოგოვ, შენი ლეჯები  
დამპალია, დამპალიო!

(შიოშვილი, 2020: 910)

გროტესკული ელფერისაა სოფელ სადგიყანაში 2018 წლის 28 ივლისს 85 წლის ყურბან ჩელიქისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერა:

სახლი უკან სათარი,  
ერთი გოგო რათ არი;  
ქოხუს უკან საქათმე,  
ერთი გოგო ჩავქათმე.

(შიოშვილი, 2018: 128; შიოშვილი, 2020: 909)

ამ შაირის ვარიანტები დაფიქსირდა სოფელ ქვიშნარვევში (ქონობანში) და სოფელ სადგიყანაში.

გროტესკულია, აგრეთვე, მევლუდ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 26 ივლისს ჩანერილი მინიატურაც:

გალმი-გომოლმი ჭერები,  
მე გოგვებ ვემჭყერები.

(შიოშვილი, 2018: 127; შიოშვილი, 2020: 909)

ამ მინიატურული გროტესკული ლექს-სიმღერის იდენტური ვარიანტი ჩავინერე სოფელ ქვიშნარხევში (ქონობანი) 65 წლის რიფათ ალთუნდიშისაგან.

მართალია, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემუშავებული და

ტრადიციულ სამშვენიესებად გამოყენებული მხატვრული სახეებით არცთუ მდიდარია ტაოს სატრფიალო პოეზიის ნიმუშები, მაგრამ ისინი ნამდვილად გულწრფელი, სულის სიღრმიდან ამოთქმული სიტყვებია. ელიასხეველი ყურბანა ჩორაფჩისაგან 2017 წლის 27 ივლისს ჩანერილი სატრფიალო შაირის თანახმად, „გემრელი“ გოგოს დანახვით აღფრთოვანებული ვაჟი მთელი საგვარეულოს შეყრას აპირებს:

ერთი გოგო დევნახე,  
გემრელია, გემრელია!  
ერთი თვალი უყავო,  
დუჟდახე ჩემ გორსაო.

(შიოშვილი, 2018: 129; შიოშვილი, 2020: 910)

სატრფოს მხარდამხარ სიარული, მასთან ერთად ყოფნა ტაოური სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი ნამყვანი თემაა; ტაოს ულამაზეს სოფელ იეთში (სოფელ ხევას უბანი) 67 წლის ჰუსეინ იალჩინისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, შეყვარებული ვაჟი მოუნოდებს გოგონას:

ჰაიდე, ნევდეთ ღოლაზე  
მე – კალთით, შენ – კალათით;  
შენ – ბგანო და მე – ბიჭი,  
რა შეხვდება ხვარათით!

(შიოშვილი, 2018: 129; შიოშვილი, 2020: 910)

უნდა აღინიშნოს, რომ ტაოურ სატრფიალო ლირიკაში ძალზე ხშირად არის მონოდება სატრფოსადმი, რომლითაც ვაჟი სთხოვს გოგონას, მასთან ერთად წავიდეს სხვადასხვა

ადგილზე; შაირის ფორმის ეს ლექს-სიმღერები, რომლებიც იწყება ტრაფარეტად ქცეული სიტყვებით – „ჰაიდე, წევდეთ...“, როგორც აღვნიშნეთ, მაღალმთიან ტაოს სოფლებში არქაული პასტორალური პოეზიის ნაშთად მიგვაჩნია. ამგვარი ტიპისაა 2017 წლის 28 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში 50 წლის მენემმა ქეჩეჯისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომლის თანახმადაც ვაჟი ჭალა-ყანის მოსარწყავად და თან ყველისა და პურის საჭმელად ეპატიჟება სატროს:

ჰაიდე, წევდეთ რუს უკან,  
რა შოხდება ჩემს უკან!  
ყველი და პური ვჭამოთ,  
ჭალა და ყანა მოვრწყათ!

(შიოშვილი, 2018: 127; შიოშვილი, 2020: 908)

სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – დევთისაში მცხოვრები 40 წლის შენგულ სონმეზისაგან 2017 წლის 30 ივლისს დუგურის იალალზე ჩანერილი ვარიანტის თანახმად, შეყვარებული ვაჟი კოცნას ეხვეწება სატროს:

ჰაიდე, წევდეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!  
ერთი ჯელა მიპაჩე,  
გავშელინგდე შენს უკან!

(შიოშვილი, 2018: 127; შიოშვილი, 2020: 908)

მეველუდ დოლენჯიშვილისეულ ვარიანტში, რომელიც 2017 წლის 26 ივლისს ჩავინერე სოფელ ხევას უბანში – დოლენჯიანთკარში, ვაჟი სთხოვს გოგონას, მისგან არ შეშინდეს:

გოგო, ჩემოდი ტყივამ,  
ნუ გეშინია ჩემივამ!  
ადექ, ნევნეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!

(შოშვილი, 2018: 127; შოშვილი, 2020: 908)

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტაოელი მიჯნური ვაჟი ძალზე მორიდებულია და მისი სატრფიალო სტრიქონები ძირითადად სახვეწარი შინაარსისაა. ამის კიდევ ერთი დასტურია ელიასხეველი პენსიონერი პედაგოგის – 65 წლის შევეკი თოფჩუსაგან ჩანერილი ლექს-სიმღერა:

ერთი ძიგარა მომე  
მალთეფე ფაქეთივამ;  
ჩემი თავი თუ გინდა,  
ჩამოდი ვაკეთივამ!

(შოშვილი, 2018: 128-129; შოშვილი, 2020: 910)

სოფელ ბასლეკარის ერთ-ერთ უბანში – ხევეკში 2018 წლის 1 აგვისტოს 43 წლის შაჰინ ქეჩეჯისაგან ჩანერილი სატრფიალო ლექს-სიმღერის თანახმად, გამიჯნურებული ვაჟი მოუწოდებს სატრფოს, მასთან ერთად წავიდეს, თანაც, აღიარებს, რომ გოგონა მისი მწუხარების მიზეზია და აცხადებს, რომ სიკვდილამდე მისია:

ჰაიდე, ნევდეთ ნელა-ნელა,  
გახდილი ხარ თავზე ბელა!  
მოდი, ნევდეთ ნელა-ნელა,  
მოკდომამდი ჩემი ხარ შენა!

(შოშვილი, 2018: 129; შოშვილი, 2020: 910)

ტაოელი მიჯნური მთელ სამყაროზეა შეყვარებული, ამის დასტურია დოლენჯიანთკარელი მელექსის – მევლუდ ბათ-მაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 26 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ობლექარში ჩანერილი ლექს-სიმღერა:

ნითელი წინდა მაქვა  
კოჭებში ადებული;  
ერთი შეყვარილი მყავსა  
დუნაში მოდებული.

(შიოშვილი, 2017: 73; შიოშვილი, 2018: 128)

ვარიანტი ჩავინერე 2018 წლის 1 აგვისტოს სოფელ ბას-ლეკარის უბანში – ხევეკში 43 წლის შაჰინ ქეჩეჯისაგან:

ფეხზე ფოთინი მაქვა  
კოჭებზე მოდებული;  
ერთი გოგოდ მყავსა  
დუნაში მოდებული.

(შიოშვილი, 2018: 143; შიოშვილი, 2020: 936)

ენამჭევრმა და სიტყვანყლიანმა ბატონმა მევლუდმა ჩვენს „საპატივსაცემოდ“ იქვე შექმნა ახალი ვარიანტი, რომლის თანახმადაც, სატრფო ბათუმში ეგულება:

ფეხზე ფოთინი მაქვა  
კოჭებზე მოდებული;  
ერთი გოგოდ მყავსა  
ბათუმში მოდებული.

(შიოშვილი, 2018: 143; შიოშვილი, 2020: 936)



კლარჯეთში გავრცელებული სატრფიალო შაირების თანახმად, გოგონები სატრფოსაგან „თავის გამოჩენას“ ელიან და მიუმღერებენ:

გალმიდან ჩამეფარა  
ფეშქარი კამფონი;  
ჩემი თავი თუ გინდა,  
მეფტანე მილიონი!  
(შიოშვილი, 2017: 343)

ვაჟიც პირდება:

ფოტოროში ჩევედრე  
წითელი კამფონით;  
არ იტირო, ლამაზო,  
მოიდე'ნა მილიონით!  
(შიოშვილი, 2017: 343)

ქალისაგან მილიონის მოთხოვნის შემცველი ვარიანტი ტაოში ვერ დავაფიქსირე, თუმცა 2017 წლის 30 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში 21 წლის ქარდელენ ქეჩეჯისაგან (კენჭაძე) ჩავინერე ვაჟის დაპირების შემცველი ლექს-სიმღერა:

ფოტოროში. ჩევედრე  
წითელი კამფონითა;  
არ იტირო, სევედაჯან,  
მოვალ მილიონითა!  
(შიოშვილი, 2018: 125; შიოშვილი, 2020: 908)

ვარიანტები დაფიქსირდა სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – დევთისაში (მთქმელი შენგულ სონმესი), სოფელ ელიასხევაში (მთქმელი ყურბანა ჩორაფჩი), სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეკში (მთქმელი აიფერ ქეჩეჯი).

ამრიგად, ტაოს ქართულენოვანი სოფლების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი სატრფიალო ლირიკის ნიმუშთა ერთი ნაწილი ზოგადქართული ფოლკლორის (უფრორე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეთა) ვარიანტებია, ნაწილი კი ადგილობრივი, ლოკალური ხასიათისაა.



სოფელი წითლეკარი, 2018 წ.

## საქორწილო პოეზია

ტრადიციულ ხალხურ ნეს-ჩვეულებათა შორის საქორწილო ცერემონიალი გამორჩეულია მდიდარი ფორმითა და შინაარსით, სიხარულისა და საუკეთესო სამომავლო სურვილ-იმედების სიუხვით; მას მსოფლიოს ყველა ხალხი, და მათ შორის ქართველობაც, უდიდეს სოციალურ მნიშვნელობას ანიჭებს და განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ყურადღებით ეკიდება, რამდენადაც ოჯახის შექმნა და გვარში, თემში ახალი წევრის შესვლა ყოველთვის ღირსშესანიშნავ, სერიოზულ მოვლენად ითვლებოდა და დღემდე ასე გრძელდება.

ქართული საქორწილო რიტუალითა და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერებით, დალოცვა-სადღეგრძელოებით ერთობ მდიდარია ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სამყარო; ქორწილს – ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან სოციალურ მოვლენას – ყოველთვის უდიდესი სასიხარულო და სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა, რაშიც უდიდესია წილი საქორწილო ლექს-სიმღერებისა, რომელიც, როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, „მშრომელი ხალხის ფიქრის, განცდის, იმედისა და ნუგეშის უშუალო გამომხატველი იყო“ (სიხარულიძე, 1970: 51).

მართალია, ხანიერი და ურთულესი საქორწილო ცერემონიალიდან ბოლო დრომდე ყველა ნიუანსმა ვერ მოაღწია და

გართულებულია მისი ბოლომდე სრულყოფილად შემეცნება, მაგრამ ცალკეულ წეს-ჩვეულებათა მოძიება და ახსნა, მათი თავდაპირველ ფუნქციათა დადგენა და მათთან დაკავშირებული ნარატივების მხატვრული, სოციალური, მაგიურ-რელიგიური თუ საყოფიერო მისიათა შეცნობა მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია; ეს პროცესი კი, ბუნებრივია, საქართველოს ყველა კუთხის მასალათა მობილიზებით არის შესაძლებელი; ამიტომაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

ქართული საქორწილო რიტუალის სრული მოზაიკისათვის, ბუნებრივია, აუცილებელია, აგრეთვე, საქართველოს ისტორიული რეგიონების მონაცემთა გათვალისწინებაც. ამ თვალსაზრისით წარმოებულმა ფოლკლორულ-შემკვებლობითმა მუშაობამ და კვლევებმა ცხადყო, რომ დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ისტორიული სამხრეთ საქართველოს რეგიონების – შავშეთისა და კლარჯეთის – ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა ზოგიერთი ისეთი დეტალი, რომლებიც საქართველოში კარგახნის მივინყებულა (შიოშვილი, 2016: 65-104; შიოშვილი, 2017: 74-108); ამის მაგალითად იკმარებდა თუნდაც დადასტურება კლარჯული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი არქაული დეტალის – პატარძლის კერასთან გამოსათხოვარი ლექს-სიმღერისა (შიოშვილი, 2017: 90-94), რაც, სამუნახაროდ, ვერ შემორჩა ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებას.

დედასამშობლოსაგან საუკუნეთა მანძილზე შორს მყოფი ვრცელი ისტორიული რეგიონის – ტაოს ქართულენოვანმა სოფლებმაც ბოლო დრომდე შემოინახეს საქორწილო რიტუალისა და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერების ხსოვნა,

თუმცა, სამწუხაროდ – არა ისეთი მრავალფეროვნებით, როგორითაც – შავშებმა, კლარჯებმა და თურქეთის რესპუბლიკის შიდა რეგიონებში განსახლებულმა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებმა; სამწუხაროდ, ტაოში სრულად ვერ დავადასტურეთ ტრადიციული მრავალფეროვანი საქორწილო რიტუალის ყველა მხარე და მათი გამომხატველი ზეპირსიტყვიერება. მიუხედავად ამისა, საქორწილო ლექს-სიმღერების ის მწირი ნაწილი, რაც შემორჩენია ჩვენს ტაოელ თანამემამულეთა ისტორიულ მეხსიერებას, ქართული ფოლკლორისტიკისათვის მაინც ფასდაუდებელია.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ელიასხევში მცხოვრები 37 წლის ენაწყლიანი ყურბანა ჩორაფჩისაგან 2017 წლის 27 ივლისს ჩავინერე რამდენიმე ლექს-სიმღერა, რომლებიც, სამწუხაროდ, მიღევად რეჟიმში მყოფი ქართული მეტყველების ნიმუშებია, თუმცა მშვენივრად განოხატავს საპატარძლოს დაკვლევის, ანუ შერჩევის, ძველქართულ ტრადიციას. ჩორაფჩისეული სტრიქონები შეყვარებული ვაჟის გრძნობების გულალალი გამოხატულებაა; ამ ურითმო, დაუხვენავი (ადრე, ბუნებრივია, დახვეწილი პოეტური ნიმუშის სავალალო ნაშთის) ლექს-სიმღერის ლირიკული გმირი გოგონას („ბგანოს“) ეპატიჟება „ოლაების“ მოსაკრეფად და დაუფარავად უმხელს გულისწადილს, რომ აპირებს მის ოჯახში მისვლას და მამამისისათვის მისი ხელის თხოვნას:

შენ კალათით, მე გოდრით  
დავკრიფოთ ოლაები,  
მე'ნა მოვდე ალათან,  
სახში'ნა შევდე გორსა,

უთხრა'ნა მე შენი ვარ,  
ბგანო მე მამეო!

(შიოშვილი, 2018: 131; შიოშვილი, 2020: 910)

ყურბანა ჩორფჩისეული იმავე თემატიკის მეორე ლექს-სიმღერის თანახმად, სასიძომ სასურველი გოგონას ხელი დედამისსაც უნდა სთხოვოს და, თუ უარს მიიღებს, მაშინ „გაქცევას“ აპირებს:

ახლა'ნა ავდგე, წევდე,  
მე შენ'ნა უთხრა ანასა:  
ბგანო მინდა, მომცემო,  
ალაჰუნ ემრიჩა.  
თუ არ მომცემს ანაჲ,  
ნა გაგაქციო მე შენა!

(შიოშვილი, 2018: 131; შიოშვილი, 2020: 911)

საპატარძლოს გაქცევის („გაქცევის“) ჩვეულება ტაოელ გურჯებში ბოლო დრომდეა შემორჩენილი, თუმცა ამ უკიდურეს ზომას იშვიათად მიმართავენ, რადგან ოჯახები ადვილად აგვარებენ ქალ-ვაჟის საქმეს.

რუსთველისეული სიბრძნე „სიყვარულსა მალვა უნდა“ არც ყურბანა ჩორაფჩისეული ლექს-სიმღერის ლირიკული გამირისთვისაა უცხო; იგი სატრფოს აფრთხილებს, არავის გაენდოს, ჩუმად შეხვდნენ ერთმანეთს და მოილაპარაკონ თავიანთ მომავალზე:

ვისმე არ უთხრაო,  
მოდო, გეცნოთ ევლეგში;

ვინმა არ გინახვოსვო,  
დაფუნეთ, ერთი ვიპარიკოთ!  
(შიოშვილი, 2018: 131; შიოშვილი, 2020: 911)

საცოლის დაკვლევა-შერჩევის თემატიკის მინიატურული ლექსი ჩავინერე ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის ერთ-ერთ უბანში – ნითლეკარში 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოლლი):

ნუმუმყე, გუნო, ნუმუმყე,  
რა მოხდება, ჩემს უკან!  
(შიოშვილი, 2018: 131; შიოშვილი, 2020: 911)

მთქმელის განმარტებით, „კაცი ყურბეთში წასულა და სიმღერა უთქვია, მილიონით მოვდეო“; თუმცა, სამწუხაროდ, მილიონი მონაგებით დაბრუნების სტრიქონების შემცველი ლექს-სიმღერა ველარ გაიხსენა. ამ განმარტებიდან ჩვენთვის საინტერესოა იმ ფაქტის დადასტურებაც, რომ დასაქორწინებული ვაჟები ქორწილის ხარჯის გამოსამუშავებლად ხშირად მიდიოდნენ სხვა (უცხო) მხარეში (არაბ. *gurbet* – უცხოეთი), რაც დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

2018 წლის 1 აგვისტოს ტაოს ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის – ბასლეკარის უბანში – ხევეკში 29 წლის აჰმედ ქეჩჩისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერაც, რომელიც ტრადიციულად პარალელიზმის ხერხზეა აგებული, ასევე საპატარძლოს დაკვლევა-შერჩევის თემატიკისაა; ამ ლექსის ლირიკული გმირიც გულლიად უმხელს გულისსწორს, რომ ძალიან უნდა მასზე დაქორწილება:

გაველი ცივი წყაროზე,  
ვერ გავამსე გუგუმი;

რა ზააბა მევესება  
გო, შენს უკან დუგუნი!

(შიოშვილი, 2018: 131; შიოშვილი, 2020: 911)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტები ბოლო დრომდე გვხვდება შავშურ, კლარჯულ და მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირ-სიტყვიერებაში.

სატრფოს შერჩევა ყოველთვის სასურველად ვერ დასრულდება; რომელიმე მხარის უარი შავშურსა და კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული შაირის – „...თითზე ბეჭედი მაქვა...“ – ტაოურ ვარიანტშიც ფიქსირდება; ამის დასტურია 2017 წლის 30 ივლისს სოფელ ბალხიბარში 44 წლის ყადრიე ფოლათისაგან ჩანერილი ლექს-სიმღერა:

თითზე ბეჭედი მაქვა,  
ბეჭედ თვალი არ აქვა;  
ბოშინა ნუ მიყურავ,  
შენზე თვალი არ მაქვა!

(შიოშვილი, 2018: 131; შიოშვილი, 2020: 911)

სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – ქონობანში 2017 წლის 28 ივლისს 73 წლის ფატყიმე (ფატმა) ყანთაროლლუსაგან ჩანერიე სამხრეთ საქართველოს რეგიონში (შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა) ფართოდ გავრცელებული პატარძლის დასამოძღვრავი ერთ-ერთი ლექს-სიმღერის ვარიანტი:

გელინო, გელინო,  
სახლი დაგვიხან  
თოზა არ ააყენო,



დედამთილის უკან  
ხვარათი არა ქნა!..

(შიოშვილი, 2018: 132; შიოშვილი, 2020: 911)

ამ ლექის შავშური ვარიანტი ამგვარია:

დოდოფალო, მოდი,  
სახლი დაგავე!  
არ აათოზო,  
დედამთილით პასუხი არ ქნა!

(შიოშვილი, 2016: 253)

სამწუხაროდ, ტაოელ ჩვენებურთა ისტორიულმა მეხსიერებამ სრულად ვერ შემოინახა მრავალფეროვანი ტრადიციული ქართული საქორწილო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები, თუმცა ის ნიმუშებიც (ძირითადად სასიძო-საპატარძლოს შერჩევა-დაკვლევისა და პატარძლის დასამოძღვრავი), რომელთა დაფიქსირებაც შევძელით, ქართული ფოლკლორისტიკის ღირებულ შენაძენად უნდა ჩავთვალოთ.

## საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები

ტრადიციული ქართული ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი საინტერესო უბანია საყოფაცხოვრებო პოეზია; მასში წარმოდგენილია ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად ჩვენი წინაპრების მიერ შემუშავებული საყოფაცხოვრებო ტრადიციები, რომლებსაც განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება სოციუმის შესასწავლად. საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერებში ასახულია ადამიანური ურთიერთობანი ოჯახის წევრთა თუ საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენელთა შორის; ვეცნობით თემ-სოფლებსა თუ ცალკეულ უბნებს, მხარეებს, მათ სოციალურ პრობლემებს, ხასიათს, მისწრაფებებს; საყოფაცხოვრებო ლირიკა ხშირად მოიხმობს ხოლმე ჯანსაღ ხალხურ იუმორს, რაც სოციუმის გაკეთილშობილებასა და მასში მხიარული მუხტის შეტანას ემსახურება.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია საყოფაცხოვრებო პოეზიის ნიმუშებით, რომელთაც ხშირად ჩამოყალიბებული ზნეობრივი კოდექსის სახე აქვთ მიღებული და, ამდენად, ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან ერთად, სოციუმის აღმზრდელის ფუნქციას ასრულებს.

საქართველოს ერთ-ერთმა ძირძველმა ისტორიულმა რეგიონმა ტაომ, მიუხედავად ხანგრძლივი თურქული გარემოცვისა, ეროვნული ზეპირსიტყვიერების სხვა არქაულ უბნებ-

თან ერთად, შემოინახა საყოფაცხოვრებო ლირიკის ნიმუშებიც, რომლებიც ტაოელ ჩვენებურთა სოციალური ყოფის ერთგვარი მატიანეა.

ტაოური საყოფაცხოვრებო პოეზია, ზოგადქართულის მსგავსად, ძირითადად ეძღვნება ოჯახურ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობათა ზენიტშია რძალ-დედამთილის თემა, რომლითაც მდიდარია, აგრეთვე, შავშური (შიოშვილი, 2016: 125-126), კლარჯული (შიოშვილი, 2017: 74-108) და მუჰაჯირთა შთამომავლების ისტორიული მეხსიერება. ტაოელი მთქმელებისაგან ჩანერილი რძალ-დედამთილიანა, ზოგადქართულის დარად, რძლის „უპირატესობითა“ აღბეჭდილი. ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ქონობანში 2017 წლის 28 ივლისს 39 წლის აინურ ქანთაროლისაგან ჩანერილი დიალოგური ფორმის შაირი, რომელიც პოეტური სრულყოფით ვერ გამოირჩევა, დედამთილისადმი რძლის უპატივცემულობის ტიპური ნიმუშია:

– მე რა'ნა ქნა დედამთილი?

– კიბედან'ნა დააგორო;

ქი გიდუარდება,

უკნიდან თენექი'ნა უდანგუნო!

(შიოშვილი, 2018: 129; შიოშვილი, 2020: 911)

ლექსის ვარიანტში, რომელიც დაბა სარიგოლში მცხოვრები 56 წლის ელიფა ოზიუთურქისაგან 2018 წლის 29 ივლისს ჩავინერე (ჩანერის დროს ქალბატონი ელიფა სტუმრად იმყოფებოდა გათხოვილ ქალიშვილთან სოფელ ხევას უბანში – იეთში), ქართული სიტყვა „დედამთილი“ თურქული ლექსემით „ყაანანა“ (თურქ. *kaynana* – სიდედრი, დედამთილი) არის

ჩანაცვლებული. აქ დედამთილის „ბედი“ მარტოოდენ უკადრისი სიტყვებით როდი წყდება! რძალს იმთავითვე „გადაწყვეტილი“ აქვს, როგორ მოექცეს მოხუცებულს:

ყაფანა რა ვქნათა,  
კიბედამ შემოვიქნით?  
დანგადუნგით წასლიხან  
უკნიდამ შევხედოთ!

(შიოშვილი, 2018; 145; შიოშვილი, 2020: 940)

სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში 2017 წლის 28 ივლისს 50 წლის ქალბატონის – მენემშა ქეჩეჯისაგან (ზამთრობით ცხოვრობს ქალაქ ბურსაში) ჩაწერილი საყოფაცხოვრებო-იუმორისტული შაირის თანახმად, გადმოცემულია კომიკური სიტუაცია ჩხუბის დროს; ტალახში ჩავარდნილს, მონინააღმდეგე გაჰქცევია:

ჭანჭახ ვჭამე ფილავი,  
გემექცა ხვეელად;  
გევქე, გევქე, გემეკიდა,  
წევქე, წევქე, წემეკიდა.

(შიოშვილი, 2017: 73; შიოშვილი, 2018; 130; შიოშვილი, 2020: 911)

იდენტური ვარიანტი ჩავინერე დოლენჯიანთკარელი (სოფელი ხევას უბანი) მეველუდ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 26 ივლისს (შიოშვილი, 2018: 145). სადგიყანელი 73 წლის ქალბატონის – ფატყიმე (ფატმა) ყანთაროლლუსეული მოკლე ვარიანტით (ჩაწერილია 2017 წლის 28 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ქონობანში) კი ლექს-სიმღერის ლირი-

კული გმირი კიდევ უფრო მეტ კომიკურ სიტუაციაში ჩავარდნილა: გაქცეულს ძალღიჯ გაჰკიდებია:

...წვექე, წვექე, წმეკიდა,  
გვექე, გვექე, გემეკიდა;  
შემევხედე, ძალი გემეკიდა!  
(შიოშვილი, 2020: 940)

მევლუდ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 29 ივლისს სასტუმრო „მასისში“, რომლის დირექტორიც თავად მთქმელია, ჩაწერილ მინიატურულ შაირში ლექსის ლირიკული გმირი იმას ჩივის, რომ ყველა გაექცა:

ანჯახ ვნახე ველაჲ,  
გემექცა ყველაჲ!  
(შიოშვილი, 2020: 941)

2018 წლის 1 აგვისტოს სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეკში 29 წლის აჰმედ ქეჩეჯისაგან ჩაწერილ პარალელიზმის ხერხზე აგებულ საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერაში გადმოცემულია აღფრთოვანება სოფელ ბასლეკარზე ჩამომავალი მდინარის სილამაზით:

გევევარე გაღმა ტყეში,  
დავკრიფოთ'ნა ნაძვი კეჲ;  
ე რა დიღბერა ჩადის  
ბასლეკარ დიდი ხეჲ!  
(შიოშვილი, 2018: 130; შიოშვილი, 2020: 911-912)

ტაოელმა სახალხო მთქმელმა მევლუდ ბათმაზმა (დოლენჯიშვილი) კი, რომელიც ხშირად ჩამოდის საქართველოში და

მის გეოგრაფიასაც კარგად იცნობს, 2017 წლის 26 ივლისს ჩაწერილ ამ ლექს-სიმღერის „უახლესი“ ვარიანტი შემოგვთავაზა, რათა ჩვენთვის ესიამოვნებინა და „ბასლეკარი“ შეცვალა „ხელვაჩაურით“, რითაც მდინარე ჭოროხის სილამაზე გახაზა:

გევიარე გალმი ტყეში,  
დავკრიფე ნაძვი კედ;  
ე რა გემრელა ჩადის  
ხელვაჩავრ დიდი ჴე!

(შიოშვილი, 2018: 146; შიოშვილი, 2020: 941)

ტაოს ულამაზეს სოფელ ელიასხევში 2017 წლის 27 ივლისს პროფესორ მათა ბარამიძის მიერ ჩაწერილ საყოფაცხოვრებო მინიატურაში დახატულია ფულით გაამაყებული ადამიანის კომიკური ვერბალური პორტრეტი:

ჯიფში მაქვა ფარები,  
ჩხაკა-ჩხუკით ვიარები.

(ცინცაძე, 2017: 205; შიოშვილი, 2018:  
130; შიოშვილი, 2020: 912)

სავალდებულო სამხედრო სამსახურში შეყვარებულის ნაწვლა, ტაოური ზეპირსიტყვიერების თანახმად, გამიჯნურებული გოგონებისათვის უსიამოვნო მოვლენაა. 2017 წლის 26 ივლისს სოფელ ქობაკში (ქვაბაი) 63 წლის ქალბატონის – ნაჯიე გიულისაგან ჩაწერილი საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერის ლირიკული გმირი ნუხს, რომ მისი სატრფო „ასკერში“ წავიდა, რის გამოც სასამართლოში აქვს სადავო სქმე; შაირის ფორმის ამ ლექს-სიმღერის პირველ ნაწილში კი სახალხოდ

აცხადებს, რომ „მზითევიც“ აქვს – სამზარეულოში დაკიდებული ოქროს ტაფა:

მუთვალში მიკიდული  
ალთუნის ტაფა მაქვა;  
დარი ასკერში ნევდა,  
შუბეში დავა მაქვა.

(შოშვილი, 2018: 130; შოშვილი, 2020: 912)

ვაჟების სამხედრო სამსახურში წასვლა, ტაოური საყოფაცხოვრებო ლირიკის თანახმად, ქალიშვილთა დასვედიანების მიზეზია. ქართველოლოგ მემედ ალი ქესქინის მიერ სოფელ ხუმხალში ჩანერილი ლექს-სიმღერის თანახმად, „ასკერში“ წასასვლელად გამზადებული ვაჟი ეთხოვება მშობლიურ სანახებს და გოგონებს მოუწოდებს, იტირონ:

ჰეე, დაღლებო, ჰეე, დაღლებო,  
ბალახი ამოსულა,  
ასკერში გამინვიეს,  
გოგონებო, იტირეთ!

(ქესქინი, 2018: 124)

ტაოურ ზეპირსიტყვიერებაშიც ფიქსირდება კლარჯული-სა და მუჰაჯირთა შთამომავლების საყოფაცხოვრებო ლირიკაში გავრცელებული შაირის ფორმის ლექს-სიმღერა, რომლის თანახმადაც, ადამიანი ამაყია იმით, რომ მისი შთამომავლობა, მისი მოდგმა მოდებულია მსოფლიოში; ამის ერთ-ერთი ნიმუშია 2018 წლის 1 აგვისტოს სოფელ ფიშნარხევში 69 წლის ნაჯიე გიულისაგან ჩანერილი პარალელიზმის ხერხზე აგებული შაირი:

წითელი წინდა მაქვა  
კოჭებში ადებული;  
ბევრი სულალე მყავსა  
დუნდაში მოდებული.

(შიოშვილი, 2018: 130; შიოშვილი, 2020: 912)

მორიდებული ტაოელი მოშაირე პოეტური პაექრობის ჟამს, ტრადიციულად, იძულებულია, მეტოქე „მოიგერიოს“, თუნდაც ის ქალი იყოს; ამის დასტურია ობლექარელი მთქმელის – 56 წლის სეიფეთინ ჩაქირისაგან 2018 წლის 28 ივლისს ჩანერილი ლექს-სიმღერა, რომელსაც ქალისადმი პატივისცემის მაგალითად ვერ ჩავთვლით:

თაროზე ყველი მაქვა,  
დამპალია, დამპალი;  
გოგო, შენი ლეჯები  
შემპალია, შემპალი!

(შიოშვილი, 2018: 146)

ვარიანტები დაფიქსირდა სოფელ ხევას უბანში – ბასლექარში (მთქმელი ქარდელენ ქეჩეჯი (კენჭაძე), ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს); სოფელ ხევას უბანში – დოლენჯიანთკარში (მთქმელი მევლუდ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 26 ივლისს); სოფელ ხევას უბანში – ქონობანში (მთქმელი აინურ ქანთაროლღუ, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 28 ივლისს).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა) ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული შაირის ფორმის ლექს-სიმღერა, რომელიც სოციუმის ჩვეუ-



ლი მიეთ-მოეთის ტყუილ-მართლის „დადგენას“ ემსახურება, ტაოს ფოლკლორშიც დასტურდება. 2017 წლის 28 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ბასლექარში 50 წლის ქალბატონის – მენემშა ქეჩეჯისაგან ჩანერილი პარალელიზმის ტრადიციულ ხერხზე აგებული ლექს-სიმღერის ლირიკული გმირის კითხვაც ამგვარი „ტყუილ-მართლის“ დადგენის მცდელობაა:

ჰავაში რომ ფრინავდა,  
ყვავია თუ ყართალიო?  
შენ ბაარზე რამ გეგვონე,  
ტყულია თუ მართალიო?

(შიოშვილი, 2018: 130; შიოშვილი, 2020: 912)

მართალია, ტაოელ ჩვენებურთა საყოფაცხოვრებო პოეზიამ ველარ შემოინახა ტრადიციული თემატიკის ყველა ლექს-სიმღერა, მაგრამ გვხვდება ადგილობრივი, კონკრეტულ სოფელში თუ უბანში მომხდარი საყოფიერო ამბების ამსახველი შაირის ფორმის ლექს-სიმღერები. ერთ-ერთი მათგანია 2017 წლის 27 ივლისს სოფელ ელიასხევში 65 წლის დაწყებითი განათლების პედაგოგის (იმჟამად პენსიონერის) – შევქი თოფჩუსაგან ჩანერილი პარალელიზმის ხერხზე აგებული შაირი, რომლის თანახმადაც ჭუკალიოს ბაღჩა ღვარს ნაულია:

გათავდა, აღარ არი  
ჩემ დედესი ყაურმა;  
ლორიფილ ღვარმა წეფლო  
ჭუკალიოსი ჩეურმა.

(შიოშვილი, 2018: 130; შიოშვილი, 2020: 912)

როგორც ყველგან საქართველოში, ტაოშიც სჩვევიათ მეზობელი სოფლების გაბიაბურება, რაც, ბუნებრივია, იუმო-

რის დონეს არ უნდა გასცილდეს. სოფელ ქობას მცხოვრებლებს ურუმებს (ბერძნებს) უწოდებენ; ამ სიტყვაში ჩადებული აქვთ აქაურთა სიძუნწე და გაუტანლობა-ხელმრუდობა: „– ქობაური ურუმია, ხისიმ არ იცნობს, ერთ ღამე დაგაყენებს, ნიჩბი ტარ მეიპრის“ (მთქმელი მევლედ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 1 აგვისტოს სოფელ ბასლეკარის უბანში – ნითლევეში, სასტუმრო „მასის-ში“). სოფელ ქობას მცხოვრებთა ამგვარ „შემკობას“ ხშირად გაიგონებთ ტაოელთა მეტყველებაში; ამ ფაქტს თავად ქობაელებიც არ მალავენ; – 67 წლის ქობაელმა ჰუსეინ დალჩინმა გაგვიმხილა: „– ჩუენ მეტყვიან:

ქუაბავრი ურუმები,  
შავ-შავი ყურუმებო“.

ტაოს სოფელთა მცხოვრებლების დასახასიათებლად კარგ მასალას იძლევა მათი მეტსახელები („სახელმეტაა“), რომელიც 2018 წლის 2 აგვისტოს ჩაგვანერინა სოფელ ნითლეკარში მცხოვრებმა 60 წლის ქალბატონმა – მერიემ თურგუთმა (ზამთრობით ცხოვრობს ქ. ბურსაში): „ქობა – ურუმი, იეთი – ყვად, პარხალი – ცხვარი, გუდასხვეი//ელიასხვეი – დათვი, ბალხი – ვირი“.

ამრიგად, ტაოს ზეპირსიტყვიერებამ, სამწუხაროდ, ბოლო დრომდე სრულად ვეღარ შემოინახა გრადიციული თემატიკის ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები, თუმცა ტაოელთა ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა ზოგიერთი არქაული წეს-ჩვეულების ამსახველი ნიმუშები, რომლებსაც დღევანდელ ფოლკლორულ ბრუნვაში ემატება ადგილობრივი საყოფაცხოვრებო ამბების ამსახველი, ხშირ შემთხვევაში იუმორისტული ელფერის შემცველი, ლექს-სიმღერები.

## სანუსჯვეულებო ფოლკლორო

### 1. საახალწლო პოეზია

ახალი წელი ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საოჯახო-საწესჩვეულებო დღესასწაულია. ტაოელი ჩვენებურების ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა ახალი წლის რიტუალთან დაკავშირებული ლექს-სიმღერა; სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – იეთში გათხრილ ქალიშვილთან სტუმრად მყოფი 56 წლის ქალბატონის – ელიფა ოზიურთისაგან (ცხოვრობს დაბა სარიგოლში) 2018 წლის 29 ივლისს ჩანერილი საახალწლო ლექსი ამგვარია:

ილბაშია, ილბაში,  
რამ ჩიმიდე გუდაში!  
ფენგა, კარზე გომოდი,  
რამ ჩიმიდე გუდაში!

მთქმელის განმარტებით, ახალ წელს სიხარულით ეგებებოდნენ, გოგრასა და სიმინდს ხარშავდნენ („– ილბაში იქნებოდა, აყირო მოხარშვიდეს, მისირი მოხარშვიდეს“). ეს საახალწლო ლექს-სიმღერა იმითაც არის საინტერესო, რომ ინახავს ისტორიულ მახსოვრობას ახალი წლის წინ, ქრისტე-

შობის დღესასწაულზე, კარიკარ ჩამოვლითი რიტუალისას; მართალია, ტაოელი ჩვენებურები მუსლიმური აღმსარებლობისანი არიან და, ბუნებრივია, თავად არც იციან, რომ ძმის ცოლისა თუ ბიძის ცოლისადმი (თურქ. *yenge*), ზოგადად რძლისადმი, მიმართული თხოვნა, გუდაში რაიმე ჩაუდოს, სწორედ საშობაო რიტუალიდან (რომელიც წინ უსწრებდა ახალ წელს), უნდა იყოს შემორჩენილი.

ჩვენს ვარაუდს ამყარებს დოლენჯიანთკარელი სახალხო მთქმელის – სასტუმრო „მასისის“ მფლობელის – მევლუდ ბათმაზისეული (დოლენჯიშვილი) ახალი წლის („ილბაშის“) აღწერა:

„– სახლიდან ერბო, ყველი, ხილი... საჭამეთლებ მოკრეფედეს... გამაცხობდეს, იფერხულეზდეს, იმღერებდეს“ (ჩაინწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 26 ივლისს სოფელ ხევას უბანში – იეთში).

თურქული ტერმინის („ილბაში“) გარდა, ტაოელ გურჯებს შემორჩათ ქართული სახელწოდებაც – „ახალწელიწადობა“. სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – ბასლევარში 50 წლის ქალბატონის – მენემშა ქეჩეჯის (ზამთრობით ცხოვრობს ქალაქ ბურსაში) მონათხრობის თანახმად, ამჟამად ახალი წელი განსაკუთრებულად არ აღინიშნება. იგი გვარწმუნებდა, რომ მამაკაცები და ბავშვები წინააღმდეგნი არიან საახალწლო სამაზადისისა, რადგანაც არ სწამთო:

„– ახალწელიწადობას არა ვიჯებით; რო არა ვიჯებით, კაცები, ღენჭები ებნებიან, არ გვიჯერავანო, იმითვინ“.

ქალბატონი მენემშა ჩვენს დაჟინებულ თხოვნაზე მაინც დაგვთანხმდა და აღწერა მათეზური მწირი საახალწლო სამაზადისი:

„– შექერ დადებ, ლუხუმი დავდებთ; დილაა წყალ მევტანდით, კაა წელიწადი მოვდეს, ბოლი წელიწადი მოვდესო“.

ტრადიციულ კულტურებში წყლის სიმბოლიკა ძალზე მრავალფეროვანია. ვფიქრობთ, ტაოელ გურჯებში ახალ წელს წყლის მოტანის ჩვეულება და მასთან დაკავშირებული რწმენა, რომ ოჯახში ახალი წყლის მიტანით კარგი, უხვი წელიწადი დადგებოდა, უკავშირდება არქაულ რწმენას, რომ „წყალი განასახიერებდა ქალურ სანყისს, სინმინდეს, სისპეტაკეს, სისუფთავეს, ჯანმრთელობას, სიუხვესა და სიმრავლეს, თვით სიცოცხლესა და ღვთიურ მადლს“ (სიმბ. ილ. ენც., 2007: 147), რაც ძველ საქართველოში ყველგან სწამდათ.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში წყალი განწმენდის საშუალებაა, ღვთიური მადლის გადმოსვლაა; ნათლისღებისა და სხვა რიტუალების უმთავრესი ელემენტია წმინდა წყალი, ანუ აიაზმა; მუსლიმური ინტერპრეტაციით წყალი ლმობიერების, სიბრძნისა და სიცოცხლის სიმბოლოა. ამდენად, რა გასაკვირია, რომ უძველესი ქრისტიანების – ტაოელების ისტორიულ მახსოვრობას შემორჩენოდა წმინდა წყლის არქაული ატრიბუტიკის (განწმენდა, კათარზისი) რწმენა და, ამავე დროს, მუსლიმური სამყაროდანაც მიეღო სათანადო ჩვევები, რის შედეგადაც გაჩნდა სურვილი, რომ ახალ წელს ახალი, სუფთა წყლის ოჯახში მიტანით სასურველი წლის დაკვებებისათვის მიეღწიათ.

სოფელ სადგიყანაში ომერ ყურთმა პროფესორ მამია ფალავას ახალი წლის შესახებ წინასაახალწლო კარნავალზე უამბო: „იყო თამაშობა. ახალი წლის წინ ასე ვითამაშებდით: სამი ბიჭი ყადათ შეიქნებოდეს, ერთი ბიჭი გოგოთ შეიქნებოდა. ეს გოგო ერთის საცვავე იქნებოდა, ვინმემ არ მეძაპროსო. თუ მეძპრიდა, შეჭამდა ზოფას“ (ფალავა, 2021: 210).

სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაოელ ჩვენებურებში ტრადიციული მრავალმხრივი საახალწლო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება მივიწყებულია.

## 2. შელოცვა

სიტყვისა და მოქმედების მაგიაზე დაფუძნებული ქართული ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ფანრი – შელოცვა ბოლო დრომდე შემონახა ტაოელ ქართველთა ისტორიულმა მესხიერებამ. მიუხედავად იმისა, რომ ვრცელი ისტორიული ქართული პროვინცია ტაო საუკუნეთა მანძილზე თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს უაღრესად ქმედითი უბანი ტაოს ქართულენოვან სოფლებში თითქმის ფერუცვლელად გვხვდება; ტაოური შელოცვები ზოგადქართული ხალხური შელოცვების საინტერესო ვარიანტებია, რაც ზეპირსიტყვიერების ამ ფანრის მყარი ტექსტობრივი არქიტექტონიკით არის განპირობებული.

მართალია, ტაოელთა ფოლკლორში ტრადიციული ქართული ხალხური შელოცვების ყველა სახეობა ვერ შემორჩა, მაგრამ შელოცვათა ის ნაწილი, რაც ტაოელმა ჩვენებურებმა შემონახეს, ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ხალხური სიტყვიერების ამ არქაული ფანრითაც ტაოს ფოლკლორული სამყარო ერთიანი ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

### 2.1. სამკურნალო შელოცვები

ტაოს ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად შემონახულია სამკურნალო შელოცვები, რომლებიც ზოგადქართულის, განსაკუთრებით კი აჭარულ, შავშურ და კლარჯულ ნიმუშთა, ვარიანტებია.

ტაოელ ქართველთა ისტორიულმა მესხიერებამ ჩვენს დრომდე მოიტანა ტრადიციული ხალხური მუცლის ტკივილის (თიის) შელოცვა.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიმ-ნარხევში 63 წლის ქალბატონის – ნაჯიე გიულისაგან 2018 წლის 1 აგვისტოს ჩანერილი თიის, ანუ თიაქრის, შელოცვა არსებითად ისეთივე, როგორიც – საქრთველოს ყველა რეგიონში:

იაო, თიაო,  
ეარე, ჩეარე!  
რა ბლუიხარ ხარსავთენ,  
რა ეძგერები ვერძსავთენ!  
შენი საძგერებელი ზურგი  
მე აა მაქვა,  
მე ნუ მეძგერები!  
დე კლდეს ეძგერე,  
დე – ტყევენარს!

(შიოშვილი, 2018: 132; შიოშვილი, 2020: 912)

ამ შელოცვის ვარიანტი სოფელ ხევას უბანში – ქონობან-ში ჩავინერე 73 წლის ფატყიმე (ფატმა) ყანთაროლლუსაგან 2017 წლის 28 ივლისს:

იაო, თიაო,  
რა ეძგერები ვერძსავით?  
რა ბლუიხარ ჯარსავით?  
შენი საძგერებელი  
წელი-ზურგი აა მაქვა!  
ნადი, ტყევენარებში ეძგერე!

(შიოშვილი, 2017: 74; შიოშვილი, 2018:  
149; შიოშვილი, 2020: 943)

თიაქრის შელოცვის ორივე ვარიანტი ყველაზე ახლოს დგას აჭარულ და შავშურ ნიმუშებთან.

შავშური თიის (იელის) შელოცვის ვრცელი ვარიანტი, რომელიც 2005 წლის 29 ივლისს ჩავინერე ისტორიულ კლარჯეთში, ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ართვინის პროვინციის შავშეთის რაიონის სოფელ სვირევანში მცხოვრები 75 წლის ნებიე იშელისაგან (პეტროლი), ამგვარია:

იავ, თიავ, წარევ, კუხევ,  
დელი ელინდა,  
მელი მელინდა.  
თიის ქარი რას მელინდა?  
ქეთ-ქეთ ზალლი ჩამორბოდა  
ფეწნითელი ბაუფი,  
შე ურჯულო დელის ქარო,  
უკბინე და გოუშვი,  
უკბინე და გოუშვი!  
რას დელევდი ცასავებ!  
რას ბრუნევდი წარსავებ!  
ეფარე, დეფარე,  
დაალაგდი ქვასავეფ!  
(შოშვილი, 2016: 273)

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში არსებული თიის შელოცვის მრავალრიცხოვანი ვარიანტები ძალზე ახლოსაა ტაოურ თიის შელოცვასთან; თიაქრის (თიის) შელოცვის ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

იავო, თიავო,  
რას იელავ სასავებ,  
რასა ბდღვინავ ზღვასავებ!  
მიიარე, მოიარე,



დეიდავი ქვასავებ!  
ქეთ-ქეთ ძალლი ჩამორბოდა  
ფეხნითელა, ბაუჟიო,  
ამ ადამიანს მუცელი სტკივა,  
უშველე და გაუშვიო!  
(ქ. ხ. შელოცვები, 1994: 154)

ტაოში შემორჩენილ სამკურნალო შელოცვათაგან ბოლო დრომდე ძალზე პოპულარულია ჭიის შელოცვა, რომლის ოთხი ნიმუშის დაფიქსირება შევძელით. პროფესორმა მამია ფალავამ 2005 წელს ართვინის პროვინციის სოფელ ქუაბაგში ჩაინერა ჭიის შელოცვა, რომელიც, აგრეთვე, ზოგადქართულის ვარიანტია:

ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო,  
რა ეძგერები ვერძსათვენ?  
რა ბლუიხარ ხარსათვენ?  
რა ბრუნავხარ ნარსათვენ?  
ამოსავლელი ხარ, ამეარე!  
(ფალავა, 2005: 156; შიოშვილი, 2018: 132)

ვარიანტები დაფიქსირდა: სოფელ ბალხში (მთქმელი ჰევა ქორუქი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს. მთქმელის განმარტება ამგვარია: „– მუცელში ჭიები იქნებიან, იმათი დუაა“); სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში დაფიქსირდა ორი ვარიანტი: (მთქმელები ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოლლი) და მერიემ თურგუთი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს). მერიემ თურგუთისეული (60 წლის, ცხოვრობს ქალაქ ბურსაში, ზაფხულობით ჩამოდის მშობლიურ სოფელ წითლეკარში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2008 წლის 2 აგვისტოს) ვარიანტი ამგვარია:

ჭია, ჭია, მამესე,  
რა ბლუხხარ ჯარსავეთ,  
რა ესობი ნემსსავეთ,  
ეღარე, ჩეღარე,  
დაალაგდი ვერძსავეთ!

(შიოშვილი, 2018: 150; შიოშვილი, 2020: 945)

მერიემ თურგუთისეული ჭიის შელოცვა ძალზე ახლოა კლარჯულ ვარიანტთან, რომელიც 2009 წელს სოფელ ადაგულში 67 წლის ქაზიმ ხალოღლისაგან ჩაინერა პროფესორმა მერი ცინცაძემ:

ჭიაო, ჭიაო,  
ჭახევ, მახევ,  
რას ჭუჭყუნობ ღორსავენ?  
დანყნარდი და დაალაგდი!

(ფალავა, 2009: 260)

როგორც ცნობილია, ტრადიციულად ყველა შელოცვას გააჩნდა ვრცელი და მოკლე ვარიანტები, რადგანაც, ხალხის რწმენით, ერთსა და იმავე დღეს ერთი და იგივე ტექსტით შელოცვაც არ შეიძლებოდა – არ „გასჭრიდა“. ტაოური ჭიის შელოცვაც მრავალ ვარიანტად შემორჩა. მოკლეა 2017 წლის 29 ივლისს სოფელ ბალხში მცხოვრები 60 წლის ქალბატონის – ჰევა ქორუქისაგან ჩაწერილი ჭიის შელოცვა:

ჭიავო, ეღარე, ჩეღარე,  
შენი კარი კარზერი.  
ადე, კარზე გეღარე!

(შიოშვილი, 2016: 149; შიოშვილი, 2020: 944)

მთქმელის განმარტებით, „მუცელში ჭიები იქნებიან, იმა-  
თი დუაა“. ასევე, მოკლე ვარიანტია ბალხელი მთქმელის – 47  
წლის ფეჰმე სულეჩაისაგან 2017 წლის 29 ივლისს ჩანერილი  
ჭიის შელოცვა:

იაო, ჭიაო,  
ეღარე, ჩეღარე!  
ჩემ მუცელში ტკივილი არი,  
გიდიარე, ნადი!

(შიოშვილი, 2018: 150; შიოშვილი, 2020: 944)

მუცლის ტკივილის შელოცვათაგან ტაოელმა ჩვენებურე-  
ბმა შემოინახეს, აგრეთვე, ჩხვერის (ჩხროს), ანუ, როგორც  
ნიკო ჩუბინაშვილი განმარტავს, მუცლის გვრემის, იგივე  
ჭვალის (ჩუბინაშვილი, 1961: 432) შელოცვა:

ჩხროვო, ჩხროვო,  
გუუშვი, გუუშვი!  
ჩემი ანასი დიდი წინილი მე ვარა,  
მე მჭირსა, შენ არ გჭირსა!

(შიოშვილი, 2018: 132; შიოშვილი, 2020: 913)

ჩხვერის, ანუ მუცლის გვრემის, შელოცვაში, რომელიც  
ადამიანსაც ემართებოდა და ცხოველსაც, ხაზგასმულია,  
რომ შემლოცველი აუცილებლად მშობლების პირველი შვი-  
ლი უნდა იყოს; პირმშოს, ჩვენი წინაპრების რწმენით, განსა-  
კუთრებული ფუნქცია ენიჭებოდა დაავადებათა დაძლევაში.  
ეს მნიშვნელოვანი დეტალი მუცლის ტკივილის შელოცვისა,  
ტაოს გარდა, შემონახულია აჭარულ შელოცვებშიც; აჭა-

რაში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში, 1983 წელს მკვლევარ ზურაბ თანდილავას მიერ ანიკო ბერიძისაგან ჩანერილი შელოცვის უმთავრესი სიტყვები სწორედ დედის პირველი შვილობის მტკიცებაა, რაც, ხალხის რწმენით, წამალივით ჭრის დაავადების წინააღმდეგ:

პირველი ვარ დედისა,  
წამალი ვარ ჩხვერისა!  
პირველი ვარ დედისა,  
წამალი ვარ ჩხვერისა!

(ქ. ბ. შელოცვები, 1994: 157)

შელოცვას ახლავს მთქმელის განმარტება: „– თუ საქონელს მუცელი ტკივა, ნევს და ვერ დგება, ამას დაჩხვერვას ეძახიან. ამას შუულოცავენ. შელოცვამდე უზნის (ხეა ერთი) ჯობს დეიკავენ და ულოცავენ. ულოცავს დედის პირველი შვილი. თუ უზნის ჯობი ვერ ნახე, ნიფხავი'ნა გეიძრო და ის ურტყა ძროხის მუცელზე და შუულოცო, ძროხას გუუშვებს ავანტყოფობა“ (ქ. ბ. შელოცვები, 1994: 157).

ჩხვერის შელოცვა და ამ დაავადების მკურნალობის არქაული წესი შემოინახეს აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებმაც: „ჩხუერის წამალი ვიცოდით ამფრა: ზროხას რომე დაჩხუერედა, ნენეა უზნი ჯობ მომცემდა (დედის პირველი შვილი ვიყავ და იმითვინ. დედის პირველ შვილს'ნა შეელოცა ილლა), ზროხას შამუარდი დორდიანი და ვამობდი: „– პირველი ვარ დედისა, წამალი ვარ ჩხუერისა“, ჰემაც უზნი ჯობ მივარტყამდი მუცელზე ზროხასა. ასე ვიქმოდი შუიდჯელ და პანა ხანში ზროხა მორჩებოდა“ (ფუტკარაძე, 1993: 646).

ჩხვერის შელოცვის იდენტური ტაოური ვარიანტის მთქმელმა – 56 წლის ელიფა ოზიურთმა (მცხოვრები დაბა სარიგო-

ლში) გვითხრა, რომ ჩხვერის შელოცვას ყვირილით იტყოდნენ, რაც დაავადების შეშინებას გულისხმობდა: „– ფურ ჩხრო დემართებოდა, სანჩი დემართებოდა, მუცელი ატკივდებოდა, ანაჲ ჩამაყვირინებდა“ (შიოშვილი, 2018: 133; შიოშვილი, 2020: 944).

ტაოს ქართულენოვანი სოფლების მცხოვრებთა ისტორიულ მეხსიერებას შემორჩენია თავის ტკივილის შელოცვაც, რომელიც 2017 წლის 26 ივლისს ჩავინერე სოფელ ხევას უბანში – გოდლეკარში 47 წლის მთქმელის – მევლუდ ბათმაზისაგან (ცხოვრობს სოფელ ხევას უბანში – დოლენჯიანთკარში, არის სასტუმრო „მასისის“ მეპატრონე):

შაჲ ტყე გაპნდა,  
შაჲ კაცი გუმუარდა,  
შავ ქვაზე შახტა,  
შავ ქვადან ჩამაახტა.  
შენი ავადნობა  
გაცვდა, გაქარდა!  
ნითელი ტყე გაპნდა,  
ნითელი კაცი გუმუარდა,  
ნითელ ქვაზე შახტა,  
ნითელ ქვადან ჩამაახტა.  
შენი ავადნობა  
გაცვდა, გაქარდა!  
მრეხი ტყე გაპნდა,  
მრეხი კაცი გუმუარდა,  
მრეხ ქვაზე შახტა,  
მრეხ ქვადან ჩამაახტა.  
შენი ავადნობა

გაცვდა, გაქარდა!  
კითხვა ჩემიდან,  
მოშორება ღმერთიდან!

(შიოშვილი, 2017: 73-74; შიოშვილი,  
2018: 132-133; შიოშვილი, 2020: 913)

მთქმელს შელოცვა დაუსწავლია დედისაგან. მისი განმარტებით, შელოცვა სრულდება სამჯერ, ვიდრე ტკივილი გაივლის: „– თაჲ ტკივილის დუაჲ. სამჯერ შუულოცავ, მოშორებამდე. ბოლოს უბერავ. ჩემ დედიკოდან დავწავლე. მე ვეძებ ბერებ და იმიდან ვეჩვევი“ (შიოშვილი, 2020: 945).

მევლუდ დოლენჯისეული თავის ტკივილის შელოცვის ეპიური ნაწილი ზოგადქართულ შეშინებულისა და უჟმურის შელოცვების ზოგიერთ ვარიანტთა მსგავსია: ამ ტიპის შელოცვებში შავი კლდე (დაავადების გამომწვევ ავსულთა სიმბოლური სამყოფელი) სკდება, გამოდის შავი კაცი, რომელიც ავადმყოფობის პერსონიფიცირებული სახეა და სწორედ მასთან იმართება მუქარის შემცველი დიალოგი, რომლითაც დაავადებას აიძულებენ, დატოვოს ადამიანის სხეული.

შეშინებულის შელოცვის ტრადიციული, სრულყოფილი, დიალოგური ფორმის კახური ვარიანტის ნიმუში 1966 წელს ჩავინერე კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მახარაძეში, პროფესიონალი შემლოცველის – ნანა ჯაფოშვილი-შიოშვილისაგან:

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
შეულოცამ შეშინებულისას, გალახულისას,  
ავი ქარისას, ავი ანგელოზისას, უჟმურისას.  
გასკდა შავი კლდე, თან გამოფყვა შავი ცხენი.

შავ ცხენზე იჯდა შავი კაცი.  
ედგა უნაგირი შავი, ჰქონდა ლაგამი შავი,  
ხელთ ეჭირა შავი მათრახი.  
მოდის, მოყოყოჩაობს, მოტოტოჩაობს,  
თვალსა მაანათებს შავსა,  
კბილსა მაალრეჩამს შავსა.  
წინ შეახვდა მიქელ-გაბრიელი, წმინდა გიორგი:  
– სად მიხვალ, შაო კაცო,  
სად მიყოყოჩაობ, სად მიტოტოჩაობ?  
სად მიანათებ თვალსა შავსა,  
სად მაალრეჩამ კბილსა შავსა?  
– უფალო, უფალო მიქელ-თავარგაბრიელო,  
მივდივარ ადამ ძესა გულის ასაფრიალებლად,  
ხორცის ასათქვრიალებლად, სისხლის სასმელად,  
ძვალის სახვრელად, ტვინის საწოვრად.  
– გამობრუნდი, გამოფეე ჩემსა ლოცვასა,  
თორე აგიტეს სნებასა!  
გიგდებ ბადეს შავი აბრეშუმისას,  
დაგცემ შავტარა დანასა,  
გაგიხევ მუცელ ბელლისასა,  
მოგთხრი თვალსა ჭიქისასა,  
მოგჭრი ფრჩხილსა გაზმისასა!  
დავანთებ ცეცხლსა, დავაყრი რვილი შეშასა,  
გოგირდსა და ქალმნი ჯღანსა.  
დაგწვამ, დაგხრუკამ, შენაო და უკეთურო,  
ადამიანი შამშინებულო!  
ისეთ ალაგ გადაგადგებ,  
შენაო და უკეთურო,  
უდაბურ მთასა, კლდესა,  
არც გესმოდეე ძალი ყეფა,

არცა – მამლისა ყივილი,  
არცა ადამიანის ხმაური!  
– მაცალე, მაცალე, გამოვბრუნდები,  
გამოვყვები შენსა ლოცვასა!  
ნუ ამიტეხ სნებასა,  
ნუ მიგდებ ბადეს შავი აბრეშუმისას,  
ნუ დამცემ შავტარა დანასა,  
ნუ გამიხევ მუცელ ბელლისასა,  
ნუ მამთხრი თვალსა ჭიქისასა,  
ნუ დაანთებ ცეცხლსა, ნუ დააყრი რვილი შეშასა,  
გოგირდსა და ქალმნი ჯღანსა!  
ნუ დამწვამ, ნუ დამხრუკამ,  
ნუ გადამაგდებ მთასა, კლდესა!  
გამოვბრუნდები, გამოვყვები შენსა ლოცვასა!  
– წმინდა გიორგი კერასა ამობდა აღსარებასა,  
თფუ, ეშმაკო, დეესენი,  
არ არი შენსა ნებასა!  
იორდანე ნათლულია,  
ნათლილებად დაწრებია,  
მამა ძხურამ, ძე აცვია,  
ხალათ სარტყელი არტყია.  
ღმერთო, დაწერე პირჯვარი!  
. . . . .<sup>1</sup> ქრისტინია, ქრისტესია,  
ქრისტე ამისია!  
დანვება, დეეძინება,  
პირ ვარდი დეესვენება,  
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი  
სულ თავით დეესვენება.

---

<sup>1</sup> იტყვიან ავადმყოფის სახელს.



სამას სამოცდასამო წმინდა გიორგო,  
შენ შაკარ და შაბეჭდე ადამ ძის შამშინებელი!  
გადააგდე დაბურულ მთასა, კლდესა, ღრესა!  
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!

(ქ. ხ. შელოცვები, 1994: 7-10)

შელოცვა სრულდება შავტარა დანითა და ნახშირით ახალ მთვარეზე. შელოცვის დამთავრების შემდეგ ავადმყოფს შუბლზე ჯვარს გამოუსახავენ ნახშირით, დანას კი ღამით თავქვეშ ამოუდებენ.

ასევე, კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მახარაძეში, სოფიო მაზანაშვილისაგან 1967 წელს ჩანერილი ვრცელი უჟმურის შელოცვის ეპიური ნაწილიც ასეთივე არქაულია:

სახელო სახელითა მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.  
გასკდა შავი კლდე, გამოიდა შავი ცხენი.  
ცხენსა ძქონდა უნაგირი შავი, ლაგამი შავი, უზანგი შავი.  
იჯდა ზედ კაცი შავი, წელს ესხა ნაბადი შავი,  
ეჭირა მათრახი შავი, მიდიოდა გზასა შავსა,  
მანათებდა თვალსა შავსა, მაალრეჩამდა კბილსა შავსა,  
მოდოდა, მოყოყოჩაობდა, მოტოტოჩაობდა.  
შემეყარა მიქელ-გაბრიელი თავარანგელოზი, კითხა:  
– სად მიხვალ, შავო კაცო, სად მიანათებ თვალსა შავსა,  
სად მიალრეჩამ კბილსა შავსა და საით მიყოყოჩაობ?  
– მივდივარ ადამის ძის ტანში შასასვლელადა,  
გულის ასაფრიალებლად, გასაციებლად, გასაცხელებლად,  
სისხლის სასმელადა, ხორცის საჭმელადა,  
ტყავის საცვეთლადა,

ძარღვის სანყვეტლადა, ძვალის სახვრელადა,  
ტვინის სათქვეფადა.

– ღმერთსა ვფიცავ, არ გაგიშვებ ადამის  
ტანში შესასვლელადა!  
გამობრუნდი, გამოფყე ჩემსა ლოცვასა,  
თორე აგიტეხ სნებასა!

გიგდებ ზადეს შავი აბრეშუმისას,  
დაგიჭერ, დაგცემ შავტარა დანასა,  
გაგიხვე მუცელ ბელლისასა,  
მოგჭრი თმასა გიშრისასა,  
მოგთხრი თვალსა ჭიქისასა,  
მოგჭრი ფრჩხილსა გაზნისასა!  
დავანთებ ცეცხლსა, დავაყრი რვილისა შეშასა,  
მუხის მუგზულსა, ასკილის გონჯასა,  
მინის ფათალოსა, ჯორის ძუასა, ღორის ჯაგარსა,  
გოგირდსა და გველის ქერქსა!  
ჩაგაგდებ შიგა, დაგწვამ, დაგხრუკამ!  
– ნურც დამწვამ და ნურც დამხრუკამ, მაცალე, მაცალე!  
ნურც მამთხრი თვალსა ჭიქისასა,  
ნურც გამიხვე მუცელ ბელლისასა,  
ნურც მამჭრი ფრჩხილსა გაზნისასა,  
ნურც დამწვავ, ნუ დამხრუკამ!  
გამოვალ და გამოვყვები შენსა ლოცვასა!  
– იგეთ ალაგ გადავარდი –  
უდაბურსა მთასა, ზღვასა, წყალსა, კლდესა,  
არც გესმოდეს ძაღლის ყეფა, არცა მამლისა ყივილი.  
წმინდა გიორგის კარებსა . . . . .<sup>1</sup>  
ამბობდა სახარებასა,

---

<sup>1</sup> იტყვიან ავადმყოფის სახელს.

შენ, ეშმაკო, დეესხენი, არ არი შენსა ნებასა!  
იორდანეს ნათლულია, ნათლილებას დასწრებია.  
მამა ძხურამ, ძე აცვია, ხალათ სარტყელი არტყია.  
საცა ივანე ხუოდა, დევი და ქაჯი ქრებოდა.  
ღმერთო, შენ დასწერე პირჯვარი!  
სამას სამოცდასამო წმინდა გიორგო,  
ოთხო თავო სახარებაჲ,  
შენ შაკარ და შაბეჭდე ავი და უკეთური!  
(ქ. ხ. შელოცვები, 1994: 25-26)

ტაოურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი თავის ტკივილის შელოცვაში შემონახული ეს არქაული ტრადიცია, რომლის თანახმადაც ჩვენს წინაპრებს დაავადებანი პერსონიფიცირებულად ჰყავდათ წარმოდგენილი, ქართული ფოლკლორისტიკისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია. აღსანიშნავია ისიც, რომ ტაოში დაფიქსირებულ შელოცვათაგან მხოლოდ მეველედ ბათმაზისაგან ჩანერილ თავის ტკივილის შელოცვაში გვხვდება ტრადიციული ქართული ხალხური შელოცვების ბოლოში გამოთქმული რწმენა დაავადების უცილობელი დაძლევისა, ანუ ეგრეთწოდებული „შელოცვის დასასრულის ფორმულა“ („კითხვა ჩემიდან, მოშორება ღმერთიდან!“).

სირსვილის შელოცვის ტაოური ვარიანტები, რომლებიც ჩავინერე სოფელ ხევას უბანში – ბასლევარში (მთქმელი 80 წლის ემინე ქეჩეჯი) და მოკლე ვარიანტი, რომელიც ჩავინერე სოფელ ხევას უბანში – ქონობანში (მთქმელი 73 წლის ფატყიმე (ფატმა) ყანთაროღლუ), სამწუხაროდ, თურქულენოვანია.

ტაოს ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია „ყელში გაჩხერილის“ შელოცვა, რომელიც ზოგადქართულში ცნობილია „ყელზე (კისერზე) დადგომილის“, „ლუკმის დადგომის“, „ყელმოსტრობილის“ სახელით და მრავალ ვარიანტად არის გა-

ვრცელებული. ტაოური „ყელში გაჩხერილის“ შელოცვა, რომელიც სოფელ დუგურის იალალზე ჩავინერე 2017 წლის 30 ივლისს 40 წლის შენგულ სონმესისაგან (მცხოვრები სოფელ ხევას უბანში – დევთისაში), მთქმელს ბებიასაგან დაუსწავლია; ეს შელოცვა საქართველოს არცერთი კუთხის ვარიანტებს არ გავს; მისი ძირითადი ეპიური ნაწილი გადმოსცემს არასასიამოვნო „სტუმრის“ მოსვლას, რომლის „დაყენება“-„არდაყენებაზე“ საუბარი ყელში, ანუ „შავ ბოსელში“; საბოლოოდ კი ყელში გაჩხერილ თევზის ფხადა (თუ სხვა რაიმეს) „უბრძანებენ“, რომ ან აიაროს, ან ჩაიაროს:

მოვა, მოვა ურვანაჲ,  
დუაყენო, არ დუაყენო?  
დუაყენო შავ ბოსელში,  
კოვზი – კურჩატი,  
ჯამი – ხანანი.  
დადგომილი თევზი ფხადა,  
ან ედარე, ან ჩედარე!

(შიოშვილი, 2019: 151; შიოშვილი, 2020: 414)

ვარიანტები დაფიქსირდა სოფელ წითლეკარში (მთქმელი 60 წლის მერიემ თურგუთი), სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეგში (მთქმელი 43 წლის შაჰინ ქეჩეჯი), სოფელ ფიშნარხევში (მთქმელი 63 წლის ნაჯიე გიული).

შაჰინ ქეჩეჯისაგან ჩანერილი მოკლე ვარიანტი ამგვარია:

მოვა, მოვა მორვალაჲ,  
დუაყენოთ თუ არ დუაყენოთ?  
შეჭმული თევზი ფხადა,  
და ამეყაროს, და ჩეყაროს!

(შიოშვილი, 2020: 946)

შაჰინ ქერქჯისეული რეცეპტი, გარდა შელოცვის ვერბალური ნაწილისა, შეიცავს პრაქტიკულ რჩევასაც:

„— ასე ყაზე მუუსვა, ხელი ამოუსვი ქვევიდან ზეით. ღენჭ ნადებია ფხაჲ, არ გუუმჟღავნებია, მის ბარზე უთქმიან“ (შოშვილი, 2018: 152; შოშვილი, 2020: 946).

საყურადღებოა, რომ „ყელმოსტრებულის//ყელმოსრებულის“ ზოგადქართულ შელოცვაშიც პრაქტიკული ქმედებაა თითის ამოსმა; ერთ-ერთ აჭარულ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში დაფიქსირებულ, შელოცვაში ნათქვამია:

...ავხკრავ ნეკსა,  
გადავაგდებ კლდესა,  
გავაქრობ წამსა  
შუალამის ხანსა!

(ქ. ს. შელოცვები, 1994: 161)

ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში ჩანერილ „ყელმოსტრობილის“ შელოცვის სხვა ვარიანტში ცერა თითის გადასმით მიიღწევა შედეგი:

...გადუუსვამ ცერსა,  
გავაქროლებ დღესა!

(ქ. ს. შელოცვები, 1994: 162)

გურულ „ყელში გაჩხერილის“ შელოცვაშიც იგივე მანიპულაცია სრულდება, თუმცა აქ ქრისტიანული სამების შეწვევის იმედიც არის გამოთქმული:

...ამოგისვამ ნეკსა ჩემსა,  
გავაქრობ სულისა წმინდისათა!  
(ქ. ხ. შელოცვები, 1994: 161)

ტაოელ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდეა შემორჩენილი მეჭეჭის შელოცვა. 2017 წლის 28 ივლისს სოფელ სადგიყანაში 59 წლის ქალბატონის – ჰევა ქურთისაგან ჩაწერილ მეჭეჭის შელოცვაში, ზოგადქართულის მსგავსად, მეჭეჭის გამოსვლა კავშირშია მთვარესთან, მთვარის გამოჩენასთან და, სიტყვიერ მანიპულაციასთან ერთად (მეჭეჭის თავის დაცარიელება, გაქრობა), „რეცეპტურაც“ არის წარმოდგენილი, რაც მეჭეჭზე ნაცრის მოყრაში მდგომარეობს:

მთვარე დევნახე,  
მეჭეჭი დევნახე;  
მეჭეჭისა თაჲ  
ცაარელი დევნახე.  
ნაცარი დუაყარო  
მეჭეჭი თავზე.

(შიოშვილი, 2018: 134; შიოშვილი, 2020: 914)

ვარიანტი, რომელიც ბასლეკარელი შემლოცველის – 80 წლის ემინე ქეჩეჯისაგან ჩავიწერე, ორენოვანია; აქაც მეჭეჭის გამოჩენა მთვარეს (სინათლეს) უკავშირდება. შელოცვის ბოლოს კი მუსლიმთათვის დამახასიათებელი ლოცვის ფორმულაა წარმოდგენილი:

მთვარე დევნახე,  
წური დევნახე.

მეჭეჭი გომოვდა,  
მეჭეჭი მოშორდა.  
ენ ებრემუნ ემრან,  
ენ'ნა მუბრემუნ.  
იმ'ნა მუბრემუნ.  
ბისმილაჲ, რეხმანი რეხიმ!  
(შიოშვილი, 2020: 947)

მთქმელის განმარტებით, მეჭეჭის შელოცვას დღეში ერთ-ხელ ასრულებენ, თუმცა ტექსტს შვიდჯერ იმეორებენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ კლარჯ ჩვენებურებშიც მეჭეჭის თურქულენოვანი შელოცვა გვხვდება (შიოშვილი, 2017: 386; შიოშვილი, 2020: 947).

მეჭეჭის შელოცვას იცნობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. მათი უმრავლესობის თანახმად, მეჭეჭი „ექიშუება“ მთვარეს ან ვარსკვლავებს, რაც, ბუნებრივია, მისი განადგურებით უნდა დასრულდეს; ერთ-ერთი ქართული ვარიანტი ამგვარია:

სახელითა მამითა და ძისათა  
და სულისა წმინდისათა.  
მეჭეჭმა უთხრა მთვარესა:  
– მე გჯობივარ შენა!  
მზემ ჩაკრა თავშია,  
ჩააფრინა ძირშია.

(ქ. ს. შელოცვები, 1994: 177)

მეჭეჭის შელოცვის მეგრული ვარიანტის თანახმად, მეჭეჭი თავს ვარსკვლავების ძმად აცხადებს, რის გამოც შემლო-

ცველი მიმართავს ვარსკვლავებს, მათთან წაიყვანონ, თუ მართლა მათი ძმაა, ანდა გააქრონ:

ვარსკვლავებო, მეჭეჭი მოგმართავთ,  
შენი ძმა ვარო.  
თუ შენი ძმაა, შენთან დააყენე,  
ანდა გადააყენე!

(ქ. ხ. შელოცვები, 1994: 177)

ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს არქაული რწმენა-წარმოდგენები მნათობთა კულტზე, რაც ტაოურ შელოცვებშიც შემორჩა. მათში, ბუნებრივია, აღარ ფიქსირდება ტრადიციულ ქართულ შელოცვათათვის დამახასიათებელი ქრისტიანული დასაწყისი ფორმულა; მთვარესთან კავშირი კი ახსოვთ, მაგრამ „საბედისწერო ქადილი“ მეჭეჭისა, რომ მთვარეზე უკეთესია ან ვარსკვლავების ძმაა, გადავიწყებულის; ველარც იმაზე მიუთითებენ, რომ ტრადიციულად, მეჭეჭის შელოცვა ახალ მთვარეზე უნდ შესრულდეს (ქ. ხ. შელოცვები, 1994: 177-178).

ტაოს ულამაზეს სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – დევთისაში 2017 წლის 30 ივლისს 40 წლის სონმეს შენგულისაგან ჩავიწერე „კბილის ამოღების“ შელოცვა:

კრადსთინ წაჲ,  
ძაღლისთინ წაჲ!

(შიოშვილი, 2018: 134; შიოშვილი, 2020: 914)

მთქმელის განმარტებით, „კბილ ამადგდებენ, კარი უკნიდან დაჰდებენ, იტყვიან დუას“ (შიოშვილი, 2020: 947).



კბილის ამოღების დროს წარმოსათქმელი შელოცვის ვარიანტი ჩავიწერე, აგრეთვე, სოფელ ბალხიბარში 2017 წლის 30 ივლისს 62 წლის სარიე ქუჩუქისაგან; ამ ვარიანტის თანახმადაც, ამოღებული კბილი კრავსა და ძალს განეკუთვნება, ფრაზა კი სამჯერ მეორდება:

კრად ნევდეს, ძალლი მოდდეს!

კრად ნევდეს, ძალლი მოდდეს!

კრად ნევდეს, ძალლი მოდდეს!

(შოიშვილი, 2018: 153; შოიშვილი, 2020: 947)

ეს ტექსტი ვარიაციაა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული შელოცვისა, რომელსაც კბილის ამოღებისას ამბობენ და, რომლის თანახმადაც, ამოღებული კბილი თავგს უნდა შეაძლიო, რათა მასავით მჭრელი და მაგარი კბილი ამოვიდეს:

აჰა, თავგო, შენი კბილი,

მომე ჩემი ოქროს კბილი!

(ბსუქცვა)

ტაოელ ჩვენებურთა ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა ზოგადქართულ ფოლკლორში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ავი ქარების (ფეხის ტკივილის) შელოცვა, რომელიც სახსრების დაავადება ან წითელი ქარია; ტაოელები მას „უსახელოს“ უწოდებენ; შელოცვაში შენარჩუნებულია ტრადიციული დიალოგური ფორმა და მოცემულია რეცეპტურაც; დასასრულს კი მონოდებაა დაავადების შორს წასვლასა და გაქრობაზე:

– უსახელო, უსახელო,

ჰად მიხვალ,

ჰად მიზანდები?  
– ძვალი საყარი,  
სისხლი სასმელი.  
– კვერცხი ცილი,  
ძენნი ფურცელი, –  
გაქარდი, გამოქარდი,  
ჩვენგან შორ ნადი!

(შოშვილი, 2020: 914)

„ავი ქარების“ შელოცვის თაობაზე მთქმელის (ემინე ქეჩეჯი, 80 წლის, მცხოვრები სოფელ ხევას უბანში – ბასლექარში, გამოთხოვილია სოფელ გოდლეკარიდან) განმარტება ამგვარია: „– ეს იმისი დუაა, ფეხი გტკივა, ვერ გეფელი, ქარეზია“. შელოცვა სრულდება შვიდჯერ (შოშვილი, 2020: 948).

ამრიგად, ისტორიული ქართული პროვინციის – ტაოს ქართულენოვან სოფლებში მცხოვრები გურჯების ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში შემოინახა ტრადიციული ქართული ხალხური სამკურნალო შელოცვების გარკვეული ნიმუშები, რომლებიც ზოგადქართულის ვარიანტებია; ტაოურ სამკურნალო შელოცვებში ჯერ კიდევ შეინიშნება ტრადიციული არქაული ელემენტები, რაც ქართული ფოლკლორისტიკისათვის მეტად ღირებული შენაძენია.

## 2.2. სამეურნეო შელოცვები

ქართულ ხალხურ შელოცვათა ერთ-ერთ მძლავრ უბანს წარმოადგენდა სამეურნეო შელოცვები, რომლებიც სასურველი ამინდის გამოწვევას, მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნაყოფიერების გაზრდას ემსახურებოდა და ტრადიციულად, სამკურნალო შელოცვათა მსგავსად, სიტყვისა და მოქმედე-

ბის მაგიას ეფუძნებოდა. ტაოს, როგორც ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი სამეურნეო რეგიონის, ზეპირსიტყვიერება თავის დროზე, ალბათ, უაღრესად წარმომადგენლობითი იქნებოდა სამეურნეო შელოცვებით, თუმცა ბოლო დრომდე ტაოელთა ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა მხოლოდ ნისლის შელოცვათა მრავალი ვარიაცია და გვალვის, ანუ წვიმის, შელოცვის მწირი ვარიანტი.

ტაოს ქართულენოვან სოფლებში, რომლებიც მთაგორიანი რელიეფისანი არიან, ბოლო დრომდეა შემონახული ნისლის („ბულუთის“) შელოცვა, რომლის 13 ვარიანტი ჩავიწერეთ. ეს ნიმუშები ზოგადქართულის ვარიანტებია; ნისლი, როგორც ანიმისტური მსოფლგაგების ყოველი ბუნებრივი მოვლენა, ზოგადქართულ შელოცვებში პერსონიფიცირებულია, მას შემლოცველი „ატყობინებს“, რომ მისი ცოლი ორსულია და, თუ დროზე არ მიაკითხა, მოუკვდება; რომ მის ცოლს სამი შვილი ეყოლა და, დროზე თუ არ მივიდა, შეუჭამენ; რომ მისი სამი შვილი ქვევრში ჩაუყრიათ, მისი ცოლი კივის; რომ წითელი ხარი დაუკლავთ და, დროზე თუ არ მივიდა, არაფერი ერგება; რომ მისი ცოლის მიერ დაბადებული სამი ბავშვიდან ერთი მგელს გაუტაცია, ერთიც – დათვს და მოძებნა საჭირო და ა. შ.

ტაოურ ნისლის შელოცვაში, რომელიც ხევას ერთ-ერთ უბანში – ბასლეკარში ჩავიწერე 80 წლის ემინე ქეჩეჯისაგან 2017 წლის 28 ივლისს, ნისლს უკიჟინებენ, აიყაროს და შვიდი მთის იქით გადაიყაროს, თანაც შეახსენებენ, რომ ცოლი ორსულად ყავს და, დროზე თუ არ მივიდა, შეიძლება, მკვდარი დახვდეს:

ბულუთ, ბულუთ, ეყარე,  
შვიდი წვერი გედეყარე!

შენი ცოლი ორსულია,  
მალე მიხვალ, მიგირჩება,  
ა'ნახვალ, მოკტება!

(შიოშვილი, 2018: 135; შიოშვილი, 2020: 915)

ნისლის („ბულუთის“) შვიდი მთის (შვიდი მთის მწვერვალის) იქით გაუჩინარება ტაოურ ნისლის შელოცვათა „მტკიცე“ მოთხოვნაა, იცვლება მხოლოდ ნისლის „ოჯახური ვითარება“; ვარიანტთა უმეტესი ნაწილის თანახმად, ნისლის ცოლ-შვილი ღვარს წაუღია და მათ „გადასარჩენად“ უხმობენ. 2017 წლის 29 ივლისს სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში მცხოვრები 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ზამთრობით ცხოვრობს ქალაქ ბურსაში) ჩანერილი შელოცვით ასე მიმართავენ ნისლს (ღრუბელს):

დუმანო, დუმანო,  
ეფყარე, გედეფყარე,  
ფიდის წვერი გედეფრბინე!  
შენი ოლღუშალი ღვარმა წუფლო,  
ცქვიტა ნახვალ, მეენეფ,  
ნელა ნახვალ, არ მეენეფ!

(შიოშვილი, 2018: 154; შიოშვილი, 2020: 948)

„– ბულუთი მოა, მოღრუბდება, იტყვიან“, – აგვისნა მთქმელმა.

ტაოელებს მტკიცედ სჯერათ, რომ შელოცვის ძალით ნისლი აიყრება და გადაიკარგება. ნისლის შელოცვის ერთ-ერთი ვარიანტის მთქმელი – ხევას უბანში, დევთისაში, მცხოვრები 40 წლის შენგულ სომესი გვარნმუნებდა: „– სამ-ოთხ ჴელა

იტყვი ქი, დუმანები დეკარგვიან“ (შიოშვილი, 2018: 154; შიოშვილი, 2020: 949).

სოფელ ბასლექარში მცხოვრები 55 წლის იაშარ ქეჩეჯისაგან 2018 წლის 30 ივლისს ჩანერილი ნისლის შელოცვის თანახმად, ნისლის „შვილები“ წინილებად მოიხსენიებიან:

დუმან, დუმან, ეყარე,  
ფიდი წვერი გედეყარე!  
შენი წინილები ღვარ წუულია,  
ვერ მეენეა!

(შიოშვილი, 2018: 155; შიოშვილი, 2020: 950)

ამგვარად (წინილებად) მოიხსენიებიან ნისლის (ღრუბლის) „შვილები“, აგრეთვე, გოდლეკარულ, სარიგოლურ და მახათეთურ ვარიანტებშიც.

სოფელ ქობაიში (ქუაბაქი) მცხოვრები 60 წლის აიშო ჩელიქისეული ნისლის შელოცვის (ჩაინერა ნატალია ჩხარტიშვილმა 2018 წლის 28 ივლისს) თანახმად კი შვილების სინონიმად გვხვდება სიტყვა „ლენჭები“:

ეყარე, დუმანო,  
შვიდი წვერი გედეყარე!  
შენი ლენჭები ღვარმა წეფლო,  
მეენევი, ვერ მეენევი,  
მეენევი, ვერ მეენევი...

(შიოშვილი, 2020: 950)

2018 წლის 20 ივლისს სოფელ გოდლეკარში ნატალია ჩხარტიშვილის მიერ 62 წლის ფატყუმე გუმუშოლისაგან

ჩანერილი ნისლის შელოცვის ვარიანტით კიდევ უფრო ნახალივდება ნისლის დროული ნასვლა:

დუმან, დუმან, ეყარე,  
შვიდი წვერი გედეყარე!  
შენი წინილები ღვარ წუულია,  
გეძქე, გეძქე,  
მეენიე, მეენიე,  
არ დეაკარგოს, დეაჭირე!

(შიოშვილი, 2018: 156; შიოშვილი, 2020: 950)

აღსანიშნავია, რომ ტაოელი ჩვენებურები არ ხმარობენ სიტყვებს „ნისლი“ და ღრუბელი ყველგან „ბულუთად“ ანუ „დუმანად“ (თურქ. bulut – ღრუბელი, ნისლი; duman – ნისლი, კვამლი) მოიხსენიებენ; გამონაკლისია მხოლოდ შედარებით კარგი მექართულე მეკლუდ ბათმაზი (დოლენჯიშვილი):

ბულუთები მოხარხატულა,  
ღურბელო, გაჭარ-გომოჭარ,  
მზითვალი გამააჩინე!

(შიოშვილი, 2018: 135; შიოშვილი, 2020: 915)

ტაოში ახსოვთ ამინდის მაგიური მართვის არქაული ქართული რიტუალებიც, როგორცაა „ყურბანის“, ანუ შესანიშნავის, დაკვლა და ქვების ჩაყრა წყალში, რათა გაწვიმდეს. 67 წლის ელიასხვეველი შვექი თოფჩუსაგან 2018 წლის 30 ივლისს ჩანერილი ნარატივის თანახმად, „ყურალი იქნება, კუპრეთი თავში ნაცრაქეადა, იქ დაკლიან ყურბან, ათზე მეტს დუურეგებენ, ტყავები წყალში ჩადებენ ქი, ბევრი იწვიმოსო.

ლენჭები ქვებ მოკრეფენ, ხოჯა მოაკრეფინებს. წყალში ჩაყრია. თუ ბევრი განვიმდება, ტყავებ უკნისკენ წყლიდან ამეღლებენ. გურჯები იჯებიან, თურქები არ იჯებიან“ (შიოშვილი, 2020: 915).

წყალში ქვების ჩაყრით, ანუ ქვის დასველებით, წვიმის გამონვევის რიტუალის შესახებ გვიამბო, აგრეთვე, სარიგოლელმა ქალბატონმა ელიფა ოზიურთმა: „ყურადღი ხოჯა ლენჭებ წეყვანდა, ხოჯა დუას იკითხვიდა, ლენჭები „ამინ“ იტყოდეს, წყალში ქვებ ჩაყრიდეს, განვიმდება“ (შიოშვილი, 2020: 915).

განვიმების მიზნით შესანიშნავის („ყურბის“) დაკვლის უძველეს ჩვეულებაზე მინიშნა სოფელ ვანისხევის უბანში – ჭილათში მცხოვრებმა (წარმოშობით სოფელ იეთიდან არის) 34 წლის ჰურიე დუმანმა: „განვიმდესო, ყურბან დაკვლავთ, ნამაზ ვილოცავთ. დაღლაში მეზარი გვაქ, ველითავ ვეძახით, იქ დუას ვიზამთ“ (შიოშვილი, 2020: 915).

წვიმის გამოსანვევად შესანიშნავის დაკვლაზე, ხორცის დარიგებაზე და კოლექტიურ ნადიმზე გვესაუბრა ბასლექარელი იაშარ ქეჩეჯი, რომლისგანაც დავადასტურეთ ერთობ საინტერესო რიტუალი – ხელების ზევით აპყრობით მზისა და ქვევით ჩამოშვებით წვიმის გამონვევის არქაული ნეს-ჩვეულება: „წვიმა თუ გინდა, ხელებ თავდაღმა დუშვებს, თუ მზე – ხელებ მაღლა აწევს, „ამინო“, იტყობს. ყურბან დაკვლიან, ხორცებ ეწინ ლენჭებ მიცემენ, ლენჭები დაძლებიან, მას უკან დიდვანები დასხდებიან. თუ ხორცი დარჩება, სახლებში წეღლებენ, დეკაცებ მუუტანენ“ (შიოშვილი, 2020: 915).

საყურადღებოა, რომ მდინარეში ქვების ჩაყრით წვიმის გამოსანვევი მაგიური რიტუალი, მთქმელის – შვექი თოფჩუს თქმით, ქართულია: „...გურჯები იჯებიან, თურქები არ იჯებიან“. ეს ნეს-ჩვეულება რომ ძველქართულია, ამაზე ისიც

მეტყველებს, რომ შემორჩენილია აჭარაშიც (სახოკია, 1950: 202-2023; ნოლაიდელი, 1971: 133-134), კლარჯეთშიც (შიოშვილი, 2017: 200) და შავშეთშიც (შიოშვილი, 2016: 154-155).

ტაოელ ქართველთა ზეპირსიტყვიერებამ, სამნუხაროდ, ვერ შემოინახა „ლაზარობის“ შელოცვათა ტრადიციული ტექსტები, რომლებიც წვიმისა თუ მზიანი ამინდის გამოწვევას ემსახურებიან. დავაფიქსირეთ მხოლოდ გვალვის ერთადერთი მწირი შელოცვა, რომელიც ორი სიტყვის მანიპულირებას წარმოადგენს (მთქმელი 55 წლის იაშარ ქეჩეჯი, მცხოვრები სოფელ ბასლეკარში):

ღმერთო, გაანვიმე!

ღმერთო, გაანვიმე!

(შიოშვილი, 2020: 915)

მთქმელის განმარტება ამგვარია: „– ყურალი იქნებოდა, ვიტყოდით“ (შიოშვილი, 2020: 952).

ამრიგად, სამეურნეო შელოცვათაგან ტაოს ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა ნისლის შელოცვის მრავალრიცხოვანი ვარიანტები; სამნუხაროდ, მათ აღარ ახსოვთ ამინდის მაგიური მართვის ისეთი მნიშვნელოვანი შელოცვები, როგორც არის საქართველოს სხვა კუთხეებში ბოლო დრომდე შემორჩენილი „ლაზარობის“ ტექსტები და მასთან დაკავშირებული რიტუალები, თუმცა ტაოელთა ისტორიულ მესხიერებას შემორჩა წვიმის გამოსაწვევი სხვა რიტუალები, როგორცაა შესაწირავის („ყურბნის“) დაკვლა და წყალში ქვების ჩაყრა, რაც დასტურდება, აგრეთვე, აჭარულ, შავშურ და კლარჯულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში.



## მითი

მითი, როგორც კაცობრიობის პირველი სააზროვნო მოდელი, მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურის საძირკველში დევს; ამ მოდელზე აგებული რწმენა-წარმოდგენების, სიტყვებისა თუ აზრებისა და ქმედება-რიტუალების ერთობლიობას კი მითოლოგია ეწოდება.

დღემდე მითის 500-მდე განმარტება არსებობს, თუმცა სრულყოფილად ვერცერთი გადმოსცემს მის აზრს. მკვლევართა უმრავლესობა ყველაზე მისაღებად მიიჩნევს ამგვარ დეფინიციებს: „მითი არის განსაკუთრებული (კოლექტიური) მნიშვნელობის მქონე ტრადიციული ამბავი“ (გორდეზიანი, 2005: 9); „იმგვარ თხრობებს, სადაც ასახულია ადამიანთა პრიმიტიული, ფანტასტიკური, ილუზორული შეხედულებანი ბუნების მოვლენათა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ, მითებს ვუწოდებთ“ (ვირსალაძე, 1960: 347).

მითების შესწავლას საფუძველი ჩაუყარა მითოლოგიურმა თეორიამ, რომელიც პირველი მეცნიერული თეორიაა ფოლკლორისტიკაში. ამ სკოლის წარმომადგენლები, ძმები გრიმების მეთაურობით, ფოლკლორული შემოქმედების საფუძველად მიიჩნევდნენ მითსა და უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. მითის შემდგომი გზა კი ასე დასახეს: მითი → ლეგენდა → ზღაპარი.

ბერძნული ტერმინის – „მითოსის“ ტოლფას ქართულ სიტყვად მიჩნეულია ანდრეზი (ფშავ-ხევესურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი).

ქართული მითოსის მკვლევარნი არცთუ ფართო ვერბალურ სივრცეს ფლობენ და ეს უკმარისობა თითქმის იმავე გენეზისისაა, როგორც – ჩვენი ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის თავფურცლის ძიება; ამიტომაც ქართული ანდრეზული თქმულებების შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მასალას; ამდენად, საერთოქართული მითოსური სპექტრის სრულყოფილად წარმოჩენაში განსაკუთრებულია ისტორიული ქართული პროვინციების წილიც; ამ თვალსაზრისით კი ძალზე საინტერესოა ტაოს ქართულენოვან სოფლებში შემონახული მითოსური თქმულებები.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ტაოს ქართულენოვან სოფლებში სხვადასხვა წლებში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში დადასტურდა, რომ ტაოელთა ისტორიულმა მესხიერებამ ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში შემოინახა მარადიული გაზაფხულის (იგივე შეჩერებული დრო-ჟამის), წყლის განმასახიერებელი ქალღვთაების, ტოტემური რწმენის ამსახველი, წყლისა და ხმელეთის სტიქიათა ბრძოლის ტრადიციული ქართული მითოსური ნარატივები და „ამირანიანის“ კვალი.

## 1. მარადიული გაზაფხულის მითოსი

მარადიული გაზაფხულის (ზაფხულის), ანუ მიწიერი სამოთხის, იგივე შეჩერებული დრო-ჟამის მითოსს იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა უძველეს ხალხთა მითოლოგია და, როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, ყველგან აქვს თავისებური სახე, რაც „დაკავშირებულია იმ ქვეყნის რეალებთან (ლანდშაფტი, ისტორიული წარსული, ტოპონიმი, ფლორა, ფაუნა...), სადაც ის შეიქმნა“ (კიკნაძე, 2008: 61).

ქართული ზეპირსიტყვიერებაც იცნობს სამოთხის მითოსს, რომელიც თამარ მეფის სახელს უკავშირდება, რაც სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივია, რადგანაც „იმ საზოგადოების ცნობიერებაში, სადაც ჩაისახა ეს მითოსი, თამარის სამეფო წარმოდგენილი იყო „ოქროს ხანად“, თამარი კი – მის ერთპიროვნულ შემოქმედად და მზრუნველ პატრონად“ (კიკნაძე, 2008: 61).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მარადიული გაზაფხულის მითოსის მრავალი ვარიანტი მოგვეპოვება (სიხარულიძე, 1961: 81, 254-261); მათი მოკლე შინაარსი ამგვარია: თამარ დედოფალს სამეფო ტახტი ედგა იალბუზის მთაზე, სადაც ზამთარი არ იცოდა და მუდამ ზაფხული (გაზაფხული) სუფევდა; ამ მარადიულ სამეფოში არც სნეულება იყო, არც – სიბერე და არც – სიკვდილი, რადგანაც ყოვლისშემძლე, გულთმისან თამარ დედოფალს დრო-ჟამის ფრინველი (შუქურვარსკვლავი) დატყვევებული ჰყავდა, რის გამოც დროის მდინარეება შეჩერებული იყო, „საქართველოში ზამთარი სრულებით ამოიძირკვა იმიტომ, რომ ზამთარი შუქურვარსკვლავის ძალით მოდიოდა“ (სიხარულიძე, 1961: 81-82). სასახლეში

თამარის არყოფნის დროს მცველად დატოვებულმა მსახურმა (გამზრდელმა) ცნობისნადილი ვერ დაძლია და აკრძალული მეთორმეტე ოთახის კარები გააღო, რასაც ფრინველის გამოფრენა-გაუჩინარება და ამინდის შეცვლა მოჰყვა: ატყდა საშინელი ქარიშხალი, წამოვიდა თოვლი და მთელი იალბუზის მთა სასახლითურთ სულ ერთიანად დაფარა.

მითოსის თანახმად, ამ დროს ბალდადში მონასტრის ასაშენებლად მყოფი თამარ მეფე ყველაფერს მიხვდა, სასწრაფოდ გველზე ამხედრდა და იალბუზისაკენ გასწია, მაგრამ იქ ასვლა ვეღარ შეძლო და ვარძიის მონასტერში წაბრძანდა. ასე დაიკარგა მიწიერი სამოთხე, დაიწყო დრო-ჟამის მსვლელობა, გაჩნდა წელიწადის დროები, რაც, პროფესორ ზურაბ კიკნაძის შენიშვნით, ნიშნავს იმას, რომ „...დრომ დაიპყრო სივრცე, გაბატონდა მასზე; „მარადიული გაზაფხული“, აკრძალვის ძალით რომ არსებობდა, წარმავალმა ნუთისოფელმა შეცვალა...“ (კიკნაძე, 2008: 62).

მარადიული გაზაფხულის მითოსი ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი უძველესი ქართული რეგიონების – ტაოსა და კლარჯეთის – ზეპირსიტყვიერებაში. ტაოს მითოსურ თქმულებათა თითქმის ყველა ვარიანტის თანახმად, ზოგადქართული ნარატივებისაგან განსხვავებით, პირველი თოვლის მოსვლა ქრისტიანი ბერების („ქემიშების“) სამყოფელის მოშლასთან ასოცირდება. ტაოში, სოფელ ვანისხევის ერთ-ერთ უბანში – ჭილათში, 2017 წლის 1 აგვისტოს ჰურიე დუმანისაგან (გამოთხოვილია სოფელ ხევას ერთ-ერთი უბნიდან – იეთიდან) ჩვენ მიერ ჩანერილი ნარატივის (შოიშვილი, 2020: 916) თანახმად, პირველი თოვლის მოსვლა ქელაზორში მცხოვრებ ქრისტიან ბერს („ქემიშს“) შეუნიშნავს და ამბის

შესატყობად კაცები გაუგზავნია. „კაცები გასულან, თოვლი ხელში უწუნენიან, შუუხედნიან, ცივი ყოფილა. აბლი წამოუღიან, გამდნარა, დაკარგულა“.

ჩამოსულან და ბერისთვის მოუყოლიათ ყველაფერი. ბერი მიმხვდარა, რაც იყო ეს თეთრი მასა და უთქვამს:

„– ე თოვლია, აქ ველარ ვიქნებით, თიბილ ადგილებში წევნეთო!“

ელისასხეველი შევექი თოფჩუსეული ვარიანტის (ჩავინერე 2017 წლის 27 ივლისს) თანახმად, „თენარში გათოვებულა, ქეშიშისთინ უთქვიან ქი:

– ზემო თეთრი რამე არი, ისი რა არი?“

ბერს უთხოვია, ჩამოეტანათ ეს თეთრი რაღაც და „ქეშიში მიმხდარა ქი, თოვლიაო“ და უთქვამს:

„– აქობაში აღარ დეფოდომლება, აქიდან წევნეთო!“ (შიოშვილი, 2020: 953).

დოლენჯიანთკარელი (სოფელ ხევას ერთ-ერთი უბანი) მე-ვლედ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 26 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილი მითოსური ნარატივი მოგვითხრობს:

„აქ, ქუაბაქ, ყოფილან გურჯები, აქვე მჯდარან. შუუხედნიან, გათოვლებულა. არ იციან, რა არი. გუუგზავნიან ორითანე ბიჭი. გასულან ქეთქეთში, ჩამუუტანიან, გამდნარა ქი, კიდო გასულან ქეთქეთში, ჩამუუტანიან, კიდო გამდნარა“; შემდეგ ბერთან მისულან და მოუყოლიათ მომხდარის შესახებ; ბერს უთქვამს:

„– ბიჭებო, აქ არ იცხოვრება, ის თოვლია! გათოვდება ორი მეტრო და ვერ ვიქნებით აქა, დევირჩობითო!“

მართლაც, ის ადგილი მიუტოვებიათ. მთქმელი დასძენს: „ნასულან. ორნი მომკდარან. მეზერები არი, იქ ზიარეთია. ეუბნებიან „გურჯი მეზერ“, „ჰაჯი მეზერ“. ქეშიში წევდა ბათუმში“ (შიოშვილი, 2020: 953).

არსებითად იდენტურია მარადიული გაზაფხულის მითოსის უფრო მოკლე ვარიანტები, რომლებიც ჩავინერე ბასლუკარში (სოფელ ხევას უბანი) მენემმა და ემინე ქეჩეჯებისაგან (შოთაშვილი, 2020: 953-954).

მარადიული გაზაფხულის ტაოური მითოსის ვარიანტთა უმრავლესობის თანახმად, ტაოში თოვლის მოსვლის მომხსნე და ამის გამო იქაურობის მიმტოვებლები გურჯი სასულიერო პირები არიან; გამონაკლისია პროფესორ მამია ფალავას მიერ 2005 წელს სოფელ ელიასხევში ჩანერილი ვარიანტი (ფალავა, 2005: 146-147; ფალავა, 2020: 952-953), რომლის თანახმადაც, თითქოს ელიასხევში სომხებს („ერმენებს“) უცხოვრიათ და ბერიც („ფაფაზი“) სომეხი ყოფილა. „ერთი კვირა დამჩალა, იმდენი გათოვებულა“. ბერს კაცები გაუგზავნია, „ერთი შეხედეთ, ის რა არიო, ფორი არ დგებო“. ცოტა გასულან, ბიჭებ უნახიან კი, თოვლი, ცივი... ხელში უწევნიან, ხელებ უტკივნებიან, გამქრალა, გამდნარა. ჰოდა, უთქვიან იმ ფაფაზისთუნ ასე:

– გაველით, ხელში ვწევთ, ხელს გვატკივნებს, მოგვაქვს, იკარქვის“.

ბერი მიხვდა, რაც იყო მთის წვერზე დადებული და უთქვამს:

„– აქ აღარ იცხოვნებო, ადექით, წვედეთო!“

მითოსის ყველა ტაოური ვარიანტით თოვლის მოსვლა, ანუ მარადიული გაზაფხულის მოშლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერების საცხოვრისის მოშლასთან ასოცირდება; ისინი ტოვებენ თავიანთ სამყოფელს; მთქმელები ერთხმად აფიქსირებენ, რომ „იქედან წასულან“, მაგრამ არავინ იცის, კონკრეტულად სად წავიდნენ ქრისტიანი ღვთისმსახურები. ტაოელი მთქმელების მთავარი გზავნილი კი რეალობასთან მისადაგე-

ბული ვითარებაა („აქობადან წასულან“) – იქ, იმ ადგილებში, თოვლის მოსვლის შემდეგ ქრისტიანები აღარ ბინადრობენ. ერთადერთი (დოლენჯიანთკარული) ვარიანტის თანახმად, რომლის მთქმელი მეველედ დოლენჯიშვილი საკმაოდ გათვითცნობიერებული, განათლებული პიროვნებაა და არც ენობრივ ბარიერს განიცდის, „ქეშიში წევდა ბათუმში“ და ესეც სრულიად რეალური ვითარების გამოძახილია („აქ, ქუაბაქ, ყოფილან გურჯები, აქვე მჯდარან“); სარიგოლელი ელიფა ოზიურთის ცნობითაც, „ბათუმ წასულან“; ბასლეკარული ვარიანტების თანახმად, „...გაქცეულან უკნისკენ, ჰად წასულან, ა ვიცი, ჰაცხადან მოსულან, იქ წასულან“; „რალად გავანევთ? ახლა სევაღლში, კად ალაგას წევდოთო!..“; „თორთუმისკენ წასულან, იქ არ თოვდა, იქ ცხელან. თორთუმი შექნილა ბარი“..

იდენტურია ტაოს სხვა სოფლებში – ვანისხევი, ელიასხევი, ხევა, ქუაბაქი, ბასლეკარი, ნითლეკარი – დაფიქსირებული ნარატივთა დასკვნებიც (შიომვილი, 2020: 952-954).

საყურადღებოა, რომ კლარჯულმა მითოსმაც შემოგვინახა რწმენა-წარმოდგენა შეჩერებული დრო-ჟამის, ანუ მარადიული გაზაფხულისა, თუმცა აღარც კლარჯელთა მსოფლგაგება უკავშირდება თამარის სახელს. სოფელ ბერთაში 2013 წელს მეჰმედ-ალი ქესქინის მიერ ოსმან ოსქანისაგან ჩაწერილი მითოსური ნარატივის თანახმად (ბსუქცფა), მარადიული გაზაფხულის, ანუ შეჩერებული დრო-ჟამის, ადგილია ართვინის მიდამოები, სადაც, თურმე, თოვლი არასოდეს მოდიოდა.

„ართვინში ძველ საუკუნებში არ თოვლდა“. აქ, სოფელ სოთში (დღევანდელი სეითლერი), ნიგალას უბანში, ყოფილა ეკლესია, რომელშიც „მცხოვრობდა ქეშიში“, ანუ ქრისტიანი ბერი. მთქმელის განმარტებით, ეს ეკლესია ბუხარეთის

მთებში, სოთსა და ვაზრიას შორის, მდებარეობს და „ავჯი ეკლესიას“ (მონადირის ეკლესიას) ეძახიან.

ოსმან ოსქანისეული მონათხრობის თანახმად, ერთ დღეს ბერმა კაჩკარის მთაზე, საქალარის პლატოზე, თეთრი რაღაც შენიშნა. ასეთი რამ მანამდე არასოდეს ენახა და ძალიან გაუკვირდა. მან ოთხი მსახური გაგზავნა მთაში ამბის გასაგებად, თან თოფიც გაატანა და დაარიგა:

„– ეს თოფი იმ თეთრი რაღაცას ესროლეთ და მოკალით!“

კაჩკარის მთაზე ასულებმა თოფი კი ესროლეს იმ თეთრ „რაღაცას“, მაგრამ ვერაფერი დააკლეს; ნელ-ნელა მიუახლოვდნენ, ხელით შეეხნენ და „დაინახვენ, რომ ეს თეთრი არსება ცივი რაღაცა არის“. ამის შემდეგ ტყავის ტომარა გაავსეს ამ თეთრი მასით და უკან, ეკლესიისკენ, გამობრუნდნენ.

ეკლესიის მსახურებმა ბერს ტომარა აჩვენეს და უთხრეს:

„– თეთრი არსება ამისი შიგან არის“.

ტყავის ტომარა რომ გახსნეს, იქ მხოლოდ წყალი დახვდათ...

„– მე წიგნებში ვიკითხე, ეს თოვლია“, – განმარტა ბერმა და დაასკვნა:

„– აქ ვერ ვიცხოვრებთ იმიტომ, თოვლი მოდის, ძალიან სიცივე იქნება!“

ამის შემდეგ ბერ-მონაზვნები ბარში ჩამოსულან, ნიგალას ეკლესიაში გაუგრძელებიან მოღვაწეობა და ზემოთ, მთაში, მდებარე ეკლესიაში ველარ ადიოდნენ.

ამ მითოსის ვარიანტი პროფესორმა მალხაზ ჩოხარაძემაც დაამონმა ქალაქ ართვინში 2013 წლის 21 აპრილს (ჩოხარაძე, 2015: 292).

მართალია, ტაოური და კლარჯული მარადიული გაზაფხულის, ანუ მინიერი სამოთხის, იგივე შეჩერებული დრო-ჟა-



მის მითოსს ჩვენებურები თამარ მეფის „ოქროს ხანას“ აღარ (ვეღარ) უკავშირებენ (თამარი მათ ისტორიულ მახსოვრობაში ოდენ მატერიალური კულტურის ძეგლთა უპირობო შემოქმედად არის შერაცხილი), მაგრამ ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება ის ფაქტი, რომ კაცობრიული მითოსური მსოფლმხედველობის ესოდენ სანუკვარი ხანა ტაოელთა ისტორიულ მეხსიერებაში მაინც ქრისტიანული ღვთისმსახურების სივრცესთან არის გაიგივებული და, ბუნებრივია, ესეც გენეტიკური სისხლის ყივილის ერთ-ერთი სულიერი გამოძახილია. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგანაც ტაოელ თუ კლარჯ ჩვენებურთა ცნობიერებაც ერთიანი ქართული კულტუროლოგიური წიალიდან მომდინარეა, მისივე გვარ-ტომთა მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილია.

## 2. წყლის განმასახიერებელი ქალღვთაება

ქათული (და ზოგადად კავკასიური) მითოსი იცნობს წყლის განმასახიერებელ ქალღვთაებას (წყლის დედა, წყალთა მეფე, წყლის ქალი, წყლის ალი, „წყარიში დიდა“, ფერი, ფერი ქალი და ა.შ), რომელიც წარმართობისდროინდელი ღვთაებაა; მისი ფუნქცია ჩვენამდე მოღწეულ ნარატივებში ერთგვარად გაბუნდოვანებული და დაკნინებულია, ხშირ შემთხვევაში კი დემონოლოგიზებულია და ბოროტ, მავნე სულად არის წარმოჩენილი; საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მასალების შედარებითი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება, აღვადგინოთ წყლის ქალის არქაული სახე, რომელიც ჩვენს წარმართ წინაპრებს წყლის ღვთაებად, მდინარეთა გამგებლად უნდა ჰყოლოდათ დასახული. ამ საკითხის სრულად

წარმოჩენაში მნიშვნელოვანია ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი, რეგიონის – ტაოს ზეპირსიტყვიერებაც.

ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის ფარგლებში 1995-2018 წლებში მოპოვებული ფოლკლორული მასალა ცხადყოფს, რომ ტაოელ ჩვენებურთა ისტორიულმა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა ხსოვნა არქაული საერთოქართველური დარგობრივი ღვთაების, კერძოდ წყლის განმასახიერებელი ქალღვთაებისა.

ტაოელთა მითოსურ ნარატივებში წყლის განმასახიერებელ მითოსურ პერსონაჟს, აჭარული მითოლოგიური პერსონაჟის მსგავსად, „ფერი“, „ფერი გოგო“ „ფერი ქალი“ ჰქვია, თუმცა, პარალელურად და უფრო ხშირადაც ტაოელები მას ზოგადი სახელით – „დეკაცი“ (დედაკაცი) – მოიხსენიებენ; ერთსა და იმავე ნარატივში ზოგი მთქმელი ორივე სახელწოდებას ერთდროულადაც იყენებს: 2017 წელს სოფელ ჭილათში ჰურიე დუმანისაგან ჩანერილი ვარიანტის (ჩანერილია 2017 წლის 1 აგვისტოს) თანახმად, „ერთი გოლი ყოფილა დუგურითავში. იქ კაცი გასულა, ფერი დუუნახია. ფერსა თავი უნკეპია (უვარცხნია – თ. შ.)... დეკაც კაცი ქი დუუნახია, დეკაცი გოლში ჩამხტარა...“ (შიოშვილი, 2020: 957).

„– ფერი დეკაცია, ყვითელი დეკაცია“, – განგვიმარტა სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – დევთისაში მცხოვრებმა 40 წლის შენგულ სონმესმა (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს სოფელ ხევას საზაფხულო საძოვარზე – დუგორისში (შიოშვილი, 2020: 957).

ტაოს მითოსურ ნარატივებში ფერი ქალი, იგივე დეკაცი, წყლის (უმთავრესად ტბის) ბინადარია, ადამიანებს გაურბის;

„ფერები არ დეგენახვებიან“, – გვითხრა სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – ქონობანში მცხოვრებმა 39 წლის აინურ ქანთაროლლუმ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 28 ივლისს); დეკაცი დროდადრო ხმელეთზეც გამოდის; ელიასხეური ვარიანტის თანახმად, „ინტკორ ზემოთ ფერილი გოლია; აქიდამ (სოფლიდან – თ. შ.) ერთი კაცი გასულა გოლი ქენერში, შუ-უხედნია იქი, ერთანე გოგოჲ, თმები უვარცხნია, უტარალია“ (მთქმელი შეეკვი თოფჩუ, 65 წლის. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 27 ივლისს). დევთისური (სოფელ ხებას ერთ-ერთი უბანი) ვარიანტის მიხედვით, ის „ყვითელი დეკაცია“, დიდი თმები აქვს და ხმელეთზე ყოფნისას გამუდმებით ივარცხნის; ჭილათური ვარიანტით, მას „დიდი თმები ქონებია, ბეჭებზე ჩამოყრილი“.

ზოგადქართულ (და ზოგადკავკასიურ) მითოსურ ნარატივებშიც, წყლის სტიქიის განმასახიერებელი ქალღვთაება ლამაზი ქალია, წყალში (ზღვა, ტბა, მდინარე) ბინადრობს, ხმელეთზე გამოსვლისას (უმთავრესად ღამით) წყლის პირას ზის და მგზავრებს (მებადურებს) დარაჯობს, თან გრძელ, ოქროსფერ (სამეგრელოს მითოსში „წყარიშ დიდა“ ხშირად შავთმიანია) თმებს ივარცხნის.

წყლის ქალი (წყლის დედა) ცდილობს, არავინ დაინახოს და, თუკი თვალს შეასწრებს მებადურს, წყალში ჩასვლა უნდა მოასწროს, რადგანაც მაგიური ძალა მას მხოლოდ ბუნებრივ სამყოფელში – წყალში გააჩნია; ზოგი ნარატივის თანახმად, მამაკაცი ახერხებს, მოსტაცოს (გამოსტაცოს) მას სავარცხელი ან თმის ღერი, რითაც ქალღვთაება კარგავს ძალას და, დაუძლურებული, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანის საკუთრებად (უმეტეს შემთხვევაში – ცოლად) იქცევა.

ერთი მესხური მითოსის თანახმად, რომელიც მკვლევარმა ზურაბ თანდილაევამ 1972 წელს ჩაინერა ასპინძის რაიონ-

ნის სოფელ ხიზაბავრაში მცხოვრებთაგან, მეთევზეს წყლის ქალი გაექცა და ხელში მისი თმები შერჩა; შინისკენ მიმავალს ქალიც აედევნა; კაცმა თმები დამალა და წყლის ქალი ცოლად შეირთო. ღვთაებრივი ძალის დაბრუნების სურვილით შეპყრობილმა ქალმა თმას მიაგნო, ოჯახი დაწყევლა: „– ამ ოჯახში შაბათობით ცეცხლი არ დაინთოსო!“ – და გაუჩინარდა (თანდილავა, 1996: 30-31).

სამეგრელოს ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ერთი მითოსური ნარატივის თანახმად, წყარიშ მაფასთან (წყლის მეფესთან) შემხვედრი მამაკაცი პირჯვარს გადაინერს (რაც მითოსის ქრისტიანიზაციის შედეგია) და წყარიშ მაფა გაუჩინარდება; ვაჟი უკან მიბრუნდება და წყალთან, ქვის ქვეშ, ამოდებულ სავარცხელს მოიპარავს. შუალამისას კაცს ძახილი მოესმა და დაინახა ჩაცმული წყარიშ მაფა; კაცმა ის სახლში შეიყვანა და დაიწყეს ერთად ცხოვრება. წყარიშ მაფა ჩვეულებრივი ქალივით იქცეოდა, დიასახლისობდა და შვილებიც გააჩინა. ამასობაში ქმარმა დამალული სავარცხელი ზედმეტ ნივთად მიიჩნია, ცეცხლში ჩააგდო და დანვა. ცოლმა კვილი მორთო, შვილები დახოცა, ქმარი კი დაწყევლა: „– არც ამოწყვეტა და არც დარჩენა იყოს თქვენი გვარისაო!“ (ქართ. მით., 1992: 104-105).

თმა ქალღვთაებისთვის (ალი, ტყაშმაფა) სიმბოლურად ძალასთან ასოცირდება და, როგორც მკვლევარი ქეთევან სიხარულიძე მიუთითებს, სავარცხლის მაგალითზე (მისი დაკარგვა წყლის ქალისათვის მტკივნეულად აღიქმება), „საქმე გვაქვს სემანტიკურ გადაწევასთან, როცა თმის სასიცოცხლო ძალა სავარცხელშია განივთებული“ (სიხარულიძე, 2006: 160).

საქართველოს სხადასხვა კუთხეთა მითოსური ნარატივების მსგავსად, როგორც აღვნიშნეთ, ტაოური მითოსის წყლის

პირას მჯდარი ფერი ქალიც (დეკაცი) თმებს ივარცხნის და ადამიანთან შეხვედრას გაურბის. ქონობნური ვარიანტის თანახმად, ტბის პირას მჯდომ ფერს „თაი უგია“ (თმა უვარცხნია – თ. შ.); კაცის დანახვაზე „შახათრებია“, ტბაში ჩასვლა მოუსწრია, მაგრამ სავარცხელი ნაპირზე დარჩენია; კაცს ეს სავარცხელი სახლში წაუღია; ფერიც მას გაჰყოლია, უთხოვია სავარცხლის დაბრუნება, მაგრამ კაცი არ დალაპარაკებია. მაშინ ქალი დარჩენილა მასთან („სახლში დამჟღარა“) და შვილებიც („ღენჭებიც“) გაუჩენია (შოიშვილი, 2020: 954).

მითის ჭილათური ვარიანტი მოგვითხრობს: „ერთი გოლი ყოფილა დუგურითავში. იქ კაცი გასულა, ფერი დუუნახია. ფერს თავი უნკლეპია; დიდი თმები ქონებია, ბეჭებზე ჩომოყრილი; დეკაც კაცი ქი დუუნახია, დეკაცი გოლში ჩამხტარა, ტარალი (სავარცხელი) დარჩომია კარზე, კაც წუულია; დეკაციც იმის უკან წასულა ტარალი გომოლები ბარზე. ერთმანეთი დააშიყებინან, ერთპირა ყოფილან...“ (შოიშვილი, 2020: 957).

დევთისური (სოფელ ხევას უბანი) ვარიანტიც სოფლის ერთ–ერთ მცხოვრებ კაცს (ალარ ჩანს, მეთევზეა თუ არა) ფერის სავარცხელი მოუპარავს და „გაქცევლა. დეკაციც უკნიდამ გაქცევლა“; ჩასულან სოფელში და შვიდ წელიწადს ერთად უცხოვრიათ (შოიშვილი, 2020: 957).

ელისხევურ ვარიანტს ვეღარ შემოუნახავს მაგიური სავარცხლის (თუ თმის) მოტივის ამსახველი ეპიზოდი, თუმცა ფერ ქალთან „დააშიკებისა“ და მისი ცოლად მოყვანის ეპიზოდები აქაც სახეზეა: „ერთი რა გეგონე აა: იმ ტბაში, ემე ყოფილა, ფერი... ერთი ბიჭი რამ ყოფილა, საქორწინებელი ბიჭი. გასულა იმ ტბაზე ერთ დიდზე კი; ხედავს, ფერის გოგო დგას და ტალღუჯობს და იმა დედაშიკება... ის ფერი გოგო ჩამუყვანია სახში...“ (ფალავა, ..., 2005: 149; შოიშვილი, 2020: 957).

წყლის განმასახიერებელი ღვთაებისათვის თმის (სავარცხლის) წართმევის მოტივი, რაც მაგიური ძალის ფლობის დაკარგვასთან არის ასოცირებული, დამახასიათებელია როგორც ქართული, ისე მსოფლიოს სხვა უძველეს ხალხთა ეპიკური ტრადიციისათვისაც. ერთი ბასკური გადმოცემის – „ოკენდოს გამოქვაბულის ჯადოქარი“ – თანახმად, რომელიც თავისი გენეზისით უსათუოდ მითოსია, „ჯადოქარი იჯდა ხოლმე გამოქვაბულის შესასვლელთან და ოქროს სავარცხლით თმას ივარცხნიდა. ერთხელ სავარცხელი გარეთ დარჩა. ერთმა ვაჟმა ჩამოიარა და სავარცხელი წაიღო. ჯადოქარი დაედევნა და დაუძახა: – დამიბრუნე ოქროს სავარცხელი, თორემ მოგკლავო!“ (ბასკური..., 2010: 70).

როგორც მიხეილ ჩიქოვანი მიუთითებს, წყლის ღვთაებისათვის სავარცხლის წართმევის (მოპარვის) მოტივი „მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ სიუჟეტებთან და უძველესი მითოლოგიის ნაანდერძევს წარმოადგენს...“; აქვე მკვლევარი დასძენს, რომ ეს „მოტივი, რომელიც ბიბლიაში ასე კლასიკური სახითაა წარმოდგენილი სამსონისა და დალილას თავგადასავლის სახით, პარალელს პოულობს საშუალო საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში...“ (ჩიქოვანი, 1959: 210-211).

საყურადღებოა, რომ აღნიშნული პრობლემა ქართულ (და კავკასიურ) რეალობაში მითოსური გენეზისისა და უფრო ძველია, ვიდრე ჩვენი წინაპრები ბიბლიას თარგმნიდნენ და გაეცნობოდნენ. ამ მოტივისა და მასთან დაკავშირებული ნარატივის ტაოური ვარიანტების გენეზისის მოაზრებაც სწორედ საერთოქართულ (და საერთოკავკასიურ) სივრცეშია შესაძლებელი.

ტაოს ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებული წყლის განმასახიერებელი ქალღვთაების მითოსი კიდევ ერთ, მეტად სა-

ინტერესო, მოტივს შეიცავს: ეს არის წყლის ქალთან (ღვთა-  
ებასთან) ჩვეულებრივი ადამიანის (მეთევზის, სოფლელი  
კაცის, დასაოჯახებელი ბიჭის) ტრფიალება და ქორწინება,  
რაც, აგრეთვე, მსოფლიოს მრავალი ხალხის როგორც სა-  
ზღაპრო, ისე მითოსური ეპოსის კუთვნილებაა.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ბოლო დრომდე  
შემორჩენილი მითოსური ნარატივების უმეტესობის თანახ-  
მად, ალი, წყლის დედა, ფერი ქალი დემონიზებულია და ავ,  
ბოროტ სულად წარმოიდგინება; ხალხი გაურბის მასთან შეხ-  
ვედრას და მისი სამფლობელოდან წყლის ამოღებას; მასთან  
მიახლოებულ კაცს წყლის დედა აგიჟებს, მისი დამორჩილება  
კი შეიძლება ერთადერთი გზით – მან უნდა დაკარგოს მაგიუ-  
რი ძალა, რის განსახიერებასაც წარმოადგენს თმა (სავარცხე-  
ლი). ამ თვალსაზრისით საინტერესოა თედო სახოკიას ნარ-  
კვევი „სამეგრელოს მითოლოგიიდან“, რომელშიც ქვესათაუ-  
რით „წყლის დედა, ანუ დედა, იგივე მეფე წყლებისა“ მკვლე-  
ვარი მოგვითხრობს სამეგრელოში გავრცელებულ რწმენაზე  
წყლის დედის შესახებ (სახოკია, 1956: 106-112). თედო სახოკი-  
ასეული მასალების თანხმად, რომელიც ძირითადად გასული  
საუკუნის 40-იანი წლების ჩანაწერებია, შეიძლება დავასკვ-  
ნათ, რომ სამეგრელოში შემორჩენილ რწმენა-წარმოდგენებ-  
ში წყლის განმასახიერებელი ქალღვთაება ავი, ბოროტი არს-  
ებაა, მთვარიან ღამეებში ჩნდება, მგზავრებს წყალში ითრევს  
და ღუპავს, რასაც კოკისპირული წვიმები მოყვება ხოლმე  
და არ გამოიძარებს, ვიდრე დაღუპულის გვამს „წყლის დედა  
თავის მკერდიდან არ მოიშორებს და ... მდინარის პირას არ  
გამორიყავს“ (სახოკია, 1956: 15). ამავე დროს, ისიც აშკარაა,  
რომ „წყლის დედას ნაწილობრივ აქვს შენარჩუნებული ძველი  
ღვთაებრივი ფუნქციები; იგი განაგებს წყლის მდინარებას და

მდინარეში თევზის გამრავლებას. საინტერესოა მისი კავშირი ამინდთანაც“ (შიოშვილი, 1987: 108).

არსებითად იდენტურია საქართველოს სხვა კუთხეთა რწმენა-წარმოდგენები ამ არქაული ღვთაების დემონიზების თაობაზე. როგორც მკვლევარი ზურაბ თანდილავა ასკვნის, ქართული მითოსური ნარატივების „წყლის დედა“, ანუ „წყლის ქალი“ დეგრადირებული, წყლის ღვთაების ფუნქციონისაგან დაცლილი ისეთი არსებაა, როგორადაც ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში ავი სულები გვევლინებიან და ხშირად „ალებად“, „ჭინკებად“, „ემშაკებად“ თუ სხვა მისთანებად იწოდებიან“ (თანდილავა, 1996: 39). სწორედ ამგვარ დეგრადირებულ ღვთაებად გვევლინება ზემოთ განხილული ბასკური ნარატივის ჯადოქარი, რომელიც ოკენდოს გამოქვაბულში ბინადრობს.

წყლის განმასახიერებელი ქალღვთაების თემატიკის ტაოურ მითოსზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამ არქაული პერსონაჟის დეგრადირება – დემითოლოგიზება, ანუ დემონიზება, ბოლომდე არ მომხდარა, უფრო სწორად კი – შენელებულ-შეჩერებულა. მართალია, ჩვენ ხელთ არსებული ყველა ვარიანტის თანახმად, ფერი, იგივე დეკაცი, მტკივნეულად განიცდის სავარცხლის დაკარგვას, მისი კვალის ძიებაში სოფელში ჩადის და წამრთმევის ოჯახშიც რჩება როგორც ცოლი და შვილების დედა, მაგრამ შემდეგში ხშირ შემთხვევაში იგი აღარ ეძებს თავის დანაკარგს; მისი ერთადერთი დაუოკებელი სურვილია, მოინახულოს მშობლები, ძმები; თუმცა, წინასწარ იცის, რომ იქიდან შეიძლება ცოცხალი ვეღარც დაბრუნდეს და ამის თაობაზე აფრთხილებს კიდეც ქმარს.

ერთი ელიასხევეური ვარიანტის მიხედვით, რომელიც 2017 წელს დავაფიქსირე (მთქმელი შევქი თოფჩუ, 65 წლის), დე-



კაცს, რომელიც სოფელში მცხოვრები კაცის ცოლი გახდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქმრისთვის უთქვამს:

„– მე ერთი წევდე, ჩემი ძმები დევნახო, ბევრი მომსურდა! თქვენც წამოდით და გოლიდან შეხედეთ, გოლი თავში სისხლი თუ გამოვდა, მიხდით, მე დამკლესო.“

იმათაც აზნი უქნიან, შუუხედნიან, იქი, გოლი თავში, სისხლი გამოსულა; მიმხდარან, ძმებ დუუკლიან, რატომ წახვედიო“ (შიოშვილი, 2020: 917).

სხვა ელიასხევეური ნარატივის თანახმად (მთქმელი ადემ ფოლადი. ჩაიწერა მამია ფალავამ 2005 წელს), სოფელში დიდხანს ვერ გაჩერებულა დეკაცი, მხოლოდ „ერთი კვირა მოუთმენია“ და უთქვამს:

„– წიმიყვანე მშობლებისკო!“

კაცს მიუყვანია ტბასთან, დეკაცი ტბაში შესულა, კაცს „დუუნახავს, სისხლი ამოსულა, – დუუკლიან. ასე ილაპარაკებენ ძველები, ბერები“, – დასძინა მთქმელმა, 40 წლის ადემ ფოლადმა (შიოშვილი, 2020: 957).

ჭილათური ვარიანტიც (მთქმელი ჰურიე დუმანი, 34 წლის. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წელს), დეკაცს ტბაში ჩასვლა მოსდომებია, წასულან და ქმრისთვის უთქვამს:

„– მე გოლში'ნა ჩევდე; თუ გამოალ, ერთპირა წავალთ, თუ ვერ გამოალ, მიხდი ქი, მამაკვდინეს; სისხლი გოლში მოვა, შენ წახვალ“.

დეკაცი ჩასულა ტბაში. მალე იქიდან სისხლი გამოსულა. მიმხვდარა კაცი, რომ მისი ცოლი მოკლეს და ტირილით გამოზრუნებულა. მთქმელის განმარტებით, ტბაში მყოფმა ნათესავებმა („ახრაბებმა“) და მამამ მოკლეს დეკაცი. „...მისი ბაბაჲ, ალაჲ – ყველა ყოფილა და მაკვდინეს“ – (შიოშვილი, 2020: 957).

დევთისური ვარიანტის თანახმად (მთქმელი შენგულ სონმესი, 40 წლის. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წელს), შვიდი წლის თანაცხოვრების შემდეგ „...ფერსა უხონნია, მუყყვანია იქა, გოლზე (ლომბითჰად გოლზე), და უთქმია:

– მე შიგან უნდა ჩევდეო, გოლშიო! სისხლი თუ გამეფდა თაფდან, მიხდი ქი, დამკლესო.

გუუშვა სისხლი – დეკაცი დუუკლიან, რატომ გაგვაგდო და ინსანის უკან რატომ წევდაო“ (შიოშვილი, 2020: 957).

ქონობნური ვარიანტის მიხედვით (მთქმელი აინურ ქანთაროლლუ, 39 წლის, მცხოვრები ქონობანში, სოფელ ხევას უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წელს), დეკაცს ქმრისთვის უთქვამს:

„– წევდეთ, მე გოლში ჩევდე'ნაო; თუ მიმიკრიან, შენც წამოდიო; თუ სისხლი წომოფდა, არ ჩომოხვიდეო, თუ არ წომოფდა, ჩომოდიო!“

ჩასულა დეკაცი ტბაში და მალე სისხლიც წამოსულა, „წყალის შიგან ფერის ანაფ, ალაფ ყაბულ არ უქნიან და დუუკლიან. კაცი უკან წომოსულა“ (შიოშვილი, 2020: 955).

როგორც აღვნიშნეთ, მართალია, ტაოური მითის ფერი ქალი დაკარგულ (მოპარულ) სავარცხელს ფაქტობრივად აღარ ეძებს და ერთგვარად მოშინაურდება კიდეც (ცოლობას უწევს სოფლის მამაკაცს და შვილებსაც უჩენს), მაგრამ თავისი ბუნებითი სამყოფელი, იგივე მშობლის წიაღი, მაინც ენატრება და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კაცს სთხოვს, ტბასთან მიიყვანოს. დეკაცმა იცის, რომ მისიანები დასჯიან, რაგანაც მან ისინი მიატოვა და ადამიანს გაჰყვა; ასეც მოხდა, ფერი დაკლეს („რატომ დაგვაგდო და ინსანის უკან რატომ წევდაო“; „ძმებ დუუკლიან, რატომ წახველიო“).

ტბაში ჩასვლის წინ ფერი ქალი აფრთხილებს კაცს, რომ ცოტა ხანს მოიცადოს, თუ ტბიდან სისხლი არ ამოვა, ეს იმი-

სი ნიშანი იქნება, რომ ტბის ბინადარმა მისიანებმა აპატიეს დანაშაული (ადამიანთან კავშირი) და მაშინ კაცსაც შეეძლება, ჩავიდეს მასთან („...თუ მიმიკრიან (მიმილებენ – თ. შ.), შენც წომოდიო, თუ სისხლი წომოდა, არ ჩომოხვიდეო!“).

ამ ეპიზოდიდანაც ჩანს, რომ ფერი ქალი (დეკაცი) თავად არაფერს ერჩის ადამიანს, პირიქით – ზრუნავს კიდეც მის უსაფრთხოებაზე; სოფლიდან წასვლის წინ მას არ ამოძრავებს შურისძიება, როგორც ზოგადქართულ ვარიანტთა ფერებისათვის არის დამახასიათებელი (ოჯახის დაწყევლა, შვილების დახოცვა); იგი თავად გახდა საკუთარი ოჯახის წევრთა მსხვერპლი, რაკი თავის ბუნებას უღალატა და ადამიანის მეუღლე გახდა. ამდენად, ჩვენეულ მოსაზრებას, რომ ტაოს მითოსის პერსონაჟი დეკაცი (ფერი ქალი) ბოლომდე დეგრატირებული, ანუ დემონიზებული, ჯერ კიდევ არ არის, ეს გარემოებაც უჭერს მხარს, თუმცა ამგვარნი (ბოროტნი, შურისმაძიებელნი) არიან წყლის სიღრმეში (ტბაში) მობინადრე ფერი ქალის (დეკაცის) ოჯახის წევრები.

ტაოს მითოსში თავჩენილი მოტივი წყლის ქალთან ადამიანის ქორწინებისა, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადკავკასიურია; გარდა წყლის განმასახიერებელი ღვთაებების შესახებ არსებული მითოსური ნარატივებისა, ამ მოტივით ჩვენებურთა მითოსური პერსონაჟი დეკაცი, იგივე ფერი, ენათესავენა, აგრეთვე, ეგრეთწოდებულ „მოთვინიერებულ“ ავსულებს (ეშმა, ჭინკა), განსაკუთრებით კი – ქაჯავეთური მითოსის პერსონაჟებს – ქაჯეთიდან წამოყვანილ ქალებს – თებჭორიკასა და სამძივარს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოსის პერსონაჟებიც – თებჭორიკა და სამძივარი – მშვენიერი ქალები არიან; ისინიც, ფერი ქალის მსგავსად, ცოლებად მიჰყვებიან

სოფლის კაცებს, ოჯახურ საქმეებსაც წარმატებით ართმევენ თავს, მაგრამ მათ შორის ცოლქმრული ურთიერთობა არ მყარდება; თუ კაცი მათთან სიახლოვეს მოინდომებს, ისინი უმალ ქრებიან, უჩინარდებიან.

სამძივარი, რომელიც, ქაჯავეთიდან წამოყვანილი (თუ დახსნილი) სხვა ქალების მსგავსად, მაქციერაა, მოჩვენებით ცოლობასა და რძლობას ეწევა; თავისი ქაჯური ბუნების წყალობით (მას ძალუძს, გაახვავრიელოს ოჯახი, ბარაქა მოიგანოს), სოფლელი ქალის სახელსაც დაირქმევს, მაგრამ ცოლობის განევა არ შეუძლია, ეს მის ბუნებას აღემატება და უკვირს კიდევაც, რატომ ითხოვენ მისგან ცოლის ფუნქციის შესრულებას:

აბულეთაურთ ციხეშიაო  
მედგეს ლოგინნი ჩარდახშიაო; –  
აბულეთაურთ ხოლიგამაო  
ქალი საცოლედ მამინდომაო!

(ქ. ხ. პ., 1972: 105)

ტაოს მითოსის პერსონაჟი დეკაციც „მორჯულებულია“; სავარცხლის დაკარგვით, (რაც, მითოლოგიური სიმბოლიკის თანახმად, მისი არსებობის, სასიცოცხლო ძალების განსახიერებაა) იგი კარგავს ზებუნებრივ (ღვთაებრივ) უნარს, რასაც მისიანები არ პატიობენ; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ ტაოურ ვარიანტს (შიოშვილი, 2020: 917) შემოუნახავს ცნობა იმის თაობაზე, რომ დეკაცი (ფერი) ჩვეულებრივი მეუღლე არ არის სოფლელი კაცისათვის, ის „ბევრი ცივია“: „...ეფეფჯა ერთგან ყოფილან, ამა გოგოჲ ბევრი ცივი ყოფილა; ღამე, დანოლიხან, ბევრი ცივი ყოფილა“, – გვამცნობს 65

წლის ელიასხვეველი შევექი თოფჩუ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 27 ივლისს). ტაოს მითოსში შემონახული ამ თვისებებითაც კარგად ჩანს, რომ ფერი ქალი, ანუ დეკაცი, წყლის განმასახიერებელი სტიქიის ზოგადქართული მითოსური პერსონაჟების საერთო ოჯახის წევრია.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ხალხის მითოსი, როგორც ყველაზე უფრო გულმართალი ნარატივი, სადაც, ზღაპრისაგან განსხვავებით, შეგნებული ტყუილი გამორიცხებულია, დედამინაზე ყოველთვის ტოვებს კვალს, რაც უმთავრესად ტოპონიმებში აისახება; პროფესიონალი მთქმელი მითოსის გმირის სამოქმედო არეალს მისი თალსანხიერის შესაბამისად მოიზარებს. ტაოს მითოსის ფერი ქალის (დეკაციის) ადგილსამყოფელიც ტაოში არსებული გეოგრაფიული ადგილებია: „ფერილი გოლი“, „ლომბითხაე გოლი“, „დუგურითავი“, „ინტკორის დაილა“, „ჩვენი ქოდადამ კაც მუუპარია“ და ა. შ. ამ თავალსაზრისითაც ტაოური მითოსი დეკაცზე, იგივე ფერი ქალზე, საერთოქართული, საერთოკავკასიური და ზოგადკავკასიური მითოსური აზროვნების ნიმუშია.

ტაოს მითოსური ნარატივების ერთი ნაწილის მიხედვით, დეკაციის, ანუ ფერი ქალის, არქაული მითოსურ-ღვთაებრივი სახე კიდევ უფრო ნათლად არის წარმოჩენილი: დეკაცი ხედავს ისეთ მოვლენებს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავნი ვერ ამჩნევენ; ქონობნური ვარიანტით, ფერი, რომელსაც კაცმა სავარცხელი მოპარა, აედევნა მას, სოფელში ჩამოყვა, ცოლად დაუჯდა და შვილებიც გაუჩინა. ერთ დღეს გარდაცვლილი დედამთილის ცხედარი მიჰქონდათ დასამარხავად. ფერს გაეცინა, ქმარს ეწყინა და უთხრა:

„— ჩემი ანაე მოკტაო, შენ გიგიხარდა და გეციციეო?!  
დეკაცმა სიცილის მიზეზი ამგვარად აუხსნა:

„– ...ერთხელაც დედამთილ მოზობელითვინ ჩარული მუუ-  
ცემია, ი ჩარული მიყვება უკნიდან, დევნახე და იმაზე გევეცი-  
ნეო“ (შიოშვილი, 2020: 954-955).

2018 წლის 29 ივლისს სოფელ იეთში 56 წლის ელიფა ოზი-  
ურთისაგან ჩანერილი ვარიანტის თანახმად, სოფელ ქობაში  
მცხოვრებ ფირიან პაპას, რომელიც ტბის პირას ფურებს აბა-  
ლახებდა, ტბის ქალისათვის („ბგანოსათვის“) სავარცხელი  
მოუპარავს; „ი ბგანო იმ ტარილი ბარზე უკნიდან ჩომოსულა  
ქობაჲ ქოჲში. ი ტარალი ქი დედეს არ მუუცემია; იმი ტარალი  
ბარზე გათხოვილა იმი უკან“ და შვილებიც გაუჩენია. ერთ  
დღესაც დედამთილი მომკვდარა და დაკრძალვისას რძალს  
გაუცინია. ქმარმა უსაყვედურა:

„– ჩემ ანა უკნიდან რაზე გევეცინეო?“

ცოლს აუხსნია, რომ დედამისს სიცოცხლეში სათანადო  
მადლი არ უკეთებია, მხოლოდ ერთი გაცვეთილი ქალამანი  
გაუჩუქებია და სამადლოდ ის მიჰყვებო:

„– შენ ანასა იმდენი ეღლუგი არ უქნია, ვინმესთვის არ მუ-  
უცემია, ი ჩარული – ერთი დამპალი, გახველი, მიყოლია მა-  
რტო და იმი ბარზე ვიცინიო“.

მთქმელი ხაზს უსვამს, რომ ამ უჩულო მოვლენას მხო-  
ლოდ ტბის ფერი ქალი („ბგანო“) ხედავს: „მარტო ი ფერი გო-  
გოს დუუნახია ჩარული“ (შიოშვილი, 2020: 955).

სოფელ ბალხში („ბალჯილი“) მცხოვრები 60 წლის ჰევა  
ქორუქისაგან 2017 წლის 29 ივლისს ჩვენ მიერ ჩანერილი ნა-  
რატივი ფერის, ანუ დეკაციის, გენეზისს არ იცნობს, თუმცა  
მასში გვხვდება ტაბუს დარღვევის არქაული მოტივი. ამ ვა-  
რიანტით თხრობა იწყება უშუალოდ ოჯახური გარემოს აღ-  
წერით; „კაცი და დეკაცი და დედამთილი ყოფილა...“ დედა-  
მთილს თავის სიცოცხლეში ერთადერთი მოწყალება გაუღია,

ერთი ნაჭერი პური გაუჩუქებია. დედამთილი მომკვდარა და გასვენებისას რძალს გაუცინია. ქმარს საყვედური უთქვამს:

„– ჩემ ანა უკნიდამ რაზე გეცინო?!“

ქალს უთხოვია, არ მათქმევინო მიზეზიო:

„– ...არ გამამჟღავნებინო, თორემ ჩემიდან ხელ გეარცხავო!“

კაცს ძალა დაუტანებია და ქალსაც გაუმხელია სიცილის მიზეზი:

„– შენ ანასაო ომრი უქამიო, ერთი დილიმი პური ხეარი უქნიაო; ეს ერთი დილიმი პური იმი უკნებენი მიყვებაო, იმ ბარზე გეცინო“.

ეს რომ უთქვამს, დეკაცი მომკვდარა (შოიშვილი, 2020: 956).

ბალხური ვარიანტის ფერი ქალიც (დეკაცი) ზებუნებრივი უნარის მქონეა (ხედავს იმას, რაც მომაკვდავთათვის მიუწვდომელია), თუმცა, ეს უნარი ტაბუირებულია და ტაბუს დარღვევას მისი სიკვდილი მოსდევს.

ამრიგად, ტაოს ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში შემორჩენილი მითოსური პერსონაჟი – ნყლის ქალღვთაება „ფერი“, ანუ „დეკაცი“, საქართველოს სხვა კუთხეთა მითოსურ ნარატივებში დადასტურებული ნყლის ქალღვთაებისაგან განსხვავებით, ბოლომდე დემონიზებული არ არის, შემორჩენილი აქვს ღვთაებრივი ნიშნები, რაც მას კიდევ უფრო მეტი არქაულობის სტატუსს ანიჭებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ქართული მითოლოგიის კვლევაში.

### 3. „ამირანიანის“ მითოსური კვალი

ქართული ხალხური მითოსური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი არქაული ნიმუშია „ამირანიანი“, რომლის ვარიანტებსაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი იცნობს. „ამირანიანის“ ჩანაწერები საკმაოდ გვიანდელია – არა უადრეს XIX საუკუნის 60-იანი წლებისა, თუმცა მომდევნო წლებში დაფიქსირებულია ასეულობით ვარიანტი, რომლებიც ორ ძირითად ვერსიაში (კოლხური და იბერიულ-კავკასიური) ერთიანდებიან.

ამირანის ეპოსმა განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, გამოიარა სხვადასხვა რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელთა დანაშრევეები ტექსტებში ბოლო დრომდე შემორჩა. მისი ძირითადი ვარიანტები არსებობს თხრობითი ტექსტის სახით, რომელშიც ალაგ-ალაგ ლექსითი ნაწილებია ჩართული. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არ მოგვეპოვება ერთი მყარი კანონიკური პროზაული ტექსტი; ძნელია, დავადასტუროთ ერთი და იმავე ეპიზოდის ორი იდენტური ჩანაწერი; მდგრადია მხოლოდ ლექსითი ნაწილები, მცირეოდენი ვარიანტული ცვლილებებით. ამათგან ლექსი დასაწყისით „...სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისსნი“... უკვე ჩამოყალიბებული, ტიპური ხალხური სამონადირო ბალადაა, თუმცა გენეტიკურად ის „ამირანიანის“ ნაწილს წარმოადგენს და, „ამირანიანის“ პროზაული ნაწილის დარად, საქართველოს ბევრ რეგიონში არის გავრცელებული. ისიც აღსანიშნავია, რომ ეპოსის გადამწყვეტი ეპიზოდები არ არის გადმოცემული ლექსად; ლექსითი ფრაგმენტები კი ეპიზოდური ხასიათისაა.



სავსებით სწორად აღნიშნა პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ, რომ არ მოიძებნება ჩანაწერი, რომელიც თანამიმდევრულად მოიცავდეს ამირანის თავგადასავლის ყველა შესაძლებელ ეპიზოდს, რაც განპირობებული უნდა იყოს არა თქმულების თავდაპირველი ფრაგმენტულობით, არამედ – ალაგ-ალაგ ტრადიციული ეპიკური ხსოვნის გამკრთალებით. ეჭვი არ არის, რომ ეპიზოდები იმთავითვე ერთიან ეპიკურ დროში იქნებოდა ჩართული; „ამირანიანის“ თავდაპირველ მთლიანობასა და მონოლითურობას, სხვა ნიშნებთან ერთად, მისი დასაწყისი და დასასრულიც მოწმობს (კიკნაძე, 2001: 11; კიკნაძე, 2008: 116).

„ამირანიანის“ ფოლკლორული ჩანაწერების პირველი გამოცემა და მისი მონოგრაფიული შესწავლა ეკუთვნის პროფესორ მიხეილ ჩიქოვანს (ჩიქოვანი, 1947); მან თავი მოუყარა იმხანად ხელმისაწვდომ, მეტ-ნაკლებად ღირებულ, ფოლკლორულ ტექსტებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან (ქართლი, კახეთი, ფშავი, მესხეთ-ჯავახეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი, მთიულეთი, გურია, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, ოსეთი) – სულ 69 ტექსტს, თუმცა ეპოსის ჩანწერთა რაოდენობამ შემდგომი წლებისათვის საკმაოდ მოიმატა და უკვე ასეულობით ვარიანტებს მოიცავს, მაგრამ „ამირანიანის“ კვლევისას პროფესორი ზურაბ კიკნაძე ეყრდნობა ზემოხსენებულ 1947 წლის გამოცემას. 70-იან წლებში დაისტამბა პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის ფუნდამენტური მონოგრაფიის – „ქართული ეპოსი“ – ორი ტომი (ტომი I – 1965 წ., ტომი II – 1969 წ.); მასში ჩვენი ერის ერთ-ერთი კულტურული სიამაყე – „ამირანიანი“ განხილულია როგორც საგმირო-მითოლოგიური ეპოსი, რასაც თავად ავტორისეული წინასიტყვაობა და კვლევაც ადასტურებს. მი-

უხედავად ამისა, „ამირანიანის“ შესახებ ფოლკლორისტიკაში გამოთქმულია სხვაგვარი შეხედულებაც ამ ნარატივის ტიპსა თუ ფორმაციაზე; ცხადია, „ამირანიანი“ არ არის ისტორიული ეპოსი; ზურაბ კიკნაძის მიერ 2001 წელს გამოთქმულია მოსაზრება, რომ მასში ვერ აღმოვაჩინებთ ვერც ერთ ისტორიულ რეალიას, ვერც რომელიმე ისტორიული ეპოქისა და ისტორიული ადგილის კვალს; რომ მისი გმირების ასპარეზი განუსაზღვრელია; რომ არაფერს გვეუბნება არც „ბალხი“, „ბალხეთი“ თუ „ჩაბალხეთი“, არც „ალგეთი“, რომელიც მკვლევარს ეპოსში წარმოჩენილ ერთადერთ ქართულ ტოპონიმად მიაჩნია.

მითოსის ყველა მკვლევარი, ჩვენშიც და უცხოეთშიც, ცალსახად მიიჩნევს (რა თქმა უნდა, თავად მითოსურ ნარატივებზე დაყრდნობით), რომ მითოსური მსოფლგაგება და მისით ნასაზრდოები თხრობა ძალზე შორს არის სიცრუისაგან, რადგანაც იგი ეყრდნობა მითოსშემოქმედებითი ეპოქის კოლექტიური აზროვნების დონეს; ამდენად, მითოლოგიური ტექსტები, რამდენადაც მათში გადმოცემული ამბავი ამა თუ იმ ლოკალში ხდება, უხვად შეიცავენ ამავე გარემოს გეოგრაფიისა და სოციალური ყოფისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ელემენტებს მათი შექმნისა თუ ევოლუციის მთლიან ქრილში. ეროვნულ ფოლკლორისტიკაში „ამირანიანის“ ადგილის განსაზღვრისას, როგორც აღვნიშნეთ, პროფესორი ზურაბ კიკნაძე „ამირანიანის“ ვარიანტებში თავჩენილ ტოპონიმთაგან ქართულად, და თანაც – ერთადერთად, მიიჩნევს „ალგეთს“, რომელსაც იცნობს 'ამირანიანის' ერთ-ერთი ლექსითი ფრაგმენტი, რომელიც სამონადირო ბალადათა კუთვნილებაა, თუმცა, ბუნებრივია, გენეტიკურად ეპოსის ნაწილია:

სანადიროდ წამოვიდნენ  
ამირან და ძმანი მისნი;  
გადაიარეს ცხრა მთანი,  
მეათენი **ალგეთისნი**.

(ქ. ხ. ს. ქრესტ., 1970: 97)

ტოპონიმი „ალგეთი“ მოიხსენიება ქართულ ფოლკლორში  
ძალზე პოპულარულ საგმირო ლექსშიც:

კიდევაც დაიზრდებიან  
**ალგეთს** ლექვები მგლისანი,  
ისე არ ამოსწყდებიან,  
ჯავრი შეჭამონ მტრისანი.

(ქ. ხ. ს. ქრესტ., 1970: 207)

ამგვარი ოპტიმიზმი და იმედი, რომ კიდევ დაიზრდებიან  
გმირები, უცილობლად შენობს ადრე გაზრდილ „მგლის ლე-  
კვის“ პარადიგმაზე და ეს არეალი ალგეთად რომ მოიხსენიე-  
ბა, ჩვენი ღრმა რწმენით, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამაზე  
თავის დროზე მიხეილ ჩიქოვანმაც გაამახვილა ყურადღება  
(ჩიქოვანი, 1965: 117).

საყურადღებოა ისიც, რომ არქაული ეპიკური ძეგლის პერ-  
სონაჟთა საკუთარი სახელების წარმომავლობაც არაქართუ-  
ლია, რაზედაც საგანგებოდ მიუთითებს ზ. კიკნაძე და აღ-  
ნიშნავს, რომ სახელები: ბადრი, უსუპი, ყამარი არაბულ-სპა-  
რსული წარმოშობისაა. არ ვიცით, რა ერქვა მთავარ გმირს,  
სანამ მას ამირანი დაერქმეოდა; გმირის ეს სახელი მკვლევარ-  
ს უფრო გვიანდელად მიაჩნია, ვიდრე მოსე ხონელის საგმი-  
რო-სათავგადასავლო ეპოსისეული „ამირან დარეჯანის ძე“,

რომლის სპარსული წარმოშობა კარგა ხნის გამოკვლეულია და ეჭვს არ უნდა იწვევდეს: „ამირ ანდარე ჯეჰან“ ნიშნავს: „ამირი ქვეყნიერებაზე“, ისევე როგორც „ნესტ ანდარე ჯეჰან“ ნიშნავს: „არ არის (მისი მსგავსი) ქვეყნიერებაზე“. ამგვარი დასკვნის საფუძველს ისიც იძლევა, რომ „ამირანდარეჯანიანი“ მთავარი გმირი არასოდეს მოიხსენიება როგორც „ამირანი“: ხალხურმა ტრადიციამ მონყვიტა იგი კომპოზიტს და დამოუკიდებელ ანდრონიმად აქცია, რაც, მკვლევრის აზრით, დღემდე გრძელდება (კიკნაძე, 2008: 17).

ყოველივე ამის გამო პროფესორი ზურაბ კიკნაძე „ამირანიანი“, სამწუხაროდ, ვერ უძებნის ადგილს ქართულ მითოსურ სისტემაში, თუმცა აღნიშნავს, რომ „ამირანიანის“ ქრონოტოპოსი ზღაპრულ დროსა და სივრცეს მოგვაგონებს, მაგრამ „ამირანიანი“ ზღაპარი არ არის და, როგორც მიუთითებს, მისი ტრაგიკული დასასრული აუქმებს მის ზღაპრულობას; თუმცა, აქვე დასძენს, რომ „ამირანიანი“ არც მითოლოგიური ეპოსია, „სწორედ მისი ასპარეზის განუსაზღვრელი ქრონოტოპიურობის გამო. მითოსი, როგორც წესი, „მიბმულია“ განსაზღვრულ სივრცესა და დროზე. სივრცე მითოსში ტოპონიმიზებულია, დრო – წინარეწარსული, რომელიც ებმის ისტორიულ დროს“. შეუძლებელია, ამგვარ დასკვნას არ დავეთანხმოთ, თუმცა, გაუგებარია, რატომ მოიაზრებს მკვლევარი „ამირანიანს“ მისი მშობელი ხალხის სივრცულ-დროული ფენომენის გარეთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყოველთაო ჭეშმარიტებაა (და თავად ბატონი ზურაბიც არ უარყოფს), რომ ყოველი მითოსური ნარატივი, მართლაც, ამა თუ იმ კონკრეტულ ლოკალში მოიაზრება და მჭიდროდ უკავშირდება სივრცეს, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ მისი გმირები. ასე წარმოიდგინება ეს პრობლემა მსოფლიოს ყვე-

ლა უძველესი ქვეყნის მითოლოგიაში და, ბუნებრივია, არც ქართული მითოსური მსოფლმხედველობაა გამონაკლისი, რაც დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, სვანეთის, სამეგრელოსა თუ აჭარის მითოსურ ნარატივებში. ამ თვალსაზრისით სრულიად ტრადიციულად გვესახება არქაული მითოსური ეპოსი იმ გმირის შესახებ, რომელიც დედათა გვარზე დაფუძნებული სოციუმის პროდუქტია – ქალღვთაების, იგივე ნადირთპატრონი დალისა, და ასევე არქაული ღვთაების – სულკალმახის (კალმახის სული) პირმშოა. ვფიქრობ, არადამაჯერებელია პროფესორ ზურაბ კიკნაძისეული ინტერპრეტირება ტოპონიმების – „ბალხი“, „ბალხეთი“, „ჩაბალხეთი“, რომლებსაც მკვლევარი არაქართულად მიიჩნევს და ერთადერთ ქართული ადგილის სახელად „ალგეთს“ მოიხსენიებს.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: თავის დროზე სრულიად სამართლიანად მიუთითა პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა, რომ არცერთი გეოგრაფიული სახელი ხალხურ თქმულებაში შემთხვევითი არ არის (ჩიქოვანი, 1959: 356). საფიქრებელია, რომ არც „ჩაბალხეთი“, „ბალხეთი“ და „ბალხი“ იქნებოდა შესატყვისი გეოგრაფიული ადგილის გარეშე მოხსენიებული „ამირანიანში“. „ჩაბალხეთი“ („ბალხეთი“) როგორც ტოპონიმი, ეპოსის სხვადასხვა ვარიანტებშია ნახსენები:

ბადრი, უსუპი, ამირან,  
ობლები მოვიზარდენით;  
დევების დაშინებულნი,  
**ჩაბალხეთს** ჩავიყარენით.

(ჩიქოვანი, 1965: 117)

ფშაური ვარიანტის თანახმადაც უკვე წამოზრდილი ძმები სწორედ ჩაბალხეთში შეიყრებიან:

სამნი ჩვენ, სამნი დევები  
**ჩაბალხეთს** ჩავიყარენით.

(ქ. ხ. ს. ქრესტ., 1970: 97)

ერთ-ერთ ხევესურულ ვარიანტში ეს გეოგრაფიული ადგილი **„საბალხეთად“** მოიხსენიება: „ამირან ჩავა საბალხეთ“ (ჩიქოვანი, 1965: 118).

„ამირანიანის“ ერთ-ერთ რაჭულ ვარიანტში ნათქვამია, რომ „ირმის კვალი **ბალხეთ მინდორში** ჩაგვიძღვაო“ (ჩიქოვანი, 1965: 118).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ **„ჩაბალხეთის“** ალტერნატიულ ფორმად გვხვდება **„მოლხეთი“** და **„ჩაგმახეთი“**. რაჭაში, სოფელ უწერაში, 1943 წელს დაფიქსირებულ ვარიანტში ნათქვამია:

„...ამიძღვა და ჩამიძღვა –  
**მოლხეთ** მინდორ ქვეყანასა“

(ჩიქოვანი, 1965: 118)

ლექსში „მოლხეთი“ ორჯერ იხსენიება.

ერთ-ერთი კახური ვარიანტის თანახმად კი დევისაგან შენებულმა ძმებმა **„ჩაგმახეთს“** შეაფარეს თავი:

დევისგან დაშინებულნი  
**ჩაგმახეთ** ჩავიყარენით.

(ჩიქოვანი, 1965: 118)

გასული საუკუნის 60-იან წლებში „ამირანიანის“ პრობლემისადმი მიძღვნილ ორტომიან მონოგრაფიაში მიხეილ ჩიქოვანმა „მოლხეთ“ – „ბალხეთი“ და „ჩაბალხეთ“ – „ჩაგმახეთი“ ალიტერაციულ სახელმონაცველების ნიმუშებად მიიჩნია (ჩიქოვანი, 1965: 119).

როგორც ვხედავთ, პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი იმთავითვე დაინტერესდა ეპოსში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელით, მისი წარმომავლობით და გამოთქვა მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს „ამირანდარეჯანიანის“ გავლენასთან, სადაც „ბალხეთი“ ქვეყნის აღმნიშვნელი სახელია, „ბალხი“ კი – ეთნიკური წარმომავლობისა; „ჩაბალხეთზე“ კი, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად მიუთითა, რომ იგი არ უნდა იყოს ლიტერატურული გავლენის ნაყოფი და იქვე დასძინა, რომ „თუ ხალხურ გადმოცემას დაეუკვირდებით, ვნახავთ, რომ ამირანის სამოქმედო ასპარეზი ძალიან იშვიათად სცილდება საქართველოს ფარგლებს; მის შესაბამისად „ჩაბალხეთის“ პროტოტიპიც საქართველოში უნდა ვეძიოთ“. იმ დროისათვის მკვლევარი, რომელსაც ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ავტორიტეტულ და ცნობილ ამირანოლოგად მოიხსენიებდნენ, ფიქრობდა, რომ „ჩაბალხეთის“ ამოსავალი არის ტოპონიმი „ჩაბარუხეთი“, რომელიც ლიახვის ხეობაში მდებარეობს (ჩიქოვანი, 1959: 361). ამდენად, პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი ამ ტოპონიმს საქართველოს ფარგლებში ეძიებდა.

საყურადღებოა ისიც, რომ „ამირანდარეჯანიანში“, რომელიც, მკვლევართა უმეტესობის თანახმად, ხალხური „ამირანიანის“ სიუჟეტზეა აგებული, გვხვდება ტოპონიმი „ბალხეთი“: ინდოეთის მეფის – აბესალომის წარგზავნილებმა, რომლებიც ამირან დარეჯანის-ძის და სხვა ჭაბუკთა კვალს

დაექდნენ, დიდი ხნის ძეგლის შემდეგ „ბალხეთის კერძო“ იპოვეს კედელზე გამოხატული ერთ-ერთი ჭაბუკთაგანი – უკვე მოხუცებული სავარსამის-ძე“ (კეკელიძე, ბარამიძე, 1969: 187).

ბოლოდროინდელმა საველე-ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარმა თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ისტორიულ საქართველოში, კერძოდ კი ტაოში, კიდევ უფრო განამტკიცა პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ამირანიანი“ მოხსენიებული ტოპონიმები ჩვენსავე ქვეყანაშია დასაძებნი. ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია პროფესორ მამია ფალავას ნაშრომი „ჩაბალხეთის ლოკალიზაციისათვის“ (ფალავა, 2004: 182-185) და თინა შიოშვილისა და მამია ფალავას ერთობლივი ნაშრომი „ამირანიანის ნაკვალევი ტაოს ტოპონიმოკაში“ (ფალავა..., 2017: 341-349), რომლებითაც, ტაოში დაფიქსირებულ მასალებზე დაყრდნობით, მტკიცდება პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ამირანიანის“ გეოგრაფია ქართულია, თუმცა, მას ეს ადგილი ლიხვის ხეობაში ეგულებოდა (იმ დროს ხომ ოცნებაც კი შეუძლებელი იყო სარფსიქითა ისტორიულ საქართველოში მასალის მოძიებაზე).

ტაოს ტოპონიმოკური კვლევის შედეგად ცხადი ხდება, რომ **„ჩაბალხეთის“** პროტოტიპი, მართლაც, არის ტაოში, მდინარე პარხლისწყლის ხეობაში: დღევანდელი იუსუფელიდან დაახლოებით 25 კმ-ზე მდებარე მოზრდილი სოფლის სახელწოდებაა **„ბალხი“**, ხოლო იქვეა მისი უბნები: **„დიდი ბალხი“**, **„პატარა ბალხი“** და **„ბალხიბარი“**. ეს სოფელი ამჟამადაც ქართველებით არის დასახლებული; დამონმებულია, აგრეთვე, ტოპონიმები **„ქაჯიკარი“** და **„კალმახეთი“**.



მოსაზრებას, რომ ტაოური ტოპონიმი „ბალხი“ სწორედ ის გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს, რაც „ამირანიანის“ ვარიანტებში მოიხსენიება, მხარს უჭერს და ამაგრებს „ამირანიანის“ ერთ-ერთ გურულ ვარიანტში („კალმახელა“) ნათქვამი: „ჭოროხის პირიდან სვანეთის მთებამდის სამ დღეში შეუსვენებლად გაიარა გზა (ამირანმა – თ. შ.). მას თან იესო ქრისტე და სამას სამოცდახუთი მჭედელი მიყვებოდა ცხენებით...“ (რეხვიაშვილი, 1964: 238). თქმულების თანახმად, ჭოროხის ხეობა მეტალურგიის კერაა (რაც ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა) და ამირანმაც სწორედ იქ გაჭედა ჯაჭვი, რომლითაც შემდეგ ქრისტე ღმერთმა მიაჯაჭვა იგი სვანეთის მთებში. ამდენად, ჩვენი დასკვნით, ამირანის მოქმედების არეალი ჭოროხის აუზიცაა, რის გამოც ჭოროხის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მოვიაზრებთ ამირანის ნაკვალევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკაც (ქების ლექს-სიმღერები) იცნობს ტოპონიმ „ჩაბალხეთს“. ერთ ფშაურ ლექსში (ჩანერილია თიანეთში) ნათქვამია:

**ჩაბალხეთით** გადვიხედე,  
წარბი წვრილად გადგეხარა,  
წარბის გრილო პირზე გადგა,  
თმა ნისლებურ გადგეყარა.  
ერთი კიდევ შამამხედე,  
შენი ჭირი შამეყარა!

(ქ.ხ.პ., 1978: 51)

თუ ლექსის შინაარსს კარგად გავიაზრებთ, ჩაბალხეთი მაღალი ადგილია (იქნებ – მთაც).

ამდენად, ერთის მხრივ თავის დროზე პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მიერ მითითებული ლიხავის ხეობის ტოპონიმი **„ჩაბარუხეთი“**, მეორეს მხრივ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციების დროს ტაოში, პარხლისწყლის ხეობაში, დადასტურებული ტოპონიმები: **„დიდი ბალხი“**, **„პატარა ბალხი“**, **„ბალხიბარი“** და **„ქაჯიკარი“** და უტავის ხეობაში დაფიქსირებული **„კალმახეთი“**, რომელიც კალმახის (თევზის) საცხოვრის ადნიშნავს, მესამეს მხრივ კი ფშაური ლექსის **„ჩაბალხეთი“** პარალელს პოულობს ამირანის ეპოსის ტოპონიმთან: **„ჩაბალხეთი“**, **„ბალხეთი“**, **„ბალხი“**, **„მოლხეთი“**, **„ჩაგმახეთი“**. თუ ეს მოსაზრებანი მისაღებია, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება და ეპიკური ტრადიციაც აღარ ირღვევა: გმირს (ამ შემთხვევაში ამირანს) ნამდვილად აქვს განსაზღვრული ასპარეზი იმ ტომის ფარგლებში, სადაც უნდა შექმნილიყო მისი თავგადასავლის შემცველი არქაული სიუჟეტი; ეს ასპარეზი კი უსათუოდ ჭროხის აუზიც არის, კერძოდ კი – ისტორიული ტაოს მიდამოები, სადაც ამირანის ნაკვალევზე დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები მიუთითებენ. ამდენად, პროფესორ ზურაბ კიკნაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ამირანიანში“ ერთადერთი ქართული ტოპონიმი ალგეთია, ბათილდება, რითაც მდიდრდება, ფართოვდება ამირანის სამოქმედო არეალი და ქართული მითოსური აზროვნების ეს არქაული ნიმუში, რომელმაც, ვიდრე ჩვენს დრომდე მოაღწევდა, ბუნებრივია, მრავალი სახეცვლილება განიცადა, თავის კუთვნილ ადგილს იმკვიდრებს ეროვნული ზეპირსიტყვიერების საგანძურში, მის ერთიან მითოსურ სისტემაში.

ამრიგად, ისტორიული ქართული რეგიონის – ტაოს ტოპონიმიკურმა რეალობამ ცხადი გახადა: 1. „ამირანიანში“ სუ-

ლაც არ არის დარღვეული ეპიკური ტრადიცია; 2. მითოსურ გმირს ნამდვილად აქვს ასპარეზი თავისსავე სოციუმში; 3. ალგეთი არ არის „ამირანიანის“ ერთადერთი ქართული ტოპონიმი, რამდენადაც საქართველოს ისტორიულ რეგიონში – ტაოში დღემდეა შემორჩენილი ქართული ტრადიციული ბალხის თემი თავისი უბნებით (დიდი ბალხი, პატარა ბალხი, ბალხიბარი); ტაოშივე დასტურდება ტოპონიმები „ქაჯიკარი“ და „კალმახეთი“; ეს გეოგრაფიული სახელებიც ჩვენი ეროვნული ეპოსის – „ამირანიანის“ გენეზისის პრობლემას უკავშირდება და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ მითოლოგიურ კვლევებში.

#### 4. დემონური პერსონაჟები

ტაოს ქართულენოვანი სოფლების მკვიდრთა ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა ხსოვნა ავი სულების, იგივე დემონების, შესახებ. ჩვენებურთა რწმენა-წარმოდგენებს დემონურ პერსონაჟებზე და მათთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებაზე გენეზისი, ბუნებრივია, ეძებნება არქაულ ხანაში, როცა, იმდროინდელ ადამიანთა მსოფლგაგებით, ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო „შინა“ (სადაც ადამიანი დაცულად გრძნობს თავს) და „გარე“ სამყარო (სადაც ყოველნაბიჯზე ჩასაფრებული იყო ხიფათი); როცა ადამიანთა შეხედულებანი გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე უხვად იყო გაჯერებული ანიმიზმით; როცა მტკიცედ სჯეროდათ სამყაროს ორი დასაბამიერი სანყისის – კეთილისა და ბოროტის – არსებობისა, რასაც მოსდევდა რწმენა ადამიანის მფარველი კეთილი ღვთაებებისა და ბოროტი დემონებისა.

დემონური პერსონაჟების სივრცე, არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, იყო გარეთ, ადამიანთა საცხოვრისის მიღმა, სადაც ადამიანს ხშირად უწევდა ყოფნა; „სწორედ აქ ელოდება საფრთხე ავსულების სახით, რომლებიც ტყე-ღრეში, ხეებსა და სხვა მიუვალ ადგილებში ბინადრობენ და ეტანებიან მარტო მიმავალ მგზავრს“ (სიხარულიძე, 2006: 151).

რწმენა ბოროტი სულების შესახებ საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული და ბოლო დრომდე მეტ-ნაკლებად შემონახული; ამ თვალსაზრისით იგივე ვითარება ფიქსირდება დღეს თურქეთის რესპუბლიკის იურისდიქციაში მოქცეული ისტორიული ქართული რეგიონის – ტაოს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც. ტაოელ ჩვენებურთა რწმენა-წარმოდგენებს დემონურ პერსონაჟებზე, არქაულ-ქართულ ტრადიციებთან ერთად, ხელი შეუწყო, აგრეთვე, მუსლიმურმა რელიგიამაც, რომლის აღმსარებლებიც არიან ისინი დღეს; ამ თვალსაზრისით ტაოელთა მსოფლმხედველობა ძალზე ახლოს არის შავშურ, კლარჯულ, აჭარულ და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების შეხედულებებთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ, როგორც ყველგან საქართველოში, და ზოგადად ყველა უძველესი კულტურის მქონე ხალხებში, ტაოს მითოსურმა სარჩულმაც ათწლეულთა და ასწლეულთა განმავლობაში განიცადა რღვევა და ოდესღაც ძლევამოსილი დარგობრივი ღვთაებანი ამ პროცესის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ: რწმენა-წარმოდგენები ზოგიერთი მათგანის შესახებ საერთოდ გაქრა ადამიანური მსოფლგაგების საწიერიდან, ზოგმა კი დემონიზაცია განიცადა და ტრადიციულ ბოროტ სულთა გალერეაში გადაინაცვლა. ერთ-ერთ მათგანზე, ფერზე, ანუ დეკაცზე, რომელსაც ტაოს ზეპირსიტყვიერებაში ჯერ კიდევ

არ განუცდია სრული დემითოლოგიზაცია და ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს არქაული ქალღვთაების ნიშნები, უკვე ვისაუბრეთ და, სათანადო ტაოური მითოსური ნარატივების მონაცემთა თანახმად, „შევუნარჩუნეთ“ წყლის განმასახიერებელი ქალღვთაების „სტატუსი“, თუმცა, საქართველოს სხვა კუთხეთა მითოსურ ნარატივებში თითქმის დასრულებულია ამ არქაული ღვთაების დემონიზაციის პროცესი.

ტაოელი გურჯების მითოსური სამყარო სავსეა ადამიანთა სავნებად ჩასაფრებული ჯაზებით, ჯინებით, შეითნებით და სხვა დემონური პერსონაჟებით, რომლებიც „შინა“ სამყაროდან გასულ ადამიანს, მათივე რწმენის თანახმად, ემტერებიან და ათასგვარ განსაცდელს უმზადებენ.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბასლეკარში მცხოვრები 55 წლის იაშარ ქეჩეჯის რწმენით, ჯაზი (არაბ. *cazi* – მისანი, გრძნეული, კუდიანი) მამაკაცია და ბავშვის გულს ჭამს. მისი წარმოდგენით, შეითანიც (არაბ. *Şeytan* – ეშმაკი, სატანა) კაცია, ის შეძვრება ხოლმე ადამიანის სხეულში და ლოცვას უშლის, რათა ადამიანი სამოთხეში („ჯენნეთში“) ვერ შევიდეს. შეითნის ავი ზრახვები ადამიანის მიმართ დილიდანვე იწყება, რათა დილის ლოცვაში („ნამაზი“) ხელი შეუშალოს, სანოლიდან წამოდგომის საშუალებას არ აძლევს: „– ჯაზი კაცია, ჯაზი ღენჯის გული შეჭამა. შეითანიც კაცია. შეითანი შუუძრება კაც და იტყვის, მოვკლათო. შეითანი ეტყვის:

„– არ ილოცოთ, ინსანი ჯენნეთში არ შევდესო!“

დილაჲ შეითანი არ აცლის, ნამაზი ილოცოს, იტყვის:

„– დანექით!“

იაშარ ქეჩეჯისეული რწმენის თანახმად, ჯაზები არნაგობით ადამიანის მსგავსნი არიან, მაგრამ კუდები აქვთ. მათი

კუდის შემჩნევა მცირე ასაკში (ყმანვილობისას) არის შესაძლებელი. თავად მთქმელი ირწმუნებოდა, რომ მას დაუნახავს, რადგანაც მისი მეზობელი იყო კუდიანი და ბავშვობაში ხედავდა მას:

„– ჯაზებ კუდი ქონებიან. ჯაზი ჩვენსავით ინსანია. დენჭობისას დედნახვიან, კუდი რო აქვთ. მე დიმიანახიან, ჩემი მოზობელი იყო კუდიანი, დენჭობაში დიმიანახია“.

იაშარ ქეჩეჯისეული ნარატივის თანახმად, დემონური პერსონაჟი ჯაზი ოჯახურად ცხოვრობს, მას ჰყავს ცოლიც („დეკაცი“), რომელსაც მის სხეულში ჩაბუდეული ეშმაკი („შედთანი“) უბრძანებს, რომ ბავშვის გული შეჭამოს და ისიც ასე იქცევა. იაშარ ქეჩეჯის რწმენით, ჯაზები ადამიანის გულს ჩვილობისას („ბლავანობიხან“) შეექცევიან:

„– ბლავანობიხან ჯაზი ინსნის გულ შეჭამს. დეკაციც ყავს, ისიც ჭამს. შედთანი ეუბნება, შეჭამეო და შეჭამს; რომ არ შეჭამოს, მისთინ კააა, მაღლი იგებს“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 30 ივლისს სოფელ ბასლეკარის უბანში – წითეველებში, სასტუმრო „მასისში“) – (შიოშვილი, 2020: 917).

სოფელ სადგიყანელი მთქმელის – 59 წლის ჰევა ქურთის რწმენით, ჯაზები და შეითნები ერთნი არიან; მათ მაქციობის უნარი გააჩნიათ და, რაც მთავარია, ჯაზები, ადამიანების სახით, მათსავე სივრცეში ცხოვრობენ:

„– ჯაზი და შედთანი ანია. ჯაზ ინსან ეტყვი. ჯაზი შევა ყველა სურეთში“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 28 ივლისს სოფელ სადგიყანაში) – (შიოშვილი, 2020: 917).

ტაოელ გურჯებს შემორჩათ, აგრეთვე, რწმენა დემონური პერსონაჟის – ჯინისა (არაბ. cin – დემონი, ბოროტი სული). სოფელ ბალხის ერთ-ერთ უბანში – წითლეკარში 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ქარაბოლლი) 2017 წლის 29 ივლისს ჩა-

წერილი ნარატივის თანახმად, ჯინები, შეითნების მსგავსად, ეტანებიან დაუცველ ოჯახებს, ობლად დარჩენილთა საცხოვრისებს, შევლენ ბოსლებში და ძროხებს გამოწველიან; ისინი კარებზე აკაკუნებენ და აშინებენ ადამიანს:

„– ჯინები არიან. ზემოთ ჩვენი სახლი არის, იქ იყვნეს. ანა-ბაბა მოკდეს, პუტური-პუტური ღენჭები დავრჩინით, დეთიმი დავრჩინით. ასე (მიაკაკუნა კარებზე – თ. შ.) კარებ უკაკუნებდა. შედთან იყო, ჯინი იყო, არ ვიცი. ბიბიმა ქული გაშალა და იქ ასე ხამურა-ხამურა აპაკუნებდა, დევნახე, ასე აკაკუნებდა კედლებში, კარებში, ბოსელში... ერთი ფური იყო ბოსელში, გაპარსა ზემო ბოსელში, ზემო ჩარდახში“.

ტრადიციული გაგებით, ჯინები, ჭინკები და ზოგადად ავსულები ძირითადად წყლის ნაპირებზე იმყოფებიან და იქ დარაჯობენ ადამიანებს. ქალბატონი ფეჰმე ირწმუნებოდა, რომ მან, წყლის მოსატანად წასულმა, თვალთ კი ვერ დაინახა ჯინები, მაგრამ მათი ხმები გაიგონა:

„– ნევალთ, წყალ მოგტანთ, ჯინები იყვნეს ბევრი, იშტა დევნახე. ხმააა, ხმააა, ხმები დევნახე. თვალთ არ დევნახე, ხმები გეგვონე“.

მთა-გორებითა და წყალ-ჭალით მდიდარი ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის ქართულენოვანი სოფლების რელიეფი გარკვეულწილად ხელს უწყობდა კიდევ აქ მობინადრეთა რწმენა-წარმოდგენების ფორმირებას დემონური პერსონაჟების „გარჯილობის“ თაობაზე; სწორედ ამაზე მიუთითა წითლეკარელმა ენანწყლიანმა ქალბატონმა ფეჰმემ, როცა საუბრის დასასრულს მიგვანიშნა, რომ იქაურობაში ბევრი ამბები იცოდნენ ჯინებზე და, თანაც, საკუთარ ქართულენოვან სიმწირე-სიღარიბეზე დაიჩივლა: „– აქავრობაში ბევრი რამე იყო, მარა ვერ ვხარათობ. პუტური ღენჭებ გურჯიჯა არ იციან, ჩვენც არ ვიციით“ (შოიშვილი, 2020: 918).

ნითლეკარელმა ხალით ჭარაბოლლიმ (ზამთრობით ცხოვრობს ქალაქ სტამბოლში) 2017 წლის 29 ივლისს პროფესორ მამია ფალავას გაანდო, რომ ჯინები დროდადრო მოდიან სალამობით და ქვებს უშენენ სახლის სახურავებს, რისთვისაც საჭიროა „ყურანის“ კითხვა. ბატონ ხალითს თავად არ დაუნახავს ისინი, მაგრამ სჯერა, რომ ძველად ხედავდნენ, რომ ძველ დროში ჯინები მრავლად ყოფილან, ლამით გამოდიან, ადამიანს დაჭრიან, ფერხულობენ:

„– ჯინები სალამოზე დააქვავებენ ქოხებზე, საჯებზე; დააბეჩებენ და ართულ იკითხებენ ყურანი, ბელქი ნევდენა. ხანჩი მიდიან, ხანჩი არ მიდიან; მიდიან, კიდოვ მოდიან! უნინ დუუნახიან, მე არ დიმიანახიან. კარქა უნინ ბევრი ყოფილან. ღამი კაცები დუუჭირიან, უფერხულიან, ღამი უჭრიან, უფერხულიან“ (შიოშვილი, 2020: 918).

ტაოში, სოფელ ქობაში (ქობაგი//ქუაბაგი), პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ ჩაინერა ვრცელი მითოსური თქმულება დემონურ პერსონაჟებზე, რომლებსაც მთქმელი კომპოზიტით – „ჯინ-ფერები“ მოიხსენიებს (ფუტყარაძე, 1993: 174-175); ქობაოური თქმულების თანახმადაც, სხვათა მსგავსად, დემონური პერსონაჟები, რომლებსაც ადამიანის გარეგნობა აქვთ, წყალთან ახლოს, ხეობებში, ბინადრობენ და თავიანთი „სახელმწიფოებრიობა“ გააჩნიათ: აქვთ ქალაქი, ჰყავთ ფადიშაჰი („პარევევი ჯინ-ფერების ქალაქია. მათ ფადიშაჰის ადგილი იქ არი“).

თქმულება მოგვითხრობს: ერთი კუზიანი ბერიკაცი გზად მიდიოდა და გუდით მარილი მიჰქონდა სახლში. ნითლეკარში დაულამდა, ჩავიდა პარეხევში და „დავლი-ზურნას ჳმა გეგონა. შეხედა ქი, ფერჯულობენ, გზაზე მოდიან ჯინ-ფერები. მათი ფადიშაჰი შემჯდარა ცხენზე“. ფერ-ჯინებმა დაიჭირეს მგზავრი და მოახსენეს ფადიშაჰს:



„– ეს ბერი დევჭირვევითო, ახლა ამას რა'ნა ვუყვით, რა'ნა იქნას ესაო“?

ფადიშაჰმა უთხრა:

„– მედყუანეთო, ჩემ გუერთ მედყუანეთო, ვნახოთო“.

მიუყვანეს ბერიკაცი და ეკითხება:

„– ბერო, ღამე ჩუენია, დღისი თქუენია. ღამეში რატომ იარებო?“

მოხუცმა შეხედა და დაინახა, რომ ფეხის ტერფები შეტრიალებული აქვთ; მიხვდა, „ესენი ჩუენიდამ არ არიანო“ და უთხრა:

„– დიმილამდა, ასე იქნა, ისე იქნაო“.

ჯინ-ფერების უფროსმა არ დაიჯერა მოხუცის ნათქვამი და იხმო თავისიანები. „ქალებიც იყვნესა, კაცებიც იყვნეს; შემოახვიეს ბეჭებზე ხელები, ჩააყენეს ფერხულში და დაინყეს ცეკვა. ფადიშაჰი ჩამოვიდა ცხენიდან, ფერხულს უძღვება და ამბობს:

„– უდრო-უდრო ნავალ კაცსა რა უნდოდა?“

ჯინ-ფერები უფროსის ნათქვამს იმეორებენ. „ვევი ჴმია-ნობს. ეს ბერიც ფერჯულშია ჩაბმული“.

„– რა უნდოდა და ფუნდრუკობა, ფუნდრუკობაო, – ამბობს ფადიშაჰი.

– ფუნდრუკობა, ფუნდრუკობაო, – ამბობენ ისინიც.

– დღე რა იყო? – იკითხავს თავარი.

– ორშაფათიო, – ამბობენ ჯინ-ფერები.

– ხუალ'ნა იყვეს სამშაფათიო“.

ცეკვა-სიმღერამ დილამდე გასტანა. „დილამდე ვერ დააცხრომლეს, ვერ მოღალეს კამპური ბერი. მარილიც ზურგზე კიდია“. დილით მთავარმა უთხრა ქვეშევრდომებს:

„– ახლა გათენდა, დილაჲ ამათია, ახლა გააშვით, გაასვენეთ!“

მოხუცმა უთხრა:

„– მე ამდენი რომ მომლაღევით, ჩემო თავარო, მე ღმერთ შევეხვეუნები, შენ ჰალალ არ გიზამო. მოღალეული ვარ და რაფერ'ნა წევდო; ველარ ჩავანევ ჩემ სოფელშიც – ტრიკებში ჩინი აღარ დიმირჩა, ჰალი რა'ნა იქნასო?“

მთავარი „დაფიშმანდა, ღმერთ შეეხუენა, მის ასკრებ უთხრა:

– ეგ გუდა თქუენ ეიკიდევით!

მანაც ბერის ზურგზე ჴელი დუუსვა, ღმერთ შეეხუენა:

– ამისი კამპური, ღმერთო, უუნეო!“

მართლაც, ღმერთმა მოხუცს კუზი მოაშორა, კაცი გაღამაზდა, მარილიანი გუდაც პარხლისწყლამდე ჩაუტანეს.

„– ახლა შენ ნახუალო, კამპურიც აღარ გაქვაო. ადვილად ნახუალო“, – უთხრეს და გაამგზავრეს“.

თანასოფლელებმა კაცი ველარ იცნეს

„– ბერო, ვინ გაგასწორაო? – კითხეს.

– ასე-ისე იყო, – მიახტუმრა ბერმა“.

ტაოურ მითოსში მოთხრობილი ამბავი დემონური პერსონაჟებისა და ადამიანთა ურთიერთობაზე კარგად არის ცნობილი საქართველოს ყველა კუთხეში; მის ვარიანტებს იცნობს შავშური (შიოშვილი, 2016: 193-194); აჭარული (შიოშვილი, 2016: 194-195) და სხვა კუთხეთა ფოლკლორი.

ამ არქაული მითოსის სიბრძნე გვასწავლის, რომ ადამიანმა დემონურ პერსონაჟებთანაც კი უნდა გამონახოს საერთო ენა, თუკი გადარჩენა სწადია. შავშური თქმულების (მთქმელი იბრაიმ ჩაქმაქი (გორგაძე). ჩანერეს თინა შიოშვილმა და მამია ფაღავამ 2009 წელს) თანახმად, ერთ კუზიან კაცს შემოაღამდა და ღამის გასათევად წისქვილს მიაშურა. შუაღამით მოვიდნენ ჯინები, დაიწყეს ცეკვა და თან მღერიან:

„– ხუთშაბათი, ხუთშაბათი!..“

კუზიანიც აჰყვამო ჯინებს, მათთან ერთად დაინწყო ცეკვა-სიმღერა და ძახილი: „– ხუთშაბათი, ხუთშაბათი!..“

ჯინებმა დააფასეს კუზიანის თანადგომა: „დაფანტვიხან უთქვიან ქი ჯინებსა“:

„– აჲ ჩვენსავეფ სამობდა, „ხუთშაბათიო“, თქვა; ჩვენებურია, მოჲ, გავასწოროთო“. ასეც მოიქცნენ და კუზი მოაცილეს – „გაასწორეს აჲ კაცი და დეფანტენ“.

სოფელში დაბრუნებულ ყოფილ კუზიანს თანასოფლელი შეხვდა; ისიც კუზიანი იყო და ჰკითხა:

„– რაგვარ გასწორდი კუზიდანო?“

კაცმა გულწრფელად მოუთხრო ყოველივე:

„– ნისქვილში ვიყავ, ვისამეთ, „ხუთშაბათი“ ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდანო“.

მეორე კუზიანმაც ნისქვილს მიაშურა. შუალამით კვლავ მოვიდნენ ჯინები და დაინწყეს ცეკვა და „ხუთშაბათი – ხუთშაბათის“ ძახილი, კუზიანი კი გაიძახოდა, „ჯუმაო“. გათენებისას, დაშლის წინ, ჯინებმა ერთმანეთს ჰკითხეს:

„– რაჲ ეღლუგი ვუყოთ ამას?“

ითათბირეს და გადაწყვიტეს, მეორე კუზიც დავამატოთო. „დაამატეს კუზი. მოვიდა აჲ კაცი სოფელში ორი კუზით“ (შიოშვილი, 2016: 291-292).

როგორც აღვნიშნეთ, ეს სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ფოლკლორში. მისი ერთ–ერთი აჭარული ვარიანტი, სათაურით „კუზიანი და ეშმაკები“, ზურაბ თანდილაშვილმა ჩაინერა 1974 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში მემედ მესხიძისაგან. შავშურისაგან განსხვავებით, თქმულება სრულყოფილია და გვამცნობს, რომ კუზიანი კაცი ღამე გარეთ იმიტომ დარჩა, რომ ცოლ–

მა თავი მოაბეზრა, გამუდმებით კუზიანობას აყვედრიდა. ის დღე, კუზიანი რომ წისქვილში დარჩა ღამის გასათევად, ორშაბათი იყო; მართალია, ძალიან გაუკვირდა, ეშმაკები რომ „ხუთშაბათს“ იძახდნენ, მაგრამ არაფერი თქვა, აჰყვა მათ, ჩაება ხორუმში და ისიც გაიძახოდა, „– ხუთშაბათია, ხუთშაბათიო!“

აჭარული ვარიანტიც გამთენიისას „ეშმაკებმა მოხსნეს კუზი ამ კაცს და ღელიპირში შეინახეს“. მეზობელ სოფელში მცხოვრებმა კუზიანმაც მიბაძა კაცს და ნავიდა წისქვილში ღამის გასათევად. იმ დღეს პარასკევი იყო. ეშმაკები ცეკვა-ვდნენ და დილამდე გაიძახოდნენ, „ხუთშაბათიო“, ეს კაცი კი იძახდა, „პარასკევიო“. გამთენიისას „ეშმაკების უფროსმა ბრძანა:

„– შენახული კუზი მეიტანეთ და ისიც ამ კუზიანს დააბით! მეიტანეს ეშმაკებმა ღელიპირზე შენახული კუზი და კუზიანს მიატყეპეს“ (აჭ. ს., 2017: 61-62).

პროფესორ მამია ფალავას მიერ ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ორთაბათუმში, დაფიქსირებულია იდენტური ვარიანტი (მთქმელი მერიემ შაქარიშვილი-ვარშანიძე):

ჯაზებთან ხორუმში ჩართული კუზიანი გამთენიისას ჯინებმა დააჯილდოვეს და კუზი გაუსწორეს, მეორე კუზიანი კი, რომელიც შეენინაღმდეგა ჯინებს და „ხუთშაბათის“ ნაცვლად „ჯუმა“ დაიძახა, რადგანაც მართლაც ჯუმა ღამე იყო, დაისაჯა: „იალონზე, დაშლიხან, ჯაზებმა თქვეს:

– აი ჩვენი კაცი არაა! ჩვენ „ხუთშაბათი“ ვთქვით, ამან – „ჯუმაო“. მოჲ, დავსაჯოთო!...

ჯინებმა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს:

– გუშინ კაცს კუზი რომ მოვხსენით, ამას დავადგათო!

მოვდა დილაზე აი კაცი ორი კუზით“ (ბსუქცფა).

თქმულებისეული სენტენცია, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ სამივე (შავშური, ქვედა კვირიკული და ორთაბათუმური) თქმულების სიუჟეტიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, კიდევ უფრო დაკონკრეტებულია აჭარულ ვარიანტებში: კვირიკული ვარიანტის თანახმად, სოფელში დაბრუნებულ ორკუზიანს მეზობელმა ჰკითხა:

– სა იყავიო?

– კუზის წამლის სამოწინაო ვიყავიო, – უთხრა კუზიანმა.

მეზობელმა შეხედა: „ამ კაცს ერთი კუზი ხონდა, ახლა ორი აქ“, გუუკვირდა და უთხრა:

– აბა, ეს რაა, კაცო, ორი კუზი გაქ ახლაო!

– როცა ყველა იძახის, ხუთშაფათიაო და შენ „პარასკევს“ დეიძახებ, კუზიც მოგემატება და რქაცო, – უპასუხა კუზიანმა“ (აჭ. ს., 2017: 62).

ორთაბათუმური ვარიანტის სენტენცია კიდევ უფრო ბრძნულია: იგი ერთის მხრივ მოუწოდებს ადამიანებს სხვათა ხორუმში (ზოგადად სხვის საქმეში) ჩაურევლობას, მაგრამ, თუკი ჩაებმება, მათებურად ცეკვას ურჩევს: „ასეა, სხვის ხორუმში რომ ჩიებმები, მათებურად უნდა ისამო!“ (შიოშვილი, 2016: 196).

კუზიანი კაცის ციკლის მითოსურ თქმულებაში, გარდა სრულიად გასაგები საყოფიერო ზნეობრივი სენტენციისა, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: რატომ ასე დაჟინებით იძახიან ეშმაკები „ხუთშაბათს“, როცა იმ დღეს ხუთშაბათი არ არის? ვფიქრობთ, ამ კითხვას ეხმიანება „აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული თქმულება „დანყველილი მდინარე“, რომელიც ზურაბ თანდილავამ ჩაინერა 1972 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სკვანაში მემედ ჯაიანისაგან (ბსუნბიფა, საქმე №170: 176-177):

მოგზაური კაცი უცხო ქვეყანაში მოხვდა, ერთ დიდ მდინარეს მიადგა, მაგრამ ვერ გადავიდა. მდინარის მეორე ნაპირიდან ვილაცა კაცმა დაუძახა:

„– დღეს იქით გაჩერდი, ახლა ვერ გადმოხვალ, ხვალ გადმოხვალ!..“

მოგზაური ასეც მოიქცა. მეორე დღეს კი ნახა, რომ მდინარე გამქრალიყო და გალმა ჩვეულებრივ გავიდა, „ნახა ის კაცი, რომელმაც დუუძახა, ხვალ მდინარე არ იდენსო“ და, გაოცებულმა, ჰკითხა:

„– რა მოხდა, გუშინდელი მდინარე ჰა წევდა?“

უცნობმა უპასუხა:

„– ხუთშაბათი ღამე ისეთი მაღლიანია, რომ იმ ღამეს ყველა სულიერი ღმერთ ეხვეწება; ამიტომ მისი მოკლა ან დაჭერა არ შეიძლება. ვინც ამ წესის წინააღმდეგ წავა, ცოდვას მეფებს. ხუთშაბათ ღამეს თევზის დაჭერაც არ შეიძლება. აქაურმა ხალხმა ამ წეს არ დუუჯერეს და ჩუმათ მაინც დეიჭირეს. ამიტომ ეს მდინარე დაწყევლილია... კვირაში ერთ დღეს გეიარს, ხუთშაბათს გეიარს და მისი წყალი მწარეა, არ დეილევა, არც იხმარება“ (აჭ. ს., 2017: 161).

აღსანიშნავია, რომ პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ტაოში, სოფელ ქობაში, ჩანერილი ვარიანტით მოხუცი კუზიანი გონიერი აღმოჩნდა, ჩაება ჯინ-ფერების ფერხულში, რის გამოც დაჯილდოვდა კუზის მოხსნით. ეს ნარატივი არ იცნობს მეორე კუზიანს, რომელსაც, მისივე უკუღმართობისა და სიჯიუტის გამო, მეორე კუზიც დაამატეს.

ტაოელთა რწმენა-წარმოდგენათა დემონურ სამყაროს აპურებს, აგრეთვე, პერსონაჟი შეითანიც. სოფელ სადგიყანაში 59 წლის ჰევა ქურთისაგან 2018 წლის 28 ივლისს ჩანერილი ნამბობის თანახმად, შეითანები ადამიანის მსგავსნი

არიან; ისინიც ღამით ჩნდებიან, დავლა-ზურნას უკრავენ და ფერხულობენ. ქალბატონმა ჰევამ ისიც გაგვანდო, რომ მის დედამთილს დაუნახავს შეითანი: „– შედთანი ინსანივით არიან; შედთნებ დავლა-ზურნა უკრიან, უფერხულიან ღამე; ჩემ დედამთილ დუუნახია“.

ჰევა ქურთისეული ნარატივის თანახმად, შეითნები მაქციები არიან, ისინი ღელეებში სხედან და იქ დარაჯობენ ღამეულ მგზავრებს, ნაცნობის სახით ეცხადებიან და შემდეგ ძალადობენ. მთქმელმა გვიამბო ერთი ახალდანიშნული კაცის ამბავი, რომელიც ღამით დანიშნულისაგან ბრუნდებოდა და ღელის ნაპირზე ჩამომჯდარი ნაცნობი (სინამდვილეში მისი ნაცნობის სახით შეითანი იყო) შენიშნა, გამოელაპარაკა, „აქ რატომ ზიხარო“, შეითანი კი ქვის სროლით გაჰკიდებია კაცს. მთქმელის დასკვნით, შეითანს არ უნდა დაელაპარაკო:

„– რას ზიხარ აქაო? – სიძეს შედთნისთინ უთქმია, – კად აზი გაქო. გამოჰკიდნია კაცისთინ, ქვა უუნვენია და გამოჰკიდნია. არ’და დეეხვარათო შედთან!“ (შიოშვილი, 2020: 918).

ტაოელ გურჯებს სწამთ, აგრეთვე, დემონოლოგიური პერსონაჟის – ალრიბასანის არსებობაც. ბასლევარელი მთქმელის – 55 წლის იაშარ ქეჩეჯის თქმით (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 30 ივლისს), ალრიბასანი სიბნელეში, ძილის დროს, ეცხადება ადამიანს, რომელიც მას ვერ ხედავს და სახეზე აწვება, ახრჩობს. მთქმელი ირწმუნებოდა, რომ ალრიბასანი მის ძმასაც დაანვა:

„– ალრიბასანი ნომონვენება შენზე, ფეხებიდან მოდის, ნომონვენება, შეჭარობს. აა ჩანს, ჰამა მძიმედ შემონვენება, ბნელთში იქნება, ვერ დეგინახია, გაჭირებს, ამეღლებ ქარ. ჩემი დიდი ძმავა, ალრიბასანი დანოლია, იმან თქვა“ (შიოშვილი, 2020: 918).

რწმენა დემონური არსების – აღრიბასანის შესახებ აჭარა-შიც არის გავრცელებული. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში 2017 წლის 31 აგვისტოს ჩანერილი ნარატივის თანახმად, ეს არსება ხალხს წარმოდგენილი ყავს სულთამხუთავის, მაჯლაჯუნის სახით, რომელიც ძილის დროს ადამიანს ხელით აწვება სახეზე და ახრჩობს. მთქმელმა – ნადია დიასამიძემ გვიამბო ამგვარი რამ: ქალბატონი ნადიას მამა დაუჭერიათ, მამიდამისი ძმის სანოლში დანოლილა და „ღამე რალაცა მივიდა და მოჯენჯა თმებით“. როცა ძმა ციხიდან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, ასე ახსნა:

„– ღამე მეც მჯენჯავს ლოგინში და შენ რომ დანექი იმ კრაოტში, იმიტომ მოგჯენჯაო. მე მიჩვეული მყავდაო, აღინბასხანი იყოვო. ხელი დახრეტილი აქო. ის ხელს დაგადებს სახეზე და გახრჩობს, მაგრამ, რაკი ხელი გახრეტილი აქ, იმით სუნთქავო; გახრეტილი რომ არ ქონდეს, დაგახრჩობსო“ (შინოშვილი, 2020: 712).

რწმენა სულთამხუთავი აღრიბასანის შესახებ, რომელსაც ხელის მტევანი გახვრეტილი აქვს და ცდილობს, მძინარე ადამიანი დაახრჩოს, ბოლო დრომდე შემორჩენილი აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. მასზე გავრცელებულია საყოფაცხოვრებო მინიატურული ლექსი, რომელიც პროფესორ მამია ფალავას გაუგონია ბებიასაგან, მერიემ შაქარიშვილისაგან:

გულზე დამანვა აღრიბასანი,  
წევდა, არ მევდა ჩემი ხასანი!  
(ბსუქცვა)

აქვე აღვნიშნავთ, რომ აღრიბასანის მსგავსი დემონური პერსონაჟი (შესაძლებელია იგივე, ოლონდ სხვა სახელით)



შემორჩა კლარჯ მუჭაჯირთა ზეპირსიტყვიერებასაც „ყარაყულაჲს“ სახელით; გირესუნის პროვინციის ბულანჯაქის რაიონის სოფელ დამუდერეში 2015 წლის 20 ივლისს 70 წლის ხატიჯე ყარაჯისგან (ყურდოლლუ) ჩანერილი ნარატივის თანახმად ყარაყულა ისეთ ადამიანებს ემტერება, რომლებსაც ლოცვა არ უყვართ:

„...არ იკითხავ, არ ილოცავ, ყარაყულაჲ შეგნდება, გახრჩობს. უკითხავ, წევა. გძინავს, ვერ ექანები, გახრჩობს, და არი ჯაზი და შედთანია!“ (შოიშვილი, 2017: 410).

„ყარაყურას“ აღრიბასანის სახელით მოიხსენიებენ აჭარაში. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია აღრიბასანის შელოცვაც. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნაირა ვარდმანიძემ 2019 წელს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითში 76 წლის ეთერ ლოლაბერიძისაგან (გამოთხოვილია სოფელ ბზუბზუდან) ჩაიწერა აღრიბასანის შელოცვა:

ყარაყურავ,  
ცაში ვარსკვლავი,  
ზღვის პირს ქვის კენტი,  
ქვეყნის ფოთოლი  
და შორს წადი!

მთქმელის განმარტებით, „სამჯერ ჩუუკითხავ და გუდუუბერებ“ (ბსუქცვა).

ტაოელთა მითოსურ სამყაროში შემორჩენილია, აგრეთვე, რწმენა ეშდაჰარის//აჟდაჰარის (თურქ. *ecdehar* – გველეშაპი) შესახებ. სოფელ ბასლეკარში მცხოვრები 50 წლის მენემშა

ქეჩეჯისაგან 2017 წლის 28 ივლისს ჩანერილი მონათხრობის თანახმად, ძლიერი წვიმის დროს რომ ღვარი წამოვა, ემდაჰარს წაიყვანს. მისი წარმოდგენით, ემდაჰარი დიდ მატლს („ბოტოტს“) გავს, ძალსაც ადარებენ:

„– განვიმდება, ღვარები ჩამოვა, ემდაჰარ წეყვანს. ემდაჰარი ბოტოტსავით ყოფილა, დიდი ყოფილა ძალსავით. გავონილი ვარ, არ დიმიწახია“ (შიოშვილი, 2020: 918).

სოფელ ბალხის მკვიდრმა – 62 წლის ჰევა ქორუქმა (ზამთრობით ცხოვრობს დაბა სარიგოლში) 2017 წლის 26 ივლისს აგვიხსნა:

„– განვიმდებაა, ღვარი ქი წამუა, იტყოდეს ძველები, ებეებები, აჟდაჰარ ჩეჲარაო“ (შიოშვილი, 2020: 918).

გველეშაპის („აჟდაჰარის“/“ეჟდაჰარის“) ხსოვნა შემორჩა, აგრეთვე, აჭარის მუსლიმი თემის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფასაც; სწორედ ამ დემონოლოგიურ პერსონაჟს უკავშირებენ მზისა და მთვარის დაბნელებას. ერთ-ერთი ნარატივის თანახმად, რომელიც მკვლევარმა ნელი ცქიტიშვილმა ჩაინერა 1970 წელს შუახვევლი სულეიმან დავითაძისაგან, ძველად მთვარის დაბნელებისას სჯეროდათ, რომ მნათობს ეჟდაარი იჭერდა და მას შესაშინებლად თოფს ესროდნენ:

„– ძველათ, თვარე რო დაბლენდებოდა, იტყოდენ, ეჟდაარი იკავებსო; არის ჰაერში ეჟდაარიო და ის იჭირავსო. თოფს ისროდენ, რომ შეშინდება და გუუშეგებსო. ეჟდაარი ვეშაპია; ვეშაპი გველს გავს, მაგრამ უფრო ხოშორია“.

გველეშაპის, ანუ ეჟდაარის, გამოჩენას ხალხი ჭექა-ქუხილსა და ავდრიანობას უკავშირებს. სულეიმან დავითაძის თქმით, „არდაჰანში ხანდახან ელვა-ჭექევას რომ დეინყობდა, ეჟდაარი გეირბენდა ჰაერში. მას კუდი ქონდა ჩამოკიდული და, რასაც მოხთებოდა ეს კუდი, იმას გააქარვებდა“. აღსანიშნავია, რომ მთქმელი ირწმუნებოდა:

„– ეს ეყდაარი მე ერთხელ დანახული მაქვს არდაანში, „ზურზუნას“ (ბსუნბიფა, 1970: 17).

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კობის მკვიდრმა თემელ ოქროპირიძემ გველეშაპის მიერ მთვარის დაბნელების რწმენასთან დაკავშირებული თოფის სროლის ტრადიცია იმით ახსნა, რომ თოფის გასროლით აშინებს გველეშაპს და „ატიებიებს (მთვარეს – თ. შ.), თუ არ შეაშინა, ქვეყანა დეიქცევა“ (ბსუნბიფა, 1962: 101).

ცნობილი აჭარელი (შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი დარჩიძეები) სახალხო მთქმელის – ბინალი ფუტკარაძის რწმენით, „...ეს ეყდეჰარი დედამინაზეა შემორტყმული, მაგრამ თლათ ვერ უწვდება, მის პირსა და კუდს შორის ერთი მეტრი რჩება. ეყდეჰარს უნდა, მისწვდეს თავის კუდს, მაგრამ ვერ სწვდება და მისდევს მას, ესხრიკება კუდს. სწორედ იმ დროს, როცა მელაიქი ისრაფილი შეუბერავს, გველ-ვეშაპიც თავის კუდს დაენევა, მუუჭერს ქვეყანას და ორივე ერთად ქვეყანას დააქცევენ...“ ბინალი ფუტკარაძისეული წარმოდგენითაც, „გველეშაპი გველის ფორმისაა... მაგრამ იმხელაზე დიდია, რომ ქვეყანას შემოსწვდება“ (ბსუნბიფა, 1971: 211-212).

ტაოელ ჩვენებურთა რწმენა-წარმოდგენები ეყდაარის, ანუ გველეშაპის, შესახებ თითქმის იდენტურია აჭარაში დაფიქსირებული რწმენა-წარმოდგენებისა, მაგრამ ამ დემონური პერსონაჟის მიერ მთვარისა და მზის დაბნელების მოტივს და მის მიმართ გამოსაყენებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებას, რაც თოფის გასროლით მის შეშინებაში გამოიხატება, ტაოს ზეპირსიტყვიერებაში ვეღარ ვხვდებით.

## 5. კოსმოგონია

მსოფლიოს ყველა უძველესი კულტურული ხალხის მითოლოგიური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია კოსმოგონია, ანუ მითები სამყაროს შექმნის შესახებ, რომლებშიც ქვეყნიერების შექმნის ნაირგვარი სურათებია თავჩენილი, რამდენადაც ისინი იქმნებოდა კაცობრიობის ემპირიული ცოდნის შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, მითოსური აზროვნების შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

საყურადღებოა, რომ ქართულ მითოლოგიაში (და ზოგადად კავკასიურ მითოლოგიაში) წმინდა სახის კოსმოგონიური მითოსი არ დასტურდება; ყველაფერი უკვე შემოქმედის მიერ შექმნილ და მოწესრიგებულ სამყაროში ხდება და, როგორც პროფესორი ქეთევან სიხარულიძე მიაჩნებს, „კოსმოგონიური მითოსის არარსებობა კავკასიური მითოლოგიის ნიშნადაც შეიძლება მივიჩნიოთ“ (სიხარულიძე, 2006: 231). მიუხედავად ამგვარი რეალობისა, კოსმოგონიად ითვლება მითოსური ნარატივები, რომლებშიც მოთხრობილია სოფელსა და მის მტრულ ძალებს შორის ბრძოლის ამბავი; ამგვარ თხზულებებში ერთმანეთს უპირისპირდებიან წყალი, რომელიც განასახიერებს ქაოსს, და ხმელეთი, რომელიც განასახიერებს კოსმოსს (კიკნაძე, 2008: 60).

წყლისა და ხმელეთის დაპირისპირებისა და ბრძოლის არქაული კოსმოგონიული მოტივის შემცველ ქართულ მითოსურ ნარატივებში ასახულია გველეშაპისა (წყლის სტიქია) და ხარის (ხმელეთის სტიქია) დასაბამიერი ბრძოლა, რომელიც უსათუოდ ხმელეთის ხარის გამარჯვებით და სოფლისათვის საცხოვრისის მოპოვებით მთავრდება. ამგვარ მითოსურ

ნარატივებს, რომლებშიც წყლის განმასახიერებელ არქაულ ღვთაება გველეშაპს (ვეშაპს) ხშირ შემთხვევაში ენაცვლება მოგვიანო ეპოქის წყლის ხარი, საქართველოს ყველა კუთხე იცნობს; ბუნებრივია, ისტორიული ქართული პროვინციების მსგავსად (შოიშვილი, 2017: 406), ტაოს ზეპირსიტყვიერებაშიც შემოინახა ხსოვნა ხმელეთსა და წყალს შორის არსებული დასაბამური დაპირისპირება-ბრძოლისა, რომელსაც დღეისათვის, სამწუხაროდ, ძალზე სქემატური სახე აქვს და ფაქტობრივად, თითქმის მითოლოგიის დონეზეა, თუმცა, ტრადიციული ნარატივის ძირითადი მახასიათებლები აქაც სახეზეა.

სოფელ ხევას ერთ-ერთი უბნის – იეთის მკვიდრის – 56 წლის იაშარ ჩელიქის მახსოვრობას შემორჩა კოსმოგონიური მითის მხოლოდ ნამსხვრევი (ჩაინერა მამია ფალავამ 2017 წელს), რომელიც მოგვითხრობს, რომ ძველად ტბაში შავი ხარი ბინადრობდა; ის გამოდიოდა ტბიდან, ხმელეთის ხარებს ებრძოდა და ისევ ტბაში შედიოდა:

„– გოლში შავი ჯარი ყოფილა ზამანინდე, ახლა აღარ არი. გუმოვდოდა, ჯარებ ეჭედებოდა, შევდოდა შიან. გოლის ჯარი კარგი დიდი ყოფილა. არ ვიცი, რა იქნა“ (შოიშვილი, 2020: 959).

მართალია, ტაოს ქართულენოვან სოფლებში მცხოვრებ ჩვენებურთა ისტორიულმა მეხსიერებამ ჩვენს დრომდე ვეღარ მოიტანა წყლისა და ხმელეთის დასაბამიერი ბრძოლის ამსახველი ვრცელი, სრულყოფილი კოსმოგონიური მითოსი, მაგრამ ის, რაც შემორჩათ, მაინც დიდად ღირებულია ქართული მითოლოგიისათვის, რამდენადაც ცხადი ხდება, რომ მითოსის ამ დონეზეც ტაოელ ქართველთა მსოფლგაგება ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ორგანული ნაწილია.

## 6. ტოტემური რწმენა-წარმოდგენები

მითოსის, როგორც კაცობრიობის თავდაპირველი სააზროვნო მოდელის, გენეზისი იძებნება ანიმისტური მსოფლმხედველობით გაჯერებულ სოციუმში, რომელსაც უხვად აპურებდა რელიგიის უადრესი ფორმები, რომლებითაც ადამიანი გამოსხატავდა თავის მსოფლგაგებას, დამოკიდებულებას სამყაროსადმი, გარშემო მყოფებისადმი; ცდილობდა, გარკვეულიყო ბუნების საოცრებებში, აეხსნა სხვადასხვა მოვლენები და ეზრუნა თვითგადარჩენაზე. ამ ეტაპზე ადამიანი ვერ ანსხვავებდა, ვერ გამოყოფდა თავის თავს ბუნებისაგან, ბუნების ძალებსა და მოვლენებს იგი საკუთარ თავს უთანაბრებდა; ერთის მხრივ ფიქრობდა, რომ სხვადასხვა მანიპულაციით შეძლებდა, სასურველი ცვლილებები გამოენვია გარე სამყაროში, მეორეს მხრივ კი ბუნებაში იგი ადამიანურ თვისებებს ხედავდა. პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენათა ეს კომპლექსი, რომელიც ანიმიზმის (ლათ. *anima* – სული) სახელით არის ცნობილი, კვებავდა კაცობრიული აზროვნების თავდაპირველ ნიმუშებს, ანუ მითოსურ ნარატივებს. ამგვარ პირველყოფილ, პრიმიტიულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს შორის (ფეტიშიზმი, მანიზმი, მაგია, ტოტემიზმი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტოტემიზმი, რომელიც ეფუძნება ტოტემის (ინგლ. *totem* – „გვარი“) ანუ ცხოველის (იშვიათად მცენარის) თაყვანისცემას, როგორც ტომის წინაპრისა თუ მფარველისა; ტოტემური რწმენის თანახმად, ადამიანსა და ცხოველს, ზოგჯერ კი მცენარესა თუ ბუნების ცალკეულ მოვლენას შორის გენეტიკური კავშირი არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თემი, საგვარეულო ჯგუფი თავის წარმოშობას

უკავშირებდა რომელიმე ცხოველს, მცენარეს ან ბუნების მოვლენას, რაც მათ ტოტემს, ანუ გვარის წინაპარს, წარმოადგენდა.

ქართული ზეპირსიტყვიერება იცნობს ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენების შემცველ სხვადასხვა ნარატივებს; ბუნებრივია, არც ძირძველი ქართული რეგიონი – ტაოა გამონაკლისი; ტაოელთა ისტორიულმა მეხსირიებამაც შემოინახა დათვისა და ადამიანის ურთიერთობის ამსახველი ტოტემისტური თქმულება, რომლის ვარიანტებიც ბოლო დრომდე შემორჩენილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. დოლენჯიანთკარელი სახალხო მთქმელის – მეველუდ დოლენჯიშვილისაგან (ბათმაზი) პროფესორ მამია ფაღავეს მიერ ჩანერილი თქმულების თანახმად (ფაღავე, 2020: 1056), „იბრაიმიან ბებერი წასულა ტყეში, უკურკუტია, უკურკუტია... შიშა მოუგროვებია, ნაძვის ტლები, დუუნყვია დიდი ტირთვი, შემძრალა ტირთვის ძირიდან, წამონწევს კი – მძიმე, კიდო წამონწევს, კიდო წამონწევს, კიდო... მძიმე“. ვერაფრით დააღწია თავი მძიმე ტვირთს და, ამასობაში, ქვემოდან რომ შეხედა, შენიშნა, რომ დათვის ტორები „ბეჭზე არი გოდმოდებული. ბებერი ეუბნება:

„– დათო, მე სახლსა მყავან ღენჭები, მიცდიან შიშას, არ შემჭამოო!

– არ შეგჭამ, ჰამა ერთი რამ გეტყვი, დეფჯერე“, – მიუგო დათვმა.

– თქვიო! – ბებერი ეტყვის.

– ჩემთან ერთათ'ნა ვიცხოვროთ, არ'ნა წახუდე სახში! – ეტყვის დათვი. ბებერიც ეტყვის:

– თუ არ შემჭამ, ვიქნები შენთან“.

დათვი და ბებერი ერთად ცხოვრობენ. ერთ დღეს ბებერი ეტყვის:

„– შენ წინდები არ გაქვა, შომოგცივდება ზამთრი, ავათ გახდები! შენ გაკპარცო, კედი დავართვა, მიგიქსოვო წინდები“.

დათვი დათანხმდა. ბებერმა დათვი ქედზე აიყვანა, გაპარსა, დაჩეჩა მისი ჯაგარი, დაართვა ძაფი („კედი“) და თავდაღმა გააგორა.

„ჩევდე, კედი გამოვტანო, შენც აქიდან დამცვი“, – უთხრა დათვს.

„დუჯერეფს დათვი. ნუშუა ბებერი ბარგა-ბურგით. გემე-არს უკან ჴევს, გავა სახში, დემალვის. დადგა ლამეც. დათვი ნანობს, „რატომ გავგზანე ბებერიო“ და წამოვიდა სოფელ გოდლეკარისკენ; იალობიანში რომ მივიდა, ფანჯარაში შეიხედდა და იკითხა:

„– ბებერი მანდ არი თუ არ არი?“

„– არაო“, – ეტყვიან.

დათვი ახლა იბრაიმთანას მივიდა და ფანჯრიდან დაინახა, რომ ბებერი იქ იყო.

„– ფანჯრიდან შუმოვდე თუ ოჯახიდან?“ – იკითხა დათვმა.

„– ოჯახიდანო“, – მიუგო ბებერმა.

ბებერმა ბუხარში ცეცხლი დაანთო და დათვი რომ იქიდან ჩამოსვლას ლამობდა, „მევიდება ცეცხლი, გადახტება წყალზე, გეძეცევა ჩირდილისკე. ჩირდილში გავა კი, რა დემნახოს: სხვა დათვებთ აქვან დუგუნი. ეს გახრაკული გავა იმათრი. დათვები ეტყვიან:

– ვინ გეხონა, ბებრერ უკან იხტვინე?“

ტაოურ ტოტემურ თქმულებას, ბუნებრივია, ბევრი აღარაფერი შერჩენია მისი არქაული წინამორბედიდან; აქ დათვი იტოვებს მოხუცებულს და არა – ახალგაზრდა ქალს, რომელ-



საც, ტრადიციული შავშური, აჭარული და საქართველოს სხვა კუთხეთა ნარატივების (იხ. შიოშვილი, 2011: 500; შიოშვილი, 2016: 20-202) თანახმად, ცოლად გაიხდის და ბავშვებსაც გააჩენინებს; თუმცა ამ ფორმითაც ტაოში შემონახული მითოსი მაინც მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული ფოლკლორისტიკისათვის; მითოსური თქმულების ეს გვიანი, კნინი ვარიანტიც, რომელიც დათვისა და ადამიანის ურთიერთობის არქაულ რწმენა-წარმოდგენებს ეფუძნება, სუსტად, მაგრამ მაინც წარმოაჩენს რწმენას, რომლის თანახმადაც დათვი ადამიანის ტოტემია, მისი ქმედებანი ადამიანის მსგავსია და უფრო მეტიც – ოდესღაც ისიც ადამიანი იყო. ამ თვალსაზრისით კი ძალზე საინტერესოა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლეგენდა „დათვი ადამიანის მოდგმა“, რომელიც მკვლევარმა ზურაბ თანდილაშვილმა ჩაინერა შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანაში მუხამედ ქათამაძისაგან. ლეგენდის თანახმად, ძველად დათვი ადამიანი ყოფილა, მწყემსი. ერთხელ ღმერთს მასთან ანგელოზი გამოუგზავნია და უთქვამს:

„– ნადი და მაგ მწყემსს მატყლი თხოვე, გამოცადე, გეემეტება თუ არაო“.

მწყემსს მატყლის გორა ედგა. მისკენ მომავალი კაცი რომ დაინახა, ამ გროვაში შეძვრა, არ დადინახოსო. ღმერთმა დაწყევლა მწყემსი.:

„– იყავ სულ მუდამ ტყეში! ის მატყლი შენი ბანალი იყოს მუდამ, ნუ იქნები ადამიანო!“ (ბსუნბიფა, საქმე №182: 1973).

დათვის, როგორც ოდინდელი ტოტემის, რწმენის ელემენტებს ვხედავთ 2017 წლის 1 აგვისტოს სოფელ ვანისხევის უბანში – ჭილათში 34 წლის ჰურიე დუმანისაგან ჩაწერილ მითოსურ თქმულებაში, რომლის თანახმადაც, ერთ საძოვარზე

გათოვებულა. ყველანი ბარში წასულან, დარჩენილა მხოლოდ ერთი დედაბერი, რომელიც პურს აცხობდა; უთქვამს, ხვალ ჩამოვალო. ღამით „კარზე ბაგა-ბუგი გუუგონია“, გაუღია კარი და „შუუხედნია ქი – დიდი ტყის კაცი, ნახევარი – ინსანი, ნახევარი – დათვი, ბალნიანი“. დათვი მშიერი ყოფილა, პური გამოურთმევია ბებრისთვის და „წასულა უკნისკენ ტყეში“. დილით დედაბერი სოფელში ჩასულა და „მიღეთისთვინ, მოზობლებისთვინ უხვაათია, კაცი, ნახევარი – ინსანი, ნახევარი – დათვი ჩამოადა, შამაყურა, ასე-ასე იყოო...“. ხალხს არ დაუჯერებია:

„– ისე რომ ყოფილიყო, შიგჭამდაო!“

არც მთქმელს სჯერა დღეს ამგვარი ნარატივისა, ახსოვს კი წინაპართა ნაამბობი და თავადაც გვიამბობს, „ხვართობს“ ძველებურ ამბებს...



სოფელ ხევას უბანი – ქონობანი, 2017 წ.

## ლეგენდა, ტიპოლოგია, გადმოცემა

### 1. მცირე წარღვნის ლეგენდა

მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს პოლითეისტური მსოფლგაგებით გაჯერებულ ლეგენდებს ეგრეთწოდებულ დიდ და მცირე წარღვნათა შესახებ. ქართულ ფოლკლორში უხვად გვხვდება ორივე თემატიკის ლეგენდურ ნარატივთა ვარიანტები, თუმცა, სამწუხაროდ, ტაოს ქართულენოვან სოფლებში დიდი წარღვნის ლეგენდა ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ვხვდებით ადგილობრივი გენეზისის მცირე წარღვნის ლეგენდათა ვარიანტებს.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ელიასხევში 1995 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ 40 წლის ადემ ფოლადისაგან ჩანერილი ეტიოლოგიური ხასიათის მცირე წარღვნის ლეგენდა მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ რატომ არის ქვიანი კუპრეთის იალაღი: ერთ საცოლვე სომეხ ბიჭს ქართველი გოგო მოსწონებია და მისი ხელი უთხოვია:

„– გოგო მომეცით და ჩემთვის ქალი ვქნაო!“

გოგოს მხარეს ჯერ ცივი უარი უთქვამს, მაგრამ შემდეგ ერთი პირობა დაუდვიათ: თუ ვაჟი ძნელად გასაჭრელ კლდეს გაჭრიდა და სოფლამდე სარწყავ წყალს მოიყვანდა, მიათხოვებდნენ:

„– იმ კილდე თუ გამოჭრავ, მოქცემთ, თუ არ გამოჭრავ, არ მოქცემთო!“

სომეხმა სასიძომ დიდი ჯაფა გასწია: მოზიდა შეშა, დააწყო კლდეზე, დაანთო ცეცხლი, გააცხელა ქვები და ზედ წყალი დაასხა, რის შედეგადაც „ი ქვა ისე გუუფრენია იქა, ისე გუუჭრია, წყალი მუუყვანია“.

დანაპირების შესრულების მიუხედავად, ქართველებს მაინც არ მიუთხოვებიათ თავიანთი გოგო და გადაუნყვეტიათ, ჯიუტი მთხოვნელი თავიდან მოეშორებინათ („დავკარქოთ“); აუტყუებიათ მაღალ კლდეზე და იქიდან გადაუგდიათ; ვაჟი, ვიდრე ძირს დაეცემოდა, ყვიროდა:

„– ღმერთმა იმ წყლით მოსარწყავი ჭალა-ყანა ქვიანი ქნას და არ ამოვდესა!“

მთქმელის ღრმა რწმენით, „...ის დაღლა ისე ქვიანია, მეტი კაჟ ჭალა-ყანა არაა და იმა ილაპარაკებენ ქი ისე, „იმ სომეხი ბიჭს ასე დუუდვია და იმი ბრალიაო“ (ფალავა., 2005: 148).

2017 წელს სოფელ დუგურში მცხოვრები ჰაკი ჩეიქანისაგან პროფესორმა მამია ფალავამ ჩაიწერა ამ ლეგენდის კიდევ უფრო არქაული ატრიბუტიკით დატვირთული ვარიანტი, რომლის თანახმადაც, სომეხი ვაჟის ტრაგიკული ისტორია სოფელ სადგიყანას სარწყავი რუს გაყვანას უკავშირდება. ამ ვარიანტითაც სომეხ ვაჟს, სახელად ოლვილოს, სადგიყანელი ქართველი გოგო მოსწონებია („დააშეკებია“). გოგოს ნათესავებს უთქვამთ:

„– აქ რუ მეფყვანე, გოგო'ნა მოქცე“-ო.

ჰაკი ჩეიქანისეულ ლეგენდაში ყურადღება არ მახვილდება შეყვარებული ბიჭის მიერ განეულ მძიმე შრომაზე, თუმცა, მიუთითებს, რომ „რუ მუუყვანია“ და კვლავ მისულა გოგოს სათხოვნელად:

„– აჰა, რუ მეყყვანე, გოგო მომე!“-ო  
გოგოს მხარე გაბრაზებულა და სიკვდილით დამუქრებიან  
– „გამოჰკიდებინან, შენ'ნა დაგკლათო!“

ვაჟი გაქცეულა, მასისის მთაზე ყორე გაუკეთებია და წყალი დაუგუბებია; წყალს ყორე გაუგლეჯია, ლომბის ტბაზე გასულა, ტბა გამსკდარა და სოფელი იეთი წაუღია. შურისმაძიებელი ბიჭი კი მთად ქცეულა და „დღესაც ჩანს“. საყურადღებოა, რომ იმ მიდამოებში აჩვენებენ მთას, რომელსაც ადამიანის აღნაგობა აქვს (ცინცაძე,... 2017: 225-226).

ამგვარ ლეგენდათა გენეზისი ერთის მხრივ ტაოს სოფლების (კუპრიეთი, სადგიყანა თუ სხვა) ქვა-ღორღიან ნიადაგს უკავშირდება, მეორეს მხრივ კი – გურჯებს შორის ლამის ბოლო დრომდე შემორჩენილ ტრადიციას, რომლის თანახმადაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სისხლი არ იცვლება“ და ცდილობდნენ, ქალიშვილები უცხო ტომელებისათვის არ მიეთხოვებინათ.

2017 წლის 26 ივლისს ჩვენ მიერ დოლენჯიანთკარელი სახალხო მთქმელის – მევლუდ დოლენჯიშვილისაგან ჩანერილი ვარიანტის თანახმად, ბიჭის ეროვნება არ არის წარმორჩენილი, ის ველისთაველი ყოფილა; ბიჭს ერთი გოგო შეჰყვარებია; გოგოს მამა ხან პირდებოდა, მოგათხოვებო, ხან უარს ეუბნებოდა; საბოლოოდ კი აღარ გაუტანებია; „წასულა კაცი, უთქმია:

– ღმერთმა თქვენ ისე'ნა დაგმართოთ'ნა, წყალმა წეგასხას და დაგარჩოსო!“

ბიჭი წასულა, წყაროს სათავე დაუგუბებია, წყალს გაუხეთქია გუბე, გადმოსულა და სოფელი ველისთავი, იმ გოგოს ოჯახი და ყველა დამხრჩვალა. ხალხს დაუნყევლია ბიჭი:

„– ღმერთმა გაგახმოს მანდაო!“

მართლაც, მთაზე მდგარი ბიჭი გაქვავებულა: „გამხმარა და ქვა არი და სახელი „ოლვილო“, გაყუდებული ქვა არი“.

ტაოელი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მცირე ნარღვნის ლეგენდა, რომელიც ლოკალურ გარემოს უკავშირდება, არქაული რწმენა-წარმოდგენების გენეზისისაა.

ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში უხვად შემორჩენილი მცირე ნარღვნის ლეგენდები, რომლებიც ამა თუ იმ ტბისა თუ მენყერის გენეზისს უკავშირდება და თავისთავად ლოკალური ხასიათისაა, რამდენადაც იმ კონკრეტული ადგილის პროდუქტია, ზოგადად საერთოქართული და საერთოკავკასიური არქაული რწმენა-წარმოდგენებით არის ნასაზრდოები. ბუნებრივია, ტაოს ფოლკლორულ შემოქმედებაში არც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი საქართველოს სხვა კუთხეებში დაფიქსირებულ მცირე ნარღვნის ლეგენდათა ვარიანტები და არც დასტურდება; ტაოელ ჩვენებურთა შორის შემორჩენილ მცირე ნარღვნის ლეგენდას, თავისი ვარიანტებითურთ, ადგილობრივი გარემო კვებავს, რაც ამ ტიპის ლეგენდების სპეციფიკაა.

## 2. ტოპონიმური თქმულება

მევლუდ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 26 ივლისს ჩანწერილი ტოპონიმური თქმულება მოგვითხრობს სამი ქართული სოფლის – ხევას, ბალხისა და ქობას (ქვაბაქი) დაარსებაზე: სამხედრო სამსხურიდან ჯარისკაცები გამოქცეულან და მოუღწევიათ ბალხის წვერამდე. ძალიან დაღლილები ყოფილან. ერთი სულელი კაცი ხლებიათ, მას უთქვამს:

„– მე დევალე, აღარ მიალ თქვენს უკან!“ – და იქვე დასახლებულა.

ერთ-ერთ გამოქცეულთაგანს, გვარად ბასილოლლუს, გადაუხედავს ახლანდელ სოფელ ხევასკენ, მოსწონებია მრავალი ღელეები და ხეხილით შემკობილი ადგილი და უთქვამს:

„– მე აქედან ჩავცურდები, ჩევალ ხევასო, იქ ვიცხოვრებო!“

ერთ-ერთს კი დაუნახავს დღევანდელი სოფელ ქობას სანახები, სადაც „ყართოფაჟს ყანები“ ყოფილა და იქ დასახლებულა. მთქმელის დასკვნით, „იმთგან დაშენებულია ხევად, ქვაბად და ბალხი“ (შიოშვილი, 2020: 919).

ტაოს ფოლკლორმა შემოინახა, აგრეთვე, ტოპონიმური თქმულება სოფელ ბინათის სახელდებასთან დაკავშირებით, რომელიც თამარ მეფის ციკლისაა (თაყაიშვილი, 1991: 221).

### **3. თქმულება-გადმოცემები თამარ მეფზე**

ტაოში, როგორც სხვა ისტორიულ ქართულ რეგიონებში – შავშეთსა (შიოშვილი, 2016: 295-296) და კლარჯეთში (შიოშვილი, 2017: 283, 415-417) – ბოლო დრომდე შემორჩენილი ქართველთა უსაყვარლესი მეფის – თამარის ხსოვნა.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის მოამაგე და მკვლევარი სოლომონ ასლანიშვილი-ბაგრაელი წერილში „მაჰმადიანთ საქართველოდამ“ წერს: „როგორც მაჰმადიანთა საქართველოს სხვა ნაწილებში, ისე ართვინისა და არდანუჯის მაზრების მაჰმადიანებს ახსოვთ უკვდავი სა-

ხელი თამარ დედოფლისა. იმის სხვა მხნეობისა და მამაცობის გარდა, ესენი ამბობენ, თამარ მეფეს იმისთანა მცენარე ჰქონიაო, რომ „რკინას ოქროთ აქცევდაო“ (ასლანიშვილი-ბარველი, 2008: 170). ხალხში დარჩენილ ამგვარ რწმენა-წარმოდგენას „ოქროს ხანად“ წოდებული აღორძინების ეპოქის, დიდებული თამარ მეფის შესახებ ავტორი ზღაპარს უწოდებს და ფიქრობს, რომ ეს „ჯადოსნური მცენარე“ უსათუოდ იქაური მადანთა საბადოებია; ამგვარი ახსნა, რა თქმა უნდა შესაძლებელია, თუმცა, ჩვენი აზრით, ხალხის ამგვარ ფანტაზიას უნდა კვებავდეს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი თამარ მეფის ციკლის ტოტემისტური მითოსური თქმულება, რომლის თანახმადაც თამარ მეფემ, რომლის სახეშიც არქაული დარგობრივი ღვთაების – მკურნალობის ქალღმერთის ფუნქციებია შერწყმული, ფრთამოტეხილ წეროს უმკურნალა, ხოლო წერო, ვითარცა ტოტემი, მადლიერების ნიშნად, ყოველი გადაფრენისას ყვითელ და თეთრ ნაფოტებს უყრიდა; თამარ მეფე თეთრ ნაფოტებს რძეში რომ ჩაყრიდა, რძე ვერცხლად იქცეოდა, ყვითელი ნაფოტების ჩაყრით კი რძე ოქროდ გადაიქცეოდა ხოლმე (ქ. ხ. ს. ს., 1961: 88-89).

ტაოს ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახული თამარის ციკლის თქმულება-გადმოცემები ძირითადად ამ მხარეში არსებულ სარწყავ სისტემას უკავშირდება; ყველა სოფელში მიაჩნიათ, რომ იქ ჩამომდინარე სარწყავი რუ თამარისდროინდელია.

2017 წლის 29 ივლისს სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში 47 წლის ქალბატონის – ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოლლი) ჩაწერილი თქმულების თანახმად, თამარა ქართველი გოგო („ბგანო“) ყოფილა, სავრიათის წყალი (რუ) ძალიან შორიდან მას გამოუყვანია. თამარა ძალიან ლამაზი და მდიდარი



ყოფილა, ახალგაზრდები თამარაზე ყოფილან გამიჯნურებულნი; ამავე თქმულებაში ვხვდებით სრულიად მოულოდნელ ეპიზოდს, რომლის თანახმადაც, მიჯნურ ვაჟებს თამარა „გუ-უზღეპიან“, რის გამოც გოგოს დაუწყევლია:

„– წყალი მევტანო და არ დეფქიროს ამისი წყალიო! აღარ გამოვდეს ამისი წყალიო!“

თქმულების თანახმად, იმ დღის შემდეგ სავრიათში წყლის ნაკლებობაა, ერთ დღეს წამოვა, მეორე დღეს – არა (შიოშვილი, 2020: 919).

თქმულების ფიშნახევური ვარიანტის (მთქმელი მუზაფერ გულერი (მოლახოლიშვილი), ჩაინერა მამია ფალავამ 2017 წელს) თანახმადაც, რუ თამარის მოყვანილია მთიდან. ის მდიდარი ყოფილა, ძალიან ბევრი საქმე უკეთებია („ყოლი საქმე უქნია!“) და ეკლესიაც აუშენებია (ცინცაძე... 2017: 200).

დოლენჯიანთკარელი სახალხო მთქმელი მეველუდ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), რომელმაც მეტ-ნაკლებად იცის საქართველოს ისტორია (მიღებული აქვს უმაღლესი განათლება), სხვათაგან განსხვავებით, ტაოში სარწყავ რუთა მშენებელს უბრალო სახელით („ბგანო“ თამარა) კი არ მოიხსენიებს, არამედ „თამარა დოდოფალს“ უწოდებს (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 26 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ობლექარში).

„– თამარა დოდოფალი ბალხ ყოფილა, წყალი მუყყვანია, რუ მუყყვანია. ბევრი საყვარელი გოგო ყოფილა“ (შიოშვილი, 2020: 961).

სოფელ ბალხის მკვიდრის – შაბან შირინისაგან 2017 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, სავრიათში სარწყავი წყლის მოყვანა ძალზე ძნელი

ყოფილა; თამარას ყველფერი გაუყიდა, „რომ არ ეყო, საყურეებიც გაყიდა“. შაბან შირინისეული გადმოცემის თანახმად, თამარას სავრიეთელები დაულოცია, ბევრი წყალი გქონდეთო, ბალხიბარელებისთვის კი უთქვამს, „არ დადგესო თქვენთან წყალი!“ (ცინცაძე., 2017: 215-216; შიოშვილი, 2020: 919).

ნითლევეკარელი ხალით ჭილაბოღლისაგან 2017 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმად, თამარას მიერ გაყვანილი კილომეტრიანი სარწყავი „კანალი“ ამ სოფელშია. მთქმელის წარმოდგენით, თამარა დიდი ხნის წინ „რუსი ბებერი“ ყოფილა“... საუბრისას მთქმელი თანდათან „ხვეწავს“ გამოთქმებს (დიდხანს, მათი წარმოდგენით, საქართველოც „რუსიად“ იყო მიჩნეული) და ამბობს: „– იმხან რუსი იყო და...“; თანაც ამატებს: „– ჩვენც გურჯისტანიდან მოველით აქ“; ხოლო იმ ფაქტს, რომ ტაოში რუსები ვერ გაბატონდნენ, თამარას „დამსახურებად“ თვლის: „– თამარა... უთამამებია, წესულა რუსი!“ (ცინცაძე..., 2017: 219).

სოფელ მოსლიეთში მცხოვრები ახმედ გულმეზისაგან 2017 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმადაც თამარას მოყვანილია რუ, ხოლო თავად „თამარად“ იშტე, გურჯისტანის ფადიშაჰის ბგანუ, გურჯისტანის ფადიშაჰის ბგანუ...“ (ცინცაძე..., 2017: 223).

საყურადღებოა, რომ აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა ნაშრომში „ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან“ საქართველოში სარწყავი არხების მშენებლობის თაობაზე აღნიშნა: „ჩვენ არა გვაქვს საფუძველი იმ გადმოცემათა ხელალებით უარყოფისათვის, რომელნიც საქართველოში დიდ არხთა მშენებლობას თამარ მეფის სახელს უკა-

ვშირებენ. ზოგი არხი, სავარაუდებელია, გაცილებით უფრო ძველია, ზოგი მართლაც, შესაძლებელია, თამარის მოღვაწეობის პერიოდში იყოს, მაგრამ, თუ თამარს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისა და ძლიერების სინონიმად გავიგებთ, რის უფლებასაც ამ ცნობათა ფოლკლორულობა გვაძლევს, მაშინ ჩვენ ეს ტრადიცია ზოგადად ისტორიულ სინამდვილედ უნდა ვაღიაროთ...” (ბერძენიშვილი, 1964: 420).

გამოთქმული მოსაზრების განსამტკიცებლად მკვლევარი იშველიებს თამარის ციკლის ეპიტაფიურ ლექსს „თამარ დედოფალი ვიყავ“ და აღნიშნავს: „უნწყლოსა წყალი ვადინე“, – თამარის ხალხურ ეპიტაფიაში რომ მოიხსენიება, იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ქველმოქმედმა მეფემ სასმელი წყალი გაიტანა სადღაც სამადლოდ, არამედ აქ ნაგულისხმევია ისეთივე დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმიანობა, როგორადაც, იმავე ეპიტაფიის მიხედვით, ითვლებოდა ახალი ტერიტორიის შემატება („ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე“), ან უცხო ქვეყნების დამორჩილება-დახარკვა („ისპაანს დავდე ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე“) – (ბერძენიშვილი, 1964: 421).

ტაოურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩა, აგრეთვე, თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ეკლესიათა მშენებლობის თემატიკის შემცველი ნარატივებიც. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს, „...ქართველ მეფეთა შორის ლეგენდები ზოგ ადგილას მარტო თამარ დედოფალზეა შენახული. იხსანში, ხახულში, ოთხთა ეკლესიაში, პარხალში მცხოვრებნი მათი ეკლესიების აშენებას ძლევამოსილს, მდიდარს და შესანიშნავ დედოფალს მიაწერენ; მაგრამ სახელი მისი იციან კობაკში და ბინათში, სხვაგან დავიწყებული აქვთ. ოთხთა ეკლესიის მცხოვრებნი ამბობენ: იმ მეფის ასულს, რომელ-

მაც ოთხთა ეკლესია აღაშენა, ფული არ ეყო და თავისი თმის სამკაული გაჰყიდაო. ხოლო კობაკის მცხოვრებლებმა იციან სახელი დედოფლისა, რომელმაც აღაშენა იშხანი, ოშკი, ხახუ-ლი, ოთხთა ეკლესია და პარხალი“ (თაყაიშვილი, 1994: 220).

როგორც მკვლევარი გადმოგვცემს, ხალხს სჯერა, რომ ეს იყო თამარი, ანუშირვანის ასული. მამას ყველა შვილი გაუმუსლიმებია, თამარისთვის კი, „დიდი დამსახურების გამო“, ნება დაურთავს, ქრისტიანად დარჩენილიყო. აქვე ე. თაყაიშვილი გვაცნობს ლეგენდას, რომლის თანახმადაც, ხალხის რწმენით, თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთ დღეში შეეძლო, მოევლო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. „კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამო-სახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო; როცა მან გაიარა ამ კლდესთან თავისი ჯვრით, ცხენიდან ვარდებოდა და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო“ (თაყაიშვილი, 1991: 220-221).

დაბა სარიგოლში მცხოვრები ქებირ იარიჯისაგან 2017 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმად, სოფელ ხევას წინ, ქელაზორში მისვლამდე, ყოფილა პატარა ეკლესია, რომელიც ქელაზორელ თამარას აუშენებია. მას დიდხანს უვლია ეკლესიის ასაშენებელი ადგილის შესარჩევად და ბოლოს ეს ადგილი შეურჩევია (ცინცაძე..., 2017: 231).

ექვთიმე თაყაიშვილისეულ მასალას განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თამარ მეფის ციკლის ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების გამდიდრებაში ტაოური ვარიანტებით, რომლებიც ისეთივე ძირძველი ნაწილია ეროვნული ფოლკლორისა, როგორც – თავად ეს დიდებული მხარე – მშობლიური საქართველოსი.

თამარ მეფის ციკლის ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება მდიდარია ლეგენდებით, თქმულებებითა და გადმოცემებით, რომლებიც მოგვითხრობენ ქვეყნის დიდებული მმართველის მიერ წარმოებულ გრანდიოზულ მშენებლობებზე.. „ეროვნული ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშებით თამარ მეფე წარმოგვიდგება ეკლესია-მონასტრების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეების მშენებლობათა სულისჩამდგმელად და ხშირად – უშუალო მონაწილედაც“ (შიოშვილი, 2014: 16).

ექვთიმე თაყაიშვილმა ტაოელ ქართველებში ჩაინერა გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ოთხთა ეკლესიის მშენებლობის დროს თამარს „ფული არ ეყო და თავისი სამკაული გაყიდაო“; ამ გადმოცემის ვარიანტი პარხლის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩაინერა პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ სოფელ ქობაში: „თამარ დოდოფალსა პარხალი ქილისა რომ გუუკეთებია, იმდენი დუუხარჯია, ოქრო აღარ დარჩომია. თმის დასაჭირებელი ქონებია ოქროსი. უთქუამს, ისინი გამაყიდნია ამ საქმემაო...“ (ფუტყარაძე, 1993: 176). ამგვარ გადმოცემებს მრავალი ისტორიული ძეგლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოვისმენთ, რასაც საფუძველი ეძებნება თავად ღვთისმოსავი მეფის პირად ცხოვრებაში და მეისტორიეთა თხზულებებში, რომელთა თანახმადაც, როგორც კი სახელმწიფო საქმეებისაგან გათავისუფლდებოდა, თამარ მეფე კერვასა და ქსოვას იწყებდა და ნახელავს უპოვრებს ურიგებდა („ქ. ცხ-ა“, 1959: 80-81). თამარის მიერ თმის მოჭრისა და მისი საფასურით მშენებლობისათვის ხელის შეწყობის სიუჟეტი კი ძალზე გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში.

პარხლის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით სოფელ ქობაში პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ ჩაინერა თამარ

მეფისადმი ხალხის თანადგომის გამომხატველი გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ერთ ალას, რომელსაც ბევრი მენველი თხა ყოლია მთაში, თამარ დედოფლისათვის მშენებელთა რძით დაპურება შეუთავაზებია.

„– ნაწუელით მე დეგეშველები, ნამუშავთ მთართვი, მაგრათ აამუშავეო, – უთქვამს, თუმცა მთიდან რძის ბარად ჩამოტანა როგორ მოხერხდებოდა, არ იცოდა.

თამარს უთქვამს:

„– ეგ ადვილია, მაგას მე მუაფერებო“.

თამარმა ჯარისკაცებს ხის ლარები გააკეთებინა, ერთმანეთზე გადააბმევინა და „თიღამ პარხალ ნაწუელი ჩამეფანეს. იქ მოწუელა კაცმა, გომოდინდა პარხალში. რზის წყარომ ამაშენებია პარხალიო, – უთქვამს თამარსა“ (ფუტკარაძე, 1993: 176).

საყურადღებოა, რომ მთიდან ბარში მიღებით რძის ჩამოდინება გვხვდება ფშაურ თქმულებაში, რომლის თანახმადაც გაბუდაყებული ძმები სულა და კურდელა, რომლებსაც დიდი რაოდენობით ცხვარ-ძროხა ჰყავდათ, მთაში საქონელს რომ მოწველიდნენ, რძეს მიღებში ასხამდნენ და ისე ჩამოდიოდა სოფელში (სიხარულიძე, 2006: 228).

ექვთიმე თაყაიშვილი მიანიშნებს, აგრეთვე, ტაოელ ქართველთა შორის გავრცელებულ ლეგენდაზე, რომლის თანახმადაც, ხალხის რწმენით „თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო, მოეველო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი“. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული მრავალი ლეგენდის თანახმად, არათუ ჯადოსნური რაში, არამედ თამარს გველიც კი დამორჩილებული ჰყავდა და რაშად იყენებდა: „წყუელი რაშადა ჰყვანდა, პირში ღვთისაგან ნაკურთხ ლაგამამოდებული, და ზედ

მჯდომი დაჰქროდა, – ამ წამს რომ აქა ყოფილიყო, მეორე წამს ბაღდადს გაჩნდებოდა“ (ქ. ხ. ს. სიტყვ., 1961: 276). ამდენად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ტაოში დაფიქსირებული ეს ლეგენდაც ზოგადქართული გენეზისისაა.

ტაოს ზეპირსიტყვიერებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელებულია ტოპონიმური გადმოცემა სოფელ ბინათის სახელდებასთან დაკავშირებით, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი გვაცნობს; იგი თამარ მეფის სახელს უკავშირდება: „ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოიარა; ცუდი ტაროსის გამო გზა ველარ განაგრძო და ინება ღამის გათევა ამ სოფელში; მას მიუჩინეს საუკეთესო ბინა და მას შემდეგ სოფელს დაერქვა სახელი ბინათი, რომ ამით აღენიშნათ თამარის ღამის გათევა ამ სოფლის ბინაში“. ეს ნარატივი (ბატონი ექვთიმე მას ლეგენდას უწოდებს) მისთვის გადაუცია ალექსანდრე მატეასევიჩს, რომელიც იმხანად სამხედრო პირი იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს სოფელ ბინათში 219 სული ცხოვრობდა და, როგორც ე. თაყაიშვილი მიუთითებს, ყველა ქართულად ლაპარაკობდა (თაყაიშვილი, 1991: 221).

ტაოს სოფელ ბინათის შესახებ ხალხში არსებული ტოპონიმური გადმოცემა, რომელიც თამარ მეფის სახელთან, ამ სოფელში მის ყოფნასთან ასოცირდება, მსგავსია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ტოპონიმური ნარატივებისა და ამ თვალსაზრისითაც ტაოს ზეპირსიტყვიერება საერთოქართული ფოლკლორული მოზაიკის ნაწილია.

ოთხთა ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი გვაცნობს, აგრეთვე, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილ ოსტატ-შეგირდის ციკლის თქმულების ვარიანტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში თამარ

მეფის სახელს უკავშირდება. ტაოური თქმულების თანახმად, „ოთხთა ეკლესიის ასაგებად ქვა სოფლის მახლობელი ქვასატეხიდან მოუზიდავთ და დაულაგებიათ იქ, სადაც აშენებას აპირებდნენ; მაგრამ ერთი ქვა დაჰკლებიათ და ოსტატს ეს გაჰკვირვებია, ყველაფერი ზუსტად ვიანგარიშე და უნდა მყოფნოდა, ალბათ, გზაში თუ დაუვარდათ ქვაო. მართლაც, დანაკლისი ქვა გზაში უპოვნიათ“ (თაყაიშვილი, 2016: 380-381).

ოსტატ-შეგირდის პროფესიული შურის შემცველი თქმულებებით მდიდარია ქართული ფოლკლორი; მათი ერთი ნაწილი თამარის ციკლისაა და მრავლად ვხვდებით აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში, ქართლ-კახეთში (შიოშვილი, 2014: 21-25); მათი უმეტესობის თანახმად, შეგირდი უფრო ჭკვიანი ყოფილა, გამოუთვლია, რამდენი ქვა დაჭირდებოდა მშენებლობას; შურიან ოსტატს კი ეს არ გახარებია, რაც ძირითადად მისი დაღუპვით დასრულებულა. მართალია, ტაოურ თქმულებებში ოსტატ-შეგირდის შუღლი აღარ ჩანს, მაგრამ ის მაინც ქართული ზეპირსიტყვიერების ორგანული ნაწილია.

ტაოელ ქართველთა ისტორიულმა მეხსიერებამ მწირად, მაგრამ მაინც, შემოინახა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად დაფიქსირებული თამარის მიჯნურის მდინარეში დახრჩობასთან დაკავშირებული ლეგენდის ვარიანტიც. ელიასხეველი მთქმელის – 65 წლის პენსიონერი პედაგოგისაგან – შევქი თოფჩუსაგან 2017 წლის 27 ივლისს ჩანერილი ნაამბობის თანახმად, რომელსაც ლეგენდის ელფერი აღარ შერჩენია, „თამარა დოდოფალი“ ერთ კაცს შეჰყვარებია. თამარი პარხალში ჩასულა. ამ დროს მდინარე პარხალი ადიდებული ყოფილა. „თამარას უთქმია:

– თუ გადაცურავ, შენი ვიქნებიო“.



მთქმელის დასკვნით, „ნასულა ი კაცი და ვერ გადაცურა, დამჩვალა“.

ქართულ ფოლკლორში ამ ტრაგიკული სიუჟეტის შემცველი ნარატივი გორის ჯვრისა თუ გორი ციხის აშენებას უკავშირდება. ერთ-ერთი ვარიანტით, რომელიც ხალხოსანმა პოეტმა იოსებ დავითაშვილმა ჩაიწერა 1977 წელს (ქ. ხ. ს. ს., 1961: 97), მოგვითხრობს: ერთხელ გორში მყოფ თამარ მეფეს საყვარელი ქორი გაუფრინდა და იმ ადგილას დაჯდა, სადაც ახლა გორიჯვარის ეკლესიაა აშენებული. მტკვარი ადიდებული ყოფილა და ქორის გამოყვანა ძალზე საეჭვო გამხდარა. თამარს უბრძანებია:

„– ვინც ჩემ ქორს გამომგვრის, რასაც მთხოვს, იმას მივცემო“.

ყმანვილი კაცი შეცურებულა აბობოქრებულ მდინარეში. თამარს შეშინებია, ვაითუ ისეთი რამ მომთხოვოს, რისი გაცემაც არ შეიძლებაო, პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს:

„– ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს იმ ყმანვილ კაცს, ცოცხალს ნუ გაიყვანო!“

მართლაც, ჭაბუკი მტკვარში დამხრჩვალა. თამარი ძალიან დაღონებულა და მისთვის თავშენიერული ჭაბუკის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად უბრძანებია:

„– ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაუდგით, რომ იმ ადგილს მივაგნო; მე მსურს, ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ, ამ ეკლესიას „ქორის ჯვარი“ ერქმევაო“. იმ ადგილას ერთ კვირაში აუგიათ ეკლესია, რომელსაც ახლა „ქორის ჯვარს“ ეძახიან (შიოშვილი, 2014: 76).

ლეგენდის იმერული ვარიანტით (ხ. ს., ტ. III, 233), გორის ციხე თამარმა ააგო მასზე შეყვარებული ჭაბუკის ხსოვნის ნიშნად, რომელიც მისი შევარდენის გამოსაყვანად გადაეშვა

ტბაში და დაიღრჩო მას შემდეგ, რაც უხერხული დაპირებით შეცბუნებულმა თამარმა ღმერთს შესთხოვა, ჭაბუკი ტბის ტალღებში დაღუპულიყო (შოიშვილი, 2014: 76).

ლეგენდა „დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის“ (ხ. ს. ტ. III, 234-235) გორის ციხის აგებას უკავშირებს იდენტურ სიუჟეტს, ოღონდაც აქ თამარზე შეყვარებულ ჭაბუკს მიმინო ჰყავს გადასარჩენი. მეფე ქალის ხელის მაძიებელი ვაჟკაცი აქაც იღუპება თამარის ჩანაფიქრის გამოისობით, მაგრამ „ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დასწრიტა, თვით ბორცვზედაც ააგო მაგარი გორის ციხე“ (შოიშვილი, 2014: 77).

მსგავსი ვარიანტი გამოაქვეყნა მოსე ჯანაშიელმა „მასალათა კრებულში“ 1904 წელს. ლეგენდა ახლავს გორის გეოგრაფიულ-ისტორიულ აღწერილობას. იგი მოგვითხრობს: მტკვრისა და ლიახვის შესართავთან იდგა ტბა, შიგ ბორცვი იყო ამონეული კუნძულივით. ერთხელ თამარ მეფე მახლობელ ტყეში ნადირობდა. მისი შევარდენი გაფრინდა და იმ კუნძულის ბორცვზე ჩამოჯდა. მეფემ ბრძანა:

„– ვინც გამოიყვანს, რასაც მთხოვს, იმას მივცემო“.

ერთმა მზეჭაბუკმა გაბედა და ტბაში გადაეშვა. თამარს შეეშინდა, ხელი არ მთხოვოსო და მისი დახრჩობა ინატრა. ვაჟკაცი დაიხრჩო. შენუხებულმა თამარ მეფემ არხი გაუჭრა ტბას, დაწრიტა და იმ ადგილას, გორაკზე, გორის ციხე ააშენაო (შოიშვილი, 2014: 77).

ლეგენდის ერთ-ერთი იმერული ვარიანტით („თამარი და მიმინო“) თამარის საყვარელი მიმინოს გამომყვან ვაჟკაცს გულში მეფობის სურვილი გააჩნია და ამის გამო იღუპება:

შუამდე იყო მიღწეული ვაჟი, რომელსაც მკლავზე მეფის საყვარელი მიმინო ეჯდა, როცა ნაპირზე დაინცეს ლაპარაკი:

„– აბა, რას იტყვისო, რას ინდომებსო?

– რას იტყვის და ნეფობას იტყვის, თქმა რათ უნდა მაგასო?!

თამარმა ყური ათხოვა ამ ლაპარაკს, შეხედა წყალში ამ ბიჭს და სთქვა:

– თუ მაგ გაქვს გულში, გაგწყვეტია მიწაო!

ის თქვა და წაიღო წყალმა ის ვაჟკაცი და მიმინოც“ (შიოშვილი, 2014: 78).

1882 წელს „მასალათა კრებულში“ დაბეჭდილი ლეგენდის ქართლური ვარიანტის (ქ. ხ. ს. ს. , ტ. I, 235) თანახმად, ის ადგილი, სადაც ახლა გორის ციხეა აგებული, დაფარული იყო ტბით; შუაში კი პატარა კუნძული იყო. ერთხელ ამ მიდამოში თამარ მეფე მიბრძანებულა სანადიროდ, თან ჰყოლია თავისი საყვარელი განვრთნილი შევარდენი. ნადირობისას შევარდენი გადაფრინდა ტბაზე და კუნზულზე ჩამოჯდა. თამარმა მიმართა თავის ამაღას:

„– ვინც შავარდენს გადამირჩენს, ჩემს ნახევარ სამეფოს მივართმევო“.

ერთი მამაცი ვაჟკაცი გადაეშვა ცხენით ტბაში, მიცურდა და გამოჰყავდა შავარდენი, მაგრამ უკან დაბრუნებისას შავარდენიანად და ცხენიანად ტბის ტალღებმა შთანთქა. თამარი ძალიან შეწუხებულია, უბრძანებია, ტბის წყალი მტკვრისათვის შეერთებინათ, ტბა დაეცალათ და გორაკზე ციხე აეშენებინათ“ (შიოშვილი, 2014: 79).

მოხმობილი ტექსტებიდან კარგად ჩანს, რომ ტაოური თქმულება თამარზე შეყვარებული ვაჟის ადიდებულ პარხალში დახრჩობისა ძირძველი ქართული ლეგენდის ვარიანტებია

და სავსებით შესაძლებელია, რომ მისი გენეზისი პარხლის ტაძრის აგებასთანაც იყოს დაკავშირებული; მით უფრო, რომ ტაოელებს დღესაც სჯერათ, რომ პარხალი თამარმა ააშენა.

ამრიგად, მიუხედავად ჟამთა სიავისა და ისტორიული ძნელბედობისა, ტაოელთა ისტორიულმა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანად“ წოდებული ეპოქის დიდებული შემოქმედის – თამარ მეფის უკვდავი სახე.

#### 4. თქმულება-გადმოცემები ქრისტიანობაზე

ტაოელთა ისტორიულმა მეხსიერებამ შემორჩა ცოდნა იმის თაობაზე, რომ წარსულში აქ ქრისტიანები ცხოვრობდნენ, რაც აისახა მარადიული გაზაფხულის მითოსშიც; თუმცა დაკარგული სამოთხის, ანუ მარადიული გაზაფხულის, მითი, ზოგადქართულისაგან განსხვავებით, თამარის ეპოქის ნაცვლად, ტაოში ქრისტიანი ბერების ყოფნას უკავშირდება.

2017 წლის 27 ივლისს სოფელ ელიასხევში იბრაიმ ოზდემირისაგან პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახმად, გიათ ქედის გადაღმა, სადაც ძველი სასაფლაოა, ცხოვრობდა ქრისტიანი ბერი. ინტკორში, თურმე, ქალი ბინადრობდა, რომელსაც „კანალი უშენია“. ქალი აზელილს (საჭმელია, ყველით და ერბოთი მზადდება – თ. შ.) გააკეთებდა, რუში ჩადებდა, რუს კი ბერამდე მიჰქონდა, „ქემიში მოვდოდა, აწევდა, შეშჭამდა“ (ცინცაძე, ... 2017: 204; შიოშვილი, 2020: 920).

ინტკორში მცხოვრები ქალი, რომელსაც „კანალი უშენებია“ და, ამავე დროს, ქრისტიან ბერებს საჭმელს უმზადებდა,

ბუნებრივია, თამარ მეფის ხსოვნის გამომხატველია და იმისი დასტურიც, რომ აქაურებს არ დაუკარგავთ ხსოვნა იმისა, რომ ტაო ძველად ქრისტიანული მხარე იყო.

სოფელ ჩევრელში მცხოვრები მურეთთინ ქილიჩისაგან 2015 წლის 11 აპრილს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩაწერილი გადმოცემაც ინახავს ქრისტიანების ხსოვნას: თუხარისიდან ქარსიქერის ციხემდე, რომლის მანძილიც 15-20 კილომეტრია, თურმე, თიხის მილი ჩამოდიოდა. თუხარისის გვერდით ყოფილა სალორე, სადაც ღორებს წველიდნენ და რძეს მიღებით ციხეში მდგარ ქრისტიან ჯარისკაცებს აწვდიდნენ (ფალავა, 2016: 72; შიოშვილი, 2020: 920).

თიხის მიღებით მთიდან ბარში რძის მიწოდების ეპიზოდს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული მითოსური ნარატივები; ერთ-ერთი მათგანი ჩარგლელ ძმებს – სულასა და კურდღელას – უკავშირდება: ძმები ქონებრივმა უპირატესობამ გაამედიდურა და ხალხის შეწუხებით ჯვართან დააპირისპირა, რასაც ჯვრის შურისძიება მოჰყვა და ხალხმა ძმები ამოხოცა (სიხარულიძე, 2006: 228).

ტაოური გადმოცემით, ფშაურისაგან განსხვავებით, მწყემსები მოძალადეებად არ გამოიყურებიან, პირიქით – ისინი რძით აპურებენ ციხე-სიმაგრეში მდგარ ქრისტიან მეციხოვნეებს; ვფიქრობ, ამ გადმოცემას, რომელიც სამშობლოს დამცველ მებრძოლებზე ზრუნვას შეეხება, ეროვნულ-პტრიოტული საფუძველი უნდა ჰქონოდა და თავის დროზე ამ ძირძველი ქართული კუთხის მყარ ქრისტიანულ პოზიციებზე უნდა მიუთითებდეს.

ტაოში ქრისტიანობის არსებობის თაობაზე უფრო შორს მიდის ბასლევარელი მთქმელის – ემინე ქეჩეჯისაგან 2017 წელს პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩაწერილი თქმულება,

რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ „მშვიდობიანად“ ჩაენაცვლა მუსლიმური რწმენა ქრისტიანობას:

ოთხთა ეკლესიაში ერთი ბერი სახარებას კითხულობდა (მთქმელმა იხმარა არაბული სიტყვა („ინჯილი“ – Incil – სახარება, ახალი აღთქმა) და იქვე დაამატა: „თქვენ რას იტყვით? – ბიბლია...“), რომელშიც ეწერა, ერთი წინასწარმეტყველი უნდა მოვიდესო, „იმისი გზა-კვალი სწორია, ვინცხა იმაზე მეესწრება, მის უკან წევდეს, იმის გზაზე წევდეს“. ქალბატონი ემინეს რწმენით, იქ (სოფელ ოთხთაში – თ. შ.) ქრისტიანების მეფეს („ყირალი“, „პრეზიდენტი“) უთქვამს, ისეთ ციხეს ავაშენებ, აქ ვერავინ შემოვაო; ბერს კი თავისი ვაჟიშვილი დაურიგებია და უთქვამს, რომ მოესწრები იმ წინასწარმეტყველის მოსვლას და მის გზაზე უნდა წახვიდეო; თუ ვერ მოესწარი, შენი ბიჭი უნდა დაარიგო, ასე მოიქცესო.

„– შენ მეწრები, იმაწა მიჰყვეო! შენ ვერ მეწრები, შენ ბიჭწა უთხრაო!.. და ასე...“

ამგვარი „დარიგებით“, საუკუნეთა მანძილზე მუსლიმური სარწმუნეობის მსახურნი ტვინს ურეცხავენ ყოფილ ქრისტიან ჩვენებურებს, თითქოს მათი გამუსლიმების თაობაზე სახარებაში სწერია და ქრისტიანი ბერის მიერ არის ანდერძად ნათქვამი.

ამგვარ „დამოძღვრას“ მუსლიმური სარწმუნეობის მქონე ტაოელებში, რომლებსაც დღემდე ახსოვთ, რომ ქართული მინა-წყლის მკვიდრი მოსახლენი არიან და ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ, ბასლეკარულ თქმულებაში შემდეგი ფინალი აქვს: ბერის შვილიშვილის დროს მომხდარა ტაოს დაპყრობა ოსმალეთის მიერ, რასაც მთქმელი ასე გადმოსცემს:

„– ესენი ქი, ოსმანლი სოლდათი, აქ მოსულა; იმ ქეშიმის ბიჭსა შუხედნია ქი, „ჩემ ანასი აღაჟს ნათქვამი ესენი არიან, მე ამათწა მიყვეო!“

ბერის შვილიშვილი, თურმე, დარწმუნდა რა, რომ პაპის ნაანდერძევი გზის „გამკვალავები“ ოსმალთა ჯარისკაცები იყვნენ, გამუსლიმებულია; მას სხვების დამოძღვრაც უკისრია და ხალხისათვის უთქვამს, რომ ეს მისი ბაბუის ნაწინასწარმეტყველები „გზა-კვალა“, მას უნდა მივყვეთ, მათ არ უნდა შევებრძოლოთო. ხალხსაც დაუჯერებია; ქრისტიანების მეფე მარტო დარჩენილა, მისი ხალხი ყველა გამუსლიმებულია. ჭეშმარიტების დასტურად, მთქმელმა დააყოლა: „– ასე იქნებოდა!..“ (ცინცაძე, 2017: 208; შიოშვილი, 2020: 920).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი „ისტორიებით“ ურეცხავდნენ ტვინებს ტაოელ ჩვენებურებს, რათა საკუთარი მეობა, იდენტობა დაევიწყებინათ, თუმცა ეს მზაკვრული გეგმა ბოლომდე ვერ განხორციელდა, რისი დასტური თუნდაც ეს თქმულებაც არის, რომლის თანახმადაც, ტაოელმა ჩვენებურებმა დღესაც იციან, რომ ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ და საცხოვრისიც მათი ისტორიული ტერიტორიაა, რომ სწორედ უცხოტომელებმა, მოსულებმა გაამუსლიმეს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ცნობას ვხვდებით გიორგი ყაზბეგთან, რომელმაც 1874 წელს იმოგზაურა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. პარხლის ეკლესიის აღწერის შემდეგ იგი ამბობს: „ამჟამად პარხლის მიდამოები მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ საყოველთაო მაჰმადიანობის პირობებში შემორჩა მართლმადიდებლური აღმსარებლობის რამდენიმე ქართული ოჯახი. ეს ფაქტი სრულ ყურადღებას იმსახურებს. ქრისტიანული აღმსარებლობის ოჯახთა რიცხვი ხუთს უდრის, მაგრამ ამბობენ, რომ აქ კიდევ არის 80-მდე ფარული ქრისტიანი; აქაურ ქრისტიანულ თემს ჰყავს თავისი მღვდელი, რომლის ხარისხი ღებრადქეთა გვარის სამემკვიდრო საკუთრება დარჩა“ (ყაზბეგი, 1955: 146-147).

როგორც გიორგი ყაზბეგი მიუთითებს, მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებისათვის პარხლისწყლის ხეობაში ჯერ კიდევ იყვნენ ქრისტიანები და მღვდელიც ჰყავდათ. საყურადღებოა ისიც, რომ 1879 წელს ე. ვეიდენბაუმმა მოინახულა ბანას ტაძარი და აღნიშნა, რომ გამუსლიმებული ქართველები ასრულებდნენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესს, რაც „მათებურ აღდგომას“ (ყურბან-ბაირამობას) კვერცხების შეღებვასა და ეკლესიის ნანგრევებში მიტანით გამოიხატებოდა (თაყაიშვილი, 1991: 217). ამგვარი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება ისტორიული წყაროებიდან. ისიც საგულისხმოა, რომ ძირძველი ქართული კუთხის გამუსლიმების შემდეგ, ქართველთა ნაკვალევს გაქრობის მიზნით, დამპყრობთა მიერ ნაქეზებული განძის მაძიებლები დიდი მონდომებით ანგრევდნენ და ანადგურებდნენ წინაპართა ნაკვალევს; დღემდე მოისმენთ ბევრ თქმულეზა-გადმოცემას, რომელთა თანახმადაც ეკლესიათა შემმუსვრელების სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრებულა; ამაზე ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილიც მიუთითებდა (თაყაიშვილი, 1991: 217, 220).

ამრიგად, ტაოს ქართულენოვანი სოფლის მკვიდრთა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა მცირე წარღვნის ლეგენდები, თამარის ციკლის სამშენებლო თემატიკის თქმულეზა-გადმოცემები და ხსოვნა ქრისტიანობასა და ტაოს გამუსლიმებაზე.



## წყევლა

წყევლა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე არქაული ჟანრია. შელოცვისა და დალოცვა-სადღეგრძელოების მსგავსად, ისიც სიტყვის მაგიური ძალის რწმენას ეფუძნება. წყევლა, ანუ კრულვა, შეჩვენება იშვა ანიმისტური მსოფლმხედველობის წიაღში, როცა დამიანებს სამყარო გასულიერებულად ჰქონდათ წარმოდგენილი; როცა სჯეროდათ კეთილი და ბოროტი სულების არსებობა, რაც ბევრად განაპირობებდა ადამიანთა არსებობასა და კეთილდღეობას. ამიტომაც კეთილ სულებს ემსახურებოდნენ, ეთაყვანებოდნენ, ლოცავდნენ, ავ სულებს კი წყევლიდნენ და სხვადასხვა მანიპულაციებით ცდილობდნენ მათ მოსპობა-გადაშენებას; სჯეროდათ, რომ წყევლას აუცილებლად სასურველი შედეგი მოყვებოდა; „ამდენად, როგორც დალოცვასა და შელოცვას, წყევლა-კრულვასაც პროფილაქტიკური მაგიის დანიშნულება აქვს და ადამიანის თვითდამკვიდრების ხანიერი გზის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია“ (პირი..., 2006: 13).

წყევლას, როგორც ბოროტის, ავის დათრგუნვისა და ძლევის ვერბალურ- მაგიურ პროფილაქტიკურ საშუალებას, მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს; იგი ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფის თანამდევნი იყო ყველა ეპოქაში და ვრცელდებოდა როგორც

ზეპირი, ისე წერილობითი სახით. ზეპირსიტყვიერებაში წყევლა ბოლო დრომდე ცოცხალ სამეცნიერო ბრუნვაშია; წერილობითი სახის წყევლა-კრულვის ნიმუშები კი შემორჩენილია უძველეს სიგელ-გუჯრებში და იურიდიული ხასიათის ძეგლებში, როგორც საბუთისეული პირობების განმამტკიცებელი მაგიური ფორმულა.

ჩვენს წინაპრებსაც, სხვათა მსგავსად, ძველთაგან სჯეროდათ, რომ ყოველგვარი მონინალმდეგის მიმართ „სიტყვიერი ფორმულით გამოხატული სიავე და ბოროტება აუცილებლად განხორციელდებოდა“ (შოიშვილი, 2017: 204); ამიტომაც წყევლა-კრულვის ბოლო დრომდე შემორჩენილი ფორმულების შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ ფრაზებმა, ვიდრე ამგვარად ჩამოქნილ-დახვეწილი, ლაპიდარული ფორმულების სახეს მიიღებდნენ, ევოლუციის ხანგრძლივი გზა განვლეს. როგორც კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა: სიტყვა ბევრ რამეს ინვევს, სიტყვა სულს ინვევს და სულიერს“ (გამსახურდია, 1959: 96).

წყევლისადმი ქართველი ხალხის ოდინდელი დამოკიდებულების შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობა ეკუთვნის მეჩვიდმეტი საუკუნის ცნობილ იტალიელ მისიონერს, მწერალსა და მკვლევარს – არქანჯელო ლამბერტის, რომელიც 16 წლის განმავლობაში ცხოვრობდა სამეგრელოში; იგი თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“, ამ კუთხეში გავრცელებულ სხვა მრავალ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებთან ერთად, საუბრობს წყევლაზეც: „...მეგრელებს ძლიერ ეშინიათ წყევლისა და შეჩვენებისა; უფრო ეშინიათ, ვიდრე ცემისა და ჭრილობისა. თუ ვინმემ შეიტყო, რომ ამა და ამ კაცმა შემაჩვენაო, სამაგიეროს გადახდის მაგიერ, ცდილობს, რომ დიდი საჩუქრისა და მო-

რჩილის სიტყვების შემწეობით დაამშვიდოს იგი და სთხოვს, დამლოცე და სიკეთე ისურვე ჩემთვისაო. დაწყევლისა მაშინ უფრო შეეშინდებათ, როცა დაინახავენ, რომ დაწყევლილს რამე ცუდი შეემთხვა. ამ შემთხვევაში დაწყევლილი რწმუნდება, რომ ეს უბედურება ჩემს თავზე დაწყევლის შედეგიაო“ (ლამბერტი, 1938: 15).

წყევლას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სასჯელს, ყოველთვის უფრთხოდნენ და უფრთხიან ადამიანები. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრშიც ფიქსირდება, თუ რაოდენ საშიშ ფენომენად მიიჩნევა წყევლა-კრულვა. ხალხური შელოცვების თანახმად, განსაკუთრებულად დიდი ძალა აქვს ქვრივი ქალის წყევლას; გათვალისწინებულია შელოცვის აჭარულ ვარიანტში გამთვალავის (ავითვალის მქონის) წინააღმდეგ, მის შემშინებლად და დამორგუნველად, სხვათა გვერდით, მოიხსენიება „შვიდი ქვრივი ქალიც“:

ანისაო, მანისა,  
მე გილოცავ თვალისაო,  
ჯერეთ ჩემი თავისაო,  
შვიდი ქვრივი ქალისაო,  
მერე მეფის ჯარისაო...

(ქ. ხ. შელოცვები, 1994: 45)

წყევლას, ანუ „ბედვას“ (არაბ. *beddua* – წყევლა, შეჩვენება), როგორც აჭარაში ხშირად უწოდებენ, დიდად ეკრძალებიან და თავს არიდებენ. 1973 წელს მკვლევარ ზურაბ თანდილავას მიერ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანაში ვანო ქათამაძისაგან ჩანერილი მოგონების თანახმად, „ძვე-

ლათ, როცა ქურდობა მოხდებოდა, ჯერ გააცხადებდნენ, რომ თუ ქურდი თვითონ არ გამოჩნებოდა, ჯუმა დღეს, ე. ი. პარასკევს, ბედუას ვიჯებით, წყევლასო. თუ ქურდი მაინც არ გამოჩნებდა, ხოჯა შეკრებდა ხალხს ჯუმა დღეს ჯამეში და ქურდს დაწყევლიდნენ. ხოჯა იტყოდა:

„– ვინც ესა და ეს ჩაიდინა, ვინც ესა და ეს მეიპარა, ღმერთმა მისი მომავალი შვიდ თაობამდი, შვიდ გობეგამდი დაწყევლოს, მოსპოს, ამეიქოქოს მისი მოდგამო!“ ხალხი „ამინს“ იტყოდა (ბსუ ნბიფა, საქმე №182: 42).

წყევლასა და დალოცვაზე, როგორც მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენებზე, თავისი აზრი გამოთქვა ცნობილმა ეთნოგრაფმა და ფოლკლორისტმა, მწერალმა და მთარგმნელმა თედო სახოკიამ 1940 წელს სერგი მაკალათიას წიგნზე – „სამეგრელოს ეთნოგრაფია“ – დაწერილ რეცერნზიაში: „ბუნებასა და გარემოსთან ბრძოლაში პირველყოფილად მოაზროვნე ადამიანისათვის, ნამდვილი იარაღის უქონლობის დროს, მეტადრე ქალებისათვის, უებარი და, მათის აზრით, ეფექტური იარაღია წყევლა და მისი მოპირდაპირე – დალოცვა“ (სახოკია, ს.ა.).

როგორც მკვლევარი ბელა მოსია მიუთითებს, „წყევლის სასჯელი იმდენად დიდი იყო, რომ მას ადამიანები უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. მისი წარმოთქმის ადგილი, დრო და ფორმაც განსაზღვრული იყო. წყევლას თან ახლდა გარკვეული რიტუალი. საგულისხმოა, რომ წყევლა საფრთხეს წარმოადგენდა თვით მთქმელისათვისაც, მით უმეტეს, თუ იგი უსამართლოდ იწყევლებოდა“ (მოსია, 2006: 253).

ქართული ზეპირსიტყვიერება იცნობს წყევლის სამ სახეს: დემონოლოგიურ, საყოფაცხოვრებოსა და კულტურულ-ისტორიულს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით გულმონყალე

და ტოლერანტი ქართველობისათვის წყევლა არ უნდა ყოფილიყო თვითმიზანი და ქრისტიანული რელიგიისათვისაც იგი მიუღებელია, ის მაინც გავრცელებულა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. „წყევლა არს ბოროტი თავად, მას არამც შესწევს ძალა ბოროტის დასათრგუნავად“, – გვიქადაგებს გაბრიელ ეპისკოპოსი (ქად., 1913: 123).

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს რეგიონში – ტაოშიც ბოლო დრომდე შემორჩენილი წყევლა; მუსლიმური აღმსარებლობის ტაოელები ამ არქაულ ჟანრს მოიხსენიებენ როგორც ქართული სახელწოდებით, ისე – თურქულად – „ბედვა“ და ძალზე ერიდებიან მის წარმოთქმას.

„– ბედვა კად არ არის!“ – გვითხრა ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობას უბანში – მახათეთში მცხოვრებმა 80 წლის ქალბატონმა სულბიე თორამანმა 2017 წლის 30 ივლისს.

„– არ’ნა დაბედო! დუშმანიც არ’ნა დაბედო! ბედვა არ ქნა! ღმერთზე’ნა შააგდო!“ – ასე გაგვაფრთხილა სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – ქონობანში მცხოვრებმა ქალბატონმა აინურ ქანთაროღლუმ. აქვე აღვნიშნავთ, რომ იგივე აზრისანი არიან შავშები (შიოშვილი, 2016: 164-165) და კლარჯები (შიოშვილი, 2017: 206).

ტაოს ქართულენოვან მოსახლეობაში (სოფელ ხევას უბნებში – დოლენჯიანთკარი, ქონობანი, ბასლეკარი, დევთისა; სოფელ ბალხის უბანში – ნითლეკარი, სოფლებში – ბალხიბარი, ბალხი, სადგოყანა) 2017-2018 წლებში ჩაწერილ წყევლის ფორმულებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზეპირსიტყვიერების ამ არქაული უბნის ნიმუშები თითქმის არაფრით განსხვავდება აჭარის, შავშეთის, კლარჯეთისა და ზოგადად საქართველოს სხვა რეგიონების წყევლათა ფორმულებისაგან როგორც შინაარსობრივი, ისე ლექსიკური თვალსაზრისით.

ტაოურ წყევლებში, ზოგადქართულის მსგავსად, წარმოჩენილია საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მცხოვრებთა სულიერი და მატერიალური ყოფის ელემენტები, ადამიანთა შორის ურთიერთობების ამსახველი შეხედულებები, რაც ტაოელთა ერთგვარ საყოფაცხოვრებო ისტორიასაც წარმოადგენს და მათ თვისება-ხასიათზეც მიანიშნებს.

ტაოელ ქართველთა წყევლის ფორმულები, როგორც ყველა კუთხის ქართული წყევლები, დალოცვათა ანტითეზებია; ამიტომაც მოავისა და მოშურნის დასაწყევარ ფორმულას საკუთარი თავის დალოცვას მიაყოლებენ ხოლმე: „– შე აა გეხზარე, მე გევიხზარო!“

ტაოურ დალოცვებშიც, როგორც სხვა ჟანრებში და ზოგადად ქართველთა მეტყველებაში, ხშირად გვხვდება თურქული ლექსემები:

„– ჯეენემში ნადი!“

„– ღმერთმა ყარი გიყოს!“

„– ღმერთმა ნესიბი ეგინოს!“

„– გაგაფაქოს!“

„– ველარ დეენახო ეს დუნა!“ და სხვა.

ტაოელებისათვის, როგორც ზოგადად ქართველებს სჩვევიათ, ძალზე ძვირფასია მამულ-დედული, რომლის დატოვებაც ერთობ უჭირთ და დიდ ქალაქებში მუშაობის შემდეგ, პენსიაში გასულნი, მშობლიურ სოფელს უბრუნდებიან ან ხშირად სტუმრობენ. ალბათ, ამგვარ გრძნობათა გენეზისისაა წყევლა, რომლის თანახმადაც, ტაოელი მის მტერს უსამშობლობისათვის, ან სამშობლოსგან სიშორისათვის იმეტებს:

„– ღმერთმა ბუდე არ დაგადებინოს!“

„– ღმერთმა იქიდამ დაქკარგოს!“

მტრისა და ავის მოსაკვდინებელი წყევლის მრავალი ფორმულა დაფიქსირდა ტაოს მეტყველებაში:

„– გასკდი!“

„– გაგხეთქოს!“

„– ველარ დედნახო ეს დუნა!“

„– ღმერთმა გაგაკდინოს!“

„– ღმერთმა პირი გიგიშაოს!“

„– ღმერთმა ჩაგმარხოს!“ და სხვა.

არც მტრისა და მოშურნის სხეულის ცალკეული ნაწილებისათვის წყევლით ზიანის მიყენება ავინყდება ტაოელ მანყევარს:

„– თაჲ მოგტეხოს!“

„– ღმერთმა გაგტვინოს!“

„– ღმერთმა ფეხი გიგიცურდეს, ღელეში ჩაგხირჯოს!“

„– ღმერთმა ფეხი მოგტეხოს!“ და სხვა.

ტაოელები ზოგჯერ ურჩ საქონელსა და ფრინველსაც წყევლიან ხოლმე; როგორც სოფელ ხევას უბანში – ბასლექარში მცხოვრებმა 50 წლის ქალბატონმა მენემმა ქერეჯმა გვითხრა, საქონელს მაშინ დაწყევლიან, თუ გაბრაზდებიან: „– ვწყველი, თუ გავფერსიანდები“. შინაური საქონლის წყევლის ფორმულებია:

„– დათვმა და გელმა შეგჭამოს!“

„– ღმერთმა კუდი მოგიტეხოს!“ (მთქმელის განმარტებით, „კუდ თუ თვალეზზე მიგიტყაპუნებენ, ეტყვი“);

„– ღმერთმა ტირკები მიგიტეხოს!“ და სხვა.

ტაოური წყევლებიც, ზოგადქართულის მსგავსად, მეტაფორული აზროვნების ნიმუშებია და, ამდენად, ისინი საინტერესოა, აგრეთვე, როგორც მხატვრული აზროვნების ნიმუშები.

ტაოური წყევლები, როგორც ეროვნული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული უბანი, რომლის გენეზისიც სიტყვის მაგიურ ძალაშია, ძალზე ღირებულ ცოდნას გვაძლევს ტაოელი ქართველების ყოფა-ცხოვრების, მათი სულიერი მისწრაფებების თაობაზე; მათი შესწავლით ცხადი ხდება, რომ ტაოელ ქართველთა შორის ბოლო დრომდე ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილი წყევლის ფორმულები ერთიანი ქართული ფოლკლორული მემკვიდრეობის ორგანული ნაწილია.



სოფელი ელიასხევი, 2017 წ.  
მთქმელი შვეკი თოფჩუ



## დალოცვა

სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ზეპირსიტყვიერების არქაულ ჟანრთაგან (შელოცვა, წყევლა, დალოცვა, სადღეგრძელო) დალოცვა ქართველი ხალხის ბუნების, მისი ტოლერანტობისა და ჰუმანურობის გამომხატველი ერთ-ერთი ტრადიციული ფენომენია. დალოცვასაც ანიმისტურ მსოფლმხედველობაში ეძებნება საფუძველი, თუმცა მონისტური რელიგიური კონფესიებისთვისაც ადამიანთა შორის კეთილმოსურნეობის სიტყვიერი გამოხატვა ერთ-ერთ უმთავრეს სათნოებად არის აღიარებული. ქრისტიანული რელიგიური მსოფლმხედველობის თანახმად, სიტყვა უფლის ხმაა, რომელსაც უდიდესი ღვთაებრივი ენერგია გააჩნია. როგორც წმინდა გრიგოლ ნოსელი მიუთითებს, „სიტყვად ღმრთისაჲ საქმე არს და ყოველი დაბადებული სიტყვითა მისითა დაიბადების – ყოველთა არსთა შორის სიტყვად ბრძენი და ხელოვანი დანესებულ არს“ (ნოსელი, 1988: 236). ვფიქრობ, ქართულ სინამდვილეში დალოცვის თავისთავად, დამოუკიდებელ ჟანრად ჩამოყალიბებას დიდად შეუწყობდა ქრისტიანულმა რელიგიამ, რამდენადაც სიტყვიერად გამოხატული კეთილი სურვილები (ლოცვა, დალოცვა) უფლისეულ ხმად და ნებელობად არის აღქმული; თუმცა, თავად სიტყვისა და ქმედების მაგიური ძალის რწმენა, როგორც

აღვნიშნეთ, წინარექრისტიანული მსოფლმხედველობის ნა-  
ყოფია და, მრავალ ეპოქათა ტევრგამოვლილმა, ჩამოქნილი,  
ლაპიდარული ფორმა მიიღო.

დალოცვას, როგორც ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ პო-  
ზიტიურსა და ჰუმანურ ჟანრს, საქართველოს ყველა კუთხე  
იცნობს. ქართველ კაცს ყოველი ცხოვრებისეული ეტაპისათ-  
ვის აქვს მომარჯვებელი გულითადი დალოცვა-სადღეგრძე-  
ლოები, რაც ჩვენი ხალხის ტოლერანტული და ჰუმანური ბუ-  
ნების უშუალო გამომხატველია. ბუნებრივია, საქართველოს  
ძირძველ ისტორიულ რეგიონში – ტაოშიც შემონახულია და-  
ლოცვები, თუმცა, სამწუხაროდ, ტაოელთა ისტორიულ მახ-  
სოვრობას აღარ შემორჩა სადღეგრძელოები, რაც მათი მუს-  
ლიმური აღმსარებლობით აიხსნება.

როგორც ზოგადად საქართველოს სხვა კუთხეთა დალო-  
ცვებს ახასიათებს, ტაოელთა დალოცვის ფორმულებშიც  
აკუმულირებულია ადამიანისათვის მისაღები სასიკეთო სუ-  
რვილები. ტაოს ქართულენოვანი სოფლების მცხოვრებთა  
ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი დალოცვები ზო-  
გადქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ დალო-  
ცვათა მსგავსია; მათში ჩაქსოვილია ტაოელ ქართველთა ჰუ-  
მანიზმი, სულიერი მისწრაფებანი, ადამიანთა მშვიდობიანი,  
ბედნიერი თანაარსებობის სურვილი.

ადამიანის ჯანმრთელობა, ხანიერი სიცოცხლე ყოველ-  
თვის იყო, არის და იქნება დალოცვათა აქტუალური თემა.  
არც ტაოელი ქართველები იჩენენ სიძუნწეს ამ თვალსაზრი-  
სით და ასე ილოცებიან:

„– ბოვრი დღე მოგცეს ღმერთმა!“

„– ღმერთმა დიდი დღე მოგცეს!“

„– ღმერთმა კაჲ ომრი მოგართვან!“

„– ღმერთმა ჯამთელობა მოგცეს!“

„– ხელ-ფეხი თავამდი მოგცეს!“

„– ღმერთმა ქვაზე ფეხი არ წაგაკვრედნოს!“ და სხვა.

ქართველთათვის ტრადიციულად ოჯახი და ოჯახური ურთიერთობანი უმთავრესი სოციალური პრობლემაა; ჩვენი წინაპრებისათვის ოჯახი წმიდათანმიდა ნავსაყუდელი იყო ყოველი რელიგიური კონფესიიდან გამომდინარე – ფუძის ანგელოზის არქაული რწმენიდან მოყოლებული, რომელსაც ქრისტიანიზაციის შემდეგ წმინდა ღვთისმშობელი ჩაენაცვლა. ტაოელ ქართველთა დალოცვაშიც ძალზე თვალსაჩინოა ოჯახისადმი სათუთი, გულისხმიერი დამოკიდებულება; ადამიანისათვის ყველაზე სასურველ დალოცვად მათ ოჯახის სიმრავლე მიაჩნიათ; ამიტომაც ასე ლოცავენ ერთმანეთს და ყველა კეთილმოსურნეს:

„– ღენჭები თავამდი მოგცეს!“

„– ღმერთმა ბევრი ღენჭები მოგცეს!“

„– ღმერთმა ერთი ღენჭი ოჯახში მოგცეს, ერთი – მუცელში!“

„– ღმერთმა კაღ ღენჭი მოგცეს!“

„– ღმერთმა მოგცეს ღენჭები!“

„– ღმერთმა მოგცეს წინილები!“ და სხვა.

კარგი ოჯახის საფუძველი კი სანიმუშო ცოლქმრობაა, რასაც ოდითგან დიდ ზნეობრივ ფუნქციას ანიჭებდნენ ჩვენი წინაპრები. ეს ტრადიცია ტაოელ ქართველთათვისაც ძვირფასია და სათანადოდ აისახა კიდევ მათსავე დალოცვებში. ახალდაქორწილებულებს, ტრადიციულად, ერთ ბალიშზე დაბერებას უსურვებენ:

„– ერთ დასტულზე დაგაბერონ!“

„– ღმერთმა შეგაბეროს!“

დალოცავენ საცხოვრებელს:

„– ღმერთმა, საცხა წახვალ, ალაგიანი სახლი მოგცეს!“

დედოფალს უსურვებენ ქმართან ხანგრძლივ ცხოვრებას და შვილების სიმრავლეს: „– ღმერთმა ბევრი ღენჭები მოგცეს!“

ნეფე-დედოფალს დაულოცავდნენ მომავალ ოჯახს და ბარაქიანობას უსურვებდნენ: „– ღმერთმა ბერექეთი მოგცეს!“

ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის აუცილებლობა, რაც ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, ტაოელ ქართველთა დალოცვის ფორმულებშიც წარმოჩინდა:

„– გეზარდე!“

„– ღმერთმა გაგზარდოს!“

„– კაჲ მურადი მოგცეს ღმერთმა!“

„– ფეხი ქვაზე არ წამოგაკვრენონ!“

„– ღმერთმა გაყვან, ყვავილი შექვენ!“ და სხვა.

ტაოურ დალოცვათა ფორმულებში გამოკვეთილია სურვილი ადამიანთათვის არსობის პურისა და წყლის აუცილებლობაზეც:

„– ღმერთმა კაჲ პური მოგცეს!“

„– ღმერთმა კაჲ წყალი მოგცეს!“

ქართველისათვის ოდითგან ძვირფასია სახელიანობა, ნუთისოფლის ზიგზაგების შეურცხვენლად გავლა, ღირსების შენარჩუნება. ამ ზნეობრივი სათნოებებისადმი ერთგულება ტაოელ ქართველებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. თუ დალოცვის ანტითეზაში – წყევლაში მტერსა და ავს დაწყევლიან და უსურვებენ, “ – ფინთი გაგზადოსო“, მოკეთისა და კეთილმოსურნის დალოცვისას აუცილებლად უსურვებენ,

ღმერთმა დაიცვას „ფინთობისაგან“: „– ფინთობიდან შიგინახოს ღმერთმა!“

ტაოელ ქართველთა დალოცვის ადრესატია მგზავრიც, რამდენადაც ზოგადად ადამიანის ცხოვრება წუთისოფელში ერთ დიდ მოგზაურობად აღიქმება და ჩვენ ყველანი ამგზავრებულნი ვართ იმ დიდ სავანეში მისასვლელად, რასაც მშობლის წიაღი ჰქვია. ამიტომაც, ზოგადქართულის მსგავსად, ტაოელებიც დაგილოცავენ გზას:

„– კაა გზა მოგცეს!“

„– ღმერთმა ადვილათ წიგიყვანოს, მიგიყვანოს!“

„– ღმერთმა გიმზიროს და კაა გზავრობა მოგცეს!“

„– ღმერთმა კაა წეგიყვანონ, მიგიყვანონ!“

„– ღმერთმა სახლე მიგიყვანოს!“

„– ღმერთმა ისტამბულ სიხარულით ჩეგიყვანოს!“ და სხვა.

ბუნებრივია, ტაოელთა ქართულმა საუკუნეთა განმავლობაში ბევრი თურქული ლექსემა შეისისხლხორცა, რაც დალოცვის ფორმულებშიც გამოიხატა:

„– ყეზადან, ბელადან შიგინახოს!“

„– ღმერთმა ძალუზა მიგიყვანოს!“

„– ღმერთმა კაა ომრი მოგართვან!“

„– ღმერთმა კაა მურადი მოგცეს!“

„– ღმერთმა ერთ დასტულზე დაგაბეროთ!“

„– ღმერთმა ბერექეთი მოგცეს!“ და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, წყევლა და დალოცვა ერთმანეთის ანტითეზური მაგიური ფორმულებია, რაც აშკარაა საქართველოს ყველა კუთხის მეტყელების მაგალითზე. ამ მხრივაც ტაოელი ქართველების მეხსიერებაში შემონახული დალოცვები ტიპურია ზოგადქართული ზეპირსიტყვიერებისა; ამის ნათელი მაგალითებია:

- 1. წყევლა:** „– არ გეხარე!“  
„– არ გაგახარა!“  
„– ღმერთმა აა გაგახაროს!“
- დალოცვა:** „– გეხარე!“  
„– გაგახაროს!“  
„– ღმერთმა გაგახაროს!“
- 2. წყევლა:** „– ღმერთმა არ მიგიყვანოს!“
- დალოცვა:** „– ღმერთმა ადვილათ წიგიყვანოს, მიგიყვანოს!“  
„– ღმერთმა კად წეგიყვანონ, მიგიყვანონ!“
- 3. წყევლა:** „– ღმერთმა გაგაკდინოს!“  
„– გაგაფაქოს!“
- დალოცვა:** „– არ მიგაკდინოს!“  
„– არ გაგაფაქოს!“
- 4. წყევლა:** „– ღმერთმა არ გიგაცინოს!“
- დალოცვა:** „– ღმერთმა გიგაცინოს!“
- 5. წყევლა:** „– ღმერთმა პირი გიგიშაოს!“
- დალოცვა:** „– პირი გიგითეთროს ღმერთმა!“

ხალხურმა დალოცვამ, როგორც უზენაესი ჰუმანიზმის გამოვლინებამ, ადამიანთა კეთილგონივრული ურთიერთობის უმნიშვნელოვანესმა ფენომენმა და მშვიდობიანი, ჰარმონიული საზოგადოების ერთ-ერთმა აუცილებელმა გარანტიამ, დიდებულად გამოხატა ტაოელ ქართველთა სულიერება, მათი ერთგულება მშობელი ხალხის წიაღში საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ზოგადკაცობრიული იდეალებისადმი.

## ანდაზა

ანდაზა მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფანრია, რომელსაც ყოველთვის, ყველა ეპოქაში განსაკუთრებული მისია ეკისრება – მოკლედ, დახვეწილად, ლაპიდარულად გადმოსცეს ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებითა და გამოცდილებით დაგროვილი სიბრძნე; დამოძღვროს, სათანადო რჩევა-დარიგება მისცეს სოციუმს, იზრუნოს მისი კათარზისისათვის. სწორედ ამიტომ შეარქვა ქართველმა ხალხმა ამ ბრძენ მასწავლებელს „აზრის ქობი“, „სიტყვის მუხლი“, „გლეხის იარაღი“. ქართველთა სულიერი კულტურის ამ დიდებულ ფენომენს, რომელსაც მკვლევარმა ზურაბ კიკნაძემ „სიბრძნის პოეზია“ უწოდა (კიკნაძე, 2008: 324), ჩვენმა ხალხმა უძღვნა ლექსიც, რომლითაც საგანგებოდ არის გახაზული ქართული ხალხური ანდაზის მაღალმხატვრულობაცა და ღრმააზროვნებაც, წარმოჩენილია მისი განუზომელი როლი ვერბალური კომუნიკაციის უმაღლესი ხარისხის მისაღწევად:

ანდაზა მითხარ, ძმობილო,  
ანდაზა აზრის ქობია,  
სიტყვა ხორცია ამ ქობში,  
მინდიას მოხარშულია;

ვინც იმას შესჭამს, ღმერთმანი,  
ლექსის მთქმელზედაც მჯობია!  
(სიხარულიძე, 1960: 313)

ანდაზა, რომელსაც, ფოლკლორულ ჟანრთა უმეტესობი-  
საგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონია გართობის ფუნქცია,  
როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე აღნიშნავს, „ყო-  
ველთვის იყო და არის აზრის ღრმად, სხარტად და მოკლედ  
გამოხატვის იარაღი“ (სიხარულიძე, 1960: 311). ილია ჭავჭა-  
ვაძემ „კაცია-ადამიანის“ შესავალში დიდებულად შეაფასა  
და სრულყოფილად დაახასიათა ანდაზა და მისი შემოქმედი  
ხალხი; ნაწარმოების ეპიგრაფად წამძღვარებულ ხალხურ  
ანდაზას – „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანო“  
– ილიამ მოაყოლა ამ ბრძნული ჟანრის შეფასება: „სადა ხარ  
ეხლა, ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ:  
ხალხში ხარ, უხილაგო, და ხალხისა ხარ! ისიც ვიცი, რაცა  
გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან; ისიც ვიცი, რა თვისები-  
სა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ...“ (ჭავ-  
ჭავაძე, 1984: 269).

ქართული ხალხური ანდაზების დიდი მოამაგე თედო სა-  
ხოკია ასე ახასიათებს ამ ბრძნულ ჟანრს: „ანდაზა სხარტუ-  
ლად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელი საუკუნეების  
დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად  
იხატება დაკვირვება ამა თუ იმ ხალხისა, როგორც ანდაზაში.  
კიდევ ამიტომა აქვს საპატიო ადგილი ანდაზას ხალხის ზეპი-  
რსიტყვიერებაში“ (სახოკია, 1898: 75-76).

ანდაზა, რომელიც თავის თავში ატარებს და ინახავს გარ-  
კვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სიბრძნეს, ძველ-  
თაგან დიდად ფასობდა სიბრძნისმოყვარე ჩვენს ხალხში; იგი



ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, თუმცა მისი ჩართვა მეტყველებაში გარკვეულ თემატურ სიტუაციასთან არის დაკავშირებული, რამდენადაც ის გენეტიკურად სწორედაც ამა თუ იმ სიტუაციიდან იღებს სათავეს და მასში აკუმულირებული სიბრძნის ანალოგიურ ვითარებაში ამოტივტივდება ხოლმე ადამიანის გონებაში; როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, „სძინავს მას, ვიდრე შესაფერი სიტუაცია კვლავ არ გამოიხმობს“ (კიკნაძე, 2008: 330).

ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონის – ტაოს ზეპირსიტყვიერებას ბოლო დრომდე ამშვენებს წინაპართა მიერ ნაანდერძევი სიბრძნის პოეზია, რომლის ნიმუშებიც ფაქტობრივად ზოგადქართული ხალხური ანდაზების ვარიანტები ან იდენტური ტექსტებია.

ანდაზები, მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძალზე ძნელი მოსაპოვებელია, თუმცა ტაოს ქართულენოვან სოფლებში – სადგიყანაში, ელიასხევში, გოდლეკარში, ბალხში, ქობაქში, მახათეთში, სოფელ ხევას უბნებში – დევთისაში, დოლენჯიანთკარში, ბასლეკარში, სოფელ ბალხის უბანში – ნითლეკარში, სოფელ ქობას უბანში – გუნემამაჰალეში და დაბა სარიგოლში – მოვახერხეთ, ჩაგვენერა ანდაზები, რომლებიც ტაოელ ქართველთა მეტყველების სამშვენისებია.

საქართველოში ახალი ოჯახის შექმნისას ყოველთვის მოიკითხავდნენ ვაჟისა და ქალის ოჯახების ღირსებას, ავტორიტეტს; მოყვრობის მოსურნენი, ბუნებრივია, შესაფერისს ეძებდნენ; ამაზე მიუთითებს ქართული ხალხური ანდაზა „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხახე!“ ტაოელი ქართველები იმავე ტრადიციის მიმდევარნი არიან, რაზედაც მეტყველებს მათ ზეპირსიტყვიერებაში ამ თემაზე არსებული

ანდაზების სიუხვე: „ანაჲ ბეჩი, ბგანოდც ბეჩი“; „ანაჲ დედნახე, ბგანო ითხუე“; „ანაჲ დედნახე და ბგანო ისე ითხოვეო“; „ანაჲ დედნახე, ბეზის ქენარი დედნახე, ბგანო ითხუე“; „ანაჲ, ალაჲ კარგა იცნო, მემრე მისი ბგანო'ნა ითხოვეო“; „ბაბოჲ დედნახე, ნენეჲ დედნახე და ისე გოგო ითხოვე“; „დედას შეხედე, მერე – შვილსაო“. ტაოურ ანდაზათა მსგავსი ვარიანტები გვხვდება შავშურსა (შიომვილი, 2016: 288) და კლარჯულ (შიომვილი, 2017: 399) ზეპირსიტყვიერებაშიც.

შვილის კარგად აღზრდა ყოველთვის, ყველა ეპოქაში ქართველი ადამიანისათვის უმთავრესი მიზანი იყო; მშობლის უპირველეს სიამაყედ კარგი შვილის გაზრდა ითვლება. ამის დასტურია ქართული ხალხური ანდაზა „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“. თითქმის იდენტურია ამ თემის ტაოური ანდაზაც – „კარგი ღენჭები ნენესი გულიაო“.

თაობათა შორის ჯანსაღი ურთიერთობა, უფროსებისადმი პატივისცემა ქართული ხალხური ანდაზის ერთ-ერთი აქტიუ-ალური საკითხია. ტაოური საანდაზო მეტყველება, ზოგად-ქართულის დარად, გმობს ამპარტავან და უძღებ შვილებს, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ მშობლის ამაგს; ამ თემისადმია მიძღვნილი ანდაზები: „ქესტანე ქერქიდან გამოსულა და ის ქერქი აღარ უკადრია“; „ქესტანე ყაბულიდან გომოსულა, ყაბული არ უკადრია“; „ნაბლი ყაბულიდან გომოსულა, მემრე მისი ყაბული არ მონონია“.

საყურადღებოა, რომ მშობლის, თვისტომის დამწუნებელთა დაგმობის თემატიკის ტაოური ანდაზების გვერდით გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა თანახმადაც ამპარტავანი ადამიანი, ვისაც საკუთარი წარმომავლობა მდაბიური ჰგონია და თავის მოდგმას არ კადრულობს, საკუთარი თავის მიმართაც კი უკადრისი და აგრესიულია: „ქესტანე ყაბული-

დან გომოსულა, არ მოწონია მისი თაჲ“; „წაბლი ყაბულიდან გუმოსულა და მისი თავი არ უკადრია“. თითქმის იდენტური ანდაზები ფიქსირდება კლარჯულ ფოლკლორშიც (შიოშვილი, 2017: 400).

ცხოვრებისეული ბრძნული გამოცდილება კარნახობს ადამიანს, რომ ყველაფერს, სულიერსა თუ უსულოს, ამქვეყნად თავისი ადგილი აქვს და აქედან გამომდინარე, ყველამ მისი ადგილი უნდა იცოდეს. ეს სიბრძნე საქართველოს ყველა კუთხის ანდაზაში ამგვარად ითქმის: „ქვა ქვასთან მიგორდებაო“. ტაოს ზეპირსიტყვიერებაში წინაპართა ეს ბრძნული თეზა თითქმის იდენტურად არის ფორმულირებული: „ქვა გაგორდება, ქვებში დადგება; „ქვა წავა და ქვებში დადგება“; „ქვა გაგორდება და ქვებ ალაგას დადგება“. ამ ანდაზის კლარჯული ვარიანტი თითქმის იდენტურია: „ქვა ქვაზე მიგორდებაო“ (შიოშვილი, 2017: 400).

გაგორებული (აგორებული) ქვის სიბრძნეს ტაოელი ქართველების საანდაზო მეტყველებაში სხვა დატვირთვაც აქვს: „ქვა გაგორდება, დაბალში დადგება“; „ქვაუდგომელა ადგილი ბელა შექნებაო“; „ქვა ადგება, ინსანი ბელტი შექნება“; „ქვა გაგორდება, ინსან დეეცემა, მოკტება“.

ადამიანთა ურთიერთგაუტანლობა და შუღლი ტაოელებმა გამოხატეს ანდაზით – „ქუაბ ქუაბი გუუგდიაო“.

ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე – „ყვავს თავისი ბახალა მოსწონსო“ – ტაოურ ანდაზაში ამგვარად ჟღერს: „ყვავისთვინ უთქმიან ქი – მიდი, ამ დუნაში საყვარელი ვინც გყავს, მეყვანეო; მისულა, მისი წინილი უპოვნია და ი მუყყვანია“.

პოპულარული ქართული ანდაზისეული სიბრძნე – „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან –ზნესაო“ ტაოელ ქა-

რთველთა შორის ამგვარ საანდაზო ფორმულად ჩამოყალიბებულია: „ყურძენი ყურძენ შეხედავს, გაშავდებაო“; „ყურძენი ყურძენთან რომ მიიტანო, შეხედვით გაშავდებაო“.

ქართული ხალხური ანდაზის – „მზე და მთვარე ჩემკენ იყვინენ, ვარსკვლავები რას დამაკლებსო“ – სიბრძნე ტაოელ ქართველებში ამგვარად აჟღერებულია: „ნისქვილი ჩემკენ ბრუნავს, სარაკუნამ საც უნდა, იქ ერაკუნოსო“.

ქართული ხალხური ანდაზის სიბრძნე გვასწავლის, რომ ადამიანმა მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლოს („სწავლა სიბერემდე“, „სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებაო“) ეს ჭეშმარიტება ტაოურ ფოლკლორში ამგვარად უღერს: „კაცსა სწავლა ლეხტზე მისლამდინ უნდაო“.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ხალხის ანდაზათა არსენალს, ცხოვრებისეული გამოცდილებით მიგნებული სიბრძნისა და კულტურათა დიალოგის გზით უცხოენოვან ანდაზათა გათავისების გარდა, ასაზრდოებს, აგრეთვე, როგორც მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების, ისე ფოლკლორული ნარატივების სიბრძნე, რაც ხალხში გადადის ხოლმე და ანდაზად იქცევა. ეს განსაკუთრებით ითქმის იგავურ და ზოგადად მახვილსიტყვაობის პრინციპზე აგებულ ნარატივებზე, რადგანაც ანდაზას თავისთავად იგავური ბუნება აქვს, აზრის გადატანითი მნიშვნელობის მატარებელია და ამიტომაც გენეტიკურად ის ყველაზე უფრო იგავთან, ნაკვესთან, ანუ ანეკდოტთან არის დაკავშირებული, რაც ხშირად აფერხებს ხოლმე მცირე ზომის იგავური ნარატივებისა და იმავე თემატიკის ანდაზების განცალკევებას. ამასთანავე, როგორც მკვლევარი ლია ჩლაიძე მიუთითებს, „როცა ანეკდოტი ძალიან პოპულარულია, ხალხმა ზეპირად იცის მისი ყოველი ფრაზა, ხშირად ერთ ფრაზაზე დაიყვანება იგი და ფრთიან

გამონათქვამად იქცევა“ (ჩლაიძე, 2006: 162). ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა 2018 წლის 30 ივლისს სოფელ ელიასხევში პენსიონერი პედაგოგისაგან – 67 წლის შევექი თოფჩუსაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ანდაზა: „ნასრეთი ხოჯამ თოკზე ფიქვილი გაშალაო“. ეს ანდაზა ტაოელ ქართველთა შორის გავრცელებული ანეკდოტისეული სიბრძნეა, რომლის თანახმადაც, ნასრეთი ხოჯას მეზობელმა თოკი სთხოვა. ხოჯამ უთხრა: „– თოკზე ფქვილი გაშლილაო“. მეზობელს გაუკვირდა: „– თოკზე ფქვილი გეშლებაო?“ ენამოსწრებულმა ხოჯამ კი უპასუხა: „– შენთინ მოცემა არ მინდა და გეშლებაო!“ (მთქმელი სულბიე თორამანი, 80 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობას უბანში – გუნეიმაჰალეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს სოფელ ქობას უბანში – გუნეიმაჰალეში). ამ მახვილსიტყვაობის შედეგია ცალკე საანდაზო ჟანრად გამოსული იგავისეული დასკვნა – „ნასრეთი ხოჯამ თოკზე ფიქვილი გაშალაო“. ამ მახვილსიტყვაობის შავშური ვარიანტის თანახმად, მოლა, რომელსაც არ უნდა, მეზობელს თოკი ათხოვოს, მასზე ქერის გაფენას იმიზეზებს „– თოკზე ქერიო დაფენილი მაქო“ (შიოშვილი, 2016: 301). აქვე აღვნიშნავთ, რომ თურქულსა და აზერბაიჯანულ მეტყელებაში გამოთქმა „თოკზე ფქვილს ფენს“, იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორც – ქართული „მიზე-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“ (ჩლაიძე, 2006: 162).

ტაოელ ქართველთა სიბრძნის პოეზიაზე, ანუ ანდაზებზე, დაკვირვება ცხადყოფს, რომ, მიუხედავად ქართული სოციალურ-კულტურული სივრციდან საუკუნეთა განმავლობაში შორს ყოფნისა, ზეპირსიტყვიერების ეს ჟანრიც, სხვათა მსგავსად, ერთიანი ქართული ფოლკლორული წიაღის ნაწი-

ღია და გამოსატავს ქართველი ხალხის მიერ ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამომუშავებულ ზოგად-კაცობრიულ სიბრძნეს, რაც კარგად გვაცნობს ტაოელი გურჯების სულიერ სამყაროს, მსოფლგაგებას, მისწრაფებებს, მათ გონებრივსა და ზნეობრივ დონეს.

ტაოური ანდაზების დიდი ნაწილი ზოგადქართულის თითქმის იდენტური ვარიანტებია, ნაწილი კი ქართული ხალხური ანდაზების პერიფრაზებია, რომლებსაც ზოგჯერ თურქული ლექსემებიც შეჰპარვია. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ხალხური ანდაზის წარმოშობა და არსებობა ენასთან, მეტყველების აქტუალობასთან არის დაკავშირებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიდრე ისტორიული ქართული პროვინციის – ტაოს დღემდე შემორჩენილ ქართულენოვან სოფლებში საანდაზო სიბრძნე აქტიურ ფოლკლორულ ბრუნვაშია, მათ ეროვნულ მეობას საფრთხე არ უნდა დაემუქროს.



მთქმელი მეველუდ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), 2018 წ.

## ბამოცანა

გამოცანა ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, გონებამახვილური აზროვნების საფუძველზე ჩამოყალიბებული უაღრესად კოლორიტული პოეტური ჟანრია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს მეტაფორას; გამოცანაში გამოსაცნობი ობიექტი წართაულად არის დახასიათებული და ამ მინიშნების საფუძველზე ხდება მისი გამოცნობა.

ხალხური გამოცანის გენეზისი პირველყოფილ საზოგადოებაში, ანიმისტურ სოციუმშია დასაძებნი, როცა მას საკულტო დანიშნულება ჰქონდა და უკავშირდებოდა იმ არქაულ რწმენა-წარმოდგენებს, რომელთა მიხედვითაც იკრძალებოდა საგანთა თუ მოვლენათა საკუთარი სახელით მოხსენიება. ამ ეპოქაში, ბუნებრივია, გამოცანას არ ჰქონდა მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქცია, რაც მოგვიანებით შეიძინა.

გამოცანას ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს და გონებრივი და ზნეობრივი მწვრთნელის საპატიო მისია აკისრია; ეს არქაული ჟანრი ყოველთვის, ყველა სოციალურ ფენაში „სიბრძნეში გამოცდის საშუალებაც იყო. ამგვარი დანიშნულებით იგი სახელმწიფოს მართვაშიც იყო გამოყენებული. გამოცანების ამგვარი

ფუნქციის კვალი მოტივებისა და ეპიზოდების სახით შემორჩენილია ზღაპრებში გამოცანის ახსნის, ძნელი დავალების შესრულების თუ რთულ კითხვებზე პასუხის გაცემის სახით. გამოცანა ქართული საქორწილო ცერემონიალის ელემენტიც იყო; ვაჟის მაყრიონიდან ეჯიფს უნდა აეხსნა გამოცანა... ამით იგი დაადასტურებდა იმ გვარის სიბრძნეს, რომელიც საპატარძლოს უნდა გაეგრძელებინა“ (სიხარულიძე, 1970: 75).

ქართულ ხალხურ გამოცანებში დაუნჯებულთა უძველესი დროიდან მომდინარე, ცხოვრების უმკაცრესა და უბრძნეს სკოლაში გამობრძმედილი ჩვენი ხალხის გონებრივი და ზნეობრივი დონე, მსოფლმხედველობა, ფიქრები, მისწრაფებები, შეხედულებანი ადამიანებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, სამყაროზე, სხვადასხვა მოვლენებსა თუ საგნებზე, რასაც უაღრესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულება ენიჭება. გამოცანის ფართო გავრცელების და საზოგადოებრივი ხასიათის თაობაზე მიანიშნა არჩილ მეფემ თავის ცნობილ ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ (არჩილი, 1976: 11).

თემატიკის მრავალფეროვნება, მოქნილი, დახვეწილი, რიტმული, უმეტესწილად პოეტური ფორმა და მეტაფორული ბუნება გამოცანას უაღრესად სახალისოს და პოპულარულს ხდის ყველა ასაკის ადამიანისათვის, რის გამოც ის ბოლო დრომდე აქტიურ ფოლკლორულ ბრუნვაშია საქართველოს ყველა კუთხის მეტყველებაში. ტაოურმა ფოლკლორულმა შემოქმედებამაც შემოინახა ტრადიციული ქართული ხალხური გამოცანების ზოგიერთი ნიმუში და მათი ვარიანტები; ვხვდებით, აგრეთვე, განსხვავებულ ნიმუშებსა და ზოგადქართული გამოცანების კნინ ვარიანტებსაც.

საქართველოს ყველა კუთხეში და ისტორიულ ქართულ პროვინციებში – შავშეთსა და კლარჯეთში, ასევე თურქე-



თის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციებში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში ძალზე პოპულარული გამოცანა წისქვილზე, რაც ქართველთა მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა. წისქვილზე გამოცანის ორი ვარიანტი დაფიქსირდა ტაოელ ქართველთა შორის. ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხში 60 წლის ჰევა ქორუქისაგან ჩანერილ გამოცანას (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს სოფელ ბალხში) ქართული ზეპირსიტყვიერება არ იცნობს:

ჩიტისავით ფრინავს,  
თეთრს ჯ..ამს.  
(შიოშვილი, 2020: 924)

ჰევა ქორუქისეული გამოცანა წისქვილზე, როგორც ჩანს, ტაოს ფოლკლორის კუთვნილებაა. ტაოელ ქართველთა შორის გავრცელებულია, აგრეთვე, ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარული გამოცანის კნინი ვარიანტი (მთქმელი ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში მცხოვრები 50 წლის მენემმა ქეჩეჯი, ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 28 ივლისს):

ქვა ფრინავს,  
ჩაახი ბრუნავს,  
ფქვილი ფქვაგსა.  
(შიოშვილი, 2020: 925)

ეს ტაოური გამოცანა ყველაზე ახლოს არის აჭარულ, შავ-შურ და კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ გამოცანებთან, რომელთა სრული ვარიანტებია:

### 1. შავშური:

ოქრო ქვრინავს,  
დევე გვრინავს,  
მოშდადერა  
წყარო წიკავს.

(შიოშვილი, 2016: 289)

### 2. კლარჯული:

არქრო ფრინავს,  
ბერი ღრინავს,  
თეთრ ფეშტემალ  
შამეფინავს.

(შიოშვილი, 2017: 404)

### 3. აჭარული:

ოქრო ფრინავს,  
ბერი ფშვინავს,  
თეთრ ფეშტემალს  
შემოიფინავს.

(ქ. ანდ. და გამ., 1976: 40)

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი გამოცანა ტაფაზე („კატა კუდით კიდია“) ტაოურმა ვარიანტმა შემდეგი ფორმულირებით შემოგვინახა: „კატა – კუდით დაკიდული“ (მთქმელი ელიფა ოზიურთი, 56 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 29 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ იეთში) – (შიოშვილი, 2020: 924).

პოპულარული ქართული ხალხური გამოცანა კარზე – „მიდის, მოდის, იქვე დგას“ თითქმის იმავე ფორმულირებით გვხვდება ტაოს ზეპირსიტყვიერებაში. ამ გამოცანის ორი ვარიანტი დავაფიქსირეთ:

1. „ნავა, მოვა, მის ადგილად დადგება“ (მთქმელი ელიფა ოზიურთი, 56 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 29 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ იეთში) – (შიოშვილი, 2020: 924);

2. „მივა, მივა, ადგილზეა“ (მთქმელი მენემშა ქეჩეჯი, 50 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 28 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში) – (შიოშვილი, 2020: 925).

მთაგორიან ტაოში, სადაც დიდი ზამთარი იცის, ზვავი ხშირი მოვლენაა; ამიტომაც აქაურთა ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია გამოცანა ზვავზე (მთქმელი ჰევა ქორუქი, 60 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხში), რომელსაც ამგვარი ვარიანტით ზოგადქართულ გამოცანათა მეტაფორულ ველში ვერ შევხვდებით და რომელიც იშვიათი მხატვრული შედარებებით არის შემკობილი:

თიდან ჩამოვა თისავთე,  
ხელეები შეშასავთე.  
ჩავა ჴევში, წყალ შესვამს,  
დეზბლავლებს თიკანსავთე.  
(შიოშვილი, 2020: 924)

ზოგადქართული ხალხური გამოცანა ზვავზე ამგვარია:

ფერდობზე გადმონოლილა  
ჯავარ-ჯავარი გველიო,  
დაბლა ქალაში ჩაჰხედავს,  
იქ არის ჩემი ველიო.  
(ვინც., 1996: 9)

ტაო მდიდარია ხეხილით; განსაკუთრებით თვალში საცემია ბლის ხეები; ტაოელებს ამ უგემრიელეს ხილზე შეუქმნიათ მშვენიერი გამოცანა (მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოლლი), 47 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – ნითლეკარში. ზამთრობით ცხოვრობს ქალაქ ბურსაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – ნითლეკარში), რომელშიც მისი დამნიფების ეტაპები ფერებითაა გადმოცემული და გამოსაცნობი ობიექტის მინიშნების ნართაულობაც სწორედ ფერთა ეტაპობრივი მონაცვლეობაა:

თეთრით დავინყე,  
ყვითლით გავაგრძე,  
ნითელით გავათავეო.  
(შიოშვილი, 2020: 924)

საყურადღებოა, რომ ამ ხასიათის გამოცანას ბალზე ზოგადქართული ფოლკლორი არ იცნობს, თუმცა გამოცანისეული ობიექტის ფერთა მონაცვლეობითი დახასიათება გვაქვს მაყვალზე შექმნილ გამოცანებში: „თეთრად გავჩნდი,

წითლად გავიზარდე, შავად დავბერდი“; „თეთრად დავკსელე, წითლად მოვქსოვე, შავად შევეღებე“ (ხ. ს., 1965: 462);

ანდა:

დევიბადე თეთრათა,  
გევიზარდე წითლათა,  
დავბერდი შავათა.

(ქ. ანდ. და გამ., 1976: 29)

ტაოელ ქართველებს, რომელთა აღმსარებლობაც მუსლიმობაა, შეუქმნიათ გამოცანა მარხვაზე (მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოღლი), 47 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში. ზამთრობით ცხოვრობს ქალაქ ბურსაში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში): „გრძელი ხის გრძელი ხე შენ ერთ წელიწადში მოგცემს 30 ყურძნის მტევანს; ღამე ჭამა მაღლია, დღისით ჰარამია“ (შიოშვილი, 2020: 924). მთქმელმა ამ გამოცანის პასუხი ამგვარად ახსნა: „– 30 დღე ლოცვილობენ, ღამე ჭამენ, დღისით – არა“.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრი გამოცანა, რომელიც ჩვენი წინაპრების მეტაფორული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია და, ამავე დროს, მუდმივად განახლებადი და სრულყოფილებისადმი მიდრეკილი ბრძნული პოეტური ფორმულაა, ტაოელი ქართველების ფოლკლორული შემოქმედების ერთ-ერთი სამშვენიისიც არის, რაც მათ გარკვეულწილად ეხმარება ქართული ენის შენარჩუნებაშიც.

## მახვილსიტყვაობა

მახვილსიტყვაობა, იგივე ნაკვესი, ანუ ანექლოტი, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრია, რომელშიც ჩაქსოვილია მისი შემქმნელი სოციალური იუმორი, რომლითაც წარმოჩენილია საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა.

ანექლოტი, რომელიც ამ მახვილგონივრული ჟანრის ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდებაა, ბერძნული სიტყვაა; თავდაპირველად მას გამოუცემელი, ცოცხლად მოარული სიუჟეტის სახელდებისათვის იყენებდნენ; თანამედროვე გაგებით კი ანექლოტი ნიშნავს მოკლე, სასაცილო ამბავს, რომელსაც გართობის ფუნქცია აკისრია და, ამავდროს, მისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქითა და მოულოდნელი ეფექტით ფარდას ხდის ადამიანთა მანკიერ თვისებებს.

ტერმინი „ანექლოტი“ ქართულ ენაში რუსული გზით შემოვიდა, თუმცა ეს ჟანრი საქართველოში ძველთაგან ძალზე პოპულარული და აქტიური იყო; ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ქართველ მეფეებსა და დიდებულებს ჰყავდათ კარის ხუმარა, რომლის უმთავრესი ფუნქცია იყო, მახვილსიტყვაობის გამოყენებით შეფარულად, ნართაულად ეთქვა სიმართლე პატრონისათვის.

მახვილსიტყვაობანი, ანუ ნაკვესები, იგივე ანეკდოტები, მოიცავენ ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს და სატირულიუმორისტული ელფერით წარმოაჩენენ სოციუმის პრობლემებს. მათში, როგორც პროფესორი აპოლონ ცანავა აღნიშნავს, „ყოველი სიტყვა მოზომილია და ზუსტად ხვდება მიზანს“ (ცანავა, 1960: 120); ეს კი ის კეთილშობლური მიზანია, რომლის მისიაც არის, მსმენელსა და მკითხველში აღძრას სიცილის გრძნობა, რასაც სოციუმის კათარზისი უნდა მოჰყვეს.

შესაძლებელია, ანეკდოტში სიტუაცია გაზვიადებულადაც იყოს წარმოჩენილი, თუმცა, როგორც პროფესორი ალექსანდრე ლლონტი მიანიშნებს, რამდენადაც ზეპირსიტყვიერების ეს ჟანრი „სინამდვილის ანარეკლია, ცხოვრებიდან გადახვევას ვერ იტანს“ (ლლონტი, 1989: 310).

ანეკდოტი უაღრესად ინტერნაციონალური ხასიათისაა, რასაც განპირობებს მისი ფორმის სიმსუბუქე და განზოგადოებული რეალისტური თემატიკა; ამიტომაც არის აგრერიგად ფართოდ გავრცელებული და სიცოცხლისუნარიანი ეს არქაული ჟანრი, რომელიც არღვევს ყოველგვარ საზღვრებს და ადვილად გადად-გადმოდის ერთი ხალხის ფოლკლორული წიაღიდან მეორეში.

მახვილსიტყვაობა, რომელიც მისი შემოქმედი ერის ხალხური იუმორის უმტკივნეულოდ, ნართაული ფორმით მოცემულ მხილებას ეფუძნება, საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება. ანეკდოტის თქმის ტრადიცია ბოლო დრომდე შემორჩენილი ისტორიული ქართული პროვინციის – ტაოს ქართულენოვან სოფლებშიც.

როგორც ყველგან საქართველოში, და ისტორიულ ქართულ კუთხეებში – შავშეთსა და კლარჯეთში – და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში გავრცელებულ მახვილსიტყვა-

ობთაგან ყველაზე პოპულარული და მრავალრიცხოვანია მაჰმადიანური აღმოსავლეთის ენამახვილი და გონებაფხიზელი, ხალხისაგან უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით მოსილი სასულიერო პირის – ხოჯა (მოლა) ნასრედინის (მასრადინა) სახელთან დაკავშირებული სიუჟეტები. ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც ბრძენი, კეთილი, ლალი, ენამოსწრებული ხოჯა ნასრედინი (ნასრეთი ხოჯა) დიდი ხანია, გასცდა თავისი ერის საზღვრებს, მსოფლიო ცივილიზაციის კუთვნილება გახდა და ბეჯითად, პირველქმნილი ხიბლითა და სიჯიუტით ამხელს საზოგადოებრივ მანკიერებებს; მოლა ნასრედინი სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალით კურნავს და აჯანსაღებს ადამიანებს, ავიწყებს ყოველგვარ უკეთურებასა და ბოროტებას, უმტკივნეულოდ აყენებს სიკეთის სამსახურში.

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკომ“ 1987 და 2008 წლები მოლა ნასრედინის წლებად გამოაცხადა, რაც ამ მსოფლიო მოქალაქის სიბრძნის საერთო-სახალხო სიბრძნედ აღიარებას ნიშნავს.

მკვლევართა ერთი ნაწილის თანახმად, მოლა ნასრედინი XIV საუკუნეში ცხოვრობდა. ამგვარ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ მოლა ნასრედინი, მისი ციკლის ანექდოტების თანახმად, თემურ ლენგის თანამედროვედ არის წარმოდგენილი; სხვა მოსაზრების მიხედვით, მოლა ნასრედინი XII საუკუნის მკვიდრია (სალადინის თანამედროვე), სხვა ვარაუდით, იგი IX საუკუნის მოღვაწეა.

მოლა ნასრედინის ვინაობის დადგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თურქ მკვლევარს ერდოღან თოქმაქჩიოღლუს. 1991 წელს სტამბოლში გამოცემული წიგნის – „ხოჯა ნასრედინი – ყოველი მხრიდან“ – თანახმად, ხოჯა ნასრედი-



ნი დაბადებულია დაახლოებით 1208 წელს რუმის სელჩუკთა სასულთნოში, დღევანდელი აქშეჰირის პროვინციის სივრი-ჰისარის რაიონის მაშინდელ სოფელ პორტოში (ჰორთუმში), რომელიც დღეს მოლა ნასრედინის სახელს ატარებს.

მოლას მამა – აბდულა ეფენდი სოფლის იმამი ყოფილა, დედას ერქვა სიდიკა. ნასრედინი ბავშვობაში ჰაჯეი ჯიანის სახელს ატარებდა. მან განათლება მიიღო ჯერ მამისაგან და იმდროინდელი მნიგნობრებისაგან, შემდეგ სწავლობდა ქალაქ კონიას სასულიერო სასწავლებელში (მედრესეში), რომლის დამთავრების შემდეგაც ერთხანს თავის სოფელში მუშაობდა მასწავლებლად, შემდეგ კი იმამი გახდა; ის აქშეჰირის ყადიც ყოფილა და მუდერისიც (პროფესორ-მასწავლებელი).

აქშეჰირში მოღვაწეობისას მოლა ნასრედინი რამდენჯერმე დაქორწინებულა, ჰყოლია შვილებიც და იქვე გარდაცვლილა 1282 წელს. მიუთითებენ მის საფლავსაც (ბაქრაძე, 2003: 152-153; გვარიშვილი, 2004: 3-4).

1974 წლიდან ქალაქ აქშეჰირში ყოველწლიურად იმართება ხოჯა ნასრედინისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელსაც ხსნის ვირზე ამხედრებული „ხოჯას“ გამოსვლა ქალაქის მთავრ მოედანზე (გვარიშვილი, 2001: 3). საყურადღებოა, რომ ქალაქ აქშეჰირში ხოჯა ნასრედინის კულტია შექმნილი: ქორწილის დროს მიდიოდნენ მის საფლავთან და ვითომ მასაც ეპატიჟებოდნენ. ეს კულტი ბოლო დრომდე იყო შენარჩუნებული ამ ქალაქში (Гордлевский, 1957: 249).

აღსანიშნავია, რომ ქალაქ სტამბოლის პირველი ყადი – ცნობილი მეცნიერი ჰიზირ ბეი და მწერალი სინან ფაშა, რომლებიც ცხოვრობდნენ მე-15 საუკუნის 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, მოლა ნასრედინის შთამომავლები (შვილიშვილები) ყოფილან (ბაქრაძე, 2003: 153).

მოლა ნასრედინის ანექდოტები ხელნაწერის სახით მე-16 საუკუნიდან გამოჩნდა. დიდმა თურქმა პოეტმა ლამიმ ანექდოტების კრებულში, თავის მონაფეთა ანექდოტების გვერდით, ხოჯა ნასრედინის ანექდოტებიც შეიტანა. ამ ნიმუშების მიხედვით მათი ავტორი მასხარად გამოიყურება; მოგვიანო ჩანაწერებით კი ნამდვილი ბრძენკაცია, რომელიც თავისი მახვილსიტყვაობით უპირისპირდება ბოროტებას (ჩლაიძე, 2008: 16).

ხოჯა ნასრედინის ციკლის ანექდოტების სტამბური გამოცემა განხორციელდა ქალაქ სტამბოლში 1837 წელს; მისი ნაღვანის მასიურად ბეჭდვა კი 1923 წლიდან, თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის დამთავრების შემდეგ დაიწყო და ბოლო დრომდე ასეულობით გამოცემა არსებობს,

მოლა ნასრედინის ანექდოტები მსოფლიოს 72 ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. საქართველოში ამ დიდებული მოაზროვნის ნაღვანი დაიბეჭდა 1886, 1892, 1895, 1906, 1941, 1972, 1991, 2001, 2017 წლებში.

ყველასათვის მახლობელი და საყვარელი ხოჯა ნასრედინის სახელს ბევრი ტრადიციული კავკასიური (მათ შორის ქართული) სიუჟეტიც შერწყმია და პირიქითაც მომხდარა, რაც ამ დიდებული პიროვნების მახვილსიტყვაობათა პოპულარობის შედეგია.

ენაწყლიანი და გონებამახვილი მოლა ნასრედინის ბრძნული ოხუნჯობანი, რომლებშიც დაგმობილია ადამიანური მანკიერებანი, გულით შეიყვარა ქართველმა ხალხმა; ამის დსტურია ის ფაქტიც, რომ 1906 წლიდან თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“, რომელსაც გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა როგორც ქართულ, ისე თურქულენოვან სამყაროში.

მოლა ნასრედინის ანექდოტებს კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანიც; მის „სიბრძნე სიცრუისაში“ შეტანილია მოლას რამდენიმე ოხუნჯობა. 1893 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ალექსანდრე მირაქიშვილის მიერ ოსმალურიდან ნათარგმნი „მოლა ნასრედინას მოსწრებული სიტყვები და ოსმალური ანდაზები“, რომელშიც წარმოდგენილია ოხუნჯობის 130 ნიმუში (ცანავა, 1960: 166).

ისტორიულ ქართულ პროვინციაში – ტაოში ძალზე პოპულარულია ხოჯა ნასრედინის, იგივე ნასრეთი ხოჯას, ციკლის ანექდოტები, რომლებთან ზიარებაც ტაოელმა ქართველებმა ტრადიციული ეროვნული ზეპირსიტყვიერების ისტორიული მასოვრობითა და, აგრეთვე, თურქ ხლხში ნასრეთი ხოჯასადმი დიდი პატივისცემითა და აღიარებით მიაღწიეს.

როგორც საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში, ტაოშიც ძალზე გავრცელებულია ანექდოტი ხოჯას ქვაბის შესახებ. ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – ნითლეკარში 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოლლი) 2017 წლის 29 ივლისს ჩაწერილი ანექდოტის თანახმად, ნასრეთი ხოჯა მეზობელთან მისულა ქვაბის სათხოვნელად, რათა მასში მანონი ჩაედებებინა, შემდეგ კი პატრონს ორი ქვაბი დაუბრუნა. მოხუცებულმა მეზობელმა გაიკვირვა:

„– მე შენ ერთი თანე მოგეცი, ორი თანე რა არიო, ხოჯავო?“

ხოჯამ კი უპასუხა:

„– შენი ქვაბმა გააგდოვო!“ (შიოშვილი, 2020: 925)

ამ ანექდოტის ბოლო ფრაზა, რომლის გზავნილიც შეუძლებლის შესაძლებლად წარმოჩენას გულისხმობს, ტაოში ანდაზად ქცეულა: „ქუაბ ქუაბი გუუგდიაო“ (თ. შიოშვილი, 2020: 924).

განხილული ანექდოტის მახვილგონიერების გვირგვინი მისი შემდგომი ეპიზოდია, რაც ტაოელმა მთქმელმა, სამწუხაროდ, ვერ გაიხსენა: მოლამ მეორედაც სთხოვა მეზობელს ქვაბი. მეზობელმა, ორი ქვაბის მოლოდინში, უფრო დიდი ქვაბი გაატანა, მოლამ კი მისიც აღარ დაუბრუნა და, როცა მეზობელმა ქვაბისათვის მიაკითხა, უთხრა, „შენი ქვაბი ორსულად იყო და მუცელს გადაჰყვაო“. გაოცებული მეზობლის ნათქვამზე, „როგორ შეიძლება, ქვაბი მუცელს გადაჰყვესო“, მოლამ ენამოსწრებულად უპასუხა: „ქვაბის მშობიარობა თუ დაიჯერე, სიკვდილიც უნდა დაიჯერო!“

მოლასეული პასუხის მაგალითებია:

**1. შავშური:** „– შენ რო გითხარი, ქვაბმა იშვაო, დეფჯერეო, მოკდა რო გებნევი, რეზა არ დეფჯერეო?!“ (შიოშვილი, 2016: 303);

**2. კლარჯული:** „– დასმა რომ დეფჯერეო, მოკვდენას რატომ არ ჯერულობო?!“ (შიოშვილი, 2017: 419);

**3. ლაზური:** „– დაბადება დაიჯერე და რომ მოკვდა, არ გჯერავსო?! გეუბნები, შენი ქვაბი მოკვდაო!“ (მთქმელი ალი აბდულოლი, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში. ჩაინერა ციალა ნარაკიძემ 2010 წელს).

**4. სპარსული:** „– თუ ის გაგიგონია, რომ ქვაბმა შობა ქვაბი, რატომ ის აღარ გაიგე, რომ ქვაბი მოკვდება?! ამის შემდეგ იცოდე, რომ ქვაბი, ისევე როგორც ქვაბსა შობს, აგრეთვე კვდება!“ (მოლა... 1991: 48-49);

**5. კახური:** „– თუ ის გაგონილა, რომ ქვაბმა იმშობიაროს, ისიც უნდა გაიგო, რომ მშობიარობას გადაჰყვაო!“ (შიოშვილი, 2017: 300).

ხოჯა ნასრედინის ციკლის ანექდოტი, რომლის თანახმადაც ხოჯა, რომელსაც არ უნდა, რომ მეზობელს თოკი

ათხოვოს, ირწმუნება, რომ თოკზე ფქვილი აქვს გაფენილი, ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის – საქართველოშიც. ტაოს ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა ამ ანეკდოტის ვარიანტი (მთქმელი სულბიე თორამანი, 80 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობას უბანში – გუნეიმაჰალეში. ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს სოფელ ქობაის უბანში – გუნეიმაჰალეში), რომლის თანახმადაც ხოჯასთან მივიდა მეზობელი და თოკი სთხოვა. მოლამ უთხრა:

„– თოკზე ფიქვილი გაშლილაო!“

გაკვირვებულმა მეზობელმა უთხრა:

„– თოკზე ფიქვილი გეშლებაო?!“

მოლამ უპასუხა:

„– შენთინ მოცემა არ მინდა და გეშლებაო!“ (შიოშვილი, 2020: 925)

საყურადღებოა, რომ ამ მახვილსიტყვაობის ძირითადი გზავნილი ტაოელთა ზეპირსიტყვიერებაში საანდაზო ფორმულადაც ქცეულა: 2018 წლის 30 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ელიასხევში 67 წლის პენსიონერი პედაგოგისაგან – შევქი თოფჩუსაგან ჩავინერე ანდაზა: „ნასრეთი ხოჯამ თოკზე ფიქვილი გაშალაო“ (შიოშვილი, 2020: 923).

შავშურ ფოლკლორში დადსტურებული ვარიანტის მიხედვით, მოლას ფქვილის ნაცვლად თოკზე ქერი „გაუფენია“ და ამ მიზეზით ისტუმრებს უარით თოკის სათხოვნელად მისულ მეზობელს (შიოშვილი, 2016: 301).

მახვილსიტყვაობის თურქული ვარიანტის თანახმად, თოკის სათხოვნელად მისულ მეზობელს ხოჯა უარს ეუბნება

იმავე მიზეზით, რაც ტაოურ და საქართველოს სხვა კუთხეთა ნიმუშებშია წარმოდგენილი; მის გაკვირვებას კი ასე პასუხობს:

„– როდესაც ჩემი გონება თხოვნას არ ეთანხმება, ფქვილის გაფენა თოკზეც კი შეიძლება!“ (თოქმაქჩიოღლუ, 2011: 59).

თოკზე ფქვილის გაფენის ანომალიის მოლასეული „ახსნა“ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ამგვარია: „– როცა მოლას არ უნდა, მეზობელს თოკი ათხოვოს, მასზე ფქვილის გაფენაც დასაჯერებელია“ (შიოშვილი, 2014: 117).

მახვილსიტყვაობის ლაზური ვარიანტის (მთქმელი ალირეიზ ნუმანოღლი. ჩაინერა ციალა ნარაკიძემ 2010 წელს) თანახმადაც, ხოჯას პასუხი ამგვარია: „– თუ მიცემა არ გინდა, ფქვილი კი არა, ყველაფერი გაიფინებაო“.

ანეკდოტებს, რომლებიც მახვილსიტყვაობის პრინციპზეა აგებული, სასაცილო ფაქტების ასახვა-გადმოცემის თავისებური ხერხი ახასიათებთ: სიცილის უმთავრესი მიზეზია პერსონაჟის გონებრივი ჩამორჩენილობა, სიბრიყვე; როგორც პროფესორი ალექსანდრე ღლონტი მიანიშნებს, „ბრიყვი ამ ციკლის ნაწარმოებთა უაღრესად პოპულარული პერსონაჟია“ (ღლონტი, 1956: 434). ამგვარი სიტუაციები ხშირად გვხვდება მოლა ნასრედინის ციკლის ანეკდოტებშიც; ამ მეთოდით ნასაზრდოები მახვილსიტყვაობის მიზანია, აჩვენოს შენიღბული, საგანგებოდ შექმნილი სიტუაცია და გონივრული განსჯის გზით არარაობად აქციოს უგუნური ქმედება. ერთ-ერთი ამ ტიპის ტაოური ანეკდოტი, რომელიც ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობას უბანში – გუნეიმაჰალეში 2017 წლის 29 ივლისს ჩავინერე 80 წლის

სულბიე თორამანისაგან, მოგვითხრობს: ნასრეთი ხოჯამ ფური დაკარგა. დაინყეს ძებნა. ხოჯა და მისი ცოლი სხვადასხვა მხარეს ნავიდნენ საძებნელად. ცოლი ეძახის:

„– ხოჯა, იპოვნე თუ არა?“

ხოჯა პასუხობს:

„– ნტუ!“

დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ისევ ერთად რომ შეიყარნენ, ცოლმა უსაყვედურა ხოჯას:

„– იმდონი ვიძახე, ვიძახე, რაზე არ გეფგონე, ხოჯავო?“

ქმარმა უპასუხა:

„– მე გეფგონე, ჰამა გითხარ „ნტუ“-ო“ (შოიშვილი, 2020: 925).

ამ ანეკდოტის კახური ვარიანტი ამგვარია: სალამოს ძროხა არ დაბრუნდა საძოვრიდან. ცოლ-ქმარმა ძებნა დაიწყო სხვადასხვა მხარეს. ერთმანეთს კარგა მანძილით რომ დაშორდნენ, ცოლი ეძახის:

„– მიხო, იპოვნე ძროხა?“

„– ნტუ“, – პასუხობს ქმარი.

ასე რამდენჯერმე განმეორდა. ხელმოცარულები, გვიან დაბრუნდნენ სახლში. ცოლმა უსაყვედურა:

„– კაცო, ხო არ დაყრუვდი, რო გეძახოდი, იპოვნე თუ არა, პასუხი რატო არ გამეცი, ჰა? ვერ გაიგონე?“

„– როგორ არა, დედაკაცო, გავიგონე. ხო გითხარი, „ნტუ“-ო“-მეთქი! (ავტორის პირადი არქივიდან).

ანეკდოტი ნასრეთი ხოჯას მიერ იმ ტოტის მოჭრაზე, რომელზეც ზის, მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული სხვადასხვა ხალხში; მისი ტაოური ვარიანტი, რომელიც 2018 წლის 29 ივლისს ნატალია ჩხარტიშვილმა ჩაინწრა ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ გოდლეკარში

მცხოვრები 62 წლის ფატყუმე გუმუშოლლისაგან, მოგვითხრობს: ნასრეთი ხოჯა ხეზე ავიდა, ტოტზე უკულმა ჩამოვდა და წალდით ქრა დაინყო. გამვლელმა კაცმა უთხრა:

„– ნასრეთი ხოჯა, მაქა რა იჯებო? თერსინა ქრავ, გუდუვარდებო!“

ხოჯამ ყური არ ათხოვა გამვლელს და, მართლაც, გადმოვარდა; გაეკიდა მრჩეველს და უთხრა:

„– ჩემი გუდუვარდნა იცოდი, მე რახან'ნა მოკვდე?“

კაცმა მიუგო:

„– მე რა ვიცი შენი მოკდომა! დღე გიგითავდება, მოკდები!“ (შოშვილი, 2020: 925).

ეს ტაოური ანექდოტი თავისთავად არანაირ უკმარისობის გრძნობას არ ტოვებს, თუმცა მის აჭარულ ვარიანტში (მთქმელი რეჯებ ბერიძე, მცხოვრები ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში. ჩაინერა მიხეილ ფარტენაძემ 1977 წელს) სხვაგვარი ფინალია წარმოდგენილი: ხის ტოტზე უკულმა მჯდარმა მოლამ არ შეისმინა გამვლელის რჩევა, ტოტი ძირში მოქრა და გადმოვარდა; ფეხიც იტკინა და ტალახშიც ამოისვარა. ამასობაში ქარავანმა გამოიარა, ტალახში ამოსვრილი მოლას დანახვაზე ჯორები დაფრთხნენ, მექარავნებმა მოლა დაიჭირეს და კარგად გაჯოხეს. ნაცემ-ნაბეგვი მოლა სახლში რომ დაბრუნდა, ცოლმა ჰკითხა:

„– მოლა ეფენდი, სა ბძანდებოდი დღესაო?“

– დღეს ტყეში ვიყავი, – მიუგო მოლამ, – და მოკვდიო!

– მოკდიო?!

– კიო.

– მერე, რა ამბავი იყო საიქიოსო? – ჰკითხა ქალმა

– რა ამბავი იყო და გზავრებს თუ ჯორები დუფრთხე, იმდენს გცემენ, ვერ დათლიო! ეს ამბავი იყოვო!“ (ბსუ ნბიფა, საქმე №219: 122).



ტაოური და აჭარული ვარიანტების კონტამინაციაა სერგი ჟღენტის მიერ 1938 წელს გამოცემულ კრებულში – „ჭანური ტექსტები“ – შესული ვარიანტი სათაურით „ხოჯა ნასრედინის ამბავი“:

ხოჯა ნასრედინი ხეზე ავიდა, წვრილ ტოტზე ჩამოჯდა და მსხვილი მხრიდან ნაჯახით ჭრა დაიწყო. ერთმა მგზავრმა უთხრა:

„– შენ ამ ხიდან უნდა გადმოვარდეო!“

ხოჯამ არ დაუჯერა, მოჭრა ტოტი და გადმოვარდა. იფიქრა: „მე რომ აქედან უნდა გადმოვვარდნილიყავი რომ იცოდა კაცმა, როდის უნდა მოვკვდე, ისიც ეცოდინებო“; ადგა, გაეკიდა კაცს და უთხრა:

„– მითხარი, როდის უნდა მოვკვდე?“

კაცმა უთხრა:

„– შენს სახედარს ხუთი ფუთი ტვირთი მოჰკიდე და აღმართში ასვლის დროს ერთჯერ თუ ვირი ჰაერს გააფუჭებს, სული მუხლამდე ამოვივას, მეორედ – წელამდეო, მესამედ – სიკვდილიაო“.

ხოჯაც ასე მოიქცა და აღმართს აუყვავა. სახედარმა ერთხელ რომ ჰაერი გააფუჭა, ხოჯამ დაიბლავლა:

„– სული მუხლამდე ამოვიდაო!“

მეორედ – „წელამდეო!“ – დაიბლავლა; მესამედ – „– მოვკვდიო!“ – და წაიქცა.

ხოჯას თავი მკვდარი ჰგონია და მყუდრო ადგილას დაიმალა. ჩამოიარეს მექარავენებმა. ხოჯამ გაიხედა და ცხენები დააფრთხო. ცხენების პატრონებმა დაინახეს განოლილი ხოჯა და მაგრად სცემეს.

ხოჯა ადგა და წავიდა თავის ეზოში. მეზობლებმა მისი ამბავი რომ მოისმინეს, ჰკითხეს:

„– შენ მკვდარი იყავი და იმ ქვეყნიდან რა ამბავი მოგვიტანეო?“

ხოჯამ უპასუხა:

„– იმ ქვეყნის ამბავი ძალიან კარგია, მარტო მექარავნეთა ცხენებს ნუ დააფრთხოფთ, ყველაზე ცუდი საქმე ის არისო – ცხენების დაფრთხოვა!“ (ყლენტი, 1938: 97).

ტაოური ანექდოტით, რომელიც 2017 წლის 29 ივლისს ჩავინერე ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – ნითლეკარში 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოლლი), გაკიცხულია სიზარმაცე: ორი ზარმაცი თუთის ძირში წვანან, ერთი ეუბნება მეორეს:

„– ერთი აი თუთა ლაშში ჩიმივარდესო!“

მეორე პირველზე ზარმაცი აღმოჩნდა, ნატვრის წარმოთქმაც კი ეზარებოდა და უთხრა:

„– არ გეზარება და ხვარათოფო!“ (შიოშვილი, 2020: 925-926).

ერთ-ერთ ანექდოტში, რომელიც ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლში მცხოვრები 56 წლის ელიფა ოზიურთისაგან ჩავინერე 2018 წლის 29 ივლისს, ტაოელები დასცინიან უნიათობასა და სიყვეყრეს: ხარს ქვაბში თავი გაეჭედა და ქვაბი კი არ გატეხეს, ხარი დაკლეს:

„– რა ვქნათა? რა ვქნათა? – უთქმიან, კარდალი არ გუუტეხიან და ჯარი დუუკლიან“ (შიოშვილი, 2020: 926).

ტაოელთა ზეპირსიტყვიერებამ, შავშელების, კლარჯელების, ლაზებისა და აჭარლების მსგავსად, შემოინახა მარილის დათესვის ამო მცდელობის შემცველი ანექდოტიც: ორ კაცს მარილი დაუთესავს. „არ ამოვდა, კიდო დათესენ, არ ამოსულა. ამასაო მინაში რასმე ჭამენო. თოფები წამუუკიდიან, მისულან ყანაში. ერთი იმ ქენერში დამჟდარა, მეორე – გაღმა

ქენერში“. ერთს ბუზი დააჯდება შუბლზე და მეორეს ანიშნებს, „იქიდანაც ბრაგ! ესროლა, მოკლა“ და გული დაიმშვიდა: „– ერთი ბუზი, ერთი კაცი არაფერიო!“ (ფალავა, 2021: 305-306). ტაოელთა შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი მახვილსიყვავობის ეს ნიმუშიც ზოგადქართული ფოლკლორული მემკვიდრეობაა.

იუმორის მოყვარულ ტაოელებს სოფელ ბალხის მცხოვრებლებზე ანეკდოტი შეუთხზვათ: ბალხში „მოკრეფილან ხალხი, წესულან, ქვაი’და ჩამოგტანონ. მძიმე ვერ უწევიათ.

– ჩემი თავი შევტენოთო დელუგში, – თქვა ერთმა.

– შუტენიან!

– გააგორევითო, მე დაგხდებითო...

გააგორეს, ჩევდენ, ნახეს, თავი არ აქვა. მისულან, ქალზე უკითხვან:

– თაჲ ქონდა თუ არაო შენ კაც?

– წვერი ქონდა, შაჭმელი ჭამდაო, თაჲ ქონდა თუ არაო, არ დიმიანახიაო” (ფალავა, 2021: 304-305).

დაუფიქრებლობით ადამიანის უთავოდ დარჩენის ანეკდოტი აჭარაშიც არის გავრცელებული, რაც, ასევე, საერთოქართულ ძირებზე მიანიშნებს. სამონადირეო თემატიკის ერთი აჭარული ანეკდოტის თანახმად, დათვის ბუნაგიდან თავმოჭმული მონადირის გამოთრევის შემდეგ მეგობრები ბჭობენ, თავი ჰქონდა თუ არა ახმედს; ბოლოს გადანყვიტეს:

„– მოდი, ახმედ ბუძიეჲს ქალს, მოხფულე ბიცოლას ვკითხოთ, ხონდა თუ არა თავი მის კაცს, იმას ეცოდინებაო“.

მართლაც, მიაკითხეს ახმედის ცოლს, რომელიც დაფიქრდა და თქვა:

„– თავი ხონდა თუ არა, არ მახსოვს, მარა სახლიდან რუმ მივდოდა, ყაბალახი მომთხუაო“ (ფალავა, 2021: 305).

ტაოური ანეკდოტების დიდი ნაწილი ხოჯა ნასრედინის ციკლისაა, ნაწილში კი წარმოჩენილია რეალური ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო იუმორი; მათში, როგორც ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრს ახასიათებს, ლაკონურად არის თავჩენილი გონებამახვილური ჩანაფიქრი, რაც უმტკივნეულო მხილების გზით სოციუმის კათარზისს ემსახურება.



მიტოვებული სოფელი... 2018 წ.

## საბავშვო ფოლკლორი

საბავშვო ფოლკლორი ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ემსახურება ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდას. ეს უდიდესი პედაგოგიური მისია ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ შემუშავებული და საბავშვო ფოლკლორში დაუნჯებული ზნეობრივი სათნოებებით, რაც უსათუოდ ქართველი ერის ფასდაუდებელი სულიერი მემკვიდრეობაა. როგორც მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი აღნიშნავს, საბავშვო ზეპირსიტყვიერებამ „ქართველი ხალხის წარსულის, მისი შემოქმედებითი პოტენციისა და ეროვნული თავისებურებების მრავალი საინტერესო რეალია და ნიშანი შემოინახა“ (ზანდუკელი, 1973: 248). ეს კულტურული მემკვიდრეობა კი უპირველესად საბავშვო ფოლკლორის იდეურ-ეთიკურსა და ესთეტიკურ ფუნქციაში, მის პედაგოგიურ-აღმზრდელობით მისიაში ვლინდება, რითაც ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს დარგი ყოველთვის გამოირჩეოდა და მუდმივად იდგა ეპოქალურ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

საყმაწვილო ნაწარმოებებში გადმოცემულ დიდაქტიკურ იდეალებს ჩვენი წინაპრები უდიდესი სასოებით უფრთხილდებოდნენ, ავსებდნენ, სრულყოფდნენ და თაობიდან თაობას

გადმოსცემდნენ როგორც მოქალაქეობრივად ჯანსაღი მომავალი თაობის სწორი ფორმირებისათვის საჭირო უტყუარსა და სანდო სიბრძნეს.

საყმაწვილო ზეპირსიტყვიერება, რომელშიც ერთიანდება ქართული ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები, ბოლო დრომდე ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში. ბუნებრივია, მისდამი ინტერესი არც ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ უძველეს რეგიონში – ტაოში განელეზულა; თუმცა, ტაოელ ქართველთა ისტორიულმა მემსიერებამ შავშელ, კლარჯელ და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მსგავსად, ბოლო დრომდე შემოინახა საბავშვო ფოლკლორის მხოლოდ ზოგიერთი სახეობა; ესენია სააკვნო ლექს-სიმღერები და სალალაო და შესაქცევარი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

## 1. სააკვნო ლექს-სიმღერები

სასიამოვნო რეალობად გვესახება ის ფაქტი, რომ ტაოელი ქართველებისათვის დღემდე პოპულარულია სააკვნო ლექს-სიმღერები, რომლებსაც ისინი მოიხსენებენ ტერმინებით „დაძინებისა“, „დასაძინებელი“. ტაოს ქართულენოვან სოფლებში – სადგიყანაში, ქონობანში, წითლეკარში, ფინარხევში, დევთისაში, ბასლეკარში, ხევეგში, დოლენჯიანთკარში, ქობაში, იეთში, გოდლეკარში – და დაბა სარიგოლში სააკვნო ლექს-სიმღერათა თოთხმეტი ვარიანტი ჩავინერეთ, რაც იმის დასტურია, რომ ტაოელი „გურჯები“ ჩვილებს ქართულად უმღერიან და ისე აძინებენ.

2018 წლის 28 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ სადგიყანაში ნატალია ჩხარტიშვილის მიერ

52 წლის ქალბატონის – ფატიე ჩელიქისაგან ჩანერილი სააკვნო ლექს-სიმღერა, რომელსაც მთქმელმა „დასაძინებელი“ უწოდა, ტრადიციული ქართული ხალხური „ნანების“ მსგავსად, გადმოსცემს ჩვილისადმი გამოხატულ მზრუნველობას; ბავშვს პირდებიან, რომ შეშაზე წასული დედა მალე დაბრუნდება და ძუძუს მოაწოვებს; ბებია (შესაძლებელია, ოჯახის სხვა წევრი) ლოცავს ჩვილს და მის მომავალზეც ოცნებობს – იმედოვნებს, რომ მოიხდის სავალდებულო სამხედრო სამსახურს და დააქორწილებენ:

ჰაიდე, დეეძინეო,  
ახლა მოვა ანაო!  
ანაჲ მოვა ახლა,  
შეშაჲ მეფტანოსო.  
ახლა მოგაწუებს,  
ღმერთმა გაგზარდოს!  
დიდი შეფქენ!  
ასკერში წახვალ,  
ასკერობას იქამ,  
მოხვალ, დაგაქორწილებ,  
თორები მემესწრებიან,  
რძალ მევიყვან,  
დედამთილ შევიქნევ!

(შოშვილი, 2020: 926)

ტაოურ სააკვნო ლექს-სიმღერებზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ტაოელი ბავშვების დაძინება უმთავრესად ბებიებს ევალებოდათ, რადგანაც დედა გასული იყო სამუშაოდ. ამიტომაც თითქმის ყველა დასაძინებელი სიმღერა იწყება

სიტყვებით – „ახლა მუა ანაა!“ (შიოშვილი, 2020: 277, 926, 969).

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ქონობანში 2017 წლის 28 ივლისს 73 წლის ქალბატონის – ფატყიმე (ფატმა) ქანთაროლლუსაგან ჩანერილი სააკვნო ლექს-სიმღერაც მოწმობს, რომ ჩვილს აძინებს ბებია და პირდება, რომ მისი მშობლები მალე მოვლენ და ტკბილედ ულს მოუტანენ. აქაც, ტრადიციულად, ბავშვის მომავალზეც ფიქრობენ და ეს მომავალი კი სამხედრო სამსახურში თუ საშოვარზე წასვლასთან ასოცირდება, რისი გვირგვინიც ვაჟის დაქორწილებაა:

ნანი, ნანი, ნანაა,  
ახლა მუა ანაა!  
მოვა ჩემ ოღლის ანაა,  
მოვა ალაა.  
კაკაა'ნა მიგიტანოს,  
ბევრი რამ'ნა მიგიტანოს!  
დეძინე, გეზარდე!  
ყურბეთში'ნა წეხვიდე,  
ასკერში'ნა წეხვიდე,  
მობვალ'ნა დაგაქორწილო!

(შიოშვილი, 2017: 73; შიოშვილი, 2020: 926)

მთქმელის განმარტება ამგვარია: „– ჩემ ლენჯებ ქი დუაძინებდი, უმღერებდი“.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში – წითლეკარში მცხოვრები 47 წლის ქალბატონის – ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოლლი)



2017 წლის 29 ივლისს ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში ჩვილს პირდებიან, რომ დედა მოვა და მოუტანს შაქარს, ვაშლს, თუთას და სხვადასხვა „რამიებს“:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
შექერ მიგიტანს,  
ვაშლები'ნა მიგიტანოს,  
თუთები'ნა მიგიტანოს,  
რამიები'ნა მიგიტანოს!

(შიოშვილი, 2020: 926)

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიშნარხევში 63 წლის ნაჯიე გიულისაგან 2018 წლის 1 აგვისტოს ნატალია ჩხარტიშვილის მიერ ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში კარგად ჩანს, თუ როგორი დატვირთულნი იყვნენ თვით მეძუძური ქალებიც: მართალია, ჩვილს პირდებიან, რომ დედა ახლავე მოვაო, მაგრამ არც იმას უმაღავენ, რომ მისი დაძინების შემდეგ დედა ისევ სამუშაოდ წავა:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
დაგაძინებს ანაჲ,  
ადგება, წავა ანაჲ.

(შიოშვილი, 2020: 926)

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – დევთისაში 2017 წლის 30 ივლისს 40 წლის შენგულ სონმესისაგან ჩანერილ „ნანას“ ტექსტში ჩვილის მშვი-

დობიანი ძილის სანინდრად ორივე მშობლის თანამოსაქმეობაა მნიშვნელოვანი:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
დაგაძინებს ანაჲ,  
გაგალვიძებს ალაჲ.

(შოშვილი, 2020: 927)

როგორც საქართველოს სხვა რეგიონთა სააკვნო ლექს-სიმღერებსაც სჩვევია, ტაოურ „ნანებში“ ზოგჯერ გამოიყენება იუმორისტული სტრიქონებიც:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
კატამ შიჭამა შენი ანაჲ!  
კიდევ დაგაქორნილავს  
შენი ალაჲ!

(შოშვილი, 2020: 927)

ამ სააკვნო ლექს-სიმღერის კლარჯული ვარიანტი ამგვარია:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ტურამა შეჭამოს შენი ანაჲ!

(შოშვილი, 2017: 425)

აღსანიშნავია, რომ ტურას ხსენება ბოლო დრომდეა შემორჩენილი კლარჯულ „ნანაში“ ჩვილის „გასაფრთხილებლად“, რათა იოლად დაიძინოს, რომ ტურამ არ შეჭამოს; ამავე სააკ-

ვნო სიმღერაში ჩვილს, ტაოური ნანას მსგავსად, პირდებიან, რომ მამა დააქორწილებს:

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
დედძინოს ჩემი ღარჭი,  
ტურამ არ შეგჭამოს!..  
კიდენ დაგაქორწილავს  
შენი ბაბაჲ!

(შოოშვილი, 2017: 424)

ტურას ხსენება შემორჩენილია, აგრეთვე, ბავშვის დასაძინებელ მეგრულ ლექს-სიმღერაში „სისა ტურა“:

...სისა, ტურა მოდისო,  
ბონდო ბიჭს ძინავსო,  
ბონდო ბიჭი ეხუტება  
თავის დედას გულშიო.

(ქ. ხ. პ., 1979: 121)

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბასლევარში 55 წლის იაშარ ქეჩეჯისაგან ჩანერილი „ნანას“ ტექსტი მელოდიური ხმოვნის – „ააა“ – თანხლებით განმეორებადი ტრადიციული ტაოური სააკვნო ლექს-სიმღერისეული ორი სტრიქონით („ნანი, ნანი, ნანაჲ, ახლა მოვა ანაჲ“) არის წარმოდგენილი:

ააა, ააა, ააა...  
ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
ააა, ააა, ააა...

(შოოშვილი, 2020: 927)

მთქმელის განმარტებით, „– დაძინებისას დედებიც იმღერებდენ, ანაჲ საქმეს იქმოდა“. მთქმელმა სიმღერას „დაძინებისა“ უწოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორსტრიქონიანი „ნანები“ ტაოურ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე ხშირია. მათ შორის ძალზე საინტერესოა სოფელ ელიასხევში მცხოვრებ ადემ ფოლათისაგან პროფესორ მამია ფალავას მიერ ჩანერილი ვარიანტი, რომელშიც დედის აღმნიშვნელ თურქულ სიტყვა „ანა“-ს პარალელურად იხმარება ქართული „ნენე“ და, აგრეთვე, „ძუძუს ნოვებაც“:

ნენი, ნენი, ახლა მოვა ანაჲ  
ძუძუს განუეფს...

(ფალავა, 2005: 163)

ტექსტს ახლავს მთქმელის განმარტება: „რას უმღერიან ბაღანას, არ ვიცი, ეს ვიცი...“ (ფალავა, 2005: 163).

სიტყვაუბვი სახალხო მთქმელის – 47 წლის დოლენჯიანთ-კარელი მეველუდ ბათმაზისაგან (დოლენჯიშვილი) 2017 წლის 26 ივლისს ჩანერილი სააკვნო ლექს-სიმღერა რამდენადმე განსხვავებულია ტრადიციული ტაოური ტექსტებისაგან, თუმცა დედის მოსვლის დაპირება, საალერსო სიტყვებთან ერთად, მასშიც უცვლელია:

დანდული, დანდული, დანდალაჲ,  
დანდული, დანდული, დანდალაჲ...  
ნევდა, მოვა შენი ანაჲ!

(შიოშვილი, 2020: 927)

ბატონმა მეველუდმაც ამ სიმღერას „დაძინებისა“ უწოდა; მისეული სააკვნო ლექს-სიმღერის მოფერებითი სტრიქონე-

ბი („დანდული, დანდული, დანდალა...“) ბოლო დრომდე ფართოდ გავრცელებულია ქართლ-კახურსა და მესხურ-ჯავახურ ზეპირსიტყვიერებაში:

**ქართლური:** დანდლი, დანდლი, დანდალო,  
დედის ოქროს შანდალო...  
(ქ. ხ. პ., 1979: 132)

**კახური:** ადანდალო, დანდალო,  
ჩემო ოქროს შანდალო...  
(ქ. ხ. პ., 1979: 360)

**მესხურ-ჯავახური:** დან-დანნი, დან შვილო,  
ატმისა გულგაჭრილო...  
(ქ. ხ. პ., 1979: 363)

2018 წლის 28 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობაში 60 წლის აიშე ჩელიქისაგან ნატალია ჩხარტიშვილის მიერ ჩანერილ სააკვანო ლექს-სიმღერაში გამოთქმულია ჩვილის დალოცვა და დაძინების თხოვნა, თუმცა ტრადიციული „მალე მოვა ანაჲ“ აღარ ითქმის:

დეძინე, გეგზარდე,  
დიდი კაცი შექენ!  
ღმერთმა გაგზარდოს!  
დანექ, დეძინე,  
ნანი ქენ, დეძინე!  
(შიოშვილი, 2020: 927)

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში 50 წლის მენემშა ქეჩეჯისაგან 2017

წლის 28 ივლისს ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაში, ჩვილის დაძინების სურვილთან ერთად, ხაზგასმულია დამძინებლის მოსვენების ფაქტორიც:

ნანი, დარუმ, ნანი,  
დეძინოს და დამაძინოს!  
დეძინოს და გეზზარდოს!  
(შოშვილი, 2020: 927)

მთქმელის განმარტება ამგვარია: „– ვეტყოდი, დუაძინებდი“.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას ერთ-ერთ ულამაზეს უბანში – იეთში მცხოვრები 76 წლის ბეიჯე სონმეზისაგან 2018 წლის 28 ივლისს ნატალია ჩხარტიშვილის მიერ ჩანერილ სააკვნო ლექს-სიმღერაშიც არ ჩანს დედის მოსვლის დაპირება:

ნანი, ნანანა,  
ჩემმა ოლულმა დეძინა.  
(შოშვილი, 2020: 927)

ამგვარ სააკვნო ლექს-სიმღერათა შემსრულებლები, როგორც ჩანს, თავად დედები არიან და ბუნებრივია, ტრადიციული „ახლა მოვა ანა“ მათ ნამღერში აღარ დომინირებს. ამას ადასტურებს ბეიჯე სონმეზისეული ზემოთ მოხმობილი ნიმუშიც, სადაც დასაძინებელი ყრმა „ოლულად“ (თურქ. *oğul* – ვაჟი, ძე, შვილი) მოიხსენიება.

ამრიგად, ტაოურ ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახული სააკვნო ლექს-სიმღერები, რომლებსაც „დაძინებისას“, „დასაძინებელს“ უწოდებენ. ზოგადქართული ტრა-

დიციული სააკვნო ლექს-სიმღერების დარად, ტაოურ „და-საძინებელ“ ტექსტებშიც გვხვდება ტერმინი „ნანა“ („ნანი“), თუმცა, ბუნებრივია, მათ ისტორიულ მეხსიერებას აღარ შემორჩენია ცოდნა (რაც ხშირად ქართული „იავნანას“ დღევანდელმა შემსრულებლებმაც აღარ იციან) იმის თაობაზე, რომ ქართულ „ნანებში“ და „იავნანებში“ შემონახული სიტყვა „ნანა“, რომელიც ხშირად მეორდება, წარმართული ეპოქის საერთოქართული და საერთოკავკასიური ქალღვთაება ნანას სახელია, რომელსაც, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, ევალეზობდა მძინარე ბავშვის დაცვა.

ტაოურ „ნანებშიც“, საერთოქართული სააკვნო ლექს-სიმღერების მსგავსად, ჩაქსოვილია მშობლის უზენაესი გრძნობები ჩვილის მიმართ და მისი ბედნიერი მომავლის რწმენა; რაც შეეხება ქართულ სააკვნო ლექს-სიმღერათა ერთ-ერთ, ყველაზე გამოკვეთილ, უმნიშვნელოვანეს მისიას – პატრიოტიზმის სულისკვეთების ჩანერგვას, ტაოურ ნანებში „ასკერში“ (*asker* – ჯარისკაცი) ნასვლაზეა გამახვილებული ყურადღება, რაც, აგრეთვე, ტრადიციული, მხედრული სიმამაცი-სადმი მინიშნებად უნდა იქნას გაგებული.

## 2. სალალაო და შესაქცევარი ლექს-სიმღერები

საბავშვო ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ტრადიციული და ერთობ საინტერესო უბანია სალალაო და შესაქცევარი ლექს-სიმღერები, რომლებიც ძირითადად ყმანვილის გასართობ თამაშებს ახლავს. მათი მიზანია შეაქციოს“, ძიძობა („ლალაობა“) გაუწიოს დამოუკიდებლად გართობის უნარ-მოკლებულ მცირე ასაკის ბავშვებს და, ბუნებრივია, ამავე დროს, მათ გონებრივ განვითარებაზეც იზრუნოს.

ტაოელთა ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა, აგრეთვე, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში არსებული სალალაო და შესაქცევარი თამაში „...ცერამ თქვა...“ და მასთან დაკავშირებული ტექსტი, რომლის დანიშნულებაცაა ყმანვილთა გართობა-შექცევა და, ამავე დროს, მათი ცნობისმოყვარეობის განვითარება, ჯანსაღი ემოციების გამოწვევა და საბოლოოდ, „დასჯილი“ თითის მაგალითზე – ავისა და კარგის გარჩევა.

2018 წლის 29 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლში მცხოვრები ქალბატონის – 56 წლის ელიფა ოზიურთისაგან ჩანერილი სალალაო ლექსი, რომელიც ბავშვთა გასართობი თამაშის ტექსტია, არსებითად ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილ ნიმუშთა ვარიანტია, თუმცა ელიფა ოზიურთისეული ტექსტის თანახმად, ისევე, როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და მათ შორის შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც (შიოშვილი, 2016: 490), დამშეული თითების ბჭობისას ნეკა თითმა („ჭუტი თითმა“) თქვა, მოვიპაროთო და ამიტომაც დარჩენილა პატარა:

დიდი თითი: – მემემშიაო!

საჩვენებელი თითი: – რა ვჭამოთო?

შუანა თითი: – ღმერთის მოცემული ვჭამოთო!

ბეჭედი თითი: – ევლოთ და შევჭამოთო!

ჭუტი თითი: – მევპაროთო! – უთქმია და ჭუტი, პეტერაჲ დამჩალა.

(შიოშვილი, 2020: 927)

სხვა ტაოურ ვარიანტში, რომელიც 2018 წლის 29 ივლისს ნატალია ჩხარტიშვილმა ჩაინერა 62 წლის გოდდეკარელი



ქალბატონის – ფატყუმე გუმუშოლლისაგან, არათითს („ფა-  
გულედს ქომოთად თითი) უთქვამს, მოვიპართო, ხოლო ნეკა  
(პატარა თითი) დათანხმებია:

დიდი თითი: – მშია!

ფათანა (საჩვენებელი) თითი: – რა'ნა ვჭამოთ?

ფაგულედ (შუათითი) თითი: – რა'ნა მევიტანო?

ფაგულედს ქომოთად თითი (არათითი): – მევტანო და ვქნათა,  
მევპართო!

პატარად თითი: – დავსხნეთ, შევჭამოთ!

(შოშვილი, 2020: 970)

საჭმლის მოპარვის არათითისეულ „გეგმას“ იცნობს, აგ-  
რეთვე, კლარჯული (მარადიდული) ვარიანტიც, თუმცა, აქ  
ნეკა თითი დამბუზღებლის როლში გამოდის და ამიტომ ის-  
ჯება (შოშვილი, 2017: 316).

ეს უძველესი, ერთგვარი დრამის ფორმის, თამაში, რომე-  
ლიც ტაოელმა ქართველებმაც შემოინახეს, უაღრესად მნიშ-  
ვნელოვანი პედაგოგიურ-ალმზრდელიობითი ფუნქციით არის  
დატვირთული და, ამავე დროს, ყმანვილთა გათვითცნობიე-  
რებას (თითების სახელების დასწავლა, ქურდობისა თუ დაბე-  
ზლების მანიკერების გაგება) ემსახურება.

საუკუნეთა განმავლობაში თურქულ გარემოცვაში მცხო-  
ვრებ ტაოელ ქართველთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრო-  
მდე შემორჩენილი საბავშვო ფოლკლორის მწირი ნიმუშებიც  
კი ჩვენთვის ხელიხელსაგომანები მარგალიტებია, რომლე-  
ბიც ჯერ კიდევ ქართული მეტყველებისა და წეს-ჩვეულებე-  
ბის სამსახურშია.



სოფელი ფიშნარხევი, 2018 წ.



სოფელი იეთი, 2017 წ.

ნაწილი მეცხე

**შექსეა**



## შრომის ლექს-სიმღერები

### 1. ნველისა

#### 1.1.

ჯეედო, მოგწველო,  
რაფერ ეყუდე,  
ჯეედო, მოგწველო!  
ტრიკი აა მამატანო,  
ნანველ გამაზავებო,  
ჯეედო, არ ამამცხო!

#### 1.2.

არ დიმიძალო ძე,  
მე მოგწველო!  
რაჭათა იყავ,  
თივა დიგიყარო!

#### 1.3.

ქუსლი არ ჩიმიფაო,  
არ დამარტყა,  
არ დამაფანტეინო ნანველი,  
არ გამდეზო!

#### 1.4.

ნაზარმა არდეფოს,  
ფურმა არ გაგდებოს,  
მეწველოს,  
არ დიგვიმალოს!

### 2. ყანის თესვისა

#### 2.1.

ხევში წონოლი ყანა  
დავთესე და მივთესე;  
რა გუნაჰი რამ მიყავ,  
რამდენი ვიმუშავე!

### 3. ნადი

#### 3.1.

ნადი მოშველებათ. ძველათ იყო... „– მე დღეს მეშველი ვარო“, – იტყოდეს.

## სატრფიალო პოეზია

1

გაღმა თეთრი ქათამი  
გომოდმა მიკუკუნებს;  
მამაგონდა გოგო,  
მე გულში მიჩხაკუნებს.

2

ფოტოროში ჩევეარე  
წითელი კამონითა;  
არ იტირო, სევდაჯან,  
მოვალ მილიონითა!

3

თააზე შენი დეკეული,  
მაგან რა'ნდა მეფწველოს?  
შენ – გაღმი, მე – გომოდმი,  
გულმა რა'ნდა მეფსვენოს?

4

ფოტოროში გევეარე,  
წითელი გოგო დევნახე;

შენ – გაღმი, მე – გომოღმი,  
რა'ნა იქნაჲ ჩვენი ჰალი?

5

შენ – გაღმი, მე – გამოღმი,  
გეჭყერები მე შენა;  
ჰაღდე, ნევდეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!

6

გოგო, ჩემოღი ტყიღამ,  
ნუ გეშინია ჩემიღამ!  
აღდე, ნევნეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!

7

ჰაღდე, ნევდეთ რუს უკან,  
რა შოხვდება ჩემს უკან!  
ყველი და პური ვჭამოთ,  
ჭალა და ყანა მოვრწყათ!

8

ჰაღდე, ნევნეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!  
შენ – კალათით, მე – კალთით,  
დავკრიფოთ თუთა-ბალი!

9

ჰაღდე, ნევნეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!



შენ – გალმი, მე – გამოლმი,  
რა შეგხდება ჩემს უკან!

10

ჰაადე, ნევდეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან!  
ერთი ჴელა მიპაჩე,  
გავშელინგდე შენს უკან!

11

რა მალე თველი მოვდა,  
ვერ მევტანე ნეკერი;  
გამეფარე, მოგცე  
შენ ხელში შექერი!

12

გალმი-გომოლმი ჭერები,  
მე გოგვებ ვემჭყერები.

13

მალლა-მალლა რამ ფრინავს,  
ყვავია თუ ყართალი?  
მე ერთი რამ გევგონე,  
ტყვილია თუ მართალი?

14

სახლი უკან სათარი,  
ერთი გოგო რათ არი;  
ქოხუს უკან საქათმე,  
ერთი გოგო ჩავქათმე.

15

კაკაჩკარზე გომოდი,  
ბალი შექნილა, ბალი!  
აჩა, შექნილა ბალი,  
ჩადი, მეფნიე ტალი!  
ერთი სადალა მომე,  
გევევარო ყარასალი.

16

თაზე კარზე გომოდი,  
ჰაჩან შექნილა ბალი!  
ჩადი, მეფნიე ტალი,  
არ მოტეხო კონკალი!

17

ნითელი წინდა მაქვა  
კოჭებში ადებული;  
ერთი შეყვარილი მყავსა  
დუნდაში მოდებული.

18

ღელე-ღელე ჩევევარე,  
ღელე ფალაღიანი იყო;  
ერთი გოგო დევნახე,  
ბუკი ტალახიანი იყო.

19

ღელე-ღელე შევარე,  
ღელე ტალახიანი იყო;

ერთი გოგო დევნახე,  
ზოვლად კად იყო.

20

ერთი ძიგარა მომე  
მალთეფე ფაქეთიდამ;  
ჩემი თავი თუ გინდა,  
ჩამოდი ვაკეთიდამ!

21

გალმი მივალ, გავლიხან  
ფეხი ქვაზე ნომოვკარ;  
უკნისკენე მოვტრალდი,  
ჩემი დარ თვალი ნომოვკარ.

22

თაზე შენი ჭრელი ფური  
თოფალია, თოფალი;  
გოგო, შენი თვალები  
ჭაკალია, ჭაკალი!

23

ჰადდე, ნევდეთ ნელა-ნელა,  
გახდილი ხარ თავზე ბელა!  
მოდ, ნევდეთ ნელა-ნელა,  
მოკდომამდი ჩემი ხარ შენა!

24

ჰადდე, ნევდეთ დოლაზე  
მე – კალთით, შენ კალათით;

შენ – ბგანო და მე – ბიჭი,  
რა შეხვდება ხვარათით!

25

ერთი გოგო დევნახე,  
გემრელია, გემრელია!  
ერთი თვალი უყავო,  
დუუდახე ჩემ გორსაო.

26

თაროზე ყველი მაქვა,  
შემპალია, შემპალიო;  
გოგოვ, შენი ლეჭები  
დამპალია, დამპალიო!



სოფელი სადგიანა, 2018 წ.

## საქორწილო პოეზია

1

შენ კალათით, მე გოდრით  
დავკრიფოთ დოლაები,  
მე'ნა მოვდე ალათან,  
სახში'ნა შევდე გორსა,  
ნა უთხრა მე შენი ვარ,  
ბგანო მე მამეო!

2

ახლა'ნა ავდგე, წევდე,  
მე შენ'ნა უთხრა ანასა:  
ბგანო მინდა, მიმცემო,  
ალაჰუნ ემრიჩა.  
თუ არ მომცემს ანად,  
ნა გაგაქციო მე შენა!

3

ვისმე არ უთხრაო,  
მოდი, გეცნოთ ევლეგში;  
ვინმა არ გინახვოსო,  
დავჟნეთ, ერთი ვიპარიკოთ.

4

წუმუმყე, გუნო, წუმუმყე,  
რა მოხდება, ჩემს უკან!

5

გაველი ცივი წყაროზე,  
ვერ გავამსე გუგუმი;  
რა ზააბა მევესება  
გო, შენს უკან დუგუნი!

6

თითზე ბეჭედი მაქვა,  
ბეჭედ თვალი არ აქვა;  
ბოშინა ნუ მიყურავ,  
შენზე თვალი არ მაქვა.

7

გელინო, გელინო,  
სახლი დაგვიხან თოზა არ ააყენო,  
დედამთილის უკან ხვარათ არა ქნა!..

## საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები

1

– მე რა'ნა ქნა დედამთილი?  
– კიბედან'ნა დააგორო;  
ქი გიდუარდება,  
უკნიდან თენექი'ნა უდანგუნო!

2

ჭანჭახ ვჭამე ფილავი,  
გემექცა ხეველად;  
გევქე, გევქე, გემმეკიდა,  
წევქე, წევქე, წემმეკიდა.

3

გევვარე გაღმა ტყეში,  
დავკრიფოთ'ნა ნაძვი კედ;  
ე რა დიღბერა ჩადის  
ბასლეკარ დიდი ხედ!

4

თაროზე ყველი მაქვა,  
დამპალია, დამპალი;  
გოგო, შენი ღეჯები  
შემპალია, შემპალი!

5

ჯიფში მაქვა ფარები,  
ჩხაკა-ჩხუკით ვიარები.

6

ჰავაში რომ ფრინავდა,  
ყვავია თუ ყართალიო?  
შენ ბაარზე რამ გეგგონე,  
ტყულია თუ მართალიო?

7

გათავდა, აღარ არი  
ჩემ დედესი ყაურმა;  
ღორიფილ ღვარმა წეღლო  
ჭუკალიოსი ჩეურმა.

8

მუთვალში მიკიდული  
აღთუნის ტაფა მაქვა;  
დარი ასკერში წევდა,  
შუბეში დავა მაქვა.

9

წითელი წინდა მაქვა  
კოჭებში ადებული;  
ბევრი სულაღე მყავსა  
დუნაში მოდებული.

10

ქუაბავრი ურუმები,  
შავ-შავი ყურუმები.



## სანუსრვეულებო ფოლკლორი

### 1. საახალწლო პოეზია

ილბაშია, ილბაში,  
რამ ჩიმიდე გუდაში!  
ფენგა, კარზე გომოდი,  
რამ ჩიმიდე გუდაში!

### 2. შელოცვა

#### 2.1. სამკურნალო შელოცვები

##### 1. მუცლის ტკივილისა

###### 1.1. თიაქრისა (თიისა)

იაო, თიაო,  
ეფარე, ჩეფარე!  
რა ბლუიხარ ხარსათვენ,  
რა ეძგერები ვერძსათვენ!  
შენი საძგერებელი ზურგი

მე აა მაქვა,  
მე ნუ მეძგერები!  
და კლდეს ეძგერე,  
და – ტყევენარს!

## **1.2. ჩხვერისა**

ჩხროვო, ჩხროვო,  
გუუშვი, გუუშვი!  
ჩემი ანასი დიდი წინილი მე ვარა,  
მე მჭირსა, შენ არ გჭირსა!

## **2. ჭიისა**

### **2.1.**

ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო,  
რა ეძგერები ვერძსათვენ?  
რა ბლუიხარ ხარსათვენ?  
რა ბრუნავხარ ნარსათვენ?  
ამოსავლელი ხარ, ამეფარე!

## **3. თავის ტკივილისა**

### **3.1.**

შაჲ ტყე გაპნდა,  
შაჲ კაცი გუმუარდა,  
შავ ქვაზე შახტა,  
შავ ქვადან ჩამაახტა.  
შენი ავადნობა  
გაცვდა, გაქარდა!

წითელი ტყე გაჰნდა,  
წითელი კაცი გუმუარდა,  
წითელ ქვაზე შახტა,  
წითელ ქვადან ჩამაახტა.  
შენი ავადნობა  
გაცვდა, გაქარდა!  
მრეხი ტყე გაჰნდა,  
მრეხი კაცი გუმუარდა,  
მრეხ ქვაზე შახტა,  
მრეხ ქვადან ჩამაახტა.  
შენი ავადნობა  
გაცვდა, გაქარდა!  
კითხვა ჩემიდან,  
მოშორება ღმერთიდან!

#### **4. სირსვილისა**

##### **4.1.**

ენებრე, მენებრე, მენტესუდე.  
ჯებრაჰილი ყანას თესვიდა.  
ჯებრაჰილ, გელდი!  
ხარმან ეთმადა,  
ბენ სუნოლ ეთმადა!

#### **5. ყელში გაჩხერილისა**

##### **5.1.**

მოვა, მოვა ურვანად,  
დუაყენო, არ დუაყენო?  
დუაყენო შავ ბოსელში,

კოვზი – კურჩატი,  
ჯამი – ხანანი.  
დადგომილი თევზი ფხადა,  
ან ედარე, ან ჩედარე!

## **6. მეჭეჭისა**

### **6.1.**

მთვარე დევნახე,  
მეჭეჭი დევნახე;  
მეჭეჭისა თაჲ  
ცაარელი დევნახე.  
ნაცარი დუაყარო  
მეჭეჭი თავზე.

## **7. კბილის ამოდებისა**

### **7.1.**

კრადსთინ წაჲ,  
ძაღლისთინ წაჲ!

## **8. ავი ქარებისა (ფეხი ტკივილისა)**

### **8.1.**

– უსახელო, უსახელო,  
ჰად მიხვალ,  
ჰად მიბზანდები?  
– ძვალი საყარი,  
სისხლი სასმელი.

– კვერცხი ცილი,  
ძენნი ფურცელი, –  
გაქარდი, გამოქორდი,  
ჩვენგან შორ წადი!

## 2.2. სამეურნეო შელოცვები

### 1. ნისლისა

#### 1.1.

დუმანო, დუმანო,  
ეყარე, გიდეყარე,  
შვიდი წვერი გიდეყარე!  
შენი ოღლუშალი ღვარ წუულია,  
ცქვიტა ნახვალ, მეენეფ,  
ნელა ნახვალ, ვერ მეენეფ!

#### 1.2.

ბულუთ, ბულუთ, ეყარე,  
შვიდი წვერი გედეყარე!  
შენი ცოლი ორსული,  
მალე მისვალ, მიგირჩება,  
ა' ნახვალ, მოკტება!

#### 1.3.

ბულუთები მოხარხატულა,  
ღურბელო, გაჭარ-გომოჭარ,  
მზითვალი გამაჩინე!

1.4.

დუმანი წამოიდა მასისიდან,  
დუმანო, ეყარე, გედეყარე!

## 2. გვალვისა („ყურალისა“)

2.1.

ღმერთო, გაანვიმე!  
ღმერთო, გაანვიმე!

## 3. სამეურნეო შელოცვათა თანმხლები რიტუალები

3.1.

ყურალი იქნება, კუპრეთი თავში ნაცრაქედაა, იქ დაკლიან ყურბან, ათზე მეტს დუურიგებენ, ტყავები წყალში ჩადებენ ქი, ბევრი ინვიმოსო.

ღენჭები ქვებ მოკრეფენ, ხოჯა მოაკრეფინებს. წყალში ჩაყრიან. თუ ბევრი განვიმდება, ტყავებ უკნისკენ წყლიდან ამეღლებენ. გურჯები იჯებიან, თურქები არ იჯებიან.

3.2.

ყურალში ხოჯა ღენჭებ წეყვანდა, ხოჯა დუას იკითხვიდა, ღენჭები „ამინ“ იტყოდეს, წყალში ქვებ ჩაყრიდეს, განვიმდებო.

3.3.

განვიმდესო, ყურბან დაგკლავთ, ნამაზ ვილოცავთ. დაღლაში მეზარი გვაქ, ველითავ ვეძახით, იქ დუას ვიზამთ.

### 3.4.

წვიმა თუ გინდა, ხელებ თავდაღმა დუუშვებს, თუ მზე – ხელებ მაღლა აწევს, „ამინო“, იტყობს. ყურბან დაკლიან, ხორცებ ენწინ ღენჭებ მიცემენ, ღენჭები დაძღებიან, მას უკან დიდვანები დასხდებიან. თუ ხორცი დარჩება, სახლებში წეფლებენ, დეკაცებ მუუტანენ.



სოფელ ხევას უბანი – ობლექარი, 2017 წ.

## მითი

### 1. მარადიული გაზაფხულის მითოსი

#### 1.1.

ქელაზორ ქეშიში ყოფილა. გათოვლებულა. ფორ გათოვლებულა, ფორიდან დუუნახია ქეშიშსა, მისი კაცები გუუგზაენია:

– შეხედეთ, ნახეთ, რა არიო.

კაცები გასულან, თოვლი ხელში უუნენიან, შუუხედნიან, ცივი ყოფილა. აბლი წამოუდიან, გამდნარა, დაკარგულა.

ჩომოსულან, უთქმიან ქეშიშისთვინ, აგრე-აგრე იქნაო.

ქეშიშსაც უთქმია ქი:

– ე თოვლია, აქ ველარ ვიქნებით, თიბილ ადგილებში წვენეთო!

იქენდან წასულან. აა ვიცი ქი, სად წასულან. დედეები გეარინებდეს, გვეხვარათებდეს; დედეებ უყვარდა ასე, გვეხარათებოდა ჩვენ.



## 2. წყლის განმასახიერებელი ქალღვთაება

### 2.1. ფერი (დეკაცი)

ყოფილა, არ ყოფილა, ამ სოფელში ერთი უჭკვო მეცხვარე ყოფილა, ჩამოვლილი, ჭკვიდან ავლილი. ეს პირუტყვებს აძოვებს. ერთხელ, დილაზე, ლომბი ტბა გავა; ჯერ მზე ამოსული არ არი, ღამრიანა, გათენებული არ არი; აა გათენდა, აა გათენდა... აიმ ვახტზე ტბაზე შუუხედნია ქი, რა დედნახავს: ერთი ფერი წყლიდან ამოარდნილა, კილდეზე დამჯდარა, სავარცხლითა თმებ ისწორებს. უჩუმრა მეეპრება, მეეპრება, სავარცხელსა დასტაცავს. ფერი ეხვენება, „მომეო“, აა მისცემს, სოფელისკენ წომოვა. ფერიც უკნიდან მოჰყვება.

სოფელში ჩომოვნენ. ი მეცხვარე სავარცხელსა სახლი ყვერეში სამ დამალავს.

ეერთი კვირა გეჰარს, ეერთი თვე გეჰარს, ფერი უკნისკენ არ წავა. მეცხვარე იმაჲ, ფერსა, ითხოვს, დაქორწილდება. იმ მეცხვარესა იმ ფერიდან ერთი ბიჭი, ერთი ქალი მეესწრობა.

ათი წელიწად გიიარს, ი ფერ არ დუუხვარათია. ერთ დღესა ერთი ბებერი მომკვდარა; მოკრეფილან კაცები, მეზერისკენ მიჰყავან, უნა ჩადონ. ფერი უკნიდან შეხედავს ქი, ერთი გეეცინებს. მისი კაცი ეტყვის ქი:

– რა იქნა, რატომ გეეცინე? შენ ათი წელიწადი აა ხვარათობდი, ეხლა რატომ გეეცინე?

ფერ უთქვია ქი:

– ამ ბებერსა სულ ეღლუგი აა უქნიაო, ერთი ძველი წინდა მისდევს, იმ ბარზე გეეცინეო (მაატო ფერი ხედავს, სხვას ვერ დუუნახია).

კაც უთქვია ქი, მეცხვარესა:

– ქი დემეხვარათეო, შენ ვინ ხარაო? შენი სახელი რა არიო?

ათი წელიწადი გავლილა ქი, ცოლის სახელი არ იცის, აა ხვარათობს. უთქმია ქი:

– ჩემი სახელი ფერიაო, ჩემი სავარცხელი მომეო, ჩემს უკან წომოდო, ტბაზე გევენეთო, მე წყალში უნდა შევდეო, ტბაშიანო; მიმიცადეო, ჩუმი თუ არ გომომცეს, უკნისკენ გომოალ, სისხლი თუ გომოვდა ტბაზედან, მიხვდი ქი, დამკლესო.

გასულა, შესულა წყალში; მეცხვარეს მუუცდია ქი, ძირიდან სისხლი წომოსულა. მეცხვარეს უტირია, უტირია, იქო დამჩალა.

სოფელში კაცი აა ჩომოვიდა, უთქმიან:

– ჰა წევდა კაციო?

საძებნელად წასულან, გასულან ტბაზე ქი, ფერი ტბაია (ლონგი ტბა). მეცხვარე დაბნედილი იქ დგარა, ტბა სისხლი-მოგდებული დგას. მეცხვარე ეაკიდებენ, ჩემეყვანენ სოფელში. თვალეი აღარ გუუხედავს, დაქორდება ტირილ-ტირილში.

იმის ბგანო გაზდილა; ყველას უნდა, ითხოვოს. კარზე არ გომოსულა, მისი თაჲ ჩუმუუკიდია. კაცი (მეცხვარე) მომკდარა, დამჩალა ბიჭი. ისე შექნილან ფირიანი. იტყვიან ქი, იმ ტბაზე ქი გახვალთ, შიგან ქვა არ ჩააგდოთ, ხოშკაკალი მუა, სოფელში ვერ ჩომოხვალ. წითელი წყალი მოა ქომოდან, ახლაც მოა; ქვა რო აგდებთ, ნახევარი საათი არ გავა, ხოშკაკალი დეგეცემა.

## 2.2.

ინტკორ ზემოთ ფერილი გოლია. აქიდამ ერთი კაცი გასულა გოლი ქენარში, შუუხედნია იქი, ერთანე გოგოჲ, თმები უვარცხნია, უტარალია. მემრე კაც და იმან დიაშიყებულან, ნუმუყყანია. ეფეჯა ერთგან ყოფილან, ამა გოგოჲ ბევრი ცივი ყოფილა, ღამე, დანოლიხან, ბევრი ცივი ყოფილა.

მემრე უთქმია ქი:

– მე ერთი ნევდე, ჩემი ძმები დევნახო, ბევრი მომსურდა! თქვენც წომოდით და გოლიდან შეხედეთ, გოლი თავში სისხლი თუ გამოვდა, მიხდით, მე დამკლესო.

იმათაც აანი უქნიან, შუუხედნიან; იქი, გოლი თავში, სისხლი გამოსულა; მიმხდარან, ძმებ დუუკლიან, რატომ ნახველიო.

იმ გოლს ფერილი გოლ ებნევიან.

ახლა იმ გოლში ქვებ თუ ჩაყრიან, ჰემენ განვიმდება, ბუღუთიც რომ არ იყოს, ჰემენ განვიმდება.

## 3. დემონური პერსონაჟები

### 3.1. ტყის კაცი

ერთი დაღლაში გათოვლებულა. ბითოლი ნასულა, გორი უქნიან. ერთი ბებერი დამჩალა, პური უცხვია. ბებერ უთქვია ქი:

– მე ხვალ ჩამუალო.

ბებერ პური უცხვია. ღამე კარზე ბაგა-ბუგი გუუგონია. გუულიათ, შუუხედნია ქი – დიდი ტყის კაცი, ნახევარი – ინსანი, ნახევარი – დათვი, ბალანიანი. მშიერი ყოფილა, ბებერისთვინ პური გუმუღლია, ნასულა უენისკენ ტყეში.

გათენებულა, ბებერი ჩომოსულა ქოშ, მიღეთისტვინ, მოზობლებისტვინ უხვაათია, კაცი ჩამოდა, შამაყურაო, ასე-ასე იყო. აა დუუჯერინან:

– ისე რომ ყოფილიყო, შიგჭამდაო.

### 3.2. ჯაზები

#### 3.2.1.

ჯაზი კაცია, ჯაზი ღენჯის გული შეჭამს. შედთანიც კაცია. შედთანი შუუძრება კაც და იტყვის, მოვკლათო. შედთანი ეტყვის:

„– არ ილოცოთ, ინსანი ჯენნეთში არ შევდესო!“

დილაჲ შედთანი არ აცლის, ნამაზი ილოცოს, იტყვის:

„– დანქით!“

ჯაზებ კუდი ქონებინან. ჯაზი ჩვენსავით ინსანია. ღენჭობისას დედნახვიან, კუდი რო აქვთ. მე დიმინახიან, ჩემი მოზობელი იყო კუდიანი, ღენჭობაში დიმინახია.

ბლავანობიხან ჯაზი ინსნის გულ შეჭამს. დეკაციც ყავს, ისიც ჭამს. შედთანი ეუბნება, შეჭამეო და შეჭამს; რომ არ შეჭამოს, მისთინ კადა, მაღლი იგებს.

#### 3.2.2.

ჯაზი და შედთანი ანია. ჯაზ ინსან ეტყვი. ჯაზი შევა ყველა სურეთში.

### 3.3. ჯინები

#### 3.3.1.

ჯინები არიან. ზემოთ ჩვენი სახლი არის, იქ იყვნეს. ანაი-ბაბაი მოკდეს, პუტური-პუტური ღენჭები დავრჩინით, დეთიმი

დავრჩნით. ასე (მიაკაკუნა კარებზე – თ. შ.) კარებ უკაკუნებდა. შედთანი იყო, ჯინი იყო, არ ვიცი. ბიბიმა ქული გაშალა და იქ ასე ხამურა-ხამურა აპაკუნებდა, დევნახე, ასე აკაკუნებდა კედლებში, კარებში, ბოსელში... ერთი ფური იყო ბოსელში, გაპარსა ზემო ბოსელში, ზემო ჩარდახში.

ნევალთ, წყალ მოდტანთ, ჯინები იყენეს ბევრი, იშტა დევნახე. ხმადა, ხმადა, ხმები დევნახე. თვალთ არ დევნახე, ხმები გეგგონე.

აქავრობაში ბევრი რამე იყო, მარა ვერ ვხარათობ“.

### 3.3.2.

ჯინები სალამოზე დააქვავებენ ქოხებზე, საჯებზე, დააბეჩებენ და ართულ იკითხებენ ყურანი, ბელქი ნევდენ'ნა. ხანჩი მიდიან, ხანჩი არ მიდიან; მიდიან, კიდოვ მოდიან!

უნინ დუუნახიან, მე არ დიმინახიან. კარქა უნინ ბევრი ყოფილან. ღამი კაცები დუუჭირიან, უფერხულიან, ღამი უჭრიან, უფერხულიან.

## 3.4. შეითანი

### 3.4.1.

შეითანი ინსანივით არიან; შეითნებ დავლი-ზურნა უკრიან, უფერხულიან ღამე; ჩემ დედამთილ დუუნახია.

ზათი დაქორწილებულა ერთი დედე; სიძობაზე უვლია ჭოროხლაკე დაღლაზე. წომოსულა ღამე, ღელეში რომ მოსულა ღელეში მჯდარა შეითანი; დახვარათებია, ვინმესთვის მუუმგვანებია:

– რას ზიხარ აქაო? – სიძეს შეითნისთვინ უთქმია, – კადაზი გაქო.

გამოჰკიდნია კაცისთინ, ქვა უუნევენია და გამოჰკიდნია.  
არ'და დეეხვარათო შედთან!

### **3.5. აღრიბასანი**

#### **3.5.1.**

აღრიბასანი ნომონვება შენზე, ფეხებიდან მოდის, ნომონვება, შეჭარობს. აა ჩანს, ჰამა მიძიმედ შემონვება, ბნელთმი იქნება, ვერ დეგინახია, გაჭირებს, ამეღებ ქარ. ჩემი დიდი ძმაა, აღრიბასანი დანოლია, იმან თქვა.

### **3.6. ეშდაჰარი**

#### **3.6.1.**

განვიმდება, ღვარები ჩამოვა, ეშდაჰარ წეყვანს. ეშდაჰარი ბოტოტსავით ყოფილა, დიდი ყოფილა ძალსავით. გაგონილი ვარ, არ დიმიანახია.

#### **3.6.2.**

განვიმდებაა, ღვარი ქი წამუა, იტყოდეს ძველები, ებიე-ბი, აჟდაჰარ ჩეარაო.

## **4. კოსმოგონია**

#### **4.1.**

გოლში შავი ჯარი ყოფილა ზამანინდე, ახლა აღარ არი. გუ-მოვდოდა, ჯარებ ეჭედებოდა, შევდოდა შიან.

გოლის ჯარი კარგი დიდი ყოფილა. არ ვიცი, რა იქნა...

## ლეგენდა, თქმულება, გადმოცემა

### 1. მცირე ნარდუნის ლეგენდა

#### 1.1.

აქ ერთი სომეხი ბიჭი ყოფილა, საქორწინებელ წელში, ოც-დაერთი წლის თუ რა ყოფილა. ის აქევრ ვინმე გოგოზე თვალი ქონებია ქი; გურჯი გოგო, სომეხი ბიჭი, გეგე? სომხი ბიჭი გოგო უთხოვნია ქი:

– გოგო მომეცით და ჩემთვის ქალი ვქნაო!

ქართველებთა უთქვიან მისთვის:

– იმა არ მოგცემთ შენაო!

აქ ერთი კილდე ყოფილა, ფინთი კილდე, გასაჭრელი, წყალი მოვდეს, სარწყავი წყალი. უთქვიან იმისთინ:

– იმ კილდე თუ გამოჭრავ, მოქცემთ, თუ არ გამოჭრავ, არ მოქცემთო!

იმანაც იმ რიყეში შიშა მოზიდა; მუუზიდა, დუუჯოხია კილდეზე, უნთია ი შიშა, ქვა გუუცხელებია, იმის მერე წყალი დუუსხმია; ი ქვა ისე გუუფრენია იქა, ისე გუუჭრია, წყალი მუუყვანია. მის მერე კიდო არ მუუციან ქართველებ ი გოგო მისთუნ და უთქმიან, დავკარქოთო ეს. აქ ერთი მაღალი კილდე არი, იქ ჩუუყვანიან, იქიდამ გუდუუგდიან ი სომეხი ბიჭი. დაბლა ჩავარდნამდი უძახია ქი:

– ღმერთმა იმ წყლით მოსარწყავი ჭალა-ყანა ქვიანი ქნას და არ ამოვდესა!

ჰოდა, ის დაძვალა ისე ქვიანია, მეტი კად ჭალა – ყანა არაა და იმა ილაპარაკებენ ქი ისე, „იმ სომეხი ბიჭს ასე დუუდვია და იმი ბრალიაო“.

ამ დაძვალას კუპრეთი ქვია.

## 2. ტოპონიმური თქმულება

### 2.1.

სამი ქართული სოფელია. ჯარიდან გამოქცევიან, მოსულან ბალხი წვერზე; ძალიან მოღალულან. ერთთანე ჯუნუნი ყოფილა, უჭკუო. ჯუნუნ უთქმია:

– მე დევალე, აღარ მიალ თქვენს უკან! – დარჩა იქ.

ბასილოღლუ ყოფილა, შვექეთი. გუდუუხედნია ხევადსკენ – ბევრი დეღედან ასხამს წყალი, ბლები, თუთები... უთქმია:

– მე აქედან ჩავცურდები, ჩვეალ ხევასო, იქ ვიცხოვრებო!

სხვასა ქობად დუუნახია, ძალიან კარგი ყართოფადს ყანე-ბი და მოსულა აქა. იმათგან დაშენებულია ხევად, ქვაბად და ბალხი.

## 3. თქმულება-გადმოცემები თამარ მეფეზე

### 3.1.

თამარა ბგანო იყო. ისიც გურჯი ყოფილა, სავრიათის წყალი იმად მუუტანია. ისე ადგილიდან წყალი მუუტანია, ბევრი გიზა არი. მიხვალ... მიხვალ... ბევრი არი გიზა... რუ მუუტანია.

კარგა დილბერი ყოფილა, ზენგინი ყოფილა. გენჯები თამარა აშილი ყოფილან. ედ და გუუზღეპიან თამარა და ბედვა უჯოლია:



– წყალი მევტანო და არ დეფქიროს ამისი წყალიო! აღარ გამოვდეს ამისი წყალიო!

იმ დღეს მერე წყალი მივა აქედან; ერთი დღე წამოვა, მეორე დღეს არ წამოვა.

### 3.2.

„სავრიათ წყალი თამარას მუუყვანია. ისე ბევრი ზორი ყოფილა ქი, ყველაფერი გაყიდა, რომ არ ეყო, საყურეებიც გაყიდა. სივრეთისთვის უთქმია, შენ ბევრი წყალი გქონდესო! ბალხიბარისთვის უთქმია, არ დადგესო თქვენთან წყალი!

### 3.3.

თამარასი სარწყავი იქ არი და... კანალი, თამარა კანალი.

თამარა კარგა უნინ ერთი რუსი ბებერი ყოფილა. იმხან რუსი იყო და... ჩვენც გურჯისტანიდან მოველით აქ. თამარა ბინ სუნე ყოფილა. უთამამებია, წესულა რუსი! ქითბებზე არ წერავს.

ერთი ქილომეტრი კანალია, იმდენი დიდია!

### 3.4.

ხევადს წინ ქილისა ყოფილა, ჰამა – პანაჲ. ქელაზზორ ყოფილა, ერთი თამარა ყოფილა, უვლია, ეს ადგილი მოსწონებია, ყულუსწვერი, ქელაზორ მისლამდე, ფიშნარწვევიდამ'და გეხვიდე.

### 3.5.

თამარას მოყვანილია და... იქ ვერ ვიარებოდით. თამარაჲ იშტე, გურჯის ფადიშაჰის ბგანუ... გურჯისთანის ფადიშაჰის ბგანუ...

### 3.6.

თამარ დოდოფალი ერთ კაც შეყვარებია. აქ პარხალში, იყო ჩამოსული; პარხალი წყალი ადიდებული ყოფილა მაშინ. თამარას უთქმია:

– თუ გადაცურავ, შენი ვიქნებო.

ნასულა კაცი და ვერ გადაცურა, დამჩვალა ი კაცი!

## 4. გადმოცემები ქრისტიანებზე

### 4.1.

ჩემი გენჯობა აქრობაში გეარა. ბევრი გეგონე; ქედი არია, იმი გადაღმა გათ ქედ ვეტყვით, ქეშიმი ცხოვრობდა იქ, მაღლა, ინტკორ. ხრისტიანი ყოფილა. დეკაც – იქა, ქალი – აქ, შელიგში. მეზრები იქ არი, ძველი მეზრები. ზედთ დაილა-ში, ინტკორს ვეტყვით, დეკაც აზელილი უქნია, კანალი უშენია, კანალში, წყალში ჩადებდა, ქეშიმი მოვდოდა, აწევდა, შეშქამდა.

### 4.2.

თუხერისიდან ქარსიქერის ციხემდე თიხის მილი ჩამოდიოდა, 15-20 კილომეტრი იქნება. თუხერისის გვერდით სალორე ყოფილა, იქ ღორებ წველდნენ, რძეს ბორებით ციხეში ქრისტიან ჯარისკაცებ აწვდიდნენ.

### 4.3.

ღორთ ქილისა ეტყვიან ახლა, იქ ერთი ქეშიმი ინჯილ უკითხია; ინჯილში, თქვენ რას ეტყვით? – ბიბლია, ერთი რესული'ნა მოდეს, იმისი გზა-კვალი სწორია, ვინცხა იმაზე მეეს-

წრება, მის უკან წევდეს, იმის გზაზე წევდესო. იქ მათი ყირალი, ფრეზიდენტი და, ყოფილა, იმაჲ უთქვია ქი:

– მე ისეთი ციხე (ყალე) გავაკეთო, ვაშენო, აქ ვერავინ ვერ შემოვა, ვერ მოვლენ ისინი!

იმ ქეშიშსა მი ბალვითვინ (ბიჭითვინ) უთქვია:

– შენ მეენრები, იმა'ნა მიჰყვეო, შენ ვერ მეენრები, შენ ბიჭ'ნა უთხრაო და ასე...

ესენი ქი, ოსმანლი სოლდათი, აქ მოსულა; იმ ქეშიშის ბიჭსა შუხედნია ქი, „ჩემ ანასი აღაჲ ნათქვამი ესენი არიან, მე ამათ'ნა მივყვეო!“ – ხალხისთუნ უთქმია ქი:

– ესენი ჩემ დედესი (ქეშიშის თორი) ნათქვამი გზა-კვალია, ამათ'ნა მივყვეთო! ამან უკან ხარბი არ'ნა ვქნათო!

ისე ქი უთქმია იმასა, ხალხ ფაქა დუუჯერია, თული. იქე-ვრი ემა ყირალი – იგი დამჩალა მარტო, მისი ბიჭები ბილე მუსლიმანი გამხდარა. პრეზიდენტი დამჩალა მარტო. ასე იქნებოდა!..



ხაზლის მონასტერთან, 2017 წ.

## წყევლები

### ა

- არ გაგახარა!
- არ გეხარე!
- ახირ იყავ!

### ბ

- გაგაფაქოს!
- გასკედი!
- გაგხეთქოს!

### ღ

- დათვმა შაგჭამოს!
- დათვმა და გელმა შეგჭამოს!
- დუშმან თვალი დუუქოროს!

### ე

- ე რა ბეჩი ხარა, ღმერთმა გაგაფაქოს!

### ვ

- ველარ დედნახო ეს დუნა!

## თ

- თაღ მოგტეხოს!
- თვალეზი ღმერთმა დიგიქოროს!

## ფ

- ფელჯი გაგხადოს!
- ფინთი გაგხადოს!

## ღ

- ღმერთმა აა გაგახაროს!
- ღმერთმა აა გახაროს!
- ღმერთმა არ გაგახაროს!
- ღმერთმა არ გიგაცინოს!
- ღმერთმა არ გიგახაროს!
- ღმერთმა არ მიგიყვანოს!
- ღმერთმა აქიღამ დაქკარგოს!
- ღმერთმა ბუდე არ დაგადებინოს!
- ღმერთმა გაგაკდინოს!
- ღმერთმა გაგტვინოს!
- ღმერთმა გიგიხეთქოს!
- ღმერთმა დაქკარგოს!
- ღმერთმა, დათვმა და გელმა შაგჭამოს!
- ღმერთმა თვალეზი დიგიქორის!
- ღმერთმა კუდი მიგიტეხოს!<sup>1</sup>
- ღმერთმა მიგაკდინოს!
- ღმერთმა ნესიბი ეგიწიოს!

---

<sup>1</sup> ნყველიან ფურს (მთქმელის განმარტება: „- კუდ თუ თვალეზზე მიგიტყაპუნებენ, ეტყვი“).

- ღმერთმა პირი გიგიშაოს!
- ღმერთმა ტირკები მიგიტეხოს!<sup>1</sup>
- ღმერთმა, ფეხი გიგიცურდეს, ღელეში ჩაგხირჯოს!
- ღმერთმა ფეხი მოგტეხოს!
- ღმერთმა ღელეში ჩაგხირჯოს!
- ღმერთმა ყარი გიყოს!
- ღმერთმა ჩაგმარხოს!
- ღმერთმა ჯეენემში ჩაგაგდოს!

## შ

- შეე აა გეფხარო, მე გევიხარო!
- შენ მე აა გამახარე, ღმერთმა აა გაგახაროს!

## ჩ

- ჩემ უკან აღარ იყოს!
- ჩემზე კაა'და იპოო თუ? ღმერთმა აა გაგახაროს!
- ჩვენს უკან აღარ იყო!

## ჯ

- ჯეენემში წადი!
- ჯეენემი მოგცეს!
- ჯეენემში მიგაკდინოს!

---

<sup>1</sup> ნყველიან ადამიანსაც, ცხოველებსაც და ფრინველებსაც.

## დალოცვები

**ა**

- აა გაგაფაქოს!
- აა მიგაკდინოს!

**ბ**

- ბოვრი დღე მოგცეს ღმერთმა!

**გ**

- გაგახაროს!
- გაგზარდოს!
- გეფხარდე!
- გეფხარე!

**ე**

- ერთ დასტულზე დაგაბერონ!

**თ**

- თავამდი მოგცეს ლენჭები!

**კ**

- კაე გეჩუმი მოგცეს!

- კად გზა მოგცეს!
- კად იყავ!
- კად მურადი მოგცეს ღმერთმა!

### პ

- პირი გიგიითეთროს ღმერთმა!

### ფ

- ფეხი ქვაზე არ წამოგაკვრეფნონ!
- ფინთობიდან შიგინახოს ღმერთმა!

### ღ

- ღენჭები თავამდი მოგცეს!
- ღმერთმა ადვილათ წიგიყვანოს, მიგიყვანოს!
- ღმერთმა არ მიგაკდინოს!
- ღმერთმა არ მიგაკდინოს და ბევრი რამ გინგანეწინოს!
- ღმერთმა ბევრი ღენჭები მოგცეს!
- ღმერთმა ბელა არ მოგცეს!
- ღმერთმა ბერექეთი მოგცეს!
- ღმერთმა გაგახაროს!
- ღმერთმა გაგზარდოს!
- ღმერთმა გაყვანონ, ყვავილი შეექენ!
- ღმერთმა გახაროს!
- ღმერთმა გაგახაროთ, რომ მოხვედით!
- ღმერთმა გაგახარონ!
- ღმერთმა გაბედნიერონ!
- ღმერთმა გიგახაროს!
- ღმერთმა გიგაცინოს!
- ღმერთმა გიმზიროს და კად გზავრობა მოგცეს!



- ღმერთმა დაგაჭკვიანოს!
- ღმერთმა დიდი დღე მოგცეს!
- ღმერთმა ერთ დასულზე დაგაბეროს!
- ღმერთმა ერთ დასტულზე დაგაბეროთ!
- ღმერთმა ერთი ღენჭი ოჯახში მოგცეს, ერთი – მუცელში!
- ღმერთმა ზააბა გაგახაროს!
- ღმერთმა ისტამბულ სიხარულით ჩეგიყვანოს!
- ღმერთმა კად მურადი მოგცეს!
- ღმერთმა კად ომრი მოგართვან!
- ღმერთმა კად პური მოგცეს!
- ღმერთმა კად პური მოგცეს და კად წყალი მოგცეს!
- ღმერთმა კად წეგიყვანოს, კად მეგიყვანოს!
- ღმერთმა კად წეგიყვანონ, მიგიყვანონ!
- ღმერთმა კად ღენჭი მოგცეს!
- ღმერთმა კად წადით!
- ღმერთმა კად წყალი მოგცეს!
- ღმერთმა კარგად წიგიყვანოს!
- ღმერთმა მის ალაგას მიგიყვანოს!
- ღმერთმა მოგცეს ღენჭები!
- ღმერთმა მოგცეს წინილები!
- ღმერთმა მურადი მოგცეს!
- ღმერთმა ძალუზა მიგიყვანოს!
- ღმერთმა სახლე მიგიყვანოს!
- ღმერთმა, საცხა წახვალ, ალაგიანი სახლი მოგცეს!
- ღმერთმა ქვაზე ფეხი არ წაგაკვრედნოს!
- ღმერთმა ქმრის უკან დაგაბეროს!
- ღმერთმა ღენჭები მოგცეს!
- ღმერთმა ყეზა-ბელა არ დაგანახულოს!
- ღმერთმა ყეზადან, ბელადან შიგინახოს!

- ღმერთმა შეგაბეროს!
- ღმერთმა შენი თავი გაგახაროს!
- ღმერთმა ხელ-ფეხი მოგცეს!
- ღმერთმა ჯამთელობა მოგცეს!

**შ**

- შენ გეფხარო, მეც გევიხარო!

**ხ**

- ხელ-ფეხი თავამდი მოგცეს!



სოფელ ხევას უბანი – ობლესკარი, 2018 წ.

## ანდაზები

1. ანაჲ ბეჩი, ბგანოდც ბეჩი;
2. ანაჲ დედნახე, ბგანო ითხუე;
3. ანაჲ დედნახე და ბგანო ისე ითხოვეო;
4. ანაჲ დედნახე, ბეზის ქენარი დედნახე, ბგანო ითხუე;
5. ანაჲ, ალაჲ კარგა იცნო, მემრე მისი ბგანო'ნა ითხოვოო;
6. ბაბოჲ დედნახე, ნენეჲ დედნახე და ისე გოგო ითხოვე;
7. გელ ახსენებ, ყურებ ნამოყოფს;
8. გელ დაახსენებ, ყურებ ნამოყოფს;
9. დედას შეხედე, მერე – შვილსაო;
10. კარგი ღენჭები ნენესი გულიაო;
11. კაცსა სწავლა ლეხტზე მისლამდინ უნდაო;
12. ნასრეთი ხოჯამ თოკზე ფიქივილი გაშალაო;
13. ქესტანე ქერქიდან გომოსულა და ის ქერქი აღარ უკადრია;
14. ქესტანე ყაბულიდან გომოსულა, არ მონონია მისი თაჲ;
15. ქესტანე ყაბულიდან გომოსულა, ყაბული არ უკადრია;
16. ქვა ადგება, ინსანი ბელტი შექენება;
17. ქვა გაგორდება, ინსან დეეცემა, მოკტება;
18. ქვა გაგორდება, ქვებში დადგება;
19. ქვა წავა და ქვებში დადგება;
20. ქვა გაგორდება და ქვებ ალაგას დადგება;

21. ქვა გაგორდება, დაბალში დადგება;
22. ქვაუდგომელა ადგილი ბელა შეექნებაო;
23. ქუაბ ქუაბი გუუგდიაო;
24. ყვავისთვინ უთქმიან ქი – მიდი, ამ ღუნდაში საყვარელი ვინც გყავს, მეყვანეო; მისულა, მისი წინილი უპოვნია და ი მუუყვანია;
25. ყურძენი ყურძენ შეხედავს, გაშავდებაო;
26. ყურძენი ყურძენთან რომ მიიტანო, შეხედვით გაშავდებაო;
27. ყურძენ დაკრეფავ, მეტან სახლსა, დალპება;
28. ნაბლი ყაბულიდან გუმოსულა და მისი თავი არ უკადრია;
29. ნაბლი ყაბულიდან გომოსულა, მემრე მისი ყაბული არ მონონია;
30. წისქვილი ჩემკენ ბრუნავს, სარაკუნამ საც უნდა, იქ ერაკუნოსო.



სასტუმრო „მასისი“, 2017 წ.  
 მოქმედები: აინურ ქანთაროდლე და ნურსელ ჭვდლიშვილი (ბათმაზი)

## გამოსანები

1.

ჩიტისავით ფრინავს,  
თეთრს ჯ . . მს.

(ნისქვილი)

2.

ქვა ფრინავს,  
ჩაახი ბრუნავს,  
ფქვილი ფქვაგსა.

(ნისქვილი)

3.

თიდან ჩამოვა თისავთე,  
ხელები შეშასავთე.  
ჩავა ჴევში, წყალ შესვამს,  
დეზღავლებს თიკანსავთე.

(ზვაგი)

4.

კატა – კუდით დაკიდული.

(ტაფა)

5.

წავა, მოვა, მის ადგილად დადგება.

(კარი)

6.

თეთრით დავიწყე,

ყვითლით გავაგრძე,

წითელით გავათავებო.

(ბალი)

7.

გრძელი ხის გრძელი ხე შენ ერთ წელიწადში მოგცემს 30  
ყურძნის მტევანს; ღამე ჭამა მაძლია, დღისით ჰარამია.

(მარხვა)

8.

მივა, მივა, ადგილზეა.

(„კარის გაღებელი“ – სახელური)

## მასპილსიტყვაობა

1.

ნასრეთი ხოჯა მოზობელში წასულა და ქვაბი უთქვია:

- ქვაბი მომეო!
- რა'ნა ქნა ქვაბიო?
- მანონი'ნა ვაყენოო.

მერე ორითანე ქვაბი მუუტანია და ბებერმა უთხრა ქი:

- მე შენ ერთი თანე მოგეცი, ორი თანე რა არიო, ხოჯავო?
- შენი ქვაბმა გააგდოვო!

2.

ხოჯასთან მივიდა მოზობელი:

- თოკი მათხოვეო!
- თოკზე ფიქივილი გაშლილაო.

უთქმია ქი:

- თოკზე ფიქივილი გეშლებაო?!
- შენთინ მოცემა არ მინდა და გეშლებაო!

3.

ნესრეთი ხოჯას ფური დუუკარგია. მისი ბებერი ერთი ადგილიდან წასულა, ხოჯა მეორე ადგილიდან წასულა. მისი ბებერი ხოჯაჲ უძახნია:

– ხოჯა, იპოვნე თუ არა?

ხოჯას უთქვია:

– ნტუ!

ერთ ადგილას მოსულა, ბებერ უთქმია:

– იმდონი ვიძახე, ვიძახე, რაზე არ გეფგონე, ხოჯავო?

– მე გეფგონე, ჰამა გითხარ „ნტუ“-ო.

#### 4.

ნასრეთი ხოჯა გზაზე მივა, ხეზე გავა. ტალზე თერსინა დაჯდება, წალდით ქრავსა. ერთი კაცი გეძარს.

– ნასრეთი ხოჯა, მაქა რა იჯეზიო? თერსინა ქრავ, გუდუ-ვარდებიო!

კაცი ნავა, ტალი მეფქრა, ხოჯა გადმოვარდება.

ნასრეთი ხოჯა მიჰყვება კაცსა:

– ჩემი გუდუვარდნა იცოდი, მე რახან'ნა მოვკდე?

– მე რა ვიცი შენი მოკდომა! დლე გიგითავდება, მოკდები!

#### 5.

ორი თანე კაცები ყოფილან, თემბლები, თუთი ძირას და-წველილან; ერთ თანეს უუბნია ქი:

– ერთი აი თუთა ლაშში ჩიმივარდესო!

იმაჲ უთქმია ქი:

– არ გეზარება და სვარათოფო!

#### 6.

ჯარსა კარდალი შიგან თავი შუუტენია ქი, უნდა ჭამოს; თავი ვერ გუმუჟლია, თავი გაჩრილა იქ.

– რა ვქნათა? რა ვქნათა? – უთქმიან, კარდალი არ გუუტე-ხიან და ჯარი დუუკლიან.



## საბავშვო ფოლკლორი

### 1. სააკვნო (დაძინებისა)

#### 1.1.

ჰაიდე, დეძინეო,  
ახლა მოვა ანაო!  
ანაე მოვა ახლა,  
შეშად მეფტანოსო.  
ახლა მოგანუებს,  
ღმერთმა გაგ ზარდოს!  
დიდი შეექენ!  
ასკერში ნახვალ,  
ასკერობას იქამ,  
მოხვალ, დაგაქორნილებ,  
თორები მემესწრებთან,  
რძალ მევიყვან,  
დედამთილ შევიქნევ!

#### 1.2.

ნანი, ნანი, ნანაე,  
ახლა მუა ანაე!  
მოვა ჩემ ოღლის ანაე,  
მოვა ალაე.

კაკაა'ნა მიგიტანოს,  
ბევრი რამ'ნა მიგიტანოს!  
დედძინე, გეფზარდე!  
ყურბეთში'ნა წეხვიდე,  
ასკერში'ნა წეხვიდე,  
მოსვალ'ნა დაგაქორნილო!

### 1.3.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
შექერ მიგიტანს,  
ვაშლები'ნა მიგიტანოს,  
თუთები'ნა მიგიტანოს,  
რამიები'ნა მიგიტანოს!

### 1.4.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
დაგაძინებს ანაჲ,  
ადგება, წავა ანაჲ.

### 1.5.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
ახლა მოვა ანაჲ,  
დაგაძინებს ანაჲ,  
გაგალვიძებს ალაჲ.

### 1.6.

ნანი, ნანი, ნანაჲ,  
კატამ შიჭამა შენი ანაჲ!

კიდევ დაგაქორნილავს  
შენი ალაღ!

1.7.

ააა, ააა, ააა...  
ნანი, ნანი, ნანაღ,  
ახლა მოვა ანაღ,  
ააა, ააა, ააა...

1.8.

დანდული, დანდული, დანდალაღ,  
დანდული, დანდული, დანდალაღ...  
ნეედა, მოვა შენი ანაღ!

1.9.

დეეძინე, გეეზარდე,  
დიდი კაცი შეექენ!  
ღმერთმა გაგზარდოს!  
დანექ, დეეძინე,  
ნანი ქენ, დეეძინე!

1.10.

ნენი, ღარუმ, ნენი,  
დეეძინოს და დამაძინოს!  
დეეძინოს და გეეზარდოს!

1.11.

ნანი, ნანანა,  
ჩემმა ოლულმა დეეძინა.

## 2. სალალო და შესაქცევარი

### 2.1.

დიდი თითი: – მემემშიაო!

საჩვენებელი თითი: – რა ვჭამოთ?

შუანა თითი: – ღმერთის მოცემული ვჭამოთ!

ბეჭედი თითი: – ევლოთ და შევჭამოთ!

ჭუტი თითი: – მევპაროთო! – უთქმია და ჭუტი,  
პეტერაჟ დამჩალა.



სასტუმრო „მასისი“, 2018 წ.

მთქმელები: ნურსელ ჭედლიშვილი (ბათმაზი) და რეჯებ ქეჩევი

ნაწილი მეხამე  
**შენიშვნები**  
და  
**პარაფრაზები**



## პრომის ლექს-სიმღერები

### 4. წველისა

1.1. მთქმელი ფატყიმე (ფატმა) ქანთაროღლუ//ყანთაროღლუ, 73 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ქონობანში.

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 28 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ქონობანში.

მთქმელის განმარტება: „– ვწველიდი, ვიმღერებდი, ვიჭიხვინებდი“.

დაბ.: „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.

1.2. მთქმელი ჰევა ქორუქი, 60 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხში (ბალჯილი). ზამთრობით ცხოვრობს დაბა სარიგოლში. „ბალჯიში ზამთარში არ ვდგავართ, თოვლი ბევრი მოდის“, – გვითხრა მან.

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 29 ივლისს სოფელ ბალხში.

მთქმელის განმარტება: „– ფურ დუყყავებთ“.

დაბ.: „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.

1.3. მთქმელი ჰევა ყურთი, 59 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ სადგიყანაში.

ჩაინერა ნატალია ჩხარტიშვილმა 2018 წლის 28 ივლისს სოფელ სადგიყანაში.

დაბ.: „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.

1.4. მთქმელი ემინე ქეჩეჯი, 80 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ბასლეკარში; გამოთხოვილია გოდლეკარიდან – ბასლიკარის მიმდებარე უბნიდან. 13 წლის ასაკში გათხოვილა.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 28 ივლისს სოფელ ბასლეკარში.

დაბ.: „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.

## 5. ყანის თესვისა

2.1. მთქმელი მევლუდ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), 47 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – დოლენჯიანთკარში, სასტუმრო „მასისის“ მეპატრონე.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 26 ივლისს სოფელ ხევას უბანში – ობლეკარში.

დაბ.: „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.




## 6. ნადი

3.1. მთქმელი ელიფა ოზიურთი, 56 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლში. სტუმრობდა გათხოვილ ქალიშვილს სოფელ იეთში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 23 ივლისს სოფელ იეთში.

დაბ.: „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.



სოფელი სადგეყანა, 2018 წ.  
მთქმელი ყურბან ჩელიქი

## სატრფიალო პოეზია

1. მთქმელი მეველედ ბათმაზი (დოლენჯიშვილი), 47 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – დოლენჯიანთკარში, სასტუმრო „მასისის“ მეპატრონე.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 26 ივლისს სოფელ ხევას უბანში – გოდლეკარში.

დაბ.: თ. შიოშვილი, „ტაოს ხალხური მარგალიტები“. – ჟ. „ჭოროხი“, №5, ბათუმი, 2017. გვ. 73; თ. შიოშვილი, „ტაოური ხალხური პოეზია (ტექსტები შენიშვნებითა და ვარიანტებით)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. XIII, თბილისი, 2018, გვ. 126; „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 907.

### ვარიანტი:

გალმა თეთრი ქათამი  
გომოდმი მიკუკუნებს;  
ერთი გოგო დევნახე,  
გულში მაკანკალებს.

მთქმელი ნაჯიე გიული, 63 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ფიშნახევში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 1 აგვისტოს სოფელ ფიშნარხევში.

დაბ.: თ. შიოშვილი, „ტაოური ხალხური პოეზია (ტექსტები შენიშვნებითა და ვარიანტებით)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. XIII, თბილისი, 2018, გვ. 135; „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 928.

2. მთქმელი ქარდელენ ქეჩეჯი (კენჭაძე), 21 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას უბანში – ბასლევარში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს დუგურის იალალზე (სოფელ ხევას იალალი).

დაბ.: თ. შიოშვილი, „ტაოური ხალხური პოეზია (ტექსტები შენიშვნებითა და ვარიანტებით)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. XIII, თბილისი, 2018, გვ. 125; „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 908.

### **ვარიანტები:**

ა

ფოტოროში ჩევევარე  
წითელი კამონითა;  
არ იტირო, სევდაჯან,  
უნდა მოვდე დიდ ფართა!

მთქმელი შენგულ სონმესი, 40 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ხევას ერთ-ერთ უბანში – დევთისაში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს დუგურის ილაღზე (სოფელ ხევას ილაღი).

დაბ.: თ. შიოშვილი, „ტაოური ხალხური პოეზია (ტექსტები შენიშვნებითა და ვარიანტებით)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. XIII, თბილისი, 2018, გვ. 136; „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 929.

### ბ

ფოტოროში ჩავვარე  
წითელი კამფონით;  
არ იტირო, სევდულო,  
მე'ნა მოვდე მილიონით!

მთქმელი ყურბანა ჩორაფჩი, 37 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ელიასხევში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 27 ივლისს სოფელ ელიასხევში.

დაბ.: თ. შიოშვილი, „ტაოს ხალხური მარგალიტები“, – ჟ. „ჭოროხი“, №5, ბათუმი, 2017, გვ. 72; თ. შიოშვილი, „ტაოური ხალხური პოეზია (ტექსტები შენიშვნებითა და ვარიანტებით)“. – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. XIII, თბილისი, 2018, გვ. 136; „ტაო“ – კოლექტიური მონოგრაფია, ბათუმი, 2020, გვ. 929.

### ბ

ფოტოროში ჩევვარე  
წითელი კამფონით;  
არ იტირო, გუზელუმ,  
მოვდე'ნა მილიონით!

მთქმელი აიფერ ქეჩეჯი, 34 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეგში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2018 წლის 1 აგვისტოს სოფელ ბასლეკარის უბანში – ხევეგში.

